კვირის პალიტრა
ყოველკვირეული გაზეთი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 29 (222) ◆ 19-25 ივლისი. 1999 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ეგ პოლიცია კიდევ... განუშეფოს, ყველაფერს ნუ გვაიძულებენ...

...ბატკანებულ გაცა ზაალიშვილს იმ პიროვნებაზე გაცვლიან, ვინც ნვესენ შეუთანხმოდა მიაყენაო...

– ტყუილია, თითქოს თელაველ პოლიციელებს ნაკუსაფრდიო... ახე რომ გვნდომოდა, ვერც ის ორი გაბუქნელიც და არც ჩვენი დაგვეულპებოდა... ბ3. 5

ერთი გადაღით ინგუშეთში და ნვსნეთში, თბილისის ბაზარი გეგონებათ, იმდენი ქართველია იქ...



ვირველად – ვანკისის ხეობიდან...

მხატვარმა გოგი თოთიბაძემ დაკარგულ თავის „დედის პორტრეტს“ სამყოვ ვითარებაში მიაკვლია

...თბილისის ომამდე, „საღ-სალამათი“ მხატვრის სახლიდანაც იკარგებოდა მხატვართა ნამუშევრები. ბ3. 3

...ამა-იქ დარგებულ-გაჩუქებულ, გაყიდულ ექსპანატთა გეოგრაფია მასშტაბურია... მხოლოდ ავტორებმა არაფერი იციან ამის შესახებ.

...ჩემი „დედის პორტრეტი“ ვინმე ქართველ „ტრეტიაკოვს“ კიპაკებად შეუძენია სხვა სურათებთან ერთად.

...კანონია, როცა მუზეუმდან და ფონდიდან ნამუშევარი იკარგება, ეს ფაქტი აუცილებლად პროკურატურას (და ავტორს) უნდა ეცნობოს.

ვინ გამოძიებრდა ქართველი მხატვრების ნამუშევრების?..

ჩვენზე ინფორმირებული „ბაბარ პროფესორ“ პიროვს დაუჯერა:

„ისინი (ანუ ჩვენ, ქართველები) უნდა დაუფიქრდნენ თავიანთ საქციელს და გაანეთონ დასჯენა, თუ რა ჩაიდინეს ისეთი, რომ მიიღეს ასეთი პასუხი იმ კაცისაგან, ვინც 1975 წლიდან საქართველოს სპეციალისტი იყო?“



იქნებ, ჩაშოყსნელთ, ქართველებო, და ერთად დავიწყოთ ფიქრი ამ კაცზე და ჩვენს „დანაშაულზე“... ბ3.12

ცენტრალური, რეგიონის ცრუ. ნაღდი თუ ფაიზაღი, მთავრობები კი გვყავს მრავალ. მეშინია მათი კრანის, დაბეჭდვასაც ვერ ახუვალთ, იმდენი გასალახი.

ბ3.27

თამარ მეფის ნაკვალევს იეღოველები მოსდევნიან...

ლამის ცას მიჭრულ მთიან სქურში მათთეს (იეღოველებისთვის) თელი გამოდგა უფასო. წიგნებით, ქაღალდებით, ბეცის ანაბრად მიტოვებული მოსაუბრის და ბავშვების „მოსთოვლა“...

სარკვასეთ კრიალა სამყაო დარბაზში კონცერტზე სამი-ოთხი ათასი კაცი ვეყრით თავს... ბ3. 7

სპორ ჯალენიანი რაიონია...

„ვე სპაღინ, თუნდაც მკვდარს, ჩვენი შვილის გვარი გაღაკუნული სპაგაჩეროს“ – ნოდარ ხრიშვილი

სამხედრო ტრიბუნალმა გურმანელებთან ტყვედ საყვე პირობებში მოხვედრილ მოღალატეს დახვრეტა მიუსაჯა – ეს მოღალატე, ნიკოგა ხრუნიკიძის ვაჟი – ლეონიდე იყო. ბ3. 10

ტრიბუნალის გადაწყვეტილების შეტანა მხოლოდ სპალის შეეძლო.

...ვისი ბატონის ტყვეობაში იმყოფებოდა...

დენგაკაკაუედ ძნეული გსაბიოგი

ლენინგრადის დაბგუფების ყველა ოპერაციის ავტორიც და შემსრულებელიც მსახიობი არკადი („მალიკა“) მალლამეღილი გახლდათ...

–ერთ-ერთ რეპეტიციაზე რეჟისორის თანაშემწემ უღიერად პოიხსენია ულადიმირ ვისოცკი და მალლაშელეს ვეუბნა შეშლის წყალობით ის-დრმა ნოკატები ჩაეარდა... „მალიკას“ კიდევ ერთხელ აპატიმრებენ...

ჩვენს პრეტენდენტებს ყველაზე მეტად კალაუშვილის წყვრმილი ამოძრავებენ

ბ3. 27

საპრწყ პამოკმეხვა-რეპინინგი

ვირველად ინტერვიუ ბრიტანელ ჯაშუშთან

ვინ გამოძიებრდა ქართველი მხატვრების ნამუშევრების?..

მუნის გავრცელების სამშობრება მუღამ იქნება

— მე, როგორც მთავარ სახელმწიფო სანდაროულ ექიმს, მიმაჩნია, რომ ასეთი სახის ტვირთი (ე.წ. „ძონძები“) სახელმწიფოში არ უნდა შემოდიოდეს... არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ეს არ ხდება... ვიცი, მოსახლეობას ძალიან უჭირს, მაგრამ ამგვარი დახმარება უნდა აიკრძალოს. ბ3. 6

თამარ მეფის ნაკვალევს იეღოველები მოსდევნიან...

16 ივლის ჯონ კენედიუნრსის თეთმფრინავი ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე გუმსარდა. ქმანა ტრაგედია... ამ ცეი ადარ ჩანს. ბ3.2

სპეცრეპორტაჟი ყაზაკეთიდან ყაზაკეთმა „ეროპორტის“ ზმანაღვინდი

ავტობუსი ნინამძღვრი რაციის სტარტი ბაიკონურიდან... მოსკოვი დასთამძღა კოსმოდრომის ოფიციის (წელიწადში 15 მლნ დოლარი) ვიდახდას. ბ3. 9

შეავსეთ სპორტპროგნოზი „შესძე ლაიმი“ და მოიგეთ

ვინც არ თამაშობს, ის ვერაც იგებს

მინდა ბავშმისთვის ჩემმამი ქიშპი...

ბ3.28

თუ მეც ჯერ კიდევ ახალგაზრდას, დავიპყრო ქართული კინოს სამსახიობო მწვერვალები, განა ახლა უფრო არ შემიძლია დიდი როლების შესრულება?..

საკვირაო

ტელე-კინო-აფიშა 19-25 ივლისი

ბ3. 14-15

„სიყვარული და საქმე“ – ყოველ ნოემერში 4.000-მდე განცხადებაა!

დაიწყება დავალიანებების გასტუმრება

შარშანდელი ხელფასებისა და დავალიანებების დაფარვას სახელმწიფო მას შემდეგ შეძლებს, როცა საგარეო დახმარებებს მიიღებს კრედიტების სახით. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ინფორმაციით, დავალიანებების გასტუმრება შეიძლება აგვისტოს შუა რიცხვებში დაიწყოს და წლის ბოლომდე გაგრძელდეს, თუმცა ეს პროცესი დამოკიდებული იქნება კრედიტების დროულ მიღებაზე.

გაფიცულებმა წყალი გადაკეტეს

10 თვის გაუცემელი ხელფასების მიღების მოთხოვნით ჯვარში, ენგურჰესის სარემონტო სამუშაოებში მონაწილე 150 მუშა გაიფიცა. მათ გადაკეტეს სასმელი წყლის მილი, რამაც მოსახლეობა ააშფოთა. აქციის მონაწილენი კი, საქენერგოსგან კუთვნილი თანხის მიღებამდე არ აპირებენ დაშლას... ეს კი შეტაკების საშიშროებას ქმნის უწყლობით განამებულ ადგილობრივ მოსახლეობასა და გაფიცულთა შორის.

აირჩიეს ახალი ლიდერი

მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელობამ შეასრულა დიდი ხნის წინ დანაპირები და მოქკავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ახალი ლიდერი აირჩია. ამ მიზნით, ბათუმს საგანგებოდ ეწვივნენ ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი და ფრაქციის წევრი ელენე თევდორაძე.

15 ივლისს მათი მონაწილეობით ბათუმში გაიმართა მოქკავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის წინასაარჩევნო შტაბის შექმნის საინიციატივო ჯგუფის სხდომა. ელენე თევდორაძის განცხადებით, იგი არ ელოდა სხდომაზე ისეთ ხალხმრავლობას, რისი მოწმეც გახდა, თუმცა, სხდომა ვერ ასცდა ინციდენტს.

სხდომაზე მისული მოქკავშირის აჭარის ორგანიზაციის ყოფილი ლიდერი და, იმავდროულად, აჭარის განათლების მინისტრი ნანი გუგუნავა, თავის მომხრეებიანად, დარბაზში არ შეუშვეს... სამაგიეროდ, მის ნაცვლად ამ პოსტზე აირჩიეს კარგა ხნის წინ შერჩეული კანდიდატი, ბათუმის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი აზიზ ახვლედიანი.

ასათიანი კონფლიქტის მოგვარებას გვპირდება

ქართველ ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი უკვე შეუდგა ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირების შესრულებას, კერძოდ, ყოველგვარი შუამავლების გარეშე პირდაპირი დიალოგი დაიწყოს არძინბას რეჟიმთან.

ასათიანის განცხადებით, აგვისტოს დასაწყისში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების მოდელის შესამუშავებლად აპირებს არძინბას ემისრებთან მოლაპარაკების გამართვას სოხუმში ან ბაქოში. აზერბაიჯანის დედაქალაქში აფხაზებთან შეხვედრის ორგანიზებას ასათიანს ამ ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ჰპირდება... სოხუმში მოლაპარაკების გამართვის გარანტიას კი №1 ტრადიციონალისტს ჯერ არავინ აძლევს...

ანრი ჯერგენიას განცხადებით, სოხუმის ხელისუფლება საქართველოს არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ აპირებს რაიმე დიალოგის დაწყებასაც კი...

გოგუაძე ხატზე იფიცებს

პარლამენტარი ვახტანგ გოგუაძე დარწმუნებულია, რომ „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი პროდასავლური ძალების დავალებითა და ინსტრუქციით მოქმედებს საქართველოში... და ეს ძალები ქართულ ტრადიციებსა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ებრძვიან..."

გოგუაძის თქმითვე, მისი სახალხო-პატრიოტული კავშირი ასლან აბაშიძემ ბათუმურ ალიანსში ტრადიციონალისტებისა და სახალხო პარტიის ხელმძღვანელობის თხოვნის შემდეგ არ მიიღო... არადა ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, აჭარის ლიდერისა და „აღორძინების" უპირველეს მოკავშირედ სწორედ სახალხო-პატრიოტული კავშირი და მისი ლიდერები — ვახტანგ გოგუაძე, ვალერი კვარაცხელია და ავთანდილ მარგიანი ითვლებოდნენ...

გოგუაძემ ბრძანა, რომ ამჟამინდელი ბათუმური ალიანსი მყიფეა, რადგან „ძლიერ ნებაზე" არ არის დაფუძნებული და დასძინა, — საპრეზიდენტო არჩევნებში არც ერთი კანდიდატის მხარდაჭერას არ ვაპირებ, რადგან დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ახალი პრეზიდენტი ჩემს დაპატიმრებას შეეცდებაო...

ამჟამად კი, ვახტანგ გოგუაძე, მისივე თქმით, არ აპირებს უშიშროების სამინისტროში გამოცხადებას, სადაც მისი დაკითხვა სურთ ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ბრალდებით. ამასთან, პარლამენტარი კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს მიმართავს წერილით, რომელშიც ღვთისმშობლის ხატზე იფიცებს, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზებაში(!)

ახალციხეში ტელევიზია სომხურად აჭიკჭიკდა

ახალციხის რაიონში „იატაკქვეშეთიდან" დაიწყო მაუწყებლობა ადგილობრივმა სომხურენოვანმა ტელევიზიამ. ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი ქართული ტელეარხები საპროტესტო აქციების გამართვას აპირებენ, თუ სათანადო სამსახურები არ გამოავლენენ სომეხ ტელეხულიგნებს... საგულისხმოა, რომ ამ მიზნით ახალციხეში ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი ჩავიდა თბილისიდან

პრეზიდენტმა ქარელელებს მიწა აჩუქა

(გეა) „დიდი ხანია არ ვყოფილვარ თქვენთან და არ მინდოდა, ხელცარიელი ჩამოვსულიყავი. ჩამოგიტანეთ დოკუმენტი, რომლითაც თქვენ თქვენი მიწა საკუთრებაში გადმოგეცათ", განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კარალეთის საკრებულოში საკრედიტო კავშირის „ნაჭარმაგევის" წევრებთან შეხვედრისას.

„ამ მიწას გაუფრთხილდით, რომელიც ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრეა" — უთხრა მათ საქართველოს პრეზიდენტმა. მიწის საკუთრების სერტიფიკატი გორში 23.700 ოჯახს გადაეცა, ხოლო კარალეთში 34.700 ოჯახს.

„მე ბედნიერი ვარ, რომ ეს პროცესი ჩემი პრეზიდენტობის დროს მიმდინარეობს" — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

ალექსანდრე ლებედი ბათუმში ჩამოვიდა

(კავკას-პრესი) კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორი ალექსანდრე ლებედი 2 დღიანი ვიზიტით ბათუმს ესტუმრა. აჭარის ლიდერის პრეს-მდივნის გიორგი თარგამაძის განცხადებით, კრასნოიარსკის მხარესა და აჭარას შორის ურთიერთობა რამდენიმე თვეა რაც დაიწყო, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო იმან, რომ კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორის მოადგილე ბათუმელია.

თარგამაძის თქმით კრასნოიარსკის მხარის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ქართული ჩაით, ციტრუსებითა და აჭარაში დამსვენებელთა ჩასვლით, რაც არცთუ ურიგო შემოსავალს მოუტანს ქვეყნის ბიუჯეტს. საუბარი ასევე შეეხება ერთობლივი ავიაკომპანიის შექმნის საკითხს.

ნატო სემინარს ჩაატარებს...

4-17 ოქტომბერს, ნატოს ეგიდით, საქართველოში ჩატარდება სემინარი თემაზე — „ნავთობსადენის ეკოლოგიური უსაფრთხოება საქართველოში".

ნატომ თხოვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, დამატებით შეისწავლოს ნავთობსადენის ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხი, ვინაიდან არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც არ იძლევა ნავთობსადენის მოქმედების სრული უშიშროების გარანტიას, კერძოდ, საფრთხე ექმნება ნავთობსადენის მთლიანობას, რადგან ამჟამინდელი პროექტი მხოლოდ ნავთობსადენის რეკონსტრუქციას ითვალისწინებს, არადა მასში ალაგ-ალაგ დარჩენილია ძველი მილები, რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამოვიდეს მწყობრიდან და დაღვრილმა ნავთობმა დააბინძუროს გარემო...

წამლები ნარკომანებისთვის?

ლილოს საბაჟო ტერმინალზე დააკავეს მედიკამენტებით დატვირთული სამი კონტეინერი, რომელიც შემოჰქონდა საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციას — „ექიმები საზღვრებგარეშე".

წამლები ნარკომანებისთვისაა განკუთვნილი და მათგან არც ერთი სახეობა არ არის რეგისტრირებული საქართველოში.

ამჟამად საბაჟო დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება ამ პრეპარატების უკანონოდ შემოტანასთან დაკავშირებით. წამლები, წინასწარი მონაცემებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიჰქონდათ. ისე რომ, როგორც აღვნიშნეთ, არც ერთი მათგანი საქართველოში რეგისტრირებული არ იყო, რაც კანონის დარღვევაა...

800 კოლოფი — ბიუჯეტის სასარგებლოდ

საქართველოს მთავრობის მორიგ სხდომაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ წამოაყენა წინადადება, რომ უახლოესი ორი კვირა გამოაცხადონ უაქციზო პროდუქციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის დღეებად. მისი თქმით, საჭიროა მოეწყოს მასობრივი რეიდები და შემოწმებები, რომელთა შედეგების მიხედვით აღიძვრება სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, ვინც კანონის გვერდის ავლას ცდილობს...

პრეზიდენტის ინიციატივას დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ შესაბამისი სამსახურები, რომლებმაც პირველი ეგზეკუციები, ბუნებრივია, სიგარეტით მოვაჭრეთა წინააღმდეგ ჩაატარეს ბაზრობებზე. შედეგად — გამოავლინეს უაქციზო სიგარეტის 36 გამყიდველი, რომელთა შორის 6 ბოშა იყო, დანარჩენი — ლტოლვილი ქალბატონები...

ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებულია 800 კოლოფი უაქციზო სიგარეტი...

სანაოსნოს ხელმძღვანელობა პასუხს აგებს...

საქართველოს გენერალური პროკურატურა საქართველოს სანაოსნოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს ქონების დატაცების მუხლით, — განაცხადა პრესკონფერენციაზე გენერალური პროკურორის მოადგილემ რევაზ ყიფიანმა. ითქვა აგრეთვე, რომ საქართველოს სანაოსნოში არსებული დარღვევების გამო, რაც დიდძალ ზარალსა და გემების დაპატიმრებას უკავშირდება, აჭარის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა სანაოსნოს ყოფილი გენერალური დირექტორის, ბიჭიკო ვარშანიძის წინააღმდეგ. მას 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

აჭარის პროკურორმა როსტომ ჯაფარიძემ რევაზ ყიფიანსა და მასთან ერთად ბათუმში ჩასულ ორ გამომძიებელს საქმის დეტალები არ გააცნო და საქართველოს გენერალური პროკურატურის დაქვემდებარებაში საქმის გადაცემაზეც უარი განაცხადა...

რევაზ ყიფიანი დარწმუნებულია, რომ ახალაღძრულ სისხლის სამართლის საქმეში გაცილებით მეტი მასალა დაიდება, მათ შორის სანაოსნოს ლონდონის ოფისიდან, რის შედეგადაც გამოძიებას ობიექტური დასკვნის გაკეთების საშუალება მიეცემა...

დაიღუპა ორი აფხაზი

მილიციის რაზმი ქართველ პარტიზანთა გამოსავლენად ეგზეკუციას ატარებდა გალისა და ოჩამჩირის რაიონის სოფლებში. მათ ავტომანქანას თავს დაესხნენ. შეტაკების შედეგად ორი აფხაზი მილიციელი დაიღუპა.

მართლა სად იყო საყვარელიძე?

რესტორან „თამარიონში" მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, გასულ კვირას კიდევ ერთი სახელი გამოჩნდა — დაღუპული ნიკა უჩანეიშვილის მამამ პარლამენტარი ავთანდილ საყვარელიძე მკვლელობის თვითმხილველად, ანუ მოწმედ დაასახელა. საპასუხოდ, ბატონი საყვარელიძე უჩანეიშვილის მამას სასამართლოში უჩივის ცილისწამებისთვის და აცხადებს, რომ „გარდაცვლილის მამამ ან ცილისწამებისთვის უნდა აგოს პასუხი, ან კეთილი ინებოს და დაასახელოს ინფორმაციის წყარო..."

ავთო საყვარელიძე თანახმაა, მხოლოდ გამოძიებას მისცეს ინფორაცია, თუ სად იმყოფებოდა იმ დროს, როცა რესტორან „თამარიონში" მკვლელობა მოხდა.

პაპავა ჩრდილოვანი ბიზნესის ლეგალიზებას ითხოვს

კონტროლის პალატაში დაიბარეს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. რკინიგზელთა ბოლო, ორი წლის მუშაობის შედეგები არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს და მათ ბიუჯეტის სასარგებლოდ ნახევარი მილიონი ლარის გადახდა დააკისრეს.

ეკონომიკის სამინისტრო კი საქართველოში მძვინვარე ჩრდილოვანი ბიზნესის ლეგალიზებას ითხოვს.

ოფიციალური მონაცემებით, ჩრდილოვანი ბიზნესი დღეს ქვეყანაში მთელი ეკონომიკის 40-45%-ს შეადგენს. ეკონომიკის მინისტრი ლადო პაპავა კი ამ უკანონობის დაკანონებას, ანუ ლეგალიზაციას მოითხოვს.

დიპლომატიური ქალაქი — ას მილიონად

გარდაბნის რაიონის სოფ. შინდისში ახალი დიპლომატიური ქალაქის მშენებლობა დაიწყება. მშენებლობისთვის 100 მლნ ამ. დოლარია საჭირო. ძნელი სათქმელია, გასწვდება თუ არა ჩვენი ღარიბი ბიუჯეტი ამგვარ ღონისძიებას.

ყაჩაღები დააკავეს

რუსთავში, 14 ივლისს, საღამოს 17.30 სთ-ზე, ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში სამმა ბოროტმოქმედმა დანით მოკლა პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი, ჯიხურის მეპატრონე პაატა ელიაშვილი. გულმკერდის არეში მიყენებული ორივე ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა.

ყაჩაღებმა გაიტაცეს 360 ამ. დოლარი და 420 ლარი. მაგრამ არ დასცალდათ — პოლიციამ სამივე დააკავა.

ვულოცავთ!

დოცენტი ლია ჭეიშვილი, პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდა იაკობ გოგებაშვილის მედლითა და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოების საპატიო სიგელით.

„კვირის პალიტრის" რედაქცია ულოცავს ღირსეულ კოლეგას, დიდ პროფესიონალს და კეთილშობილ პიროვნებას ჯილდოს, უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებებს.

თალიბები დათანხმდნენ...

(გეა) ისლამური ფუნდამენტალური მოძრაობა „თალიბანის" ლიდერებმა გადაწყვიტეს, მონაწილეობა მიიღონ ავღანეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე გაეროს ეგიდით გამართულ მოლაპარაკებებში.

ადრე თალიბები უარს აცხადებდნენ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე, რადგან ამ მოლაპარაკებებში მონაწილე ქვეყნებიდან, პაკისტანის გარდა, არც ერთი არ აღიარებს თალიბების მთავრობას. ტაშკენტში 19-20 ივლისისთვის დაგეგმილ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, ანტითალიბური კოალიციის წარმომადგენლებიც. მოლაპარაკებების ძირითად მონაწილე ქვეყნებს შორის არიან ე.წ. „ექვსი პლუს ორი" ჯგუფის წევრები: ჩინეთი, ირანი, პაკისტანი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, აშშ და რუსეთი.

პირდაპირი დიალოგი არჩიეს...

(კავკას-პრესი; გეა) აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების 2 საათიანი შეხვედრა ჟენევის გარეუბან ჟანტოში კონფიდენციალურობისა და უშიშროების გაძლიერებული ზომების ვითარებაში ჩატარდა. შეხვედრის დასასრულს პრეზიდენტები მომლოდინე ჟურნალისტებს არ შეხვდნენ, ერთობლივი კომუნიკე ან განცხადება, შეხვედრის შედეგების შესახებ, არ გამოქვეყნებულა.

შეხვედრის მთავარი თემა — მთიან ყარაბახთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების მოგვარება იყო. რეგიონში ბალკანეთის დრამა რომ არ განმეორდეს, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ლიდერებმა პირდაპირი დიალოგი არჩიეს.

ბაქოში დაბრუნების შემდეგ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ორივე მხარე კომპრომისზე უნდა წავიდეს მშვიდობის მისაღწევად. სომხეთის პრეზიდენტმა ქოჩარიანმა კი განაცხადა, რომ მზად არის, ბაქოსთან კონტაქტების გასაგრძელებლად.

კენედის ოჯახის ტრაგედიას დასასრული არ უჩანს

ამერიკა შეაძრწუნა კენედების ოჯახში დატრიალებულმა მორიგმა ტრაგედიამ. პარასკევს, საღამოს, ჯონ კენედი-უმცროსის მსუბუქი თვითმფრინავი ნიუ-იორკიდან აფრინდა, მაგრამ დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია. ჯონ-უმცროსი, მისის მეუღლე კეროლაინი და ცოლისდა ლორენ ბესეტი განსვენებული პრეზიდენტის ქალიშვილის, რორი კენედის ქორწილში მიფრინავდნენ.

მიკვლეულია თვითმფრინავის ნამსხვრევები და ერთ-ერთი მგზავრის პირადი ნივთები.

ამ ტრაგედიის გამო ფეხზე დადგა ქვეყნის სამაშველო სამსახური, პოლიცია, მასმედია... შეიცვალა ამერიკის ტელეგადაცემათა პროგრამები, გამოვიდა გაზეთების საგანგებო გამოშვება.. დაკარგულთა ძებნა გრძელდება, თუმცა იმედი აღარ დარჩა...

ჩემი «დიდის პორტრეტი» ქართველ «ტრეტიაკოვს» ძალზე იაფად შეუძენია

ბევრი რამ უცნაური უფიქრებია ჩვენი ცვლილებე ზედად მაინც ის, თუ რა თანაგრძნობა გადაეფინებოდნენ" ეროშანეთის პოლიტიკა თუ ეკონომიკა, ბიზნესები და სხვა ინსტანციები ან თუნდაც ერთიანად ერთანეული? სწორედ ასეთ ისტორიას ისიც მოჰგავს, რომ ვეფიროსანი" ერთიული კულტურაც ქრისტიან ბერძნებად" ჩაითვლება.

ამჯერად ჩვენი ინტერესი თანამედროვე ქართული ხელოვნების ირგვლივ ნამოწყებულმა განგაშმა გამოიწვია.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩემს ხელთ ვაჭრობენ ქართული მხატვრის მიერ კულტურის მინისგრის სახელზე დაწერილი უამრავი განცხადება, სადაც ისინი ითხოვენ, — საქართველოდან, ვისაც სურს მშვენიერებით ტკბობა.

მართალია, ბანქოსაც და ოფისების ზელმძღვანელები ინახავენ, „ლიცანის ფონდიდან" (მათი სახმცდებია) ფრთებით მფლიერებლობენ გადმოაქვეყნა ექსპონატები, მაგრამ ბუროვ ნდობის ფაქტორი არ ახუნებთ კულტურის მინისგრისა და გალერეის დირექტორის? მრავალჯერ გაკოტრებული, ქველნიერ ბაქტივულ თავშეუყვარებელ კერძო ბანკებს ხომ ვერ შეიძლება ირაკლი ფარულიანის უნიკალური ნამუშევრები, ასე ვთქვათ, განუსაზღვრელი ფრთით აფრიალ შვიდ, რომ ვინმე გიგასაც აცხადებს: „სპარაფელის სამუზეუმო-საგანმოყვნო გალერიასება ქართული ეროვნული გალერეა" თანამედროვე ქართული სახეთი ხელოვნების მუზეუმი და მის მფლობელობაში არსებული ქართული ხელოვნების ფონდი ხელმუზეუმებია ისევე, როგორც ეროვნული განძი".

...და ეს „ეროვნული განძი"

დედის პორტრეტი

გეორგი — თოთიბაძე

მოსკოვში, არბაბზეც გაიყიდიდა. 1993 წლის 28 მარტის გაზეთში „მოსკოვსკიე ნოვოსტი" გამოქვეყნებულ სტატიაში „Грузинские мастера на Арбате" ცითხულობთ: „В Грузинском центре „Мзиури" на Арбате общество Руставели проводит выставку-продажу живописных работ"; სტატიაშივე დაზუსტებით წერია, რომ „Многие экспонаты принадлежат разрушенному Дому художника в Тбилиси", ხოლო ნორილის ბოლოს კვლავ შეიძლი თეორიზე ცითხულობთ: „Средство получение от продажи картин, пойдут на востановление Дома художника в Тбилиси"

ამონაწერების რუსული გაზეთიდან კვლავ თემი გოცაძის ნიკტყვებს მივაშეკუნებთ: „პატეიაციური სამთავრობო გადაწყვეტილების გარეშე, ფონდის გასხვისება ან გაყიდვა სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება".

ჩვენ, რა თქმა უნდა, დავინტერესდით, რამდენ სამთავრობო გადაწყვეტილება ხომ არ არსებობდა ფონდებიდან ნამუშევრების გაყიდვის შესახებ და აღმოჩნდა, რომ მთავრობას მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღია.

აღნიშნულ თემას ვეხებოდით და ეკატერინე ბოლ 3-6 **ოქტომბერს**

ბ-ნი გოგი, იქნებ გვიამბოთ, როგორ იპოვეთ მხატვართა ფონდიდან დაკარგული ეროვნული ნამუშევარი „დედის პორტრეტი"?

— ამ ისტორიას ნინ ნინ, პრანსანელური გამოეფინოთის ეეზსაბეჭდო და მინდოდა, ბ-ნი თემო აღებათ დარნმუნდით, რომ ჭარბეზე ბაბა არ ვაინტერესდი და ეროვნული გალერეის გენერალურ მცველ, გიგი ფარანაშვილის სასწრაფოდ „მოაძებნინა" „დედის პორტრეტი", რომელიც თურმე ერთ ცნობილ კოლექციონერს, მხატვართა კავშირის სალონში ძალიან ადვილ უყიდია სხვა სურათებთ ერთად. გიგი ფარანაშვილის „ინტელექტუალურმა" ენიარა ამ ინფორმაციით ვაიხარა.

ბ-ნი გოგი, ფარანაშვილი, როგორც ვიცი, საკმაოდ ცნობილი კოლექციონერი გახლავთ და აღბათ უნდა იცოდეს, ეთიკის თვალსაზრისით და ფონთნაც, თუ შეგიძლიათ მაგალითს, ცნობილი მხატვრის სახ ურათს.

— როგორც ფარანაშვილის ვკითხე, — სალონს ვინ მისცა უფლება ამოტანილი ნამუშევრები ჩალის ფასად გაეყიდათ-მეთქი, მიპასუხა, — ასეთი ფუფუნები ბევრგერ გაიყიდა ნებართვით, სავარაუდო, ამა ისე, ორი ტრანაერით როგორ ნაიცებდნენ რუსეთში საცავებიდან ამოტანილ სურათებსო.

ეს ბ-ნმა თემომდე დამთვალტურა, მაგრამ ისიც დაამატა, — ამ უკანონო ქმედებაში ეროვნული გალერეის" არც ერთ თანამშრომელს მონაწილეობა არ მიუღია, პასუხი მოსახიყეთ ყოფილ მხატვართა კავშირის და ფონდის ხელმძღვანელობაო. ალბათ ბ-ნ თემი გოცაძეს დაუნდეთ, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, იგი მხატვართა კავშირის სამეურნეოდ და მხატვართა ფონდის გამგეობის ერთ-ერთი გალერნაში წერი გახლდათ.

მხატვართა ფონდს, როგორც ვიცი, კულტურის მინისგრის მთავარ ელ, ბ-ნი გიორგი ბუნია კურატორად, რომელიც მაშინ მხატვართა კავშირის მდივან გახლდათ. ბ-ნი გიორგი როგორ განმარტებას ფონდიდან ნამუშევრების დაკარგვის თუ გაყიდვის ფაქტს?

— გიორგი ბუნია ამბობს, რომ ის ფონდში ასე ქუდითად ვამიეწერეთ და გაყოფილი არ ყოფილა. გოცაძეს რომელი ნამუშევრების მოენორებოდა, ის გადაპქონდა თავის საცავებში, სადაცაა შემდეგ ამოქმნილა ნამუშევრები და სხვადასხვა ქალაქში ანყობდა გამოფენა-გაყიდვებსო. ბ-ნი გიორგი, ბატონე ამბობს, რომ მას ზეპირად გალერეის ის თანამშრომლებიც დასახელეთ, ვინც მიქმედა ეს ნამუშევრები სხვადასხვა ქალაქში.

როგორც ბ-ნი თემო ამბობს, თქვენი ნამუშევარი „დედის პორტრეტი", ეკუთვნოდა მხატვართა ფონდს და არა „ეროვნულ გალერეას" თქვენ თუ ესაბაზრო სამხატვრო ფონდის ადგილდელ თანამშრომლებს, იქნებ მათ საფოდნათ რამე თქვენ ნამუშევრის შესახებ?

ესმაფერ ფონდის ყოფილ დირექტორს, ზაქრო ნინოკაშვილს და მცველ ცალერ დვლიშვილს, რომელთაც მშვენიერად გაიხსენეს — 50-იანელთა გამოფენის დახურვის შემდეგ თემი გოცაძეს „დედის პორტრეტი" უკან აღარ დაუბრუნებია, ამას, სადაც ბრებით, ეე ეთქსეთ თო, — პასუხისმგებლობა იკისრებ ფონდის თანამშრომლებმა.

ბ-ნი გოგი, ეხლა ბატონ ირას გეკითხებით?

— კომისიის მუშაობის დაწყებიდან ერთი თვის თავზე, მისმა თავმჯდომარემ, ბ-ნმა ფორ ლორაშვილმა წერტილობით შეხვედრა მუნეყნა კომისიის მუშაობა მოტეხი — საცავის სარდაი ჩხერეკილი სურათები, რასაც შეეიდან ნაკეთი ალრიც და ამდენად, კომისიის მაჯერ ლუსტრაციით ნაკლებ ინტერესდებოდა. ეე ფაქტი ცნობილი გახდა თემო, ვიდრე ბაბაი საცავი არ ამეხსნა, კომისია მუშაობას ვერ გაგრძელებს.

წერილიაც, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საცავებისა, იგივე მდებარეობისა, იქაც ბევრი სურათი დაკარგულა, დაკვალებული ფონდიდან ნამუშევრები ერთ ერთ მათგანზე, ბ-ნმა ლალი ბერიძემ რამდენ ერ ვუმტკიც ბ-ნ ნოდარს, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა საცავებში სურათების გადარჩენა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ქართველი მხატვრების ნამუშევრები კი, დაბეული და გატაცებული, დღესაც სანდვილ ფონდის ნაწილია.

ბ-ნი გოგი, საინტერესოდ უამბიათ ერთი კომისიამ ამასთან დაკავშირებით დოკუმენტები თუ მოიძია?

— ერთადერთი, რაც შეიძლება გითხრათ, ის არის, რომ დაკარგული ნამუშევრების არც ერთ მათგანზე სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული. საერთოდ კი ვამონმა, — რომ მუზეუმიდან და ფონდიდან ნამუშევრები ივაჭრება, ეს ფაქტი აუცილებლად პროკურატურას უნდა ეცნობოს და პოლიც, თუ კულტურის სამინისტროს ნამდვილად აინტერესებს საცავებიდან გაყალბების ქრთამეი მხატვართა ნამუშევრების ბედი, სამინისტროს ეოლეიონის ნამუშევრების ბედიც. რეგისტრაციის პროკურატურაში აღძრას საქმე ან ამბრზნენ დანაშაულის გამოსაძიებლად.

— გმადლობთ საუბრისთვის.

ნანა ტურაშელი

PS კულტურის სამინისტროს ბრძანებით, შეიქმნა ფონდების მდგომარეობის შესწავლელი ახალი კომისია, რომლის თავმჯდომარედ ვინ აღნიშნა ეროვნული საბერნის, თბილისის ისტორიის მუზეუმის დირექტორი რ. ცქიფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსი გიორგი მთაწმინდელი

ღირსი გიორგი მთაწმინდელი თრიალეთში, ღვთისმოსავი მშობლების ოჯახში დაიბადა. მისი მამა მეფე გიორგი I-ის ერთგული მეგობარი იყო, რომელმაც ღვთისადმი დიდი სიყვარულის გამო თავისი უფროსი შვილები — თეკლე და გიორგი — ღმერთს შესწირა. 7 წლის ასაკიდან გიორგი ჯერ ტაძრისის (სამცხე), ხოლო შემდეგ ხახულის მონასტერში იზრდებოდა, სადაც ღმერთშემოსილი მამები მოღვაწეობდნენ და მის სულიერებაზე დიდ კვალს ტოვებდნენ.

მალე თრიალეთის ერისთავმა ფერის ჯოჯიკის ძემ მონასტერში მოღვაწე გიორგის ერთ-ერთი ბიძა სასახლეში მოძღვრად მიიწვია, მოხუცმა ბიძამ ძმისშვილიც თან წაიყვანა. ყრმის სიკეთით განცვიფრებულმა ფერისის მეუღლემ გიორგი შვილად აღიარა და რამდენიმე ხანს ღვთივსათნოდ ცხოვრობდნენ. იმ დროს თრიალეთი ბიზანტიის ხელში იყო. კეისარმა ბასილიმ ფერისს ცილი დასწამა და კონსტანტინეპოლში თავი მოჰკვეთა, ფერისის მეუღლე 12 წელი დედაქალაქში დარჩა და ყრმა გიორგი ბერძენ ფილოსოფოსებს მისცა აღსაზრდელად. კარგად განსწავლული გიორგი კეისრის ბრძანებით კვლავ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც 25 წლის ასაკში ხახულის მონასტერში ბერად აღიკვეცა. განდეგილური მოღვაწეობის სურვილით მალე ფარულად დატოვა მონასტერი და ძონძებში გადაცმული იერუსალიმში, შავ მთაზე გაემართა. სამი წლის მოღვაწეობის შემდეგ, მოძღვრის კურთხევით, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი საქმის გასაგრძელებლად ათონის მთაზე წავიდა. თავდაპირველად მორჩილებაში იმყოფებოდა, შემდეგ მღვდელ-მონაზვნობა მიიღო და მთელი უდაბნოს წინამძღვარი გახდა. ამ დროიდან იწყება მძიმე და ფართო მოღვაწეობა გიორგი მთაწმინდელისა, რომელმაც თარგმნა სახარება, შესაქმე, ფსალმუნები და მრავალი სხვა სალვთისმეტყველო კრებული.

ბაგრატ IV-ის ხანგრძლივი თხოვნის შემდეგ წმ. გიორგი მთაწმინდელი საქართველოში დაბრუნდა. აქ მან გამოიკვლია სასულიერო მდგომარეობა და მოაწესრიგა საეკლესიო ცხოვრება. ხუთი წლის შემდეგ, 80 ობოლი ბავშვის თანხლებით, კვლავ ათონის მთაზე დასაბრუნებლად გაემგზავრა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ათონში ჩასვლა და 1065 წელს კონსტანტინეპოლში, პეტრეპავლობის დღეს გარდაიცვალა.

ათონელმა მამებმა წმინდანის სხეული დიდი პატივით მიაბარეს ათონის წმ. მთას.

ანა ჩხეიძე

ჩვენ გვწერენ!

ატარებენ თუ არა მართლმადიდებელი ქრისტიანები თილისმას?

მაია ბერიძე

ავგაროზი — 90-ე ფსალმუნი



ძველთაგანვე ქრისტიანები ატარებდნენ ტყავის ან ქსოვილის მოქარგულ ჯვარსახოვან გულსაკიდებს, სამაჯურებს, ციცქნა ხელჩანთებს, რომლითაც თან დაჰქონდათ წმინდანთა ლოცვები და ფსალმუნები.

გადმოცემით, დიდ სამამულო ომში ბევრ ქართველ მეომარს თან ჰქონდა სამკუთხედ ფურცელზე დაწერილი ფსალმუნები. მორწმუნე მებრძოლებს დავითნი არც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დავიწყნიათ. ავგაროზს ხშირად უხსნია მათი სიცოცხლე.

90-ე ფსალმუნს მფარველ ლოცვასაც უწოდებენ. მის მკითხველ მორწმუნეს სჯერა: „დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი — მარჯუენით შენსა, ხოლო შენ არა მიგეახლნენ... რამეთუ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთვის დაცვად შენთა ყოველთა შინა გზათა შენთა“. აქ გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ღმერთი მორწმუნის ყოველ სიკეთით სვლას იცავს.

90-ე ფსალმუნს უნდა ატარებდეს ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, განსაკუთრებით ის, ვინც განსაცდელშია (მებრძოლნი, მენავენი, მოგზაურნი, სნეულნი და ა.შ.).

ნინო ტარყაშვილი

GWC

GoodWillComm გუდვილკომი

სიახლე! 8-14...

გუდვილკომი გთავაზობთ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო მომსახურების ახალ სერვისს ახალი ფასებით:

	ჩვეულებრივი	ფასდაკლება
რუსეთი	0.60	0.50
დსთ-ის ქვეყნები	1.20	1.00
აშშ-ევროპა	1.35	1.15
ლათინური ამერიკა	1.70	1.40
აზია-აფრიკა	2.20	2.00
ინმარსატი	19.0	17.0

ფასები მოცემულია ლარებში დღგ-ს ჩათვლით

ფასდაკლება მოქმედებს ყოველდღე 20:00-დან 8:00-მდე, შაბათ-კვირას და უქმე დღეებში

დაინტერესდით?!

*8-14 +ქვეყნის კოდი+ქალაქის კოდი+აბონენტის ნომერი

ისარგებლეთ

მის: ვაჟა-ფშაველას №41 თბილისი 370077

ტელ: (995-32) 536-625 ფაქსი: (995-32) 536-624

ტფილისური საჭურველი

პეტერბურგის ერმიტაჟის რამდენიმე დარბაზში გამოფენილია ქართული ექსპონატები. მათ შორის ყურადღებას იპყრობს იარაღი. როგორ მოხვდა ქართული საჭურველი ზამთრის სასახლეში?

ამის თაობაზე გვესაუბრება საქართველოს ისტორიის დიდი მცოდნე, სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ბ-ნი **კონსტანტინე ჩოლოყაშვილი:**

— ვიდრე გიპასუხებდეთ, მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ოდითგან მისდევდნენ მეტალურგიას. ქართველური ტომები — ხალიბები, თუბალები, მოსხები თუ სხვები, საუკეთესო ლითონს ადნობდნენ და ამზადებდნენ მშვენიერ, მაღალი ხარისხის ნაკეთობებს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველო, ინდოეთთან ერთად, მსოფლიოში განთქმული იყო საუკეთესო ხარისხის ფოლადის, „ბულატის“ წარმოებით. მისი ერთ-ერთი სახეობის — ტაბანის — დამზადების ხელოვნება თვით აზიაში უკვე 600 წელია, დაკარგულია, ხოლო სხვა სახის ბულატი — ყარა-ტაბანი და ყარა-ხორასანი იშვიათობას წარმოადგენსო, — წერს გამოჩენილი რუსი მეტალურგი პ. ანოსოვი. თბილისელი ხმლის ოსტატები (მეჯავარდნეები) ამ მასალას ხმარობდნენ — ზოგი სატევარს ამზადებდა ორივე სახის ბულატისგან — მარჯვენა მხარე ყარა-ტაბანი იყო, მარცხენაზე ყარა-ხორასანი. პოლკოვნიკ ს. ბურნაშოვის ცნობით, XVIIIს-ში მთელ კავკასიასა და ირანს, სხვა ნივთებთან ერთად, ხმალ-ხანჯალს ტფილისი აწვდიდა.

საგულისხმოა, რომ შამილი ქართული იარაღით იბრძოდა, რომელზეც მისი ოსტატის სახელი იყო ამოტვიფრული.

რუსეთმა მკაცრი კონტროლი დაანესა იარაღზე და ამით, ფაქტობრივად, ჩაკლა მისი წარმოება. თურმე, ჩვენში ისეთ მჭრელ წვერის საპარს დანებს ამზადებდნენ, რომ თანამედროვე სამართებლებს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

იოანე ბატონიშვილი თბილისური საბრძოლო იარაღის სახეების ჩამოთვლისას წერს: „იხილეს მუნ მეჩახმახეები, მეთოფეები, ხმლის მკეთებლები“. უცხოელი მოგზაურების — ტურნეფორისა და გიულდენშტედტის მიხედვით, ტფილისში თოფის წამალსაც ამზადებდნენ, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, აღა-მაჰმად-ხანმა საჭურვლის ტფილისელი ოსტატები ოჯახებიანად გარეკა ირანში.

ალექსანდრ პუშკინი წერდა, — ტფილისური იარაღი ძვირად ფასობს მთელ აღმოსავლეთშიო. მხატვარ გრიგორი გაგარინს დახატული აქვს ტფილისური ხმლებით ვაჭრობა.

ტფილისელი მეხმლე მოხსენიებულია მიხაილ ლერმონტოვის დღიურში ერთ-ერთ საუკეთესოდ. ერთ-ერთ ლექსში პოეტი წერს: „ვერცხლის ქარქაშში მძლავრად ბრწყინავს ჩემი ხანჯალი, გიორგის მიერ ძველისძველად ნაჭედი რვალი, მისი ბულატი საიდუმლო წრთობას ინახავს, დიდი ხანია, რაიც ჩვენთვის უცნობი არის“. ლექსში „ხანჯალი“ ლერმონტოვი მოიხსენიებს იარაღს, რომელიც მისთვის ნინო ჭავჭავაძეს უჩუქებია. ამ უკანასკნელს კი იგი მესაჭურვლე გიორგი ელიზარაშვილისგან შეუძენია. პოეტი არ იშორებდა თურმე ამ საჩუქარს. სწორედ ამ ხანჯლის თაობაზე მოუვიდა შეტაკება მარტინოვთან...

გიორგი განთქმული ოსტატი ყოფილა. მისი ხმალი საუკეთესო ფოლადისგან იყო გამოკვერილი, შესანიშნავად ნაწრთობი და დამასკურს არაფრით ჩამოუვარდებოდა. გიორგისა და მისი ვაჟის, ყარამანის, მოღვაწეობა ემთხვევა XIXს-ის ნახევარს, როდესაც კარგი ხმლის დამზადებას რუსეთში დიდი ყურადღება ექცეოდა. ნიკოლოზ I-ის დავალებით, ფინანსთა მინისტრმა ი. კანკრინმა, რომელიც საჭურვლის ქარხნებს მეურვეობდა, თბილისში ამ საქმის მეთვალყურეობა დაავალა საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ-ფელდმარშალ ი. პასკევიჩ-ერივანსკის. პასკევიჩს მიუმართავს ელიზარაშვილებისთვის, რადგან მათი სახელი შორს იყო გავარდნილი. საუკეთესო ფოლადის დამზადების საიდუმლოება მკაცრად ინახებოდა. მისი გაცემა ღალატად იყო მიჩნეული, მაგრამ პოლიციის დაჟინებით, ყარამანი იძულებული გახდა, ეს საიდუმლო გაემხილა, რისთვისაც მთავარმართებლისგან 160 ჩერვონეცი მიიღო. ეს მოხდა 1828 წელს. ამრიგად, მემკვიდრეობით მიღებული ხელობა გიორგის ერთ-ერთმა შვილმა რუსეთს მიჰყიდა, გასცა თაობებგამოვლილი ქართული სახმლე ფოლადის დამზადების საიდუმლო...

ყარამანის მიერ დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხმლებისა და სატევრების ოთხი ნიმუში გენერალ-ფელდმარშალმა პასკევიჩმა იმპერატორ ნიკოლოზ I-ს გაუგზავნა. ზუსტად ეს ნიმუშები ინახება პეტერბურგის ერმიტაჟში. ყარამანის თქმით, საუკეთესო ფოლადს ამზადებდნენ ხარის გაცვეთილი ნალებით, რომელსაც შეადნობდნენ ინდურ რკინას ვუნცას და სხვა კომპონენტებს.

ელიზარაშვილებს ხმლის ოსტატობის შესასწავლად გამოუგზავნეს ზლატაუსტის ქარხნის მეფოლადეები, რუსეთის ქარხნებიდან ჩამოიტანეს საუკეთესო მასალა და მოხერხდა ბულატის გამოჭედვა. რუსული ხმლების ჭედვა რუსული მასალიდან დაიწყეს.

გამოკვერილ-გავარვარებულ ხმალს გადასცემდნენ მხედარს, რომელიც ორპირ ქარში მიაჭენებდა ცხენს, სწორედ ამ ქარში ხდებოდა იარაღის წრთობა. წკრიალა, ელვარე, დრეკად ჯავარდენს საშუალო ძალის ერთი დარტყმით თავი უნდა წაეცალა ხარისთვის.

რუსეთის მთავრობისთვის ხმლის რეცეპტის გადაცემისთვის ყარამან ელიზარაშვილი დააჯილდოეს ოქროს მედლით, წარწერით: „ЗА ПОЛЕЗНОЕ“, ანას ლენტით, ყელზე ჩამოსაკიდებლად. გარდა ამისა, შეგირდების განსწავლისთვის ფულადი ჯილდოც მისცეს.

1832 წელს ელიზარაშვილებმა ნიკოლოზ I-ს გაუგზავნეს თავიანთი ნახელავი ხმლები, რისთვისაც 1.000 ოქროც მიიღეს. რუსეთის არმიაში საუკეთესოდ იყო მიჩნეული 1832-33-34 წლებში ყარამანის შეგირდების მიერ დამზადებული საჭურველი.

ჩვენ მივაკვლიეთ ელიზარაშვილების რეცეპტს, — განაგრძობს ბ-ნი კოტე, — რომელიც გადავეცით რუსთავის ქარხანას, სადაც ინჟინერ-მეტალურგ კ. ლეჟავას მონაწილეობით გამოსცადეს, რამაც საუკეთესო შედეგი მოგვცა. აკად. ფერდინანდ თავაძის დასკვნით, ელიზარაშვილების რეცეპტით მიღებული ფოლადი პარალელს პოულობს უძველეს ქართულ რვალთან.

ნუთუ არ შეიძლება აწ მივიწყებული ცოდნა აღვადგინოთ და კვლავ ქართველი ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ?

გალაქტიონ ტაგანაშვილი

brother

HL P2000

Multifunction Printer

კომბაინი



ბრაზერის ერთადერთი ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში გთავაზობთ: Brother HL P2000-ს

ლაზერულ პრინტერს, კოპიერს, სკანერს ერთად

PRINT

Up to 10ppm | True 600x600 dpi | Windows and DOS | Network option | Starting Paper Path Technol. | Low Runing costs

COPY SCAN

Photo/ text copy mode | Auto doc. feed | 50-200% Zoom functions | Up to 600 dpi interpolated | Xerox OCR software | Twain compatible

ფასი 470 ლარი

კომპიუტერები, პრინტერები და მრავალი სხვა...

ვაჟა-ფშაველას 16-ში; ტელ: 939103; 370235

რეპორტაჟი
პანკისის ხეობიდან
„შეიძლება ცოცხალი ვერ დაბრუნდე...“

ცოტა ხნის წინ პანკისის ხეობა საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა. ამის მიზეზი კი ის ინციდენტი გახდა, რომელიც ხეობის შესასვლელთან მოხდა: თელაველი პოლიციელებისა და ხეობის მოსახლეობის შეჯახებას ოთხი ადამიანის — 2 თელაველი პოლიციელისა და ორი ქისტის სიცოცხლე შეეწირა.

ზემოაღნიშნულმა ფაქტმა ხეობასა და გარს შორის ისედაც მეტად დაძაბული სიტუაცია უფრო გაამწვავა. არავისთვისაა უცხო, რომ პანკისის ხეობა აქამდე ტაბუდადებული თემა გახლდათ. მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან იღებდა მოსახლეობა ინფორმაციებს ხეობის შესახებ. ინფორმაციები კი ისეთი იყო, რომ თუნდაც უახლესი საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებული ჯარი გყოლოდა კაცს, პანკისში შესვლას მაინც მოერიდებოდი. სწორედ ამ ინფორმაციების წყალობით იყო, რომ პანკისის ხეობის ხსენება საზოგადოებაში ასოცირდებოდა სიტყვებთან — „მკვლელობა“, „გატაცება“, „მძევლად აყვანა“, „შეიარაღებული დაჯგუფებები“, „ვაჰაბიტები“...

ყოველივე ზემოთქმულმა საზოგადოებაში გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია — რა ხდება პანკისის ხეობაში? ინტერესს ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობაც დაემატა და ზემონათქვამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გადავწყვიტე, პანკისის ხეობას ვწვეოდი. მეუბნებოდნენ, — შენ არ იცი სიტუაცია ხეობაში, ვერც ერთი ქართველი ვერ ადის, ახლობელი უნდა გყავდეს — უხუცესი ან „ბარიგა“, მშვიდობით რომ დაბრუნდე უკან, ქართველებს დაუნდობლად ხოცავენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები არიან; შეიძლება, ცოცხალი ვერ დაბრუნდე, მძევლად აგიყვანენ, უკეთეს შემთხვევაში კი ნაცემი ჩამოხვალო. გადავწყვიტე, მიუხედავად ყველაფრისა მაინც ავსულიყავი ქისტებთან.

ნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ პანკისის ხეობასაც მივადექი. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, საზღვარზე ავტომატიანი „ნიღბოსნები“ გაგვაჩერებდნენ, საბუთებს მოგვთხოვდნენ და დაინტერესდებოდნენ, თუ ვისთან მივდიოდით. ქისტებში კი არც ერთი ნაცნობი არ მყავდა, მაგრამ ეს ეჭვები უმალ გამეფანტა, როდესაც მძღოლმა მითხრა, საზღვარი გადავკვეთეთო. გამიკვირდა, ჩვენ ხომ არავის გავუჩერებივართ...

ცოტა ხანში სოფელ დუისს მივადექით. არც სოფლის შესასვლელში გვინახავს ვინმე. ჩემდა სასიხარულოდ, სოფელში ხეობის უხუცესები იყვნენ შეკრებილნი, კრება უნდა ჩაეტარებინათ.

როდესაც ვინაობა და სტუმრობის მიზეზი გაიგეს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ, ხალხი ისეა დაშინებული, ვერავინ ამოდის, ყველას მკვლელები და ბანდიტები ვგონივართო.

გვესაუბრება სოფელ დუისის მკვიდრი, უხუცესთა საბჭოს წევრი, მომავალი უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატი — **მახმადა მარგოშვილი:**

— პანკისის ხეობაშიც ძირითადად ის პრობლემებია, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში. ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენთვის ის დეზინფორმაციებია, რომლებიც საინფორმაციო საშუალებებით ვრცელდება და მოსახლეობაში ჩვენს შესახებ არასწორ აზრს ამკვიდრებს.

— პანკისის ხეობაზე საუბრისას, პირველ თემად ყოველთვის ნარკოტიკი ამოტივტივდება. ამაზეც ბევრი დაიწერა. უარყოფთ ამ ფაქტს?

— ჩვენ არ უარვყოფთ ნარკოტიკების შემოტანას. დაფიქსირებულია ბევრი შემთხვევა, თუმცა ჩვენ მასობრივად ვებრძვით ნარკომაფიას. ცოტა სუსტად, მაგრამ სამართალდამცავებიც ცდილობენ მის აღკვეთას. ნარკობიზნესი მარტო ჩვენს ხეობაში კი არა, მთელ ქვეყანაში ყვავის. ასევე, ვრცელდება ინფორმაციები, თითქოს, დღისით, მზისით, ნიღბიანი შეიარაღებული დაჯგუფებები დადიან პანკისის ხეობაში, ძარცვავენ, აყაჩაღებენ ხალხს, აჰყავთ მძევლად, სცემენ, ხოცავენ და ა.შ. იმასაც ამბობენ, რომ ამ ყველაფერს თითქოს ვაჰაბიტები სჩადიოდნენ. რამდენიმე შემთხვევა მართლაც იყო, მაგრამ ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. როდესაც პანკისის ხეობა ნარკოტიკების კერად შერაცხეს, ქალაქებიდან უამრავი ხალხი წამოვიდა. როცა მოსახლეობაც შევწუხდით და წინააღმდეგობას ველარ ვუწევდით, იძულებულნი გავხდით, ახალგაზრდებს შემოსასვლელი ჩაეკეტათ, რადგან სიტუაცია კონტროლირებადი ყოფილიყო. იყო შეხლა-შემოხლის ფაქტები. ამ ყველაფერს კი, როგორც იცით, ორი პოლიციელისა და ორი ქისტის სიცოცხლე შეეწირა. ალბათ ახლა თავს იზღვევენ, ასე და ასე იყოო, მაგრამ ჩვენ რომ არა ვთქვათ, თვითონაც კარგად იციან ამის მიზეზი. სამართალდამცავის მხრიდან პირველი გასროლა მიუღებელია. ამას კი საპასუხო სროლა მოჰყვა. ძალიან კარგად იციან, რისთვისაც მიდიოდნენ ხეობაში და საერთოდ, რატომაც დადიოდნენ. მინდა გითხრათ, რომ ბევრი სამართალდამცავი უშუალო მონაწილე თუ არა, დანაშაულის ხელშემწყობი მაინც არის. იმასაც ამბობენ, თითქოს პანკისის ხეობაში საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება — ეს აბსოლუტური სიცრუეა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, პანკისის ხეობაც ისეთივე განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, როგორც სხვა რეგიონები. რატომღაც, საქართველოში, ყველაზე ცხელი წერტილი ყველას პანკისის ხეობა ჰგონია, რაც ისევ დეზინფორმაციის შედეგია. ტერორისტები, მკვლელებიო, — გაიძახიან. ამოდი, ბატონო, თუ იცი, რომ ვინმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს სჩადის, მოჰკიდე ხელი და წაიყვანე, ამაში ჩვენც დაგეხმარებით. მაგრამ საქმე ისაა, რომ არიან გარკვეული ძალები, რომლებიც ჩვენსა და ქართველებს შორის ურთიერთობის დაძაბვას და შეხლა-შემოხლას ცდილობენ.

რატომ უნდა იყოს ჩვენში ასეთი შუღლი და განხეთქილება, როცა ერთი სისხლ-ხორცისანი ვართ? ჩვენ ოსები და

სოფელი დუისი, პანკისის ხეობა

აფხაზები კი არა, აქ დაბადებულ-გაზრდილი ხალხი ვართ, ძალიან კარგად ვიცით, ვინ ვართ ჩვენ, ვინ არიან ქართველები და როგორ უნდა ვიყოთ ერთმანეთთან, ხომ არ შეიძლება რამდენიმე პიროვნების გამო მთელი ერი გადაეკიდოს ერთმანეთს? იმასაც ამბობენ, 9 თებერვლის ტერაქტში მონაწილე ჩეჩნები მაისამდე ქისტებმა შეინახეს, შემდეგ მთებით გადაიყვანეს და რადუევის არმიას შეუერთესო, სიცრუეა ეს...

— გავრცელებული ხმების თანახმად, პანკისის ხეობაში ძალიან ხშირია ხალხის გატაცების ფაქტები. იმასაც ამბობენ, უდანაშაულო ხალხი მძევლად აჰყავთ და საკმაოდ სოლიდურ თანხად ათავისუფლებენო...

ვაჰაბიტები ანზორ და ხიზირა ხანგოშვილები

— რახან ეს ახსენეთ, მინდა გიგა ზაალიშვილის ფაქტს შევეხო. სხვათა შორის, ზაალიშვილი გაიტა მირთოვთან ერთად ორი დღე ჩემს ოჯახშიც იყო. სოსოს (გიგა ზაალიშვილის ძმა, — ზ.ქ.) ურჩევნია, ტყუილად ლაპარაკს გროზნოდან წამოღებული დოლარები დააბრუნოს და ძმა გაათავისუფლოს. ჩვენ ამ საქმისა ყველაფერი ვიცით. ცრუ განგაშის ატეხვას ურჩევნიათ, ჰკითხონ სოსოს, რა უყვეს, სად წაიღეს ფული და ყველაფერი გაირკვევა. დაუბრუნონ ჩეჩნებს, როგორც მე ვიცი, ვალი — 70 ათასი დოლარი, თავისი პროცენტებით და გიგასაც გაათავისუფლებენ... ცოტა ხომ არ არის 70 ათასი, გადახდა ხომ უნდა? ბოლოს, იქამდე მივიდნენ, იქიდან ჩეჩენი გამოგზავნეს, მაგრამ ისეთი რამე გაუკეთეს... ახლა ჩეჩნები ამბობენ, — ფული არ გვინდა, მარტო ის კაცი მოგვიყვანეთო (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ მოგითხრობთ).

— ჩეჩნებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ, ხშირია თქვენს შორის მიმოსვლა?

— ერთი ჩეჩენიც რომ გადმოვიდეს, მაშინვე სამართალდამცავების ყურადღების ეპიცენტრად იქცევა ხოლმე, — აი, ჩეჩენი გადმოვიდაო და ა.შ. გავიდნენ, აბა, ინგუშეთში, ჩეჩნეთში, თბილისის ბაზარი გეგონებათ, იმდენი ქართველია იქ. ამის შესახებ არავინ არაფერს ამბობს. გზა რომ გაიხსნება, თუ სურვილი გექნებათ, გადაგიყვანთ და თქვენი თვალით ნახეთ, იქ რა ხდება...

— ამის შესახებ პოლიცია ამბობს, გროზნოში ქართველები სამუშაოდ არიან გადასულები, ჩეჩნებს კი აქ იარაღი და ნარკოტიკები გადმოაქვთო...

— პოლიცია ამბობს ამას? მაგათ ურჩევნიათ, თავიანთ თავს მიხედონ, ნურაფერს გვათქმევინებენ... ჯობს, დაგვეხმარონ და ერთად შევუშალოთ ხელი ყველაფერ ამას და არა... მე ნუ მალაპარაკებთ... დაყარაულებულები რომ არიან აქ და... შუაზე იყოფენ... ხმა არ ამოგვაღებინონ...

დუისის უხუცესი ჩვენთან საუბრისას გიგა ზაალიშვილის გატაცების ფაქტს

დუისის უხუცესი მარგოშვილი

შეეხო, თუმცა დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, სათქმელი ბოლომდე არ თქვა. ქისტებმა ამის შესახებ უფრო მეტი იციან, ვიდრე საქართველოში.

სხვადასხვა პიროვნებასთან საუბრის შემდეგ, ზაალიშვილის გატაცების ასეთი ვერსია გამოიკვეთა:

...ქისტების აზრით, ძმებს — გიგა და სოსო ზაალიშვილებს გროზნოდან სოლიდური თანხა წაუღიათ, მაგრამ მისი მიტანა დათქმულ დროზე ვერ მოხერხდა. ჩეჩნებმა რამდენიმეჯერ შეუთვალეს ზაალიშვილებს, ფული ჩაეტანათ, მაგრამ ამაოდ. შემდეგ ჩეჩნებმა მოვალეებს ნდობით აღჭურვილი, საკმაოდ ავტორიტეტული ჩეჩენი გაუგზავნეს. ამ უკანასკნელმა ზაალიშვილებს თანხის დაბრუნება (პროცენტებით) მოსთხოვა. საპასუხოდ კი, რამდენიმე პიროვნებასთან ერთად, სავარაუდოდ, თბილისის ზღვაზე აუყვანიათ და, როგორც ამბობენ, შეურაცხყოფაც მიუყენებიათ (ოღონდ, არა ზაალიშვილებს, თუმცა ისინც იქვე მდგარან). შეურაცხყოფილი ჩეჩენი გროზნოში დაბრუნებულა და თანამემამულეებისათვის ზაალიშვილების „გმირობა“ გაუნდვია, ამ უკანასკნელებმა გიგა გაიტაცეს... მარგოშვილის თქმით, ჩეჩნები ზაალიშვილს იმ პიროვნებაში გაცვლიან, რომელმაც ის „საქმენი საგმირონი“ ჩაიდინა.

იმასაც ამბობენ, თანხის გადახდის შემდეგ, ჩეჩნური ტრადიციით, ზაალიშვილი შეურაცხყოფილი ჩეჩნის საკუთრება ხდებაო (!).

იმასაც ამბობენ, თანხის გადახდის შემდეგ, ჩეჩნური ტრადიციით, ზაალიშვილი შეურაცხყოფილი ჩეჩნის საკუთრება ხდებაო.

როგორც წერილის დასაწყისში გითხარით, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პანკისის ხეობაში ძალიან აქტიურობენ ვაჰაბიტების შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც ნიღბებით კბილებამდე შეიარაღებულნი სოფლებში დადიან, ხობაში მძევლები აჰყავთ და სოლიდური თანხის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ, ყიდიან ნარკოტიკებს, იარაღს და ა.შ.

პანკისის ხეობაში ასვლამდე რამდენიმე პიროვნებას შევხვდი, რომლებმაც ზემონახსენები ფაქტები დაადასტურეს, რადგან თავიანთ თავზე ჰქონდათ გადატანილი. ერთ-ერთის თქმით, რომელიც მძღოლი გახლავთ, საღამო ხანს ასულა ქისტებში. სოფელში შესულ მანქანას შეიარაღებული პირები გადაუდგნენ, მგზავრები გადმოიყვანეს და სასტიკად სცემეს, მანქანა დიდ გუბეში ჩააყენეს, „ტორმუზზე“ ფეხი დაადგეს და მძღოლს გულის წასვლამდე უბრძანებდნენ, მანქანას მისწოლოდა.

ერთი მეტახტე ტახტების გასაყიდად ასულა, მაგრამ ტახტები ტახტებად, დაკარგა, ჯანმრთელობა — ჯანმრთელობად. მოკლედ, თავი რომ არ შეგაწყინოთ, მსგავსი ისტორიის მქონე უამრავ ადამიანს შევხვდებით, ეს ყველაფერი კი ვაჰაბიტების სახელს უკავშირდება.

თუმცა, ნაწილი ხალხისა იმასაც ამბობს, პირიქით, ვაჰაბიტები წმინდა რელიგიური დაჯგუფებაა, ნარკომაფიას და ყოველგვარ სიბინძურეს აქეთ ებრძვისო.

ამ აზრს იზიარებენ ვაჰაბიტები ანზორ და ხიზირა ხანგოშვილები.

ანზორ ხანგოშვილი — აბსოლუტურად ტყუილია თითქოს ჩვენ ვყიდდეთ ნარკოტიკებს. ამას ამბობს ის, ვინც არ იცის, რას ვქადაგებთ. წაიკითხონ ყურანი და მიხვდებიან, ნარკოტიკს ის ყიდის, ვინც პოლიციასთანაა შეკრული. როდესაც ჩვენ ხეობას ვიცავდით, არც ნარკოტიკი შემოდიოდა და არც არაფერი, მაგრამ პოლიციას და ე.წ. „ბარიგებს“ ეს არ აწყობდათ. ყველამ იცის, რომ ნარკომანები ქვემოთ, პოლიციას უხდიან 30, 40, 50 ლარს. შემოდიან, ყიდულობენ, იკეთებენ და მიდიან უკან. აი, ამაშია საქმე. თავად პოლიციელები არიან წილში, თვითონ ყიდიან ნარკოტიკებს. ერთი თანამშრომელი, ამის გამო, დაჭერილიც ჰყავთ. იყო ფაქტი, რომ თვითონ პოლიციაში იყიდებოდა ჰეროინი.

— ცოტა ხნის წინ მომხდარ მკვლელობაზე რას იტყვით?

— ერთ-ერთი მოკლული ჩემი ბიძაშვილია. ჩემთან იყო, მანქანა მთხოვა. მეორე დილით დედაჩემმა ნერგების მოტანა დამავალა. მეორე ბიძაშვილთან ჩავედი. იქ მითხრეს, — დილით გავიდა და აღარ მოსულა, არ ვიცით, სად არისო. ზუსტად ამ დროს, მოვიდნენ და გვითხრეს, პოლიციელებმა მოკლესო. რომ ამბობენ, ჩასაფრებულები იყვნენ ქისტები, პოლიციელები კი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მიდიოდნენო, — ტყუილია. არავინ ჩასაფრებული არ ყოფილა, ჩვენ რომ მაგათი მოკვლა გვნდომოდა, ორ კაცს არ გავუშვებდით და ჩვენგანაც არავინ დაიღუპებოდა. ეგ ორი პოლიციელი დადიოდა აქ და „ჩალიჩობდნენ“. წაიკითხეთ იმათი საქმეები, მოკლედ, ასეა საქმე, თვითონ არიან ყველაფერში გასვრილები. ფულით მხოლოდ მკვდარს ვერ გააცოცხლებ, თორემ...

ხიზირა ხანგოშვილი:

— ჩვენ (ვაჰაბიტები) პოლიტიკაში არ ვერევით, რადგან ბინძური საქმეა, რაც არ უნდა სუფთა იყოს ადამიანი, პოლიტიკოსობას რომ იწყებ, უკვე სიბინძურეში ეშვები...

როგორც ხედავთ, პანკისის ხეობაში ასვლა მაინცდამაინც დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. უკან დაბრუნებულს ერთი ხალხური სიბრძნე გამახსენდა — „როგორც ქუხს, ისე არ წვიმს“.

პანკისის ხეობა გაუკონტროლებელი კი არ ყოფილა, მაკონტროლებელი ორგანოები არ მდგარან თავის სიმაღლეზე.

ასე იყო თუ ისე, ჩემი პანკისის ხეობაში სტუმრობა ყოველგვარი ექსცესის გარეშე დასრულდა. ხელოვნურად შექმნილი „ცხელი წერტილი“ საკმაოდ „გრილი“ ყოფილა.

ზურა ქაჩლიშვილი
პანკისი-დუისი

რედაქციისგან: *ცოტა არ იყოს მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენი კორესპონდენტის რეპორტაჟი „ცხელი წერტილიდან“... დღემდე ქისტებზე ინფორმაცია თითქმის ცალსახა იყო. ჟურნალისტები გატაცებისა და ძალადობის შიშით ხეობაში ვერ შედიოდნენ... ერთია შორიდან დანახული და სულ სხვაა ადგილზე ნანახი — თუმცა, როდის იყო, ცუდის ჩამდენი ადამიანი საკუთარ ბრალს ადასტურებდა?!*

ღმერთმა ქნას, პანკისის ხეობა მართლაც ასე მშვიდობიანად და დედასამშობლოს ნაწილად აღიქმებოდეს.

P.S. ქართველ პატრიოტთა ლიგამ, რომლის პრეზიდენტიც გიგა ზაალიშვილი ჩეჩენთა ტყვეობაში იმყოფება, 17 ივნისს ოპერის ბაღში საპროტესტო აქცია ჩაატარა, რათა ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღება მიეპყრო. „აქცია მალე მასობრივ ხასიათს მიიღებს და მასში ალბათ ყველა პოლიტიკური ძალა გაერთიანდება“, — ამბობს გატაცებულის ძმა სოსო ზაალიშვილი.

საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის დახმარებით გამტაცებლებს შეხვდა გიგა ზაალიშვილის მამა. ბუდიონოვსკის მონაწილემ, საველე მეთაურმა ხუნკარ-ფაშა ისრაპილოვმა, ზაალიშვილს ბრალი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში დასდო (?!). გასული წლის 22 აგვისტოს სოფელ დუისიდან გიგა სწორედ ამ მეამბოხე ოპოზიციონერის ხელქვეითებმა გაიტაცეს. როგორც ზაალიშვილების ოჯახმა განაცხადა, ჩეჩნეთიდან მათ დაუკავშირდა მავანი, რომელმაც შეატყობინა, რომ გიგას მცველებთან უთანხმოება მოსვლია და იგი დანით დაუჭრიათ მუცლის არეში.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ თუ ხელისუფლება გადამწყვეტ ზომებს არ მიმართავს, აქციები რადიკალურ ხასიათს მიიღებს. ამას გარდა, გათავხედებულ მომხდურებს, რომელთაც ოფიციალური ცნობით უკვე 35 ადამიანი ჰყავთ გატაცებული პანკისის ხეობიდან, თბილისიდან, ხაშურიდან... ხელ-ფეხი გახსნებათ თავიანთი შავი ბიზნესის წარმატებით განხორციელებაში.

პროლოგი

ცხოვრების კარუსელი ნელი ტემპიდან ისეთ სწრაფ სვლაზე გადავიდა, რომ მასზე მსხდომებმა თვალის დახამხამებაში ავი, საშინელი, სასაცილო, სატირალი, კურიოზი და იალლიში მრავლად ნახეს.

უმუშევრობის პრობლემამ გლობალური სახე რომ მიიღო, აქაურმა კაცმა დიპლომიც გვერდზე გადადო და ქართველისათვის მორგებული თავმოყვარეობაც ზედ მიაყოლა. ყბადაღებული ფრაზა: „რას იტყვის ხალხი" თვალსა და ხელს შუა გაცვდა, რადგან კუჭზე „გამავალი გზა" ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ხომ იცით, მღვრიე წყალში თევზს ადვილად იჭერენ... ცხოვრების სარბიელზე გამოჩნდნენ შპს-ები და ნაირ-ნაირი ფირმები, რომლებმაც შეჭირვებული ხალხის „დახმარება" გადაწყვიტეს. მაშინ ჯერ კიდევ სჯეროდათ მიამიტ ადამიანებს „საქმიანი კაცებისა".

„საქმიანმა კაცებმა" სოლიდურ დაწესებულებაში იჯარით აიღეს საოფისე ოთახები, თავიანთ ფირმებს სახელებიც სწრაფად მოუძებნეს. ქართველი კაცის ფანტაზიას ხომ დასასრული არა აქვს.

„წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო", — ნათქვამია და მილეთის ხალხი მოაწყდა ახალშექმნილ ფირმებს, რა გინდა, სულო და გულო? რომელ ქვეყნებს აღარ სთავაზობდნენ ჰალსტუხიანი კაცები სამუშაოდანატრებულთ. „ამერიკა გნებავთ? კი, ბატონო! სად იმუშავებთ, სუპერ-მარკეტსა თუ მშენებლობაზე? მძღოლად თუ სანტრად, ძიძად თუ მებაღედ?.. თქვენ რა გნებავთ: ინგლისი, ნორვეგია, ჰოლანდია, ესპანეთი, ისრაელი, დანია, ბელგია თუ ავსტრია? ჩვენ თქვენს სამსახურში ვართ, მოიფიქრეთ და გადაწყვიტეთ", — ამბობდნენ ისინი და „წამსვლელებს" თავაზიანად ისტუმრებდნენ მოკლეკაბიან მდივნებთან, რომლებიც მომხიბლავი და თავდაჯერებული ღიმილით უვსებდნენ მათ ანკეტებს და სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით ფირმის მომსახურებისა და გამგზავრების შესაბამის თანხებს უსახელებდნენ: ამერიკა 1.500-დან 3.000 დოლარამდე, ესპანეთი — 700-დან 1.500 დოლარამდე, ავსტრალია — 2.500-დან 4.000-მდე და ა.შ. სამაგიეროდ, ერთ წელიწადში „აშენებას" ჰპირდებოდნენ: ახლა გაიჭირვეთ, მიისესხ-მოისესხეთ და ცოტა ხანში იქ იმდენს იშოვით, რომ ვალსაც გაისტუმრებთ, ბინასაც იყიდით, მანქანასაც და ახალ ბიზნესსაც წამოიწყებთო. ფრთაშესხმულნი სესხულობდნენ, ბინასაც ყიდდნენ, ოღონდ კი გაესწროთ ამ ბედკრული ქვეყნიდან და მერე, რამდენიმე წელიწადში იქიდან გამდიდრებულნი დაბრუნებოდნენ ოჯახებს. მოდით, აქ დავასრულებ პროლოგს და ან უკვე „გადაგდებულებს" გამოველაპარაკები.

კობა თევზაძე (თბილისელი, 42 წლის): აქ რომ ვერაფერი ვიშოვე და აღარც გასაყიდი მქონდა რამე, ბინის გარდა, როგორც კი გამოჩნდა საზღვარგარეთ წასვლის ვარიანტი, დავფაცურდი. „შავი რაშის" ხელმძღვანელობამ ცისარტყელას ფერებში დამიხატა ამერიკაში ყოფნა და სამუშაო პირობები. ჩემი მეგობარიც შევაგულიანე და წამოვიყვანე. სასწრაფოდ გაგვაკეთებინეს საზღვარგარეთის პასპორტები, შეგვივსეს ანკეტები, მიგვატანინეს 2.500 დოლარი და გვითხრეს, ერთ კვირაში გასამგზავრებელ ბილეთებს დაგახვედრებთო. მივედით და პომპეზური ოფისის ნაცვლად ცარიელი ოთახი, ერთი მაგიდა და ქილაში ჩადებული ერთი ცალი მიხაკი — „ნაშთი ძველი დიდებისა" დაგვხვდა. თუ ინფარქტს არ მივიღებდით, არ გვეგონა, მაგრამ ადამიანი ქვა და რკინა ყოფილა. იმ ნასესხები ფულის პროცენტი ისე გაგვეზარდა, რომ იძულებული გავხდით, ბინები გაგვეყიდა.

გია პეტრიაშვილი (მცხეთელი, 28 წლის): დანა რომ დამარტყათ, სისხლის წვეთიც არ წამომივა... კაცს მაინც ჰგვანებოდა, წელამდე ძლივს მწვდებოდა, მაგრამ იმისთანა ენა ჰქონდა, გველს გამოიყვანდა ხვრელიდან. ბელგიაში „მიშვებდა" 6-თვიანი კონტრაქტით. ჩემთან ერთად 15 კაცი იყო წამსვლელი. 1.500 დოლარი მიგვატანინა, თან გვითხრა: იქ ორი თვის განმავლობაში 200-200 დოლარი კიდევ დაგექვითებათო. ვინ ამოიღებდა ხმას, იმხელა ანაზღაურებას გვპირდებოდა. დღეს სახლში დადებული ფული ვისაც აქვს, ის საზღვარგარეთ დასასვენებლად მიდის და არა სამუშაოდ. მეც ვისესხე წასასვლელი ფული, ნაწილი მევალეებისა ახლაც მაკითხავს. სახლი ერთი მაქვს მცხეთაში, ოჯახი კი მრავალსულიანია. მშობლებს ჩემს გარდა კიდევ 4 შვილი ჰყავთ. რა ვქნა, რომელ წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი...

თამაზ კიკნაძე (ჭიათურელი, 54 წლის): ევროპის ქვეყნებზე არ მქონდა პრეტენზია. ერთი ფირმა თურქეთში, ჯინსის სამკერვალო ფაბრიკაში მპირდებოდა სამუშაოს. გადასახდელი თანხაც არ იყო ძვირი (100 დოლარი) და ადვილად წამოვეგე ანკესზე. ვითომ, ვიღაც იმრანას, ფაბრიკის ერთ-ერთ მეპატრონეს ესაჭიროებოდა შედარებით იაფი მუშახელი და ამიტომაც ჩამოვიდა საქართველოში, დადო კონტრაქტი, რომლის საფუძველზე 200 ქართველი დასაქმდებოდა თურქეთში. ანაზღაურება 300-დან 400 დოლარამდე იქნებაო, — გვპირდებოდნენ. ვინაიდან ასეთი ხელფასი აქ ძნელად საძებარია, თანაც არც თურქეთი არის შორს, ჯგუფი მალე შეივსო. ჯგუფი ორ ნაკადად უნდა წასულიყო: ჯერ 100 კაცი, მერე — მეორე ასი. გავიდა სამი თვე, ვერაფრით ვერ გავედით, ავტეხეთ ერთი ამბავი და მერეღა მოგვიბოდიშეს: ჩვენი ბრალი არაა, იმრანამ გადაგვაგდო. ნაწილი თანხა მან წაიღო, ამიტომ მხოლოდ 70 დოლარს გიბრუნებთ და მადლობელი იყავით, სულ რომ არ დაკარგეთო. დავიქადნე, არ შევარჩენთ ამას-თქვა, მაგრამ სულ აქ ხომ არ ვიქნებოდი. წავედი ცოტა ხანს სახლში, დავხედე ოჯახს და რო ჩამოვედი, აღარ დამხვდა არავინ, აპაა!

მერაბ ვახტანგიშვილი (თბილისელი, 44 წლის): ფირმამ მოსკოვის ფილიალად გაგვაცნო თავი და ევროპის ქვეყნებიდან ინგლისი შემოგვთავაზა. პირველი შესატანი თანხა 920 დოლარს შეადგენდა. ოჯახს ეს თანხა არ ჰქონდა, დამიფაცურდნენ ახლობლები, რადგან გასვლა 10 დღეში

სადღეისო იალღიშები ანუ ვინ შეჭამა ჩემი ფული?!

იყო, სასწრაფოდ მისესხეს ფული (ნაწილი პროცენტით), ოცი დოლარი მაკლდებოდა და რა ვქნამეთქი, შევჩივლე ფირმას. დამამშვიდეს, არა უშავს, იქაური ჯამაგირიდან დაგიქვითავთო. ათასი მადლობა გადავუხადე. ახლა რომ მახსენდება, სიმწრით მეცინება... ერთი რამ მაინტერესებს, ნუთუ ამ საქმოსნების შემოწმება (სანამ ხალხს მოატყუებდნენ) არ შეიძლება? ან იმ შენობა-დაწესებულებების ადმინისტრაციას, სადაც ისინი „ბანაკდებიან", საიჯარო ფულის აღების გარდა არაფერი ევალება? ის მაინც ვიცოდე, ვინ შეჭამა ჩემი ფული?!

ეპილოგი

ვინ შეჭამა ჩემი ფული? — ეჰ, ჩემო კარგებო, ეს ერთმა ღმერთმა იცის მხოლოდ, მე კი ის შემიძლია გითხრათ, რომ ადვილია ხელების სხვაზე გადაბანა და არც ის ეძნელებათ, საქმის ჩაშლა გადააბრალონ არარსებულ თურქ იმრანებს, ინგლისელ სვენებს, ამერიკელ მაიკლებს... ერთსაც გეტყვით, როდის იყო, ხავსმოჭიდებული ხმელეთზე ამოდიოდა? თქვენი მომტყუებელი ვინ იცის, ახლა სად დასეირნობს, თქვენ კი აქ გულს ასკდებით და მწარედ კითხულობთ, — ამ ქვეყანას პატრონი არა ჰყავსო?

ხომ იცით, არეულ-დარეულ ქვეყანას ბნელ გვირაბს ადარებენ ხშირად. ჩემი ჟურნალისტური კვლევა-ძიების შემდეგ დედაქალაქში ერთი ორგანიზაცია აღმოვაჩინე, რომელიც გვირაბის ბოლოს სხივად დავსახე. ეს ორგანიზაცია ერთადერთი წარმომადგენლობაა მთელ ამიერკავკასიაში, რომელსაც მართლაც საქმიანი კონტაქტები აქვს ერთ-ერთ ევროპულ სახელმწიფოსთან. მაგრამ, რადგან ეშმაკს არ სძინავს, რადგანაც ჯგუფი უკვე შევსებულია და აგვისტოს 15-მდე უნდა გაემგზავროს, ჯერჯერობით, არ ვასახელებ ამ ორგანიზაციას. და, ჯერ გაემგზავრონ და როდესაც პირველი ჯგუფი გავა და ნამდვილად დასაქმდება უცხოეთში, მხოლოდ მერე გაცნობებთ „კვირის პალიტრის" მკითხველებსა და ამ თემით დაინტერესებულ-შეწუხებულ ხალხს ამ საიმედო ორგანიზაციის შესახებ. დაწვრილებით ინფორმაციებსაც მოგვიანებით მოგაწვდით უტყუარი, ზუსტი მონაცემებით. მანამდე კი კვლავ საზღვარგარეთ წამსვლელთა საყურადღებოდ! არავინ დაგარწმუნოთ, რომ უცხო ქვეყანაში ია-ვარდი გელოდებათ... ისიც იცოდეთ, რომ არც ერთ ტურისტულ ბიუროს უფლება არა აქვს უცხოეთში დასაქმების ბიზნესი აწარმოოს. პარლამენტს ჯერ არ მიუღია საზღვარგარეთ დასაქმების ორგანიზაციათა ლეგალიზაციის კანონი. ნუ მოიტყუებთ თავს და ნურც ვალებით „გაამდიდრებთ" ოჯახს, თორემ მერე გვიან იქნება სასოწარკვეთილი ხმა „უდაბნოსა შინა": ვინ შეჭამა ჩემი ფული?

მარინა ბაბუნაშვილი

„ძონძების" მაღაზიები უნდა აიკრძალოს..."

მე და ჩემს ოჯახს სოკო გაგვიჩნდა...

საქართველოში ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა პიკს მიაღწია, უკვე ტრადიციად იქცა მეზობელი ქვეყნებიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით სხვადასხვა პროდუქტის შემოტანა. ყველანაირ დახმარებაზე ვართ თანახმა, ოღონდაც გადავარჩინოთ გაჭირვებული და გალატაკებული ხალხი, მით უმეტეს, თუ ამ „ბიზნესით" შესაძლებელი ხდება ხელის მოთბობაც. დღეს თბილისში ტანსაცმლის ფართო არჩევანია წარმოდგენილი: მდიდრულ, პრესტიჟულ მაღაზიებში შესაძლებელია შეიძინო ნებისმიერი ფირმის და მოდელის ტანსაცმელი. მართალია, ზოგჯერ ცნობილი ფირმის ეტიკეტით გაფორმებული თურქული ნაწარმი გვრჩება ხელთ, მაგრამ...

ბაზრობებზე ნაკლებად ხარისხიანი „მდარე" საქონელი შეგხვდებათ — სამაგიეროდ, მისაღებ ფასებში არსებობს კიდევ მაღაზიები მიმზიდველი წარწერით „ტანსაცმელი იაფად", სადაც იყიდება მეორადი მოხმარების ტანსაცმელი — ე.წ. „ძონძები", ანუ „SECOND HAND", რომელიც გათვლილია უფრო ღარიბ მოსახლეობაზე, თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნული მაღაზიის მფლობელები ამბობენ, აქ ყველა ფენის მყიდველს იხილავთ.

რამდენიმე დღის წინ ერთმა ქ-ნმა, რომელმაც თავისი სახელის და გვარის დასახელება არ მოისურვა, გვიამბო: „დღევანდელმა გაჭირვებამ განაპირობა ის, რომ მე და ალბათ, უმეტესობა, დავდივართ „ძონძების" მაღაზიაში. მართალია, ერთი შეხედვით ქუჩაში მოსიარულე ხალხი გიქარწყლებთ ამ აზრს... ესეც ამ მაღაზიების დამსახურებაა. სწორედ მათი წყალობით დავდივართ ჩაცმულ-დახურულები, მაგრამ მინდა ყველას ვუთხრა, რომ ეს არა მხოლოდ დამამცირებელია, ამასთან ერთად ჯანმრთელობისთვისაც საშიში — ამ ტანსაცმლის მოხმარების შემდეგ მე და ჩემს ოჯახს გაგვიჩნდა სოკო".

ალბათ არავის გაუკვირდება, რომ მეორადი მოხმარების ტანსაცმლის სათანადო გაკონტროლება არ ხდება. ამ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ საქართველოს სანიტარული დეპარტამენტის თავმჯდომარეს, მთავარ სანიტარულ ექიმს ბ-ნ **ნ. შავდიას.**

— ბატონო ნიკოლოზ, როგორ კონტროლდება ამ ტანსაცმლის შემოტანა?

— ამ ტვირთს ახლავს დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ ტანსაცმელს აქვს ჩატარებული დეზინფექცია. სხვა დოკუმენტი არ არსებობს.

— თქვენ პირადად როგორ ფიქრობთ, რამდენად დასაშვებია ასეთი სახის დახმარება?

— მე, როგორც მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ექიმს, მიმაჩნია, რომ ასეთი სახის ტვირთი სახელმწიფოში არ უნდა შემოდიოდეს. ეს არა მხოლოდ არაჰიგიენურია... ხშირ შემთხვევაში შემოდის ბავშვის ტანსაცმელი, ამასთან არ ვიცით, რა მასალისგან არის დამზადებული ქსოვილი, შეიძლება თუ არა მისი შემოტანა. წარმოიდგინეთ, ცალცალკე რომ ჩავატაროთ მათი სერტიფიცირება, ეს ხომ შეუძლებელია. მინდა აღვნიშნო, რომ არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში მსგავსი რამ არ ხდება. მესმის, რომ დღევანდელ დღეს ძალიან უჭირს მოსახლეობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი ტვირთი უნდა აიკრძალოს!..

ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ ბავშვთა დერმატოლოგიური და მიკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ბ-ნ **გიორგი თვალიაშვილს:**

— ჩვენ არ ვიცით, როგორ კეთდება დეზინფექცია და რა დონით. აქედან გამომდინარე, საშიშროება ყოველთვის იქნება. მით უმეტეს, ხდება ამ ტანსაცმლის დიდ მანძილზე ტრანსპორტირება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში შემოტანის შემდეგ ზოგიერთი მაღაზია არ იცავს ელემენტარულ ჰიგიენურ ნორმებს და საქონელს პირდაპირ იატაკზე ყრის. იქმნება საშიშროება, რომ ისეთი მძიმე დაავადება, როგორიცაა მუნი, შეიძლება გადაედოს იმ ხალხს, ვისაც შეხება ჰქონდა ამ ტანსაცმელთან. რაც შეეხება სოკოვან დაავადებას, ძირითადად, გადადის თეთრეულიდან და ფეხსაცმლიდან, ვინაიდან ფეხსაცმლის დეზინფექცია საკმაოდ რთულია.

საინტერესოა მეორადი მოხმარების ტანსაცმლის მაღაზიების მფლობელების აზრიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შემოდის მხოლოდ დეზინფექცირებული საქონელი. მართლაც ოთახებში შესვლისას, სადაც ეს ტანსაცმელი ინახება, იგრძნობოდა სპეციფიკური, ქიმიკატების სუნი. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ასეთი ხმები ვრცელდება კონკურენტების ჩამოშორების მიზნით. ისიც ფაქტია, რომ ასეთი მაღაზიების გახსნის შემდეგ ბაზრობებმა და სხვა მაღაზიებმა დაკარგეს მომხმარებლის სოლიდური ნაწილი.

ნონა ხულელიძე

„ჩაჩავაში" დაიბადა!!!

ორთავიანი ბავშვი რომ დაიბადა, ამაზე უკვე მოგახსენეთ...

14 ივლისს კი, დღის პირველის ნახევარზე, ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტში დაიბადა ჩვილი, რომლის გარეგნობამ თვით მრავლისმნახველი და ჩვილთა პათოლოგიების საფუძვლიანად მცოდნე აქაური მედიკოსებიც კი შეზარა! ეს გახლდათ ახალგაზრდა დედის მესამე მშობიარობა. პირველი შვილი სავსებით ნორმალური და ჯანმრთელი შვა და ნორმალურადვე იზრდება, მეორეს გარკვეული დეფექტები დაჰყვა, რაც შემდგომში უფრო გამოიკვეთა, მესამეს კი ძნელია, უწოდო ბავშვი. ესაა პაწია ურჩხული, შემზარავი მოკლე კიდურებითა და სხვა ანომალიებით, მიუხედავად ამისა, ექიმები თავგამოდებით იბრძვიან მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

დედა თავს კარგად გრძნობს, სხვათა შორის, ფიზიკურად სასიამოვნო გარეგნობისაა და ჯანმრთელიც. იგივე შეიძლება ითქვას მამაზეც.

მაშ, რა ხდება?

სწორედ ეს კითხვა აწუხებს ინსტიტუტის მედპერსონალს. პასუხი თავად ამ ამაზრზენმა პათოლოგიურმა ორგანიზმმა უნდა გასცეს, თუმცა არსებობს საკმაოდ სარწმუნო ვარაუდებიც.

პედიატრი **ლილი ბახტაძე:** — ბავშვის მშობლები აზერბაიჯანელები არიან, მარნეულიდან. ქვემო ქართლში კი მოგეხსენებათ, ოქროს მოიპოვებენ, რადიაციული ფონი აშკარად გაზრდილია. დედაქალაქს შემოგარენიც რადიაციული ნივთიერებების თავისებური „სასაწყობო მეურნეობაა", ერთგვარ ნაგავსაყრელს წარმოადგენს. უცხოური ნაგავპროდუქტების გამსაღებლებს კი კარგა ხანია, წარმოვადგენთ ჩვენ!

ღმერთმა ქნას, რომ პატარა მარნეულელით დასრულებულიყოს საშინელებათა სერიალი ჩვენს სამშობიაროებში, თუმცა, არასრულფასოვანი საკვები, მომწამვლელი ნივთიერებები (მარტო ეთილიანი ბენზინის წარმოება და გამოყენება რად ღირს), ნიტრატებითა და მავნე კომპონენტებით გაჯერებული პროდუქტები, რთული ფსიქოლოგიურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური კლიმატი ნაკლებსარწმუნოს ხდის ოპტიმისტურ პროგნოზს და ამძაფრებს ავ წინათგრძნობას.

იქნებ, ეს მხოლოდ დასაწყისია?

როგორი იქნება XXI საუკუნის ადამიანი?!

მანანა ბეგიაშვილი

„იქნება სარგებელი რისკის ტოლფასი?“

რიჩარდ სუიბი

ეროვნული საგანძურის აშშ-ში საგამოფენოდ გამგზავრება-არგამგზავრებასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა არც გასულ კვირას განელებულა. 12 ივლისს ექსპონატების საგამოფენოდ არგამგზავრების მოთხოვნით, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის კურთხევით, მოეწყო მართლმადიდებელი მრევლისა და სტუდენტი ახალგაზრდობის ერთობლივი მსვლელობა ფეხით სიონის საკათედრო ტაძრიდან სვეტიცხოვლამდე.

მრევლსა და სტუდენტებში სწრაფად გავრცელდა სასიხარულო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოთქმული მოსაზრების გამო. „მე მსურს საკითხი დემოკრატიულ ვითარებაში გადაწყდეს. თუ საერთო ეროვნული თანხმობა არ იქნა, მაშინ ალბათ, გამოფენაც არ მოეწყობა“. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარის თამრიკო ჩხეიძის მიერ 15 ივლისის პრესკონფერენციაზე მოწოდებული ინფორმაციით: კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნოზაძემ ყადაღა ვერ დაადო ნივთების ამერიკაში ექსპონირებას, რადგან გარკვეულ ზეწოლას განიცდის. თუმცა გაუგზავნა ოფიციალური წერილი საქართველოს კულტურის სამინისტროს, რომელშიც მოითხოვს, ნივთების მდგომარეობასა და ექსპონატების ტრანსპორტაბელურობასთან დაკავშირებით სპეციალისტების დასკვნების გამოგზავნას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ექსპონატების გაგზავნისა ამერიკაში, ეს ათი დღით ადრე უნდა ეცნობოს სასამართლოს. რაც შეეხება საქმის განხილვას, მოსამართლის წერილის თანახმად, ის დანიშნული იქნება ახლო მომავალში. როგორც პრესკონფერენციაზე გაირკვა, ამჟამად საუბარია 164-ის ნაცვლად 123 ექსპონატის გატანაზე. აღსანიშნავია, რომ სიიდან ამოღებული ხმაურიანი თბილისის მუზეუმების ექსპონატების სანაცვლოდ დაემატა რამდენიმე ძვირფასი ექსპონატი ქუთაისის მუზეუმიდან. ჟურნალისტთა კითხვაზე რუსულად შედგენილ ხელშეკრულებაში მართლა თუ იყო საუბარი ექსპონატების გაყიდვაზე, თამარ ჩხეიძემ უპასუხა, რომ მათ ნახეს არა ხელშეკრულება, არამედ ხელშეკრულების პროექტი. სამწუხაროდ, ისინი ბოლო დრომდე არ ფლობდნენ ხელშეკრულების ინგლისურენოვან დედანს, სადაც ნახმარია სიტყვა „მარკეტი“, რომელიც რამდენიმენაირად შეიძლება ითარგმნოს. ამდენად, ხელშეკრულების ეს ნაწილი თუ არ ნიშნავს გაყიდვას, ყოველ შემთხვევაში, ორჭოფულია და პირდაპირ არ მიგვითითებს, რა იგულისხმება მასში. პრესკონფერენციაზე პოპულარული მსხვილი ჩინოვნიკის მიერ ამას წინათ დასმული კითხვაც განმეორდა: ეროვნულ ექსპონატებზე რომ ვწუხვართ, არაფერი დაემართოთო, ცოცხალი ადამიანი უფრო დიდი საუნჯეა და მაშინ არც ისინი უნდა ვამოგზაუროთო. სამწუხაროდ, არც კითხვის გამომგონებელს და არც კითხვის გამავრცელებლებს არ გახსენებიათ ჯალალედინის მიერ ღვთისმშობლის ხატის შეუბილწაობისათვის ერთ დღე-ღამეში დაღუპული ასი ათასი ქართველის მოწამებრივი მაგალითი. ამ პათოლოგიური ლოგიკით რომ, შესაძლოა, ადამიანი უფრო დიდი საუნჯეა, იქნებ მორწმუნეები მცდარად მოიქცნენ და სჯობდა უპირველესად საკუთარი ფიზიკური სიცოცხლის შენარჩუნებაზე ეფიქრათ?

მასმედიის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საზღვარგარეთული საკონსულტაციო ფირმა „დიზაინ ინტერნეიშენელის“ პრეზიდენტის რიჩარდ სუიბის წერილმა (ცნობისათვის: ფირმას განხორციელებული აქვს საგამოფენო პროექტები აშშ-ში, საბჭოთა კავშირში, ესპანეთში, იაპონიასა და საუდის არაბეთში. ხოლო ფირმის შექმნამდე სუიბი ხელმძღვანელობდა აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს გამოფენათა მოწყობის განყოფილებას, სადაც ის განაგებდა 28 მილიონ დოლარიან ბიუჯეტს. პრეზიდენტს მიღებული აქვს ბევრი საპატიო ჯილდო წარმატებული სამსახურისთვის. მათ შორის უმაღლესი საპრეზიდენტო ჯილდო დიზაინში და „მაქს ფაუნდეიშენის“ ჯილდო შემოქმედებითი ურთიერთობისათვის). აღნიშნულ წერილში რიჩარდ სუიბი გვირჩევს, რომ ქართველმა ორგანიზატორებმა უნდა აღიარონ განხილული ხელოვნების ნიმუშების შეუცვლელობა: 1. „მაშინაც კი, როცა ობიექტები დაზღვეულია, მათი სრული ღირებულების შესაბამისად დაზიანების შემთხვევაში, ისინი სამუდამოდ დაკარგულია. ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშს ვერანაირი თანხა ვერ აანაზღაურებს. არსებობს რიგი შესაძლო უბედურებებისა — ხანძარი, ქურდობა, თვითმფრინავის კატასტროფა, ტერორისტული აქტები. უკანასკნელი, შესაძლოა, რეალურ საფრთხეს წარმოადგენდეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ჰყავს მტრები, ხოლო ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა საზოგადოებრივ ინსტიტუტებში საკმაოდ დაუცველია ვანდალიზმისა და ტერორისტული აქტებისაგან. როგორც თქვენთვის ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები ამ მიმართებით ვერ აკონტროლებს სიტუაციას; 2. უბედური შემთხვევების



ალბათობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, აუცილებელია უსაფრთხოების გარკვეული ზომების მიღება. შეფუთვის, ტრანსპორტირების, გახსნისა და დამონტაჟების დროს ქართველი კურატორი უნდა ზედამხედველობდეს პროცესს. უფრო მეტიც, მსგავსი ფასდაუდებელი ხელოვნების ნიმუშების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ყველაზე უსაფრთხო საშუალებით, ჩვეულებრივ, ზღვით და ყველაზე სანდო სატვირთო ხაზების გამოყენებით... ზოგიერთი ხელოვნების ნიმუში ყოველთვის უნდა განთავსდეს ტყვიაგაუმტარ შუშის გამჭვირვალე სათავსოებში და ა.შ.; 3. ფასდაუდებელი ხელოვნების ნიმუშების ამგვარ საგამოფენო პროგრამაში ჩართვისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ პოტენციურად რა მოცულობის აუდიტორია დაესწრება გამოფენას. ამ მიმართებით მე მნიშვნელოვანი კვლევები განვახორციელე და არა ვარ დარწმუნებული, რომ გამოფენა მოიზიდავს საკმარისად ფართო აუდიტორიას, რომ გამართლდეს ამასთან დაკავშირებული რისკი. უნდა ვაღიაროთ, საქართველოს აშშ-ში კარგად არ იცნობენ და ჩემი აზრით, ეს უძველესი (მართლმადიდებლური) ხელოვნების ნიმუშები არ არის საკმარისი ფართო აუდიტორიის მოსაზიდად. რეკლამა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს, მაგრამ მასების დასაინტერესებლად აუცილებელი საინფორმაციო საშუალებები მეტად ძვირი დაჯდება. ამერიკაში უფასოდ ბევრს არაფერს შემოგთავაზებენ. საკითხავი ის არის, იქნება თუ არა მოსალოდნელი სარგებელი გაწეული რისკისა და დაკავშირებული ხარჯების ტოლფასი?!..“

> ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშს ვერანაირი თანხა ვერ აანაზღაურებს... საქართველოს ჰყავს მტრები, ხოლო ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა საზოგადოებრივ ინსტიტუტებში საკმაოდ დაუცველია ვანდალიზმისა და ტერორისტული აქტებისაგან... აშშ ამ მიმართებით ვერ აკონტროლებს სიტუაციას. _ რიჩარდ სუიბი.

ნინო ტარყაშვილი

„კვირის პალიტრა“ გაუყვა თამარ მეფის კვალს...

გასულ კვირას, პეტრე-პავლეს დიდ საეკლესიო დღესასწაულზე, წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიას პარლამენტარმა დავით გადელიამ, პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და საკუთარი ინიციატივით შესწირა მომინანქრებული მაცხოვრის ჯვარცმის ხატი. ეს ფაქტი მთელ წალენჯიხაში დიდ მოვლენად იქცა. ცერემონიალს, მრევლის გარდა, ოფიციალური პირებიც ესწრებოდნენ. ერთმა წალენჯიხელმა სტუმრებს ჩაუქარაგმა, — ხატით შემოსვლაზე მეტად იარაღით შემოსვლას ვართ შეჩვეულნიო და ამით ის აზრი გამოხატა, რომ იმ ცნობილი მოვლენების დროს, სამეგრელოში „მხედრიონმა“ ყველაზე მეტად წალენჯიხა დასაჯა.

აგიტატორ-მქადაგებლები პირდაპირ ქუჩაში ნადირობენ ადამიანებზე

წალენჯიხის ტაძარი ოდესღაც უდიდესი საერო და სასულიერო მნიშვნელობის ცენტრი ყოფილა სამეგრელოში. ცნობისთვის: აქ ლევან მეორე დადიანის სამარხიცაა, რომელიც თავის დროზე ბოლშევიკებმა გათხარეს — განძს ეძებდნენ!

არსებობს ლეგენდა: სვანეთში მიმავალ თამარ მეფეს ამალით წალენჯიხაში შეუსვენებია. იმ ადგილას, სადაც დედოფლის კარავი მდგარა, ჯვარი აღუმართავთ და შემდეგ ეკლესია აუშენებიათ.

ამ ლეგენდით შთაგონებული „კვირის პალიტრა“ დაადგა თამარ მეფის მარშრუტს სვანეთისკენ. გზა სოფელ სქურს გაივლის. იგი წალენჯიხის ცენტრიდან 15 კმ-ით არის დაშორებული. სამწუხაროდ, დღეს იგი ნაკურორტალია...

შესაძლოა, ათასგვარი ლამაზი ეტიკეტით დამშვენებული მინერალური სასმელების ფონზე ბევრს არ ახსოვდეს ან სულაც არ იცოდეს, რომ ერთ დროს ვამაყობდით კიდეც უნიკალური სქურის წყლით.

აქ დღეს თხუთმეტიოდე ოჯახი ცხოვრობს, მხოლოდ მოხუცები. სოფლის ბოლოს სამოცდაათს გადაცილებულ ცოლ-ქმარს, **ნადია და პეტრე კვარაცხელიებს** შევხვდით:

— სქური ოდესღაც ცნობილი კურორტი იყო. დღეს მისი ნაკვალევიღაა დარჩენილი, იმავე ბედს ხომ არ გაიზიარებს სოფელი?

— რა თქმა უნდა, უპატრონობა სოფელსაც დაეტყო. ზამთარ-ზაფხულს აქ მხოლოდ მოხუცები ვეჭიდებით ცხოვრებას, — გვითხრა ბატონმა პეტრემ, — ჩვენი შვილები რამდენიმე კილომეტრში, სოფელ **ჯგალში** ცხოვრობენ. ხანდახან ჩავაკითხავთ ხოლმე... აქ, მთაში, ჩვენს პატარა სახლში ყოფნას რა სჯობს. ოღონდ საჭმელი გვქონდეს, ისეთი მადისმომგვრელი წყალი და სუფთა ჰაერია... სოფელში ვინც ვცხოვრობთ, ყველა ერთმანეთს ვენდობით. საერთოდ ასეა, თუ მეზობელმა არ გიღალატა, უცხო ვერ მოგერევა.

— მთაში მკაცრი ზამთარი იცის. თავს რითი ირჩენთ?

— ზამთარს მომზადებული ვხვდებით. ნახევარ მეტრამდე თოვლს დადებს ხოლმე, ზოგჯერ სამ მეტრამდეც ასულა. ქათამი და საქონელი გვყავს, პურის ფქვილს ვიმარაგებთ, სიმინდს აქვე, ჩვენს წისქვილზე ვფქვავთ... აქედან სამ კილომეტრზე არავინ ცხოვრობს, ხოლო ჩვენს ზემოთ, საერთოდ არ არის მოსახლეობა. ქვემო სოფლებიდან მაშინ ამოდიან, როცა საქონელი დაეკარგებათ, წაბლის ხეს ეძებენ ან შეშა დასჭირდებათ — აქ სულ წაბლნარი და წიფლის ტყეებია, მათი გაჩეხვა აკრძალულია.

— დახმარებას და პენსიებს თუ იღებთ?

— პენსია შარშანდელი 7 თვისა არ მოუციათ, წელს კი მხოლოდ ერთი თვისა ავიღეთ...

— ამ მთებს იქით რა არის?

— ბილიკით ფეხით ან ცხენით სვანეთში გადადიხართ, მერე ულელტეხილი იწყება. აფხაზეთიდან დევნილები აქედან გადმოდიოდნენ. ჩვენს ქვემოთ ძველად მოსახლეობა ყოფილა, მაგრამ სტალინს აუყრია. ძალადობა უფრო ხუდონის მხარეს შეეხო, სქურს იმდენად არა.

— თუ შესწრებიხართ ამ ამბავს, ხომ არ გაიხსენებდით?

— ჩემი თვალით მინახავს, როგორ მიჰყავდათ სატვირთო მანქანებით გაუბედურებული ადამიანები. უცებ მოიჭრებოდნენ, შეშინებულ ხალხს გონს მოსვლას არ აცლიდნენ, მანქანებში ყრიდნენ, არც მოხუცებს და ფეხმძიმეებს ინდობდნენ, ყველაფერს ადგილზე ატოვებინებდნენ. ეუბნებოდნენ, — უკეთეს ადგილას წაგიყვანთო. არ ესმოდათ მათი ვედრება, — შენს უკეთესს ჩემი უარესი მირჩევნიაო. ხუდონჰესის მხარეს სულ მილიციის ძალით აჰყარეს მოსახლეობა და სოხუმს იქით, მიხაილოვკაში ჩაასახლეს... ჩვენც გვითხრეს, სქურიდან გადასახლდითო, მაგრამ ძალა არ დაუტანებიათ და სოფელი შევინარჩუნეთ... ბოლო დროს მაინც დაუბრუნდნენ მიტოვებულ კერებს, ოღონდ უკვე მოხუცები.

— სქური, როგორც კურორტი, არ არსებობს. დამსვენებლები არ ამოდიან?

— ახლა ხალხი ბოცებით ამოდის წყლის ნასალებად. სქური მაშინ დაიღუპა, როცა „მხედრიონი“ წალენჯიხაში შემოვიდა, იქიდან სქურს მოადგა, — ვითომ ზვიადისტებს და ზვიად გამსახურდიას ეძებდნენ.

— სინამდვილეში სქურის მთებში არავინ ყოფილა?

— ჩვენ თავს არ გვაჩვენებდნენ და რა ვიცი, იყვნენ თუ არა? ეტყობა, შეგნებულადავრცელებდა ვიღაც ხმებს, თორემ აქ ზვიად გამსახურდია არც თვალით გვინახავს და არც ყურით გაგვიგონია მის აქ ყოფნაზე. ისე აქ, იმ არეულობის დროს, ერთი ზვიადისტი ჟურნალისტი გოგოს ამბავს ყვებოდნენ. სროლების დროს მოუკლავთ. იმ ადგილას მემორიალური დაფის დადგმას აპირებდნენ, მაგრამ ვერ მოასწრეს.

სანამ არეულობა დაიწყებოდა, სქურის სანატორიუმი არაჩვეულებრივად იყო მოწყობილი. საიდან არ ჩამოდიოდნენ დამსვენებლები — ქუთაისიდან, სოჭიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან... ყველა კმაყოფილი იყო ბუნების სილამაზითა და სქურის სასწაულმოქმედი წყლით. ვითომ ზვიადისტებს ეძებდნენ და „მხედრიონელებმა“ ტანკებით შეანგრიეს დაკეტილი შენობა. რაც ნასალებად ვარგისი იყო, სატვირთო მანქანებით გაზიდეს, დანარჩენი ბოროტმა ადამიანებმა წაიღეს. „მხედრიონის“ შემდეგ სქური, როგორც კურორტი არ არსებობს. ჩემს მეუღლეს, რამდენიმე ათეული წლის წინ, სერიოზული ავადმყოფობა უთხრეს, ეგნატე ფიფიასთანაც ვიყავით... მაგრამ სქურის წყალმა უშველა. ახლა ვედროებით ამოაქვს და ვსვამთ.

რა სასარგებლოა ეს წყალი, ბოლომდე ჯერ არავინ იცის. სქური შველის — თირკმლებს, თვალებს, ნაღველს, თავის ტკივილს, ნაწლავების ანთებისთვის ამაზე უკეთესი საშუალება არ არსებობს. და ასეთი წყალი დღეს თავისთვის მიედინება და უაზროდ იღვრება...

საუბრის დასასრულს, მოულოდნელად გაირკვა, რომ ჩვენი მასპინძლები იეღოვას მიმდევრები ყოფილან.

— აქ, მაღლა, ულამაზესი ჩანჩქერია, წისქვილარას ვეძახით. იმ ადგილს ფეხით ძლივს მიუდგები, სამაგიეროდ, მოაღწიეს იეღოვას მქადაგებლებმა.

ამ საქმეზე თავი აქვთ გადადებული. შეკრების ცენტრები არის ზუგდიდში, ჯვარსა და წალენჯიხაში. ჩვენ წალენჯიხაში დავდივართ, სარკესავით კრიალა, სამეფო დარბაზია მოწყობილი ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლში. კონგრესზე სამი-ოთხი ათასი კაცი იყრის თავს... ჩემი მეუღლე და რძალი მონათლულები არიან. ჩემი ვაჟის გარეშე, მე თავს ვიკავებ მონათვლისგან. ის თუ დაიწვა ცოდვაში, მე რად მინდა ცხონება? მონათვლის დროს ორას შეკითხვას დაგისვამენ და თუ მომზადებული არ ხარ, არ განათლავენ. კითხვებს უხუცესი გისვამს. ჩვენი უხუცესი ახალგაზრდაა, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, თუკი დაიმსახურებ, — გვითხრა ბატონმა პეტრემ.

მათ ამის სჯერათ.(!)

დღეს ზოგიერთი პოლიტიკოსი იეღოვასა და სხვა სექტის წინააღმდეგ სარჩელის სასამართლოში შეტანაზე ლაპარაკობს. ამაზე მეტად დამაფიქრებელი და მნიშვნელოვანი სხვა რამეა. როგორი იოლი გამოდგა ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა ჭეშმარიტების სახელით — უფასო წიგნებით, თანაც იქ, ლამის ცის კიდეს მიკრულ სქურში...

სოფელში კი უძველესი ეკლესიის ერთი კედელიღა იყურება სევდიანად და უმწეოდ. მისი ბედით არავინ დაინტერესებულა. ვერც ის გვითხრეს, ვისი სახელობისაა, მისი ხელყოფა ბოლშევიკებს დააბრალეს სავარაუდოდ...

ჯვარცმის მინანქრის ხატის წალენჯიხის ეკლესიაში მიბრძანებით ძველი საეკლესიო ტრადიცია აღდგა. სქურსაც გადაჰფენოდეს ეს მადლი.

რუსუდან მიქენაია
ზუგდიდი-წალენჯიხა-სქური

ამოხადეს სული ბოლოდროინდელმა ამბებმა, კოსოვო და მილოშევიჩი სიზმარშიც არ ასვენებენ. ისე, მართლა, რით არ არის არაბი შეიხი? ცხოვრებით არავისზე ნაკლებად არ ცხოვრობს, დასტა-დასტა ფულებიც არ აკლია... სიზმრებმა შეაწუხა ოღონდ... ამას წინათ იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ თავისი დიდი პაპის პაპა ეზმანა. მოხდენილი ვაჟკაცი იყო. ახოვანი, იარაღში იჯდა ერთთავად. ნაბლა ულაყზე იჯდა, ჯიშიანზე. პაპისგან გადმოცემით დიდ პაპასა ჰგავდა სულ. გამარჯობა უთხრა ახოვანმა მხედარმა და ჩაუქად ჩამოქვეითდა:

— ეს სად მოვსულვარო, — ეკითხება.

— სუხუმ-ქალაქი გახლავსო, — მიუგო.

— ცხუმი ერქვა ამას ყოველთვის... ჩემი შთამომავალი რომ ხარ, კი შეგიცანი, მაგრამ სახელად რას გიხმობენო, — იკითხა მოსულმა. უმრწემესი არძინბას სახელი რომ გაიგო, შეცბა, როგორ თუ ვლადისლავი, სად ჩემი სისხლი და სად ურუს გიაურის სახელიო, — შემოიკრა შუბლში ხელი. შე უბედურო, მაგათ აულებიდან გამოგვყარეს და მიწა-წყალი წაგვართვეს, რა ოხრობად გინდა მაგათი სახელი? იცი შენ, ერთი მუჭა ადიღესთვის დაცინვა რომ არის დუნიაზე ვერდატეულ ურუსთა...

— ვინც არ უნდა იყოთ, — გაუბედაობის ხრინწი გაეპარა ხმაში ვლადისლავს, — ადიღე რაღა შუაშიაო? — გაუეჟილად ჰკითხა.

— შუაშიც არის და სულ დასაწყისშიცო, — ნიშნის მოგებით მიახალა სტუმარმა, — შენ ხომ არ გგონია, ქართველებივით მომაღორო და ძირძველ აფხაზად წარმომიდგინო თავი? მართალია, შენსავით დისერტაცია არ დამიცავს და...

— პაპავ ბატონო...

— ჰაიტ, შე უზრდელო!.. ბარში ჩამოსვლამ იქამდე გაგათავხედა, სიტყვასაც მტაცებ? რა დღეში ჩაუგდიხარ რუსულ სახელსა და განათლებას...

— დუ ბაბადუ (დიდი პაპის პაპა), გემუდარებით, ხმამაღლა ნუ იტყვით, აფსუები რომ ვართ და მთებიდან რომ ჩამოვედით. შევარდნაძის მსტოვრებს ას-ასი ყური აქვს თითოს, გაიგონებენ და...

— ბოყუნ ვარა (გაჩუმდი, ბიჭო), — თვალთა რისხვით წარმოთქვა მოსულმა, — შემირცხვენია ჩუმ-ჩუმად — რისთვის თაღლითობ, მიუღიხარ ხალხსა, შეუხიზნიხარ და ახლა...

— სუ, პაპავ ბატონო, თორემ წაგვართმევენ სუხუმს...

— ცხუმსაო, გინდა თქვა განა... წართმევა იმას ჰქვია, შენსას რომ წაგართმევენ...

— აფხაზები ვართ, პაპავ ბატონო, აფს...

— ერი გამოგიცვლია, რჯული დაგიგდია, განა.. შენი ნახტომისა და გადაგვარებისა მომიყევი, როგორ და რა გზით გახდი ესოდენ უმადური და პირის მტეხელი.

— დიდი ამბავია, პაპავ, ძველი და გრძელი. მთებში რომ აღარ დაგვედგომებოდა, აქეთკენ დავიჭირეთ გეზი.

— ვიცი, ზოგიერთი ჩემსობასაც დაადგა ამ გზას, — მათრახის ტარი ამოსდო ჩაქინდრული თავის ასაწევად, — რუსის გზა და კვალი არასოდეს მიძებნია... ხმალი და სატევარი, კაი ცხენი და ნაბადი — აი, რა იყო ჩემი საფიქრალი, ოღონდ დუშმანი გამეგდო აქედან...

დუშმანის ხსენებაზე აჭიკჭიკდა ისტორიკოსი:

— რუსი ბატონები ჩამოსახლდნენ აქ. გეცოდინება ესეც. რუს დიდკაცთა აქ ჩამოსახლებული ყმები ვერ შეეგუვნენ ჰავას და ადგილ-მამულთა მოსაწყობად ჩვენ მოგვიხმეს.

— რომელი მიწის მუშები თქვენ იყავით, — სიცილი ნასკდა პაპა ბატონს, — თხის დევნის მეტი განა შეგეძლოთ რამე?

— დავიბრალეთ, პაპავ ბატონო. ამასობაში რუსთ ხელმწიფე დაგვეხმარა და რაც კი ნარჩევი ხალხი იყო ადგილობრივი, ზოგი ზღვას იქით გადარეკა (მუჰაჯირობა დაარქვეს ამას), ზოგი კიდევ... ოღონდ ქართველი და წმინდა სისხლის აფხაზი არ დარჩენილიყო აქა და...

მალე, პაპავ ბატონო, რუსთა დახმარებით სუხუმი, შენ რომ ცხუმს ეძახი, ჩვენი გახდება და მთელი ზღვისპირეთიც, ჩამოვიყვან ჩვენებურებს...

— ურუს გიაური თავისთვის ირჯება, ბეჩავო, იმათ ნასუფრალს ვით ახლეთ ხელი, აკი საფლავშიც არ მასვენებს ამ ბოლო დროს რაღაც. ხედავ კი რაში ყოფილა საქმე? რა რჯულს ადგახარ უმადურო? — იკითხა მოსულმა.

— მაჰმადის რჯულზე ვდგავარ, პაპავ...

— მერე, დასაშვებად მიგაჩნია, რომ მაჰმადის ჭეშმარიტმა მიმდევარმა სხვისი მიითვისოს, წაართვას ან ხრიკებით რაიმე მიისაკუთროს. ყური დამიგდე, — პაპა ბატონი ჩაუქად მოახტა ტაიჭს, — ურუსთაგან კარგს რომ ვერაფერს ისწავლიდით, ეჭვი არ მეპარებოდა ამაში. მაგათი წყალობა იყო, ნახევარი ცხოვრება ტყე-ტყე რომ ვიარე და წუნკალი სალდათის ტყვიამ გა-



ვლადისლავ არძინბას ავზედითი სიზმარი

მომასალმა სიცოცხლეს. კარგად მისმინე და დაიხსომე. მაჰმადიანი ვარო, წელანა თქვი, იმასაც იკვეხნის შენი დიდი პაპა, განათლებულიაო. ჰოდა, წაიკითხე ყურანი, თუ არ ვცდები, 54-ე სურაში წერია: „ძალით, შემთხვევით ან ხრიკებით თუ რაიმე წაართვი ვინმეს, ეცადე, პირველსავე სამისო შემთხვევაში დაუბრუნო, თანაც მიტევება და შენდობა სთხოვე“. გამიგე? შენ, უცხო ტომისა და თესლის მონას, „პრეზიდენტობა“ მოგინდომებია... არ შეიძლება იმით მოგქონდეს თავი, რაც არ დაგიმსახურებია... საცოდავია სამშობლოდაკარგული კაცი. თქვენ კი თქვენი ნებით დაგიკარგავთ იგი და ახლა სიკვდილის მქნელსა და ლუკმის გამზიარებელს ეცილებით მამა-პაპათა საფლავებს. არ იფიქრო, შენს გასამტყუნებლად ვისიმე მხარი დავიჭირო, მაგრამ თავად განსაჯე, ქართველს არასოდეს სხვის მიწაზე თვალი არ სჭერია. ამიტომაც შემორჩა მისი ჯიში და ჯილაგი სამყაროს. ამისთვისაც გაუძლო საუკუნეთა ქარბორბალას, მიწიერ თუ ზეციურ წარღვნებს. განათლებულიაო, მითხრეს შენზე და კოლხ-იბერთა უძველესობა როგორ ვერ გაგირკვევია. სალი თვალი გადაგევლო ქართველთა რუკისთვის. დახედე ტაოსა და კლარჯეთს, საინგილოს, ალავერდს, ლორეს, შავშეთ-ერუშეთს, აგერ, აქ, შენ თვალწინ სოჭს, ნიკოფსიას. ნუთუ გგონია, უძლურებითა და სიბეჩავით დაკარგა რაიმე ქართველმა? არამც და არამც. ქართველი მუდამ გრძნობდა ჟამს განკარგვისას და ჟამს შეკრებისას. ამით იყო ის უძლიერესი. ერთ სიბრძნესაც არ ივიწყებენ, ღვთით ბოძებულს იქით, შურიანი თვალი არ დაუჭერიათ მეზობლისაზე. უნდა მიმხვდარიყავით ამას. მეზობლის ეზოში ჭირის გადამგდებმა უნდა იცოდეს, ხვალ თავადვე რომ დაუბრუნდება ის და ორმაგადაც. სამშობლო ყველასთვის თავ-თავისი მიუზომავს ზეციერს. ქარის მოტანილი კი ქარსავე მიაქვს. არავის შერჩენია ნაარმალი.

— საქართველოს დღევანდელი ბატონი მთელ მსოფლიოში დაეძებს მფარველსა და შემწეს. მერე რა მოხდა, მე თუ რუსთა თანადგომა ვისურვე?

— ის კაცი მართალი საქმისთვის იბრძვის. ამადაც უდგანან მხარში. ვაჟკაცობა ის არის, მართალი მტერიც კი გიყვარდეს. იმასაც გეტყვი, მართალი მტერი გერჩიოს თაღლით მოყვარეს — გიღალატებს პირველივე საჭიროებისას. ვისით გსურს, ნან ხეიტ (შვილო ჩემო), სხვისი მიწების ხელში ჩაგდება? განა შენთვის იღვწის ქვეყნებულაპია გიაური? კაცი რომ იყო, ჯილაგისა და მოდგმის ერთგული, სხვისი მიწისკენ არ გაგექცეოდა თვალი. შენ წართმევასა და წაგლეჯაში გაწვრთნილმა გამოგიწოდა ხელი და ისიც იმ პირობით, მონის უღელი უნდა დაიდგა ქედზე.

— მე ჩემსას გავიტან, პაპავ...

— იმის მეტს ვერა, რასაც ძაღლი სამჭედლოდან. რა დაგიკარგავს, თანაც აქ, სხვის მხარეში რაღას დაეძებ? ...დაბრმავებულო, აფხაზეთი რომ ჩვენი არ იყო, ამის გასაგებად ის არ კმაროდა, ამ ედემის ბაღში ერთი ჩვენებური სალოცავი რომ არ იდგა?!. დღევანდელივით მახსოვს ვიწრო, კლდოვანი ბილიკებით რომ გადმოვიარეთ მთები...

— პაპავ ბატონო...

— ვიცი, იმის გაგება გნადია, რას გირჩევდი...

ვლადისლავმა თავი დააკანტურა თანხმობის ნიშნად.

— სხვისი დასაკრეფი ჭინჭარი არ უნდა დაკრიფო. ხიზნობა რაკი გიტვირთავს, იყავ მადლიერი ხიზანი და ცალი თვალი იქითკენ გეჭიროს, მამაპაპეული როგორ დაიბრუნო. არამი დაგირჩება მიტაცებული. ალაჰი არ შეგარჩენს წართმეულს. ცუდ გზაზე დგახარ, უღირსების თავკაცი ხარ შენ... — ისევ მრისხანედ გაელვა თვალები დიდმა პაპამ, — ეს ჩემგან... ხვალ ან ზეგ შენს პაპას გამოგიგზავნი, — ამის თქმაზე მოკლედ მოიქნია პაპა ბატონმა მარჯვენა, ნისლით გაიპო ჰაერი. უნია მათრახმა ისტორიკოსსა და გაქსუებულ პრეზიდენტს, კუდის რიკამდე გადაუჭირა წვერი. ცეცხლი აყრევინა თვალთაგან ბატონ ვლადისლავს, საცოდავად ასხმარტალდა ლოგინში... აუ, რა იყო ნეტავი, ა, — საწოლში ძილ-ბურანს შეებრძოლა. გასკდომაზე ჰქონდა თავი...

— „არა, წუხელ არ დამილევია,“ — დაასკვნა.

გულიც აჩქარებით უცემდა.

დისტანციური მართვის პულტს აჭერს თითს, ტელევიზორი „დობროე უტროს“ გადმოსცემდა...

„გუშინ ნატოს შეიარაღებულმა ძალებმა კოსოვოს....“

„აუ, რა კადრები ახლავს დიქტორის, ცოტა არ იყოს და, ზარდაკრულ ხმას. ნგრევა, ცეცხლის ენები, ჩახერგილი ხიდები.... ასე არ იყო სოხუმში? აუ, რას გვეხმარებოდნენ რუსი მფრინავები?! ახლა „გრადი“?..

„...მილოშევიჩი საერთაშორისო სამართალში?..“

სწრაფად დააჭირა თითი ღილაკს, გაქრა გამოსახულება და ზარდაკრული ხმა...

გაასამართლებენ მილოშევიჩს?

ასკურ ბასკი

ოჰ, ეს უსამართლო მოდა!

მოდა რომ ჭირვეულ ქალს ჰგავს და ამინდივით ცვალებადია, ეს ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი რომ არ არის, ეს ბევრმა როდი იცის.

მოდა, თითქოს კანონგარეშე მოქმედებს, ჩამოგვიქროლებს ტორნადოსავით, ხან რას წაგვგლეჯს, ხან რას მოგვაწებებს, ხან ფუფალასავით გამოგვაწყობს, ხანაც დედოფალივით შეგვმოსავს... ერთი სიტყვით, ერთობა ჩვენით.

ჩვენც მოდის კაპრიზებს მხარს ვუბამთ, რა თქმა უნდა, ვინც როგორ ახერხებს, ისე. ზოგი ფეხს უწყობს მოდის მარშს, ზოგიც მაჩანჩალასავით მისდევს უკან — გააჩნია შეძლებას.

არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ, მე კი მგონია, მოდა ვალშიც კი არის ჩვენთან. გაიხსენეთ ის დრო, როცა ქალებს დღის პერანგები წაართვა და არც აპირებს მათ დაბრუნებას; პირიქითაც არის, რაც გვაცვია, იმასაც ამოკლებს და ლამის გაგვაშიშვლოს. იმას არც კი ითვალისწინებს, რა უმძიმეს ეკოლოგიურ პირობებში გვიხდება ცხოვრება.

თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ე.წ. „ტოპიკებზე“, რომლის დანიშნულებაა ქალის მუცლის გამოჩენა ჭიპითურთ. ჩვენდა საუბედუროდ, ტანსაცმელს ინსტრუქცია არ მოჰყვება, სად უნდა ჩაიცვა და რა დროს. თბილისი რომ ზღვისპირა კურორტი არ არის — ყველამ იცის, სამაგიეროდ, ჭიპი სად გამოაჩინოს — ის არა. სხვა რომ არაფერი, არაზნეობრივი, არაესთეტიკური და არაჰიგიენურია — ის არ გვეყოფა, ცხვირით რომ ვისუნთქავთ მტვერს და მავნე გამონაბოლქვს, ახლა ჭიპიც რომ არ მივაშველოთ? მერე გვიკვირს, საიდან არის ამდენი ნაადრევი მშობიარობა, სიმახინჯენი, მამაკაცების იმპოტენციაც ხომ მატულობს და მატულობს. მაგათ ვიდეოფილმებიც ეყოფათ, საწყლებს. შეიცოდეთ საპირისპირო სქესელები!

რომელ მოდაზე უნდა ილაპარაკო, როცა დაინახავ გოგონას, რომელსაც ისე აქვს მინი-ქვედაკაბა შემოტმასნილი, ფეხის გადადგმა უჭირს, თაბაშირში ჩაუსვამთო — იფიქრებ. რომ ჰკითხო, რატომ იჭირვებო? — გიპასუხებთ, — მოდააო. პინგვინივით რომ დგამს ნაბიჯებს — ესეც მოდაა?

ზოგის მინი-კაბა ასატანია, მაგრამ მინი კუბში — ნამეტანია.

ცხონებული ბებიაჩემი იტყოდა, — ქალიშვილობაში ქარი კაბის კალთას რომ აგვიფრიალებდა, „სახაჭუნა“ ვაშლივით (წითელი ვაშლის ჯიშია) გაგვიხდებოდა ლოყები, ახლა აფერის არ რცხვენიათო. „პლატფორმებზე“ ამბობდა, აგურის ფეხსაცმლის მოდა აღარ გათავდაო?

ბებიაჩემისა არ იყოს, ზოგიერთის ფეხსაცმელი მართლაც უსაშველოდ მაღალია. დაბალი თუ ჩაიცვამს, ასატანია, მაგრამ მაღალი რომ ამხედრდება, ჟირაფივით გამოიყურება, კოჭიც რომ ამოუვარდეს, მეორედ მაინც ჩაიცვამს — მოდა მსხვერპლს მოითხოვსო.

ორიოდე სიტყვა შარვლის მოყვარულებზეც ვთქვათ ბარემ: კაბას გადაჩვეული გოგონები ქვედაბოლოს შემთხვევით რომ ჩაიცვამენ, ინსტინქტურად ჰგონიათ, შარვალი გვაცვიაო და ფეხებს ფარგალივით გაშლიან, უნდა უჯიკო და უთხრა, — წესიერად დაჯექიო.

ახლა თმას არ იკითხავთ? ამას წინათ მეგობარი ჩამომდიოდა ამერიკიდან და აეროპორტში ველოდი. თვალი გამიშტერდა, გოგონების (გაამერიკულებულ-გაგერმანელებული) უმრავლესობა თუთიყუშს ჰგავდა. ზოგს წითელ თმაზე მწვანე ჰქონდა „გადაკრული“, ზოგს თეთრზე — იასამნისფერი... რა არის ეს-მეთქი, — ვკითხე მორიდებით ერთ-ერთს და, მოდაო — ისე მიპასუხა, აშკარად მეუბნებოდა, შენ რა გესმისო.

რა სჯობს მშვიდობიან, კანონიერ მოდას? მაგრამ დღეს მოდას „პანკურს“ თუ უწოდებს კაცი.

სამარშრუტო ტაქსიში ყმაწვილი ამოვიდა, ცხვირის ერთ ნესტოში რაღაც უბრწყინავდა. თვალებს არ დავუჯერე, მერე მივხვდი, საყურე რომ იყო. დღეს ვითომ ყურის სამ ადგილზე გახვრეტა არ ეყოფოდათ, ახლა ცხვირზე გადავიდნენ. ჭიპზეც თუ სადმე დაინახოთ საყურე, ნუ გაიკვირვებთ, თორემ დაგცინებთ ვინმე.

უსამართლოა მოდა-მეთქი, ტყუილად ხომ არ მითქვამს. დღეს ღამეში ურევს, ერთი ქვეყნის ტრადიციას — მეორეში, ახლა ცხვირი და ყური აერია, ღამის პერანგივით გამჭვირვალე გრძელ მოსაცმელებს დღისით ატარებინებს ქალებს.

ერთი სიტყვით, მოდა მკურნალობას საჭიროებს. მოდით, ვისწავლოთ, სად რა ჩავიცვათ და როგორ; ვუშველოთ მოდას, სანამ არ გადავურევივართ, ვქნათ სიკეთე.

მისი „უდიდებულესობა“ მოდა ამისთვის მადლობას გვეტყვის-მეთქი, ტყუილი იქნება. აი, ჩვენი შვილები კი, ვინ იცის, იქნებ მადლიერნიც დარჩნენ, ვინ იცის?!.

ნინო შევარდნაძე

თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“

აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:

◆ იურიდიული
◆ ფილოლოგიური
◆ ჟურნალისტიკა
◆ ეკონომიკური
◆ პედაგოგიური
◆ უცხო ენები

წარმოებს სტაჟირება საზღვარგარეთის ქვეყნებში

IX კლასდამთავრებულთათვის გახსნილია ლიცეუმი

საბუთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა 10-17 სთ-მდე

მის: თბილისი, ალმაშენებლის გამზ. 178, 33-18 საშ. სკოლა

ტელ: 35-27-00, 18 სთ-მდე; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07. საღ.

TIIELI თეზისი TIIELI

აცხადებს საქველმოქმედო (უფასო) მიღებას დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
3. ჟურნალისტიკა
4. უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)

საბუთები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 11-17 სთ-მდე

მის: თბილისი. ფალიაშვილის 42 (57-ე საშ. სკოლა)

☎: 25-15-61; 32-55-86; 899-57-91-74

რუსთავი. მაჩაბლის 3. (№7 საშ. სკოლა)

☎: 12-51-13; 12-94-83; 899-57-91-74

ს/ს „ჯანმრთელობა“ გთავაზობთ 15-დღიან საგზურებს:

1) კურორტი საირმე, სანატორიუმი „ოაზისი“ (დამატებითი თერმული მინერალური წყლის აბაზანებით), 1 ივლისიდან - 15 სექტემბრამდე;
2) კურორტი ურეკი, სანატორიუმი „მეგობრობა“, 16 ივლისიდან - 15 სექტემბრამდე;
ა) დასასვენებელი სახლი „თოლია“, 16 ივლისიდან - 15 სექტემბრამდე. ორივე ობიექტი მდებარეობს ზღვის პირას;
3) კურორტი ლაშიჭალა, ცაგერის რ-ნი, სოფ. ორბელის გავლით. ნარზანის, ესენტუკის და ბორჯომის ტიპის სამკურნალო წყლები, 1 ივლისიდან - 15 სექტემბრამდე.

მის: ბევრეთის ქ. №4 (ქრწანისის რ-ის საგზაო პოლიციის შენობაში)

☎93-27-23 (დღისით); 98-38-74 (საღამოს)

სპეციალურად „კვირის პალიტრისათვის" ალმა-ათიდან, ყაზახეთი ირაკლი ალადაშვილი

როგორ გადავარჩინოთ ქართული თვითმფრინავმშენებლობა...

ბოლოს და ბოლოს, საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს გაუჩნდა საუკეთესო რეალური შანსი, რათა თავისი პროდუქციით გავიდეს იარაღის მსოფლიო ბაზარზე. სწორედ იმ ბაზარზე, რომლის ლომის წილის მოპოვებაზეც ზესახელმწიფოებს ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გაჩაღებული.

საუბარია იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც ამას წინათ თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებამ გააფორმა თურქმენეთთან, კერძოდ კი ამ სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩენილი 46 ერთეული Су-25-ის შეკეთებაზე.

თუკი ეს ხელშეკრულება ბოლომდე შესრულდება, მაშინ თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობამ შეიძლება გამარჯვება იზეიმოს. საქმე ის არის, რომ ხელშეკრულების თანახმად, 46 ცალი Су-25-ის შეკეთების ანაზღაურებლად თურქმენეთმა 41 მილიონი დოლარი უნდა გამოჰყოს. შეიძლება ეს თანხა, ძირითადად, ბარტერულ გაცვლებში გამოვლინდეს და ნაღდი ფული თვალსაწიერზე არც გამოჩნდეს, მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ საავიაციო ქარხნის მუშახელი და სპეციალისტები დიდი ხნით დასაქმდებიან და ოჯახებში ერთი-ორ თეთრსაც შეიტანენ, ნიშნავს იმას, რომ საქართველოში საავიაციო წარმოება გადარჩება. გადარჩება სწორედ ის მაღალტექნოლოგიური წარმოების კულტურა, რომელიც მთლიანად საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს. ტყუილად არ ოცნებობს საქართველოზე ბევრად უფრო ძლიერი (გინდ ეკონომიკურად, გინდაც პოლიტიკურად) მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, რომ ჰქონდეს საკუთარი საავიაციო მრეწველობა და, მით უმეტეს, რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავების გამოშვების საშუალება.

თურქმენეთს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ Су-25 მოიერიშე თვითმფრინავების მთელი საავიაციო პოლკი დარჩა და მათთვის დღემდე სერიოზული რემონტი არავის ჩაუტარებია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში 1979 წლიდან დაწყებული ამ ტიპის მოიერიშეებს მხოლოდ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა უშვებდა...

დღეს კი არსებობს ძალზე დიდი საშიშროება, რომ ბუნებრივი მონოპოლიზმი, რასაც ქართველი თვითმფრინავმშენებლები Су-25-ების ექსკლუზიური წარმოების სახით ფლობენ, დარღვეულ იქნეს ულან-უდეს საავიაციო ქარხნის მიერ. ამ ქარხანამ დაწყებული 1986 წლიდან გამოუშვა ამ მოიერიშე სასწავლო-საბრძოლო ვარიანტის Су-25УБ-ს 300-მდე ეგზემპლარი და, ბუნებრივია, აქტიურად ცდილობს თავად დაიპყროს ის ბაზარი, რასაც დღემდე შემონახული Су-25-ების რემონტი ჰქვია.

არადა, მარტო თბილისში არანაკლებ 1200-1300 Су-25 იქნა წარმოებული, რომელთა უდიდესი ნაწილი მთელ მსოფლიოშია გაბნეული. რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ანგოლა, ერაყი, ირანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — აი, იმ ქვეყნების არასრული სია, რომელთა შეიარაღებაში დღესაცაა თბილისში გამოშვებული Су-25 მოიერიშე თვითმფრინავები.

Су-25

ამჟამად აქტიურად დგას საკითხი ამ თვითმფრინავების რემონტის შესახებ, რის შედეგადაც Су-25-ები 21 საუკუნის პირველ ნახევარშიც იფრენენ მთელ მსოფლიოში.

გასაგებია, რომ საქართველო „ოქროთი სავსე ორმოსთან" დგას, მაგრამ მსოფლიოს ძირითად ზესახელმწიფოებს სულაც არ სურთ, რომ ამ „ოქროს" ქართველები დაეპატრონონ და ამისთვის სავსებით საფუძვლიანი (ოღონდ საკუთარი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე) მიზეზები აქვთ. ამ ზესახელმწიფოებში, პირველ რიგში, რუსეთი და აშშ იგულისხმება.

იმ დროს, როდესაც რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საავიაციო ქარხნები შეკვეთების გარეშე სულს ღაფავენ, ბუნებრივია, რომ მოსკოვი ყველა ღონეს იხმარს, მათ შორის, პოლიტიკურსაც, და თვით ძალისმიერსაც, რათა მსოფლიოში მიმობნეული Су-25-ების რემონტის საშუალება ულან-უდეს ქარხანას ერგოს და არა თბილისისას.

თავის მხრივ, არც აშშ-ის ხელისუფლება ამჟღავნებს დიდ სიხარულს იმის გამო, რომ თბილისის საავიაციო ქარხანამ Су-ების შეკეთება და, ღმერთმა არ ქნას, მათი გაყიდვა დაიწყოს. ამას თავისი ახსნა აქვს — ის ქვეყნები, რომელთაც შეიარაღებაში Су-25-ები აქვთ: ერაყი, ჩრდილო კორეა, ანგოლა და ირანი, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ განიხილება, არც მეტი, არც ნაკლები — როგორც ტერორისტული ქვეყნები, რომლებიც აშშ-ის სახელმწიფო ინტერესებს ემუქრებიან, ამიტომაც ვაშინგტონი ყველა ღონეს იხმარს, რომ ზოგიერთ ამ ქვეყანას საერთოდ არ ჰქონდეს შეიარაღებაში საქართველოში გამოშვებული მრისხანე Су-25 მოიერიშეები, რომლებსაც (როგორც „კვირის პალიტრის" გასულ ნომერში გაცნობეთ) საჭიროების შემთხვევაში ტაქტიკური დანიშნულების ბირთვული საავიაციო ბომბების წაღებაც შეუძლიათ. ეტყობა, ამანაც გამოიწვია, აშშ-ის მიერ იმ ხელშეკრულების „ჩაგდება", რომლის თანახმადაც, თბილისის საავიაციო ქარხანას ერაყიდან ირანში 1991 წელს გადაფრენილი შვიდი Су-25 უნდა შეეკეთებინა (მეტიც, თეირანს ახალი Су-ების შეძენაც სურდა).

ასეა თუ ისე, თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობამ ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, რათა მიაღწიოს ასეთივე შეთანხმებებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან, რომელთა შეიარაღებაში ჯერ კიდევ არის მათივე „შვილობილი" მრისხანე Су-25 მოიერიშე თვითმფრინავები, და, რომლებიც რემონტს დიდი ხანია საჭიროებს. თუმცა მარტო თბილისის საავიაციო ქარხანა რას გახდება, თუკი მას თავად სახელმწიფო და ხელისუფლება არ ამოუდგება მხარში.

ყაზახეთმა რუსეთს აჩვენა, როგორ უნდა „მოარჯულო" ზესახელმწიფო

შუა აზია ყოველთვის ძირითად სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა და მას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპასა და ჩინეთთან ურთიერთობაში.

თავის მხრივ, შუა აზიაში წამყვან როლს ყაზახეთი თამაშობს როგორც გეოპოლიტიკური, ისე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით.

საბჭოთა პერიოდში ყაზახეთი საბჭოთა სამხედრო მანქანის ძირითად შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენდა. სწორედ ყაზახეთში მოიპოვებოდა საიარაღო ურანის კარიერები, აქვე ხდება ურანის მადნეულის გამდიდრება ურან-238-მდე, რომელიც შემდგომ ატომური და ბირთვული იარაღის შესაქმნელად გამოიყენება. ვის არ გაუგონია ბაიკანურის კოსმოდრომი, საიდანაც პირველი ადამიანი იქნა „გაშვებული" კოსმოსში და რომელიც ასევე ყაზახეთშია განთავსებული. თუმცა მის გარდა ამ რაიონის ტერიტორიაზე ათობით მიწისქვეშა სარაკეტო შახტი იყო მოწყობილი, საიდანაც გაშვებული საკონტინენტთაშორისო ბირთვულ ბალისტიკურ რაკეტებს SS-18 „სატანებს" ჩრდილო ამერიკის კონტინენტი ნაცარტუტად უნდა ექცია. დაბოლოს, მთავარი — სემიპალატინსკის ბირთვული პოლიგონი, რომელზეც პირველი საბჭოთა ატომური ბომბი გამოიცადა ზუსტად 50 წლის წინ.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რამხელა დარტყმას მიიღებდა რუსული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მას შემდეგ, რაც ყაზახეთი დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.

მისი შედეგი დღესაც იგრძნობა. რამდენიმე დღის წინ ბაიკანურის კოსმოდრომიდან სტარტი აიღო რუსულმა რაკეტამატარებელმა „პროტონმა", რომელსაც დედამიწის ორბიტაზე მზვერავი-თანამგზავრი უნდა გაეყვანა, მაგრამ სტარტიდან რამდენიმე წამში რაკეტა-მატარებლის მეორე საფეხური აფეთქდა და თითქმის ასტონიანი „პროტონი" ისევ ყაზახეთის ტერიტორიაზე დაეცა. საბედნიეროდ, რაკეტის ავარიას არავინ შეეწირა, მაგრამ სამაგიეროდ დაილვარა მისი თხევადი საწვავი — ძლიერ მომწამვლელი პეპტილი. რამდენიმე ტონა საწამლავის გაბნევას თავის ტერიტორიაზე არც ერთი თავისი თავის პატივისმცემელი ქვეყანა არ მოითმენს და, ბუნებრივია, ოფიციალურმა ასტანამ პროტესტი განუცხადა მოსკოვს და ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა. თავდაპირველად, რუსეთში ყაზახების მოთხოვნა აბუჩად აიგდეს, მაგრამ ასტანა „მაგრად" დადგა და აკრძალა ნებისმიერი რაკეტის სტარტი ბაიკანურიდან. არადა, რუსეთს დღე-დღეზე რაკეტით საწვავი და, რაც მთავარია, საჭმელი და წყალი უნდა ჩაეტანა ორბიტაზე დიდხანს მყოფ ორბიტალურ სადგურ „მირ"-ის კოსმონავტებისთვის. ასტანა კი კვლავ მტკიცე უარზე იყო და მიაღწია თავისას — მოსკოვმა ბოლოს და ბოლოს ბოდიში მოუხადა ყაზახეთს, დასთანხმდა ზარალის ანაზღაურებაზე და ამასთანავე შეჰპირდა, რომ ბაიკანურის კოსმოდრომის არენდის (წელიწადში 115 მილიონი დოლარი) გადახდას უახლოეს დღეებში დაიწყებდა.



მაგრამ, რაც მთავარია, ყაზახებმა აიძულეს რუსეთი, ხელი მოეწერა ხელშეკრულებისთვის, რომლის თანახმადაც, ყაზახეთისა და რუსეთის ურთიერთვალები ანულირებული იქნა. ამით ასტანა უზარმაზარ ფინანსურ მოგებას ნახავს (ეი. შესაძლებელი ყოფილა, რომ ზესახელმწიფოებიც ხანდახან შენი ნება-სურვილით ატარო).

არადა, ყაზახეთისთვის დღეს თითოეული ტენგე (ადგილობრივი ფულის ერთეული. 1 აშშ დოლარი 132 ტენგს უდრის) ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ყაზახეთის დედაქალაქი ალმა-ათიდან ასტანაში, ყოფილ ცელინოგრადში გადაიტანეს. მას შემდეგ ქვეყნის მთელი ხელისუფლება, პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ჩათვლით, ორ ადგილას არის გამოკიდებული — ასტანასა და ალმა-ათას შორის, რადგან ვერც ძველ კეთილმოწყობილ დედაქალაქს თმობენ და ვერც ახალი დედაქალაქის მძიმე ბუნებრივ პირობებს (გამჭოლი ქარები, ქვიშა და უზარმაზარი კოღოები) ეგუებიან. როგორც ირკვევა, დედაქალაქის გამოცვლას წმინდა პოლიტიკური საბაბი ჰქონდა, რადგან რუსეთი სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდა ყაზახეთის ჩრდილოეთ ნაწილზე, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობის ძალზე დიდი რაოდენობაა. არადა, ალმა-ათა ქვეყნის უკიდურეს სამხრეთში მდებარეობს და თავისგან 1200 კმ-ით დაშორებულ ჩრდილოეთ საზღვარს რუსეთთან თითქმის ვერ აკონტროლებდა.

მიუხედავად ამისა, ძირითადი ცხოვრება დედაქალაქის სტატუსდაკარგულ ალმა-ათაში მიდის, აულებში მცხოვრებლები თვეობით ნაღდ ფულს თვალით ვერ ხედავენ. ალმა-ათა კი ნამდვილ ევროპულ ქალაქად იქცა. სამაგიეროდ, საქართველოდან ჩასულს არც უნდა გაუკვირდეს, თუკი მისი ტაქსის მძღოლი გვარად სულაც აბაშიძე იქნება, მაგრამ ქართული არ ეცოდინება, რადგან ძალიან ბევრ თურქ მესხს შენარჩუნებული აქვს ქართული გვარი.

ყაზახებს, ბუნებრივია, საკმაოდ აშინებთ ავღანეთიდან თალიბების შეჭრა შუა აზიაში. „კვირის პალიტრის" სამხედრო მიმომხილველის ალმა-ათაში ყოფნის დროს, ადგილობრივი შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების ბრიგადა და სპეცრაზმები სასწრაფოდ გადაისროლეს ერთ-ერთ რაიონში თალიბებისა და ვაჰაბიტების მოსამზადებელი ბაზის გასანადგურებლად. თუმცა თალიბების ავღანეთში საბოლოო გამარჯვების შემთხვევაში მარტო ყაზახებს კი არა, მთლიანად შუა აზიის ქვეყნებს მოუწევთ ძალების მობილიზაცია, რადგან თალიბები არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ შუააზიელი მუსულმანების ცხოვრების ისეთ თავისუფალ სტილს, როგორიც დღესაა.

ამისათვის კი ყაზახეთს საკმაო სამხედრო ძალა აქვს. მისი შეიარაღებული ძალები 40 ათას კაცს ითვლის (მთლიანად მოსახლეობა კი 17,4 მილიონი ადამიანია). მათ აღჭურვილობაშია 1.100 ტანკი, 1.850 საარტილერიო დანადგარი, 178 საბრძოლო თვითმფრინავი და 48 დამრტყმელი შვეულმფრენი. სამხედრო ძალა, წესით, სრულიად საკმარისი უნდა იყოს, თუნდაც მართლაც უზარმაზარი ტერიტორიის დასაცავად.

ისე კი იგრძნობა, რომ შუა აზიის რეგიონში მიდის არცთუ ისე ფარული ბრძოლა. რომელი ქვეყანა შეასრულებს ჰეგემონის როლს ამ რეგიონში — უზბეკეთი თუ ყაზახეთი.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა საქართველოსთვისაც აქტუალურია

16-17 ივლისს ალმა-ათაში აშშ საერთაშორისო კვლევების მონტერეის ინსტიტუტმა ჟურნალისტებისათვის გამართა სემინარი სახელწოდებით „გაუვრცელებლობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები".

ამ სემინარზე „კვირის პალიტრის" სამხედრო მიმომხილველიც იყო მიპატიჟებული. ეს საერთაშორისო ინსტიტუტი უკვე დიდი ხანია მუშაობს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის თემაზე.

საქართველო თითქოს შორს დგას ამ პრობლემიდან, რომელ ბირთვულ იარაღსა და რაკეტებზეა საუბარი, როდესაც ჯარისკაცები ჩაუცმელები და ნახევრად შიშვლები დადიანო — გაიფიქრებს ზოგიერთი, მაგრამ საქართველოს როგორც არ უნდა სურდეს, ამ პრობლემას გვერდს ვერ აუვლის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სამხრეთ კავკასია კვლავ ყველაზე მილიტარიზებულ რეგიონად რჩება.

დიახ, 1998 წლის 9 მარტისთვის საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს მე-12 მთავარმა სამმართველომ მთლიანად გაიტანა საქართველოში (ძირითადად, ვაზიანში) შენახული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ბირთვული ქობინები, ატომური საარტილერიო ჭურვები და საავიაციო ბომბები.

თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ იმყოფება ოთხი რუსული სამხედრო ბაზა. თითოეული მათგანის შტატში არის გათვალისწინებული ტაქტიკური იარაღიც. სხვა საქმეა, თუ სამხრეთ კავკასიაში ამ ტიპის იარაღის სახეობები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს არ აქვს (ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების „სკადების" დანადგარი, რომლებიც სომხეთშია განლაგებული, უშუალოდ სომხეთის არმიას ეკუთვნის). მაგრამ მათ გადმოსროლას იგივე ჩრდილო კავკასიიდან სულ ორისამი საათი თუ დასჭირდება. ცალკე გასათვალისწინებელია, რომ სომხეთში ჩატანილი МиГ-29-ებსაც შეუძლია ბირთვული იარაღის ტარება, ხოლო ასევე სომხეთის ტერიტორიაზე გადასროლილ С-300В საზენიტო-სარაკეტო სისტემის ოთხ დანადგარზეც (სულ 16 რაკეტა, პლუს მარაგი) შეიძლება განთავსდეს ბირთვულქობინიანი საზენიტო რაკეტა, გიგანტი, რომელსაც 75 კმ-ის რადიუსში არა მარტო საჰაერო, არამედ დიდი მონდომების შემთხვევაში, სახმელეთო სამიზნის დაზიანებაც შეუძლია.

ჯერჯერობით, არანაირი სახეობის ბირთვული იარაღი სამხრეთ კავკასიაში რუსებს არ აქვთ, ისევე როგორც არ არსებობს არავითარი საერთაშორისო კანონი, რომელიც აკრძალავდა მათ გადმოსროლას ჩვენს რეგიონში.

მით უმეტეს, რომ ზოგიერთი დაუზუსტებელი მონაცემის თანახმად, თურქეთის ტერიტორიაზე შეიძლება შემონახული იყოს „ცივი ომის" დროინდელი ბირთვული ქობინები, რომლებიც NATO-ს, უფრო სწორად კი აშშ-ის არმიას ეკუთვნის.

სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში (მაგალითად, როგორც ეს იუგოსლავიის ომის დროს იყო) გამორიცხული არაფერია, მათ შორის, რუსული ბირთვული ქობინებისა და საავიაციო ბომბების დაბრუნება სამხრეთ კავკასიაში.

სწორედ გაუვრცელებლობის პრობლემა წარმოადგენს მონტერეის ინსტიტუტის ძირითად საზრუნავს. თავის დროზე საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას გააცნეს მოსაზრება, რომ სამხრეთ კავკასია გამოცხადებულიყო ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად. მაგრამ ამ რეგიონის მესამე სახელმწიფომ ამისგან თავი შეიკავა, რაც ბუნებრივია, მომავალში ხელს უხსნის რუსეთს, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე საათში, სომხეთის ტერიტორიაზე ტაქტიკური დანიშნულების ბირთვული იარაღი შეიტანოს.

მონტერეის გაუვრცელებლობის ინსტიტუტი დიდ შეშფოთებას გამოხატავს აფხაზეთში აკადემიკოს ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნოლოგიური ინსტიტუტის შენობებში ჩარჩენილი ბირთვული ენერგეტიკული ელემენტების გამო, რომლებიც ხელოვნური თანამგზავრებისთვის იყო განკუთვნილი (სოხუმის დაცემის შემდეგ ის ბირთვული ელემენტები აფხაზ სეპარატისტებს ჩაუვარდათ ხელში). საჭიროა მათი შემდგომი ბედის სასწრაფო გარკვევა, რადგან თუ ამ ბირთვულმა მასალამ თავი სადმე ამოყო, გარკვეულწილად პასუხისმგებელი სწორედ საქართველო გახდება.

რისთვის გადაუხადა სამაგიერო ხრუშჩოვმა სტალინსა და ბერიას

ორიოდე თვის წინ მოსკოვში გამოიცა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს ახალი წიგნი, რომელიც სტალინის პერიოდის დღემდე უცნობ ფაქტებს მოიცავს. წიგნის ავტორია სუკ-ის თადარიგის გენერალი ვადიმ უდილოვი, რომელმაც სამსახურებრივი კარიერა სუკ-ის მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობით დაამთავრა. გთავაზობთ ნაწყვეტებს აღნიშნული წიგნიდან.

... დიდი ხნის მანძილზე ნიკიტა ხრუშჩოვს სტალინის მიერ შექმნილი ტოტალიტარული რეჟიმის დამხობის ინიციატორს უწოდებდნენ, მაგრამ ასე იყო კი სინამდვილეში?

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ხრუშჩოვმა, ნათესაური და პირადი ერთგულების პრინციპით, თითქმის მთლიანად შეცვალა პარტიული და სამეურნეო აპარატი. ძველი გვარდია დაფანტა, გაასახლა და დახვრიტა კიდეც. მისი ასეთი ნაბიჯების ნამდვილ მიზეზს დიდხანს არ ახმაურებდნენ...

ომის პერიოდში, კუიბიშევში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ნიკიტა ხრუშჩოვის ვაჟმა ლეონიდმა წითელი არმიის მეთაური მოკლა, რისთვისაც იგი დააპატიმრეს. ლეონიდი მანამდეც არაერთხელ დაუკავებიათ. ომამდე ის კიეველ ბანდიტებთან იყო კავშირში. ეს უკანასკნელნი შემდეგ დახვრიტეს. იმხანად უკრაინის ცკ-ის პირველი მდივნის, ნიკიტა სერგეის ძის შვილი კი „საოცრად“ გადაურჩა მართლმსაჯულებას... კუიბიშევის ინციდენტის შემდეგ ხრუშჩოვი ემუდარებოდა სტალინს, შეეწყალებინა ლეონიდი. დამნაშავე ფრონტზე მფრინავად გაამწესეს.

პირველივე ბრძოლაში გამანადგურებელმა,

რომელსაც ლეონიდ ხრუშჩოვი მართავდა, წინასწარ განსაზღვრული მიმართულება შეიცვალა და გერმანელთა მხარეს გაუჩინარდა. იძულებითი დაშვებისა თუ საკუთარი ინიციატივის გამო ხრუშჩოვი გერმანელთა ტყვეობაში აღმოჩნდა.

როგორც ცნობილია, სტალინის ვაჟი იაკობი კატეგორიული წინააღმდეგი იყო გერმანელებთან თანამშრომლობისა, ხრუშჩოვის შვილმა კი ფაშისტებთან მეგობრობაზე თანხმობა განაცხადა... სტალინმა ბერიას უბრძანა, გამოეტაცათ ლეონიდ ხრუშჩოვი და მოსკოვში ჩამოეყვანათ. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება ლავრენტი პავლეს ძემ სულ რაღაც ერთ კვირაში შეასრულა — ლეონიდი მოსკოვში ჩააბრძანეს, კონტრდაზვერვამ კი შეაგროვა მასალები მფრინავის მოღვაწეობისა მტრის სასარგებლოდ. სამხედრო ტრიბუნალმა მოღალატეს დახვრეტა მიუსაჯა.

შვილისთვის სასჯელის შემსუბუქების თაობაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა არაერთხელ მიმართა სტალინს, ბერიასა და სეროვს. სტალინის გადაწყვეტილებით აღნიშნული საქმე პოლიტბიუროს უნდა განეხილა. პოლიტბიუროს სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ კონტრდაზვერვის გენერალ-პოლკოვნიკი აბაკუმოვი, მოსკოვის თავკაცი შჩერბაკოვი, აგრეთვე მალენკოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი და ბერია. ყველა ერთსულოვანი იყო: ტრიბუნალის გადაწყვეტილება არ უნდა შეცვლილიყო.

ბოლო სიტყვა სტალინს ეკუთვნოდა. სხვებთან შედარებით, მისთვის, ალბათ, ყველაზე ძნელი იყო იქ გამოსვლა — მისი შვილიც ტყვედ იმყოფებოდა და თავისი გადაწყვეტილებით სტალინს იაკობისთვისაც უნდა გამოეტანა განაჩენი: „ნიკიტა სერგეის ძე უნდა გამაგრდეს და დაეთანხმოს ამხანაგთა აზრს. თუ იგივე ჩემს შვილს დაემართება, მე ღრმა მამობრივი მწუხარებით მივიღებ ამ სამართლიან გადაწყვეტილებას“.

ხრუშჩოვის სათავეში მოსვლისთანავე აღნიშნულ მოვლენათა მონაწილეების ცხოვრებაში საბედისწერო ცვლილებები მოხდა. ნიკიტა სერგეის ძის მმართველობის მეორე დღესვე მოსკოვში გაუქმებულ იქნა შჩერბაკოვის რაიონი და მრავალი წლის მანძილზე ამ კაცის სახელის ხსენებას ყველა ერიდებოდა... ბერია დააპატიმრეს და დახვრიტეს.

აბაკუმოვი, ხრუშჩოვის გამეფების ჟამს, უკვე ციხეში იჯდა. მის მიმართ წაყენებული ბრალდებანი ყალბი აღმოჩნდა და დღე-დღეზე უნდა გაეთავისუფლებინათ კიდეც, მაგრამ ხრუშჩოვის ბრძანების საფუძველზე, აბაკუმოვი სხვა, ასევე ყალბი საქმის გამო დახვრიტეს.

მალენკოვი, კაგანოვიჩი და მოლოტოვი, როგორც „ანტიპარტიული ჯგუფის“ წარმომადგენლები, გადაასახლეს და უმკაცრესი მეთვალყურეობა დაუწესეს. სტალინი კომპარტიის XX ყრილობაზე ხრუშჩოვმა ტირანად გამოაცხადა...

გთავაზობთ ციტატას 1996 წელს გამოცემული წიგნიდან „მოსკოვი — კრემლი — დაცვა“, რომლის ავტორია საბჭოთა კავშირის გმირი, სუკ-ის გენერალ-ლეიტენანტი დოკუჩაევი: „XX ყრილობამდე ცოტა ხნით ადრე, მასთან დაახლოებულთა ვიწრო წრეში ხრუშჩოვმა განაცხადა — „თავის დროზე ძმის გამო ლენინმა მეფის ოჯახს გადაუხადა სამაგიერო. მე სტალინს, თუნდაც მკვდარს, ჩემი შვილის გამო გადავუხდი სამაგიეროს“.

... სტალინის სიკვდილის შემდეგ, მილიონობით არაკანონიერი საქმის გამო, საჭირო იყო ხალხთან თავის გამართლება. საუკეთესო ფიგურა, ვისაც დაბრალდებოდა ბოლო ათწლეულების ცოდვები, გახლდათ ლავრენტი ბერია, რომელსაც ყველა იცნობდა, როგორც საბჭოთა კავშირის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა უწყებების ხელმძღვანელს. რა თქმა უნდა, მან ბევრი იცოდა უმაღლეს პირთა კულისებს მიღმა მოღვაწეობის შესახებ და ამ უკანასკნელებმაც იცოდნენ, რომ ბერია მსგავს ინფორმაციებს ფლობდა. გარდა ამისა, ბევრს, უბრალოდ, ეშინოდა — მისი გაუწონასწორებელი და უმკაცრესი ხასიათი საყოველთაოდ იყო ცნობილი. პოლიტიკური ჰორიზონტებიდან ბერიას გაუჩინარებით ბევრი დარჩებოდა კმაყოფილი და მათ შორის, რა თქმა უნდა, ნიკიტა ხრუშჩოვიც. ბერიას გაქრობა, ეს იყო საშუალება, ერთი მხრივ, მისთვის ყველა ცოდვის მიწერისა, საშიში მეტოქის მოცილებისა და ერთმმართველობისკენ საკუთარი გზის განმენდისა; მეორე მხრივ კი, მისი ლიკვიდაცია შვილის გამო შურისძიებაც იქნებოდა.



როდესაც ბერიას სასამართლო პროცესის ორგანიზების თაობაზე დოკუმენტები გამოქვეყნდა, გაჩნდა კითხვებიც. გაოცებას იწვევდა სასამართლოს შემადგენლობა, რომელშიც იურისტთა ნაცვლად მხოლოდ სამხედროები შედიოდნენ. რადიოთი და ტელევიზიით ვრცელდებოდა ცნობები ბერიას დანაშაულებათა შესახებ: ბოროტი ქმედებანი, 30-იან წლებში მოსკოვსა და სსრკ-ის სხვა ქალაქებში დაუსაბუთებელი დაპატიმრებანი, კატინში სასამართლოს გარეშე დახვრეტილი პოლონელი ოფიცრები და ა.შ. ბრალდებათა უდიდესი ნაწილი ეხებოდა ბერიას გარყვნილ ქმედებებს. ამგვარად, ხალხის მეხსიერებაში იგი ჯალათად და სექსუალურ მანიაკად დარჩა.

მე არ მაქვს სურვილი დავიცვა ის, მაგრამ იურისტისა და ისტორიკოსის კვალიფიკაცია მავალდებულებს, ქვეყნის იმდროინდელი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, სკრუპულოზურად გავერკვე ბერიას დანაშაულებრივი მოღვაწეობის ყველა ფაქტში.

50-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ბერიას ადანაშაულებენ, როგორც „ტროიკების“ (3-კაციანი იმპროვიზებული სასამართლოები) ერთ-ერთ შემქმნელს, 1937-38 წლებში სამხედრო და სხვა დარგების სპეციალისტთა დახვრეტის ორგანიზატორს. ბერია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად 1938 წლის ბოლოს დაინიშნა და უზარმაზარი მეურნეობის გაცნობის შემდეგ მუშაობა მხოლოდ 1939 წლის მაისში დაიწყო. მანამდე ის ამიერკავკასიაში მუშაობდა და რუსეთსა და მით უმეტეს მოსკოვში განხორციელებულ რეპრესიებთან მას არავითარი კავშირი არ ჰქონია. შესაბამისად, 1937-38 წლები, დაპატიმრებები, წამებები დაკითხვებისას და მასობრივი დახვრეტები სხვების ჩადენილია.

თუ ობიექტურნი ვიქნებით, უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო კომისრად მოსვლისთანავე, 1939-41 წლებში, მისი ბრძანებით ხელახლა შემოწმდა დივერსანტების, ხალხის მტრების, ჯაშუშებისა და მოღალატეების ათეულათასობით საქმე. ამის საფუძველზე კი, საპატიმროებიდან უამრავი ადამიანი გათავისუფლდა. მათ შორის იყვნენ მარშლებიც — როკოსოვსკი და მერეცკოვი, არმიის გენერალი გორბატოვი, უამრავი სხვა გენერალი და წითელი არმიის მეთაური. ბერიას განკარგულებით ბანაკებიდან გათავისუფლდა და წითელ არმიაში გაიგზავნა 157 ათასი ახალგაზრდა პატიმარი. ბევრი მათგანი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

მისივე ინიციატივით და უშუალო კონტროლით ყველა ბანაკში მიმდინარეობდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ძებნა, რომლებიც შემდეგ სამხედრო ტექნიკას ქმნიდნენ და საპატიმროებთან შედარებით გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ. კოსმოსური რაკეტების კონსტრუქტორი კოროლიოვი, მაგალითად, მაგადანის საბადოებში იპოვეს და მოსკოვში გადმოიყვანეს. რა არის ეს — ბერიას დამსახურება თუ ბრალი? თავად განსაჯეთ.

უკანასკნელ წლებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არაერთხელ გამოქვეყნდა მასალები 1939 წელს რამდენიმე ათასი პოლონელი ოფიცრის დახვრეტის თაობაზე. დოკუმენტებზე ბერიას ხელმოწერაა. პოლონელ პატიმართა საქმე გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე გადაწყდა. ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულია, მაგრამ მამის დასაცავად გამოსული ბერიას შვილი საზოგადოებას სთხოვს, ყურადღება მიაქციოს 1940 წლის 5 მარტის ცკ-ის პოლიტბიუროს იმ სხდომის ოქმს, სადაც პოლონელთა ბედი გადაწყდა. ოფიცერთა დახვრეტაზე ხელი მოაწერეს სტალინმა, ვოროშილოვმა, მოლოტოვმა, მიქოიანმა, კალინინმა, ჟდანოვმა და კაგანოვიჩმა.

ერთადერთი, ვინც დახვრეტის წინააღმდეგ წავიდა და განაჩენს ხელი არ მოაწერა, იყო ბერია. ასეთი ჭირვეულობის გამო მან ლამის თანამდებობა დაკარგა. ჟდანოვმა საკუთარი თავიც კი წარადგინა შს სახალხო კომისრის თანამდებობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის გარემოცვაში ბერია ენერგიითა და საქმიანობით გამოირჩეოდა. პოლიტბიუროს წევრთა მოღვაწეობის შედეგები საზოგადოებაში ცნობილია და ნეგატიურად შეფასებული. რაც შეეხება ბერიას, გახლდათ რა პასუხისმგებელი პირი ატომური ენერგიისა და რაკეტმშენებლობის პრაქტიკული და სამეცნიერო შემუშავებებისა, მან ნამდვილად ბევრი რამ გააკეთა. ბერიამ შეძლო ქვეყნის საუკეთესო სამეცნიერო ძალების თავმოყრა. იყენებდა საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის შესაძლებლობებსაც. შედეგები სახეზე იყო. რა თქმა უნდა, დანაშაული და შეცდომები მასაც ჰქონდა, მაგრამ პოლიტბიუროს სხვა წევრებთან შედარებით ნამდვილად უკეთესად გამოიყურებოდა. ყოველ შემთხვევაში, ხრუშჩოვზე უკეთ მაინც და ასეთ სიკვდილს არ იმსახურებდა.

შალოლაშვილი

დამნაშავედ ქცეული მსახიობი

„1993 წლის 14 ივლისს პოპულარული კინომსახიობი მიხაილ ბოიარსკი სვერდლოვსკის ოლქს ესტუმრა და თავისი ძველი მეგობარი არკადი შალოლაშვილი მოინახულა, რომელიც ურალის ერთ-ერთ კოლონიაში იხდიდა სასჯელს. ცნობილი სტუმრის პატივსაცემად კოლონიის ადმინისტრაციამ კანონი დაარღვია და პატიმარს ნება დართო მსახიობთან მთელი ღამის განმავლობაში ესაუბრა. „არკადი მშვენივრად გამოიყურებოდა,“ — იხსენებდა მოგვიანებით ბოიარსკი...

დილის 6 საათზე შალოლაშვილი გარდაიცვალა. იყო ვერსია, რომ იგი ზედამხედველებმა ცემით მოკლეს, თუმცა სამედიცინო ექსპერტებმა, რომლებმაც გვამი გაკვეთეს, განაცხადეს, რომ სიკვდილის მიზეზი გულსისხლძარღვთა დაზიანება და ციროზი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ შალოლაშვილის ნათესავებმა ცხედარი სანქტ-პეტერბურგში გადაასვენეს. მოხდა გვამის ხელახალი დათვალიერება. ნევისპირელმა ექიმებმა ამჯერად სხვა დასკვნა გამოიტანეს: „...აქვს ძვლების მოტეხილობანი, სხეულზე შეინიშნება სისხლჩაქცევები (გაზეთი „აიფ“ „რაზბორი“. 1998წ.)“.

80-იან წლებში სანქტ-პეტერბურგში ხშირად ფიქსირდებოდა დანაშაულობანი, რომელთაც, გამომძიებელთა აზრით, ერთი და იგივე სცენარის ავტორი და მონაწილენი ჰყავდა. თავად სცენარი ასეთი იყო: ბანდიტები იტაცებდნენ შეძლებულ ბიზნესმენებს, მიჰყავდათ ქალაქგარეთ და უზარმაზარ თანხებს სთხოვდნენ, უარის მიღების შემთხვევაში კი, მსხვერპლს მოკვლით ემუქრებოდნენ. სწორედ ამ დროს დგებოდა გადამწყვეტი მომენტი — სცენაზე გამოდიოდნენ „მილიციელები“ — სამართალდამცავთა ფორმაში გამოწყობილი დამნაშავენი, რომლებსაც ადამიანთა გამტაცებლები „უმოწყალოდ ხოცავდნენ“. ასეთი ამბების შემყურე შეშინებული მსხვერპლი ყოველთვის თანხმდებოდა გადაეხადა ნებისმიერი გადასახადი.

საერთოდ, მსგავსი ოინების ავტორად სსრკ-ში მიჩნეული იყო ცნობილი „იაპონჩიკის“ პირველი მასწავლებელი — სახელგანთქმული კანონიერი ქურდი „მონგოლი“, რომელიც 70-იან წლებში შიშის ზარს სცემდა იატაკქვეშა საამქროთა პატრონებს... ამჯერად მაძებრებს საქმე სხვა ბანდიტებთან ჰქონდათ...



რამდენიმე წელი ლენინგრადის მილიცია და უშიშროება ამაოდ ეძებდა დამნაშავეთ. მონაცემთა დიდი ბაზის შექმნისა და ურთულესი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გატარების შემდეგ 1987 წელს მოხდა ბანდის წევრთა დაკავება. როგორც გაირკვა, ბოროტმოქმედთა დაჯგუფებას ხელმძღვანელობდნენ: აღმოსავლურ ორთაბრძოლათა სპეციალისტი ნიკოლაი სედიუკი („შვარცნეგერი“) და დამნაშავეთა სამყაროში კარგად ცნობილი ფიგურები ოლეგ მიქატაძე და გოგა გევორქიანი. ლენინგრადის სისხლის სამართლის სამძებროს ცნობით, ბანდა 1981-82 წლებში შეიქმნა ქართველი კანონიერი ქურდების მიერ, რომლებმაც აწყობილი საქმე შემდგომ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს გადააბარეს, თავად კი მოსკოვსა და ევროპის ქვეყნებში გადაინაცვლეს და რამდენიმე წელი ლენინგრადიდან კუთვნილ წილებს იღებდნენ.

ბანდის აქტიურ წევრთა შორის აღმოჩნდა ლენინგრადის მცირე დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობი, „ქართველი ებრაელი“ არკადი შალოლაშვილიც („შალიკა“). მილიციის აზრით, სწორედ „შალიკა“ გახლდათ დაჯგუფების თითქმის ყველა ოპერაციის სცენარის ავტორიცა და ერთ-ერთი შემსრულებელიც.

შალოლაშვილის დაპატიმრებისთანავე მსახიობის დასაცავად უამრავი ცნობილი ხელოვანი გამოვიდა. მათ შორის, ვინც „შალიკას“ შეწყალების თხოვნით სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, გახლდნენ: როლან ბიკოვი, კირილ ლავროვი, მიხაილ ბოიარსკი, ვახტანგ კიკაბიძე, ნიკიტა მიხალკოვი, ოლეგ ბასილაშვილი, კონსტანტინ რაიკინი, ნანი ბრეგვაძე, ალისა ფრეინდლიხი... მაგრამ სახელიანი ადამიანების თხოვნამ არ გაჭრა და შალოლაშვილს 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

„შალიკა“ უაღრესად კეთილი ადამიანი გახლდათ, — ამბობს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ბოიარსკი, — ის ყოველთვის მზად იყო უკანასკნელი მანეთი ეჩუქებინა გაჭირვებულისთვის. არკადი ვერ იტანდა უზრდელებს — აქ მისი სიმწვავე ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. თუ ვინმე მის მეგობარს ან უბრალოდ, ქალს შეურაცხყოფას მიაყენებდა, „შალიკას“ დაკავება შეუძლებელი ხდებოდა, ასეთებს იგი მკაცრად „უსწორდებოდა“. ბოიარსკის მოჰყავს მაგალითი, როდესაც შალოლაშვილმა ის, ნიკიტა მიხალკოვი და ნატალია ფატეევა რესტორანში დაპატიჟა. საღამო ბრწყინვალედ მიმდინარეობდა, მაგრამ მოულოდნელად მათ სუფრასთან ვიღაც მთვრალი ახმახი მიჭრილა და ბოიარსკისთვის სიმღერა უბრძანებია. შალოლაშვილი უსწრაფესად წამომხტარა და თავხედი ერთი დარტყმით ძირს დაუცია.

პირველი შეხება კანონთან მას ჯერ კიდევ სტუდენტობისას მოუწია. უზარმაზარი ფიზიკური ძალით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ რამდენიმე მძლავრი მუშტი უთავაზა ტაქსის მძღოლს, რომელსაც ფული ეცოტავა... შალოლაშვილი ხულიგნობისთვის უნდა გაესამართლებინათ, მაგრამ სტუდენტს ლენინგრადის თეატრალური ინსტიტუტი გამოექომაგა და ნიჭიერი ახალგაზრდა კოლონიას გადაარჩინა.

რამდენიმე წლის შემდეგ ის მაინც გაასამართლეს (ქუჩაში უცნობ მანდილოსანს გამოესარჩლა და მთვრალი მამაკაცი სცემა) და სამი წელი მიუსაჯეს, თუმცა სანიმუშო ყოფაქცევისთვის მხოლოდ 14 თვე იჯდა ციხეში. ამასობაში მის ცხოვრებაში მეტად მძიმე ხანა დადგა — ცოლი გაშორდა, მოსკოვში ჩაწერაზე უარი უთხრეს, ყოფილ პატიმართან ურთიერთობას ბევრი გაურბოდა. მაშინ შალოლაშვილი სანდრო ტოვსტონოგოვმა, ცნობილი რეჟისორის შვილმა გადაარჩინა — 1975 წელს მან „შალიკა“ თბილისის გრიბოედოვის თეატრში მოიწვია. დაიწყო შალოლაშვილის შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდი. მის გარეშე არ იმართებოდა არც ერთი სპექტაკლი. მსახიობი მონაწილეობს მრავალსერიიან ფილმში „დათა თუთაშხია“ და სხვა მხატვრულ ფილმებში. 1980 წელს მას ლენინგრადის მცირე დრამატულ თეატრში იწვევენ. ყველაფერი საუკეთესოდ მიდის, სწრაფად იზრდება მსახიობის პოპულარობა და უცებ, კვლავ ციხე — ერთ-ერთ რეპეტიციაზე რეჟისორის თანაშემწემ უდიერად მოიხსენია ვლადიმირ ვისოცკი და შალოლაშვილის ვეება მუშტის წყალობით ღრმა ნოკაუტიც მიიღო...

1982 წელს ის საპატიმროდან გამოდის, მაგრამ კოლეგები, რომლებიც უწინ ლამის აღმერთებდნენ მას, ამჯერად ზურგს აქცევენ. თვით უახლოესი მეგობრებიც კი ერიდებიან. დიდი ხნის მანძილზე იგი უმუშევარია...

83-ში „შალიკა“ ისევ პოპულარულია, ოღონდ ამჯერად უკვე სხვა სამყაროში — კრიმინალურში. თავზეხელაღებული მკვლელები, ხულიგნები და კანონიერი ქურდები მას მოწიწებით ექცევიან. ადამიანთა გამტაცებლების ბანდაში კი არკადი შალოლაშვილს მხოლოდ სახელითა და მამის სახელით მიმართავდნენ...

გვერდი მოამზადა
მიხეილ ჩერქეზიამ

ცხოვრებისეული კურიოზები

ვანიკა და ივანიკა

ვანიკას მამა გარდაეცვალა, მოვიდა გასვენების დღე. მოდის სახლი. ვანიკა ჩუმადაა, ცდილას ხელს არომცეს დაინახა, რომ ოთახში შემოდგა მეგობრების ჯგუფი ივანკას ხელმძღვანელობით. ვანიკამ დაიწყო მოთქმით ტირილი: „მამაჩემო, შენ სჯობდა მართლდაგარე კაცი ყოფე, პურმარილი გეგულებინა სხვებისთვის და სახლშიც, ახლა ჩვენი ამხანაგები მოვიდნენ, შენ მასე არ იყოფოდი. ოჰ, შენდაბე- ოჰ, მამი, ადექი!.."

— ოჭეს, ინვეს, ნუ ანუხებ, — ცდილას გასაგონად ურჩია ივანკამ.

* * *

ვანიკას გულმკერდისა და მუცლის არეში ტკივილი პჭონდა, ძმაკაცმა ივანკამ ურჩია: „ჩემი აზრით, შენ ღვიძლი გტკივა და აუცილებლად უქიმი ეჩვენე". მივიდა ვანიკა უქიმთან. უქიმი ეკითხება, — რა განუხებთ, ბატონოო. ვანიკას დაბავიწყდა ღვიძლის სახელი. ბუერი ფიქრის შემდეგ „გაიხსენა":

— ბატონო უქიმო, ყაურიმა მტკივა.

შეკრო დოლიძე
სოფ. თბილისალი

„ისე — ჩვენში დარჩეს"

ამ რამდენიმე წლის წინ, ქუთაისის ნარმომადგენლობითი დელეგაცია საოპერაციო ცნობა მეგობრული ვიზიტით. თან შემოიტანეს ინტელიგენცია, თეატრის ნარმოდადგენელი ალილო.

საღონეგიანში კაზაკაში, მზიანი დღე იდგა. ქუთაისურები ქალაქში დაიფანტნენ.

— რამდენი ჯიხური ყოფილა აქაც, კაცო? აღბაკებს ვერ მაგლავს მნერალი ოტია ილორდავა.

— ავა? აბა! თლა ქუთაისივით არაა, კაცო? კვერს უკრავენ მნერალს თეატრის მსახიობები გიონ კაკაურიძე და გიონ ლეღვაძე.

— ქუთაისში ქე ვიღო შაშაუშიო ვლიბურვი, მარა აქაც თუ დვინყო „წვრდა", მაშინ ნანდი თქვე!! — ვერ ისვენებს ოტია.

სამეული ერთ მშვენიერ „სპორტულ" მაღაზიაში შეიდა. მაღაზიის კედლები აოასი ჯურის მსახიობი ქალების სურათებით იყო „აშმაღერებული".

ცოტა ხანს ხელებით საუბრის შემდეგ გიონები მიხედნენ, სადაც იმყოფებოდნენ, მიხედნენ და ერთმანეთს თვალება ჩაუკრეს ჩუმი ქარხალით.

— რა გაცინებთ თქვე? — დაექცდა მნერალი.

— ბატონო ოტია, ეს მაღაზია კაცების „სიხაროულია" ყოფილა.

— რანაა ასლა აქ სასინარულო? ქალების სურათების მეტი რაა ქუთაისში.

— არა, ბატონო ოტია, აქ გამაბერი ქალები იყიდება თურმე.

— გასაბერია ესეთი ქალი, ყველა ქვეყანაში. — არასოდეს არაფერი გვიკვირვებს ოტიას.

— არა, არა, აქ იყიდი მოწონებულ ქალს, მიიტანს სახლში (რეზინის ქალია), ვთქვათ, სოფი ლორენს, გაბერავ, ჩეიხვენ ლეგინში, არაფერზე ვარს არ გაგხარს, არც ბოძადა მოგეცინება, ავხსნეს გიონებმა.

ოტიამ ორ ლორენს „ხარკა" სიტუაცია და გაიცინა.

— რა ღირს მერე?

— 500 დოლარი, ბატონო ოტია.

მნერალი ჩაფიქრდა, გიონებში დაიხანარშა, რამდენი შრომა დასჭირდებოდა 500 დოლარისთვის და თავი გაიქნია.

— რაო, ბატონო ოტია, ცუდი რაბეა?

— რას ამბობთ, ბოძო, თქვე? 500 დოლარი თუ მაცდუო, რავა, ნამდვილი სიფი ლორენი მეტყვის ვარს?! გამოდით, კაცო, გარეთ!..

მურმან მერკვილიშვილი

„ჭორიან" ჯიხი იქნოროთ!"

ერთ ზაფხულს ბიძაშვილ-მამიდაშვილობა სოფელში, ბებია-ბებოუასთან ვიკენერებით. გადავწყვიტეთ, ოთხობაა ველოსიპედი. ვეფიქრე ჩვენს შორის ყველაზე პატარა, ხუთი წლის თეა ავირჩიეთ, დანარჩენები მეოთხეები ვიყავით. ბაირაზნების ფუძეზეიას სამი ცალი იატაკის სანმენდი ჯაგრის პარულები (ერთი საკუთარი, ორიც — მეზობლის ქალებისგან ნათხოვარი). დაიწყო თამაში და ერთერთი ბავშვი, როშელსაც მიკრაკის როლი დავკანისრეთ, მეფეს ეახლა ამბის შესატყობინებლად.

— მეფეო, მტერი შემოგვესია — მოახსენა მიკრაკმა მძრახებელს.

— თოფები ესროლეთ! — სამხრაფოდ გასცა ბრძანება მოხარჭმა.

— თოფები არა გვაქვს — უსასყიდლო დალონებულმა შეკრიბა.

— მაშინ „პოლის" ჯოხები ესროლეთ! — არ დაინმა გამჭრიახი მეფე.

კუკუზაკა, თბილისი

მყითხველის საყვარელი ანეკდოტი

— როგორ დაიძლაშებია კერძი, ქალო.

— რა უშავს, ძვირფასო, ამბობენ, ადამიანი წელინადში 3 კგ მარილს ჭამსო, წელინადებში, მზეო, და არა ერთ სადილზე...

მურმან მერკვილიშვილი



მიხო ორჯერ ფეხით კუნძულა ატლანტის დადგა აფხაზეთის ოთი რომ დაინყო, აიწია დედი, ომში უნდა წავიდე. ვერაფერით ვერ გადაათქმევინე. დედა ეჭვენება:

— მიხო, შვილო, ნუ ნახვალ, იქ სანაიერ გაანვალებ და აქ ჩვენი.

კრაზ დილომსკი, იგივე ნოშრე, ოლონდ ქალების სიამაყე

ორი მაგნუარა ერთმანეთს შეჭდა:

— ჩვენთან ისეთი სიცხეა, ჰაკლებს ფრთები ენვებათ — თქვა ერთმა.

— ჩვენთან ასეთ სიცხეში ქათამს ნაყინს ვაჭმევთ, რომ მობარშული კვერცხი არ დადოს — არ ჩამორჩა მეორე.

დაჩი ფიფიტ გალი

ალელვებული მამაკაცი შერბის იარაღის მაღაზიაში.

— დამბაჩა მინდა—

— ვინძეს მოკვლა ხომ არ გინდათ? — ეკითხება გამყიდველი.

— ვინძეს კი არა, სიფეხარს! — მაშინ ხვალ მოგრძანდით, ახლა ძალიან ალელვებული ხართ, შეიძლება აატეხინოთ.

ალელვებული ხართ, შეიძლება აატეხინოთ.
ფრიდონ თათრიშვილი

— როგორ მოგწონა სანაბოროუმში?

— შესანიშნავი იყო. ისე საშინლად გვაჭმევდნენ, როგორც იქნა, შვიდი კილო დავიკელი.



— უკაცრავად, ასოლარიანს ვერ დაბიხურდებით?

— ვერა, მაგრამ მაღლობელი კი ვარ, რომ ეგეთ კაცად მიმიჩნიეთ...

მურმან მერკვილიშვილი

ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს

ჯორჯ ჰიუიტი — აფხაზთა სიძე და... შეთავსებით კონსული

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ როდესაც ხდება დაპირისპირება ერებსა თუ რელიგიებს შორის, ის ხალხი, ვინც რომელიმე მხარესთან აიგივებს თავს, შესაბამის პოზიციაზე დგება და, თავისი უნარიდან გამომდინარე, ცდილობს წვლილი შეიტანოს გამარჯვებაში. ეს ლოგიკურია. მაგრამ არიან ისეთნიც, ვინც ობიექტური მსაჯულის ნიღაბამოფარებული „მოღვაწეობს" და სინამდვილეში მთელი სულით და გულით ერთ-ერთ მხარეზე დგას. რა მიზეზით? მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს: როგორც წესი, მოსყიდულია ან კონფლიქტის მხოლოდ ერთ მხარეს გაეცნო და ცხვირს ყოფს იმაში, რაზეც უმცირესი წარმოდგენაც არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს.

ასეთი „მსაჯული" ქართველებსაც გამოგვიჩნდა — ბატონი აფხაზთა სიძე — „მაგარი პროფესორი" — და საერთოდ დიდი უსინდისო — ჯორჯ ჰიუიტი. ამ კაცის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ალბათ ოდესმე ქართველი ფსიქოლოგები შემოგვთავაზებენ — მას ბავშვობაში სცემდნენ და ამცირებდნენ (სექსუალური ორიენტაციის ან უბრალოდ იმის გამო, რომ დებილი იყო), არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებდა და ეძებდა ხალხს, ვინც განადიდებდა ან უბრალოდ ტიპიური ცოლის ქუსლს ქვეშ მოქცეული საცოდავი ქმარია, როგორთა რაოდენობაც დღევანდელ მსოფლიოში არცთუ მცირეა... ერთი სიტყვით, ამ ასპარეზს ფსიქოლოგებს ვუთმობ. მე კი მისი „ნაღვაწის" შესახებ ინფორმაციას მოგაწვდით, ფრჩხილებში საკუთარი კომენტარით, რასაც ესოდენ „დიდი მეცნიერის" მიმართ, იმედია, მკრეხელობად არ ჩამითვლით.

ერთ-ერთ ნაშრომში (რომელსაც ინტერნეტში აფხაზთა გვერდზე საპატიო ადგილი უკავია) ჰიუიტი აღწერს, თუ რატომ გადაწყვიტა მოეკიდა ხელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საფუძვლების შესწავლისათვის: ამისკენ თურმე ორმა მიზეზმა უბიძგა: 1) დასავლეთის საზოგადოებამ არაფერი იცოდა კონფლიქტის მხარეების შესახებ (მას კი ყურებიდან გადმოსდიოდა ცოლეულების მოყოლილი და ტყუილად ხომ არ გადაღვრიდა) და 2) რათა მომხდარიყო ობიექტური და სამართლიანი შეფასება (ჰმ!...). ის თურმე სულ მალე მიხვდა, რომ ქართველები ფაქტებს ამახინჯებენ, სიმართლე კი აფხაზების მხარეზე იყო. დამამტკიცებელ საბუთს თუ იკითხავთ (უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიუიტი ბევრმა დასავლელმა ექსპერტმა გააკრიტიკა მისი საზიზღრად ცალმხრივი მიდგომის გამო და არგუმენტებიც მოჰკითხა), რკინის არგუმენტი აქვს — მან ქართული იცის და კითხულობს იმ მასალებს, რაზეც ხელი სხვებს არ მიუწვდებათ (ასწავლე ამისთანას ენა!).

ჰიუიტი ამხელს ქართველებს მხეცობაში აფხაზების მიმართ. ჩნდება კითხვა, აფხაზები როგორღა იქცეოდნენ? ჰიუიტს პასუხი მზად აქვს — თურმე აფხაზთა ხელისუფლება თავის ჯარს მოუწოდებდა ლმობიერად მოქცეოდა ქართველ ტყვეებს და არ დაეზარალებინა მშვიდობიანი მოსახლეობა (როგორ ასრულებდნენ ამ დირექტივას აფხაზები და ძმანი მათნი, ჩვენ ხომ მაინც ვიცით. მაგრამ საქმე ეს არ არის. ყურადღება მიაქციეთ — ქართველების საქციელის დასტურად ცალკეული ფაქტები მოჰყავს, აფხაზების შესახებ კი თვალის ასახვევად გაკეთებული პოპულისტური ოფიციალური განცხადებები). მაგრამ თურმე ჰიუიტი ამას გვაპატიებდა, მას სხვა რაღაც უკლავს გულს — რუსეთშიც კი აღმოჩნდა რამდენიმე ნამუსიანი კაცი, რომლებმაც დაგმეს თავისი მთავრობის საქციელი ჩეჩნეთში, „საქართველოში კი არ მოიძებნა არც ერთი მამაცი სული", რომელიც მსგავს განცხადებას გააკეთებდა!

ახლა კი ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი შეურაცხყოფის შესახებ, რაც კი ერს შეიძლება მიაყენო. ეს გამონათქვამი მხოლოდ იმიტომ მომყავს, რომ ეჭვი შემეპარა ჰიუიტის ნორმალურობაში. მოისმინეთ: თუ ქართველებს არ მოსწონთ მისი (ჰიუიტის) პოზიცია, „ისინი სე-

დავფიქრდეთ, ქართველებო: იქნებ ყველამ ერთად მოვუხადოთ ამ „მაგარ პროფესორს" ბოდიში?!

რიოზულად (!) უნდა დაუფიქრდნენ თავის საქციელს და გააკეთონ დასკვნა, თუ რა ჩაიდინეს ისეთი, რომ მიიღეს ასეთი პასუხი იმ კაცისაგან, ვინც 1975 წლიდან საქართველოს სპეციალისტი იყო?" (ვინც ვერ მიხვდით, განგიმარტავთ: ე.ი. ჩვენ (ქართველი ერი) უნდა ჩამოვსხდეთ და დავიწყოთ სერიოზული (თვითონ რომ წერს „სერიოზულიო"!) ფიქრი, იმაზე თუ რით გავანაწყენეთ ჰიუიტი. როდესაც ამას გავაკეთებთ, მაშინ მივხვდებით, რომ ქართველი ერი ცდებოდა, ჰიუიტი კი მართალი იყო და ბოდიშს მოვუხდით. ის ცოტათი დაგვსჯის (ვთქვათ, კუთხეში დაგვაყენებს), მერე გვაპატიებს და კვლავ გახდება საქართველოს სპეციალისტი. ის ხაზს უსვამს, რომ კარგად იცნობს საქართველოს, ვინაიდან 1975 წელს ის რუკაზე იპოვა. სად ეს 24 წელი და სად ის რაღაც 5000, რაც ქართველები აქ (მ.შ. აფხაზეთში) ვცხოვრობთ. მან უკეთ არ იცის, ჩვენი ავანჩავანი?

ჰიუიტს თავისი პოზიციის გასამყარებლად „ისტორიული დოკუმენტებიც" მოჰყავს. სკპ ცკის დადგენილებების გარდა (1921-1931 წწ-ში აფხაზეთის ცალკე რესპუბლიკად არსებობის შესახებ), ამ საუკუნის 20-იანი წლების ინგლისელი მოგზაურის, ვინმე კარლ ბექჰოფერის ჩანაწერებსაც იმოწმებს. აი, რას წერდა ეს ჰიუიტისაგან პატივცემული გვამი: „დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა (1918-1921 წწ) მარად დარჩება ჩემს მეხსიერებაში, როგორც კლასიკური მაგალითი მცირე ერისა, რომელიც იმპერიალისტურად იყო განწყობილი გარეთ ახალი ტერიტორიების შეძენის და ქვეყნის შიგნით ბიუროკრატიული ტირანიის თვალსაზრისით. მისი შოვინიზმი ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა". სანამ სირცხვილით ატირდებოდეთ, შეგახსენებთ, რომ ეს ის პერიოდია, როცა ინგლისის ჯარები ინდოეთში, ჩრდილოეთ თუ სამხრეთ აფრიკაში, ჩინეთსა და ავღანეთში ადგილობრივ ერთა მხრიდან საკუთარი არსებობის ყოველგვარ გამოვლინებას ისეთ სისხლში ახრჩობდნენ, შაჰ-აბასსაც შეშურდებოდა. სწორედ იმ პერიოდში, როცა აფხაზეთში გენერალ მაზნიაშვილის რაზმი შევიდა (რამაც გამოიწვია ინგლისელი მოგზაურის აღშფოთება), ირლანდიაში აჯანყება მიმდინარეობდა და ინგლისის ჯარი ეგზეკუციას ატარებდა (სხვათა შორის, ისინი ბევრად ნაკლები წარმატებით მოქმედებდნენ, ვიდრე ქართველები — ირლანდიელთა „მფრინავმა კოლონებმა" ინგლისელებს კუდით ქვა ასროლინეს და 1921 წელს სამხრეთ ირლანდიის დამოუკიდებლობას მიაღწიეს), ხოლო შეპყრობილ ამბოხებულებს გაუსამართლებლად სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ. ამ ფონზე მოგზაურს გული მოუკვდა „იმპერიული ერის" ხილვისას, იმ ოჯახაშენებულს სარკე არ ჰქონდა?

ჰიუიტი სიამაყით იმეორებს აფხაზების გაცვეთილ არგუმენტს: სსრკ-ის შემადგენლობაში აფხაზეთი თურმე ცალკე რესპუბლიკად შევიდა (მერე რას გვეუბნება ეს ფაქტი, გარდა იმისა, რომ რუსებს საქართველოს დასუსტება და მისთვის ტერიტორიების წართმევა უნდოდათ? თუ რუსეთი აფხაზი ეთნოსის ბედმა შეაწუხა? კია ცნობილი, როგორ აწუხებდა ამ ხალხს მცირე ერების ბედი. ეს აფხაზებმა რუსების მიერ დედაბუდიანად ამოჟლეტილ თავის მონათესავე უბიხებს და შაფსუგებს ჰკითხონ, თუკი ერთს მაინც იპოვიან).

თურმე სტალინი და ბერია იმიტომ ჩაგრავდნენ აფხაზებს, ქართველები რომ იყვნენ (ჩვენ ხომ სულ თავზე ხელს გვისვამდნენ და გვეფერებოდნენ). მათი სიკვდილის შემდეგ კი აფხაზების მდგომარეობა გაუმჯობესდა. არ იკითხავთ ეს რაში გამოიხატებოდა? თურმე ქართული ანბანი, რომლის გამოყენებასაც აიძულებდნენ აფხაზებს, სხვა ანბანით შეიცვალა („სხვა" რა უბედურებაა, რუსულით-თქვა, შე კაცო! ისე, არ მესმის საკუთარი ანბანის არქონის პირობებში რატომ ერჩიათ აფხაზებს რუსული ანბანი ქართულს — უფრო ძველია, უფრო ლამაზი ასოები აქვს თუ უფრო მეტი?).

ადრეც ვთქვი, რომ უსინდისო პოზიციის გამო ჰიუიტი ბევრმა გააკრიტიკა. მათ შორის აღვნიშნავდი ასევე ინგლისელ მეცნიერს — სტეფან ჯოუნსს. ის იმიტომაც ამოვირჩიე, რომ არ იფიქროთ, თითქოს ყველა ინგლისელი ჰიუიტს ჰგავს. მოვიყვან ციტატას მისი კრიტიკული წერილიდან:

„ჯ. ჰიუიტის წერილი საერთოდ არ იყო გამოსაქვეყნებელი. მართალია, სტატია მეტ-ნაკლებად აზრიანად იწყება, მაგრამ შემდეგ უკვე დაბოლმილ ანტიქართულ ტრაქტატად გადაიქცევა. სირცხვილია, რომ ბრიტანელი მეცნიერი ამ ტრაგიკულ კონფლიქტში ასეთ ცალმხრივ პოზიციას იკავებს. ის ეყრდნობა რუს დამკვირვებელთა მონაცემებს, რომელთა ობიექტურობაში სერიოზულ ეჭვს შევიტანდი (ამაზე ჰიუიტმა დამცინავად უპასუხა, რომ რუსების მონაცემებს საერთოდ არ გავცნობივარ და როგორ დავეყრდნობოდიო. მე მჯერა მისი, რაში სჭირდებოდა რუსები, როცა მთელ „ობიექტურ" და „მიუკერძოებელ" ინფორმაციას პირდაპირ ნათესავებისაგან იღებდა!). მისი ენა შეურაცხმყოფელია. ქართველები დადანაშაულებული არიან „ძარცვა, გაუპატიურება, წამებასა და ყლეტაში", ხოლო აფხაზები თურმე თავის მებრძოლებს ახსენებდნენ მათ მორალურ ვალს, „არ მიეყენებინათ ზიანი მათთვის, ვინც იარაღს დაყრიდა". არადა, ცნობილია, რომ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის ორივე მხრიდან დიდი იყო. ჰიუიტი სწორედ რომ საბჭოთა ტერმინებით აკრიტიკებს „შევარდნაძის დასავლელ მეგობრებს", „მოსყიდულ დასავლელ ჟურნალისტთა ხროვას". მერე კი წერს, „აფხაზეთში ახლა მშვიდობაა, მაგრამ საჭირო გახდა ზოგიერთ სოფელში წინააღმდეგობის კერების ჩახშობა". იმას კი აღარ გვიხსნის, თუ რატომ ეშინია 250.000 ქართველ დევნილს შინ დაბრუნება. თუმცა მას ალბათ ამისთვისაც აქვს ისეთი არგუმენტი, როგორიც აფხაზეთის პატივცემულ კონსულს შეეფერება".

თუმცა ჰიუიტს ერთი ყურადსაღები ჭეშმარიტება მაინც წამოსცდა — „ქართველებს თანდაყოლილი ნიჭი აქვთ ითამაშონ დადგენილი წესებით (თუნდაც სხვის მიერ დადგენილი) და გაიმარჯვონ". თუნდაც ასე. საწყენი ამაში არაფერია. ვისი და ჩვენი დანაშაული ამაში ყველაზე მცირეა. ქართველები მეტად მცირე ერი ვართ იმისათვის, რომ მსოფლიოს საკუთარი წესები მოვახვიოთ თავს. ახალმა ეპოქამ ახალი თამაში შემოგვთავაზა ახალი წესებით. თუ ნახსენებ ნიჭს სწორად გამოვიყენებთ, ამ თამაშშიც გავიმარჯვებთ და ჰიუიტის მსგავსი ჭკუის დამრიგებლებისგანაც მოვისვენებთ.

კახა აფციაური

აფხაზური სცენარი კოსოვოსთვის

ედუარდ შევარდნაძემ კვლავ მიმართა გაეროს აფხაზეთში „ცისფერჩაფხუტიანების" შეყვანის შესახებ, რადგან რესპუბლიკაში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ჯარები თავიანთ მოვალეობას ვერ ასრულებენ, ვერ უზრუნველყოფენ ქართველ რეპატრიანტთა დაცვას. საქართველოს ხელისუფლების დემარშმა კრემლის მწვავე რეაქცია გამოიწვია. დსთ-ის საკითხებში რუსეთის მინისტრმა ლეონიდ დრაჩევსკიმ წინადადება წამოაყენა სასწრაფოდ დაწყებულიყო აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების გამოყვანა. ეტყობა, საქართველოს ლიდერმა, უბრალოდ, მოსკოვზე მორიგი ზეწოლა მოისურვა. ისიც ნათელია, რომ დღეს, როდესაც დასავლეთი უშედეგოდ ცდილობს კოსოვოს კრიზისის მოგვარებას, საერთაშორისო საზოგადოებრიობა ვერ წავა კიდევ ერთ ძვირადღირებულ და თანაც საეჭვო სამშვიდობო ოპერაციაზე. რუსეთის „ცისფერჩაფხუტიანების" გამოყვანა ნიშნავს (ოფიციალური თბილისის სურვილის მიუხედავად) აფხაზეთში ახალი ომის დაწყებას. აფხაზებს კვლავ ჩრდილოკავკასიელი ჩეჩენი მოხალისეები დაეხმარებიან, რომლებსაც მონატრებული აქვთ „ნამდვილი ომი" და რომლებმაც შავიზღვისპირეთის რესპუბლიკების ომში დიდი სამხედრო გამოცდილება მოიპოვეს; და მაინც, ისეთი ეშმაკი და პრაგმატული პოლიტიკოსი, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა, არასოდეს წავა მსგავს ავანტიურაზე. ისმის კითხვა: თუკი მოხდება სასწაული და გაერო თავის სამშვიდობო ჯარებს გაგზავნის აფხაზეთში, ეშველება კონფლიქტის რეგულირებას? უდავოა, რუსეთის სამშვიდობო ჯარები ვერ უზრუნველყოფენ ქართველების მასობრივ დაბრუნებას აფხაზეთში და გამოდის, რომ ფაქტობრივად, ეხმარებიან თვითმარქვია სახელმწიფოს აღიარებას. კორესპონდენტთან კერძო საუბარში ჯარისკაცებმა აღიარეს, რომ ვერ იცავენ ქართველ რეპატრიანტებს. ხოლო თუკი ბანდიტებს დაიჭერენ, ისინი ვალდებულნი არიან, გადასცენ აფხაზეთის ხელისუფლებას. ხელისუფლების წარმომადგენლები კი მათ მაშინვე უშვებენო. ეს ყველაფერი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში არის თუ არა კრემლი დამნაშავე? სიტუაციის რეალური კონტროლისათვის, საერთაშორისო ჯარებმა სამშვიდობო კი არა, პოლიციელთა ფუნქცია უნდა შეასრულონ, მაგრამ სამშვიდობო ჯარების სტატუსი არ აძლევს მათ ასეთ სრულუფლებიანობას: „ცისფერჩაფხუტიანებმა" უნდა განაშორონ მოწინააღმდეგე მხარეები. ფაქტი ყოველთვის ერთი შედეგით მთავრდება: შეიარაღებული ფორმირებების ერთ-ერთი მხარე ტოვებს რეგიონს და შესაბამისად, მეორე რჩება ამ რეგიონის ბატონ-პატრონი. სწორედ კოსოვოს ახლანდელი სიტუაცია მოგვაგონებს აფხაზეთის მოვლენებს: მეტროპოლიის ჯარები ტოვებენ რეგიონს, ხოლო სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირებები აძევებენ „იმპერიული" ერის წარმომადგენლებს და ქმნიან მონონაციონალურ ეთნიკურ სახელმწიფოს. ვაშინგტონი ილუზიებს არც ქმნის „ცისფერჩაფხუტიანთა" მოქმედების ზონაში პოლიეთნიკური შემადგენლობის შენარჩუნებაზე. ამის თვალსაჩინო მაგალითია ბოსნია, რომელიც დაიყო სერბულ, ხორვატულ და მუსულმანურ სექტორად და თითოეულ მათგანში ნაძალადევად მიაღწიეს მოსახლეობის მონონაციონალურ შემადგენლობას.

ნეზავისიმაია გაზეტა №125

არც ამერიკას ვთავაზობთ ჩვენს თავს და არც სხვას...

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე ერთი კვირა იმყოფებოდა ვიზიტით აშშ-ში. მისი მახვილი თვალისთვის ალბათ, განსაკუთრებით შესამჩნევი იყო კონტრასტი ვაშინგტონის ხაზგასმით მეგობრულ დამოკიდებულებას, ამერიკულ-ქართული ურთიერთობათა განვითარების სურვილსა და თბილისის მიმართ რუსეთის ნაკლებგონიერ პოლიტიკას შორის.

რუსეთის მიმართ სახელმწიფო მინისტრს საკმაო პრეტენზია აქვს: მხოლოდ საქართველოდან რატომ გაიტანეს მთელი მძიმე სამხედრო ტექნიკა, რატომ გაიყვანეს ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან გემები და ამასთან, შავი ზღვის ფლოტის გაყოფასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებაში მონაწილეობაზეც უარი უთხრეს. რატომ არ არის რუსეთი დაინტერესებული საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობით?

მე მიმაჩნია, რომ ასეთი დაბალი მაჩვენებლები ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში არანორმალურია, — განუცხადა ვაჟა ლორთქიფანიძემ ვაშინგტონში „სეგოდნიას" კორესპონდენტს. იგონებენ რაღაც სრულიად უსაფუძვლო ბარიერებს თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლის ნაცვლად. ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძის თქმით, საქართველოს უამრავი ბიზნესმენი და კომპანია მოაწყდა ამერიკიდან, გერმანიიდან, იაპონიიდან. რუსეთი რატომ არ იჩენს ასეთ ინტერესს? ჩვენ არც ამერიკას ვთავაზობთ ჩვენს თავს და არც სხვას. კატეგორიულად არ ვეთანხმებით იმ აზრს, თითქოს საქართველომ ვიღაცას უღალატა და სადღაც წავიდა. განა რუსეთი არ ცდილობს ამერიკასთან თანამშრომლობას? რა თქმა უნდა. მაშ, ასე მტკივნეულად რატომ განიცდის, როცა იმავეს ჩვენც ვაკეთებთ? ბატონმა ვაჟამ ისიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის გარეშე შეუძლებელია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება და იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის მინისტრთა ახალი კაბინეტის მოქმედება უფრო მობილური გახდება საქართველოს მიმართ.

ამერიკაში ვიზიტის შემდეგ სახელმწიფო მინისტრი რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელთან ს. სტეპაშინთან შეხვედრას გეგმავს.

სეგოდნია №154

დამცავი ჟალუზები
ვიტრინები
რკინის კარები
გისოსები
ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №5
☎34-33-24

იაფად და ხარისხიანად!
დაგიმზადებთ:
ფარდა-ჟალუზს; ლითონის კარს — 350 ლარი; „გარმოშკას", 1კვ.მ — 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ — 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ — 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი; ავტოფარეხს.
მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.
ტელ: 63-67-52; 63-53-05; 877-41-87-75

ვაკეთებთ რბილი ავეჯის რესტავრაციას
☎777-666
ნებისმიერ დროს
კონსულტაცია უფასოა
შესაძლებელია ბინაზე გამოძახება

ს/ს „მშენებლოსანი"
სახლების მშენებლობა გასაღების ჩაბარებით; ყოველგვარი მინისქვეშა სამუშაოები; გრანიტის დამუშავება; საკესლე ბლოკებისა და ზემირქვლის ქვების დამზადება; სხვა კონსტრუქციები მოთხოვნილების მიხედვით
სამუშაოები წარმოებს მაღალი ხარისხით და შეღავათიან ფასებში.
მის: წერეთლის გამზ. №57
☎34-82-30; 34-14-81

თარაზულად:

7

ჟანრი შუა საუკუნეების ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია პუნქტების წიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიური ასახვა

8

მეფის გვარდიელი

10

მაცდური ხილი

11

დისტანციების სახელწოდება, რომელთა სტარტიც სურათზეა

12

მოედანი აღლუმებისა და სამწყობრო ვარჯიშებისათვის

16



რელსის ნაირსახეობა

18

წონითი კატეგორია ჭიდაობაში

19

ქარელის მინაგ. უბ.

ბელესო, /საყვარელო ქართელის მინაგ. /ზეციწმინდა ცრემლითა დიად მზეს და /ჩვენს აღსაფერ დროშას ეფიცაც (ლიტ. სახელი)

20

1901 — „ვერცხლის სიმები", 1911 — „პირველი განცდები", 1922 — ნოველების კრებული „ამოკი", 1941 — „საბედისწერო ნოველა" (ავტორი)

21

შენირბული დაცინვა

25

ექიმის სპეციალობა

26

1968 ჰაინსი 9,99
1991 ლუისი 9,86
1999 ? 9,79

27

პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა მიზნებით სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლებული

32

მგალობელი

33

პროფესია

34

უჭკნობი გვირგვინის მასალა

35

რაიმე დამანგრეველი ძალის თავზე ან მის ქვეშ მოთავსებული ადგილი

36

მოხსენების მოკლე ჩანაწერი

შვეულად:

1

ნადავლის სამახსოვრო ფიგურა

2

3

სურათის პირველი ფენა

4

სამხედრო ფორმის ქუდთუჯი

5

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი

6



გადამდები დაავადება, რომელიც ადამიანსაც არ ინდობს

9



სამაგრი

13



ორი ან რამდენიმე ასოსაგან შეთხზული ნიშანი (ნახატი)

14

პარი, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ეძლევა

15

ხელის ნაწილი

17

ფრანგი კინომსახიობი

22

ფეხბურთელი

23

საათის მსუბუქსართი მექანიზმი

24

დახურული ტიპის სანგელური, სადაც მოკვეთენ ცხოვრობენ

28

ცხენის ნაშიერი

29

შვეიცარების, ლატვიის, მეიტლენდის ფორმის ტანსაცმელი

30

ესპანელი მამისა და ინდიელი დედის შთამომავალი

31



კომეტა, რომელიც 75 წელიწადში ერთხელ გამოჩნდება დედამიწის თავზე



კროსვორდი შედგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა" №28 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. დისპანსერია; 8. კორედი; 9. პრელუდი; 10. გრიბოედოვი; 13. ფრიდონი; 17. შარითი; 19. ლეკერია; 20. ბრაგინსკაია; 21. ატრაქციონი; 24. სპანელი; 26. იპრიტი; 27. ოტარე; 30. კამპანელა; 33. ონდატრა; 34. ეკიპაჟი; 35. ანეროიდებში.

შვეულად: 1. არისტოკრატი; 2. დეფო; 3. სტერი; 4. ნერონი; 5. „აიდა"; 6. ტრონადო; 7. ანტანტა; 11. ამონიტაჟი; 12. გალერეტკაია; 14. რეფერენი; 15. კორეტი; 16. ბრეტელი; 18. თორნიე; 22. ამოკალიფსი; 23. არისტოკრატი; 25. პარიაჟი; 28. თანონიკა; 29. გალეოტა; 31. ალდან; 32. ბაკი.

პრესის გავრცელების სააგენტო „ელსპრესი" აგრძელებს ხელმოწერას ჟურნალ-გაზეთებზე და გთავაზობთ: ქართულ, რუსულ, დასავლეთევროპულ და ამერიკულ გამოცემებს ფართო არჩევანს. კერძო პირთათვის მიწოდების ფასდაკლების სისტემა. „ელსპრესი" ტელ: 93-66-78, 96-23-11. გამოიწერეთ „კვირის პალიტრა"

ანონსი

22.45 „იმიჯი?, დოლა" აშშ

20.35 „შერლოკ ჰოლმსი და დოქტორ ვატსონი" რუსეთი

22.00 „ცხოვრების შემდეგი..." აშშ

ორშაბათი, 19 ივლისი

1 არხი 16.00, 19.00, 01.20 Новости. 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.40 Мультфильм. 16.55 "Звездный час". 17.30 "... До 16 и старше". 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 19.15 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.15 "Мы". 21.00 Сериал "МИСС МАРПЛ". "НЕМЕЗИДА". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ДОСТУЧАТЬСЯ ДО НЕБЕС". 23.25 Открытие Московского кинофестиваля. 01.35 Х/Ф "ЗНАКОМЬТЕСЬ, БАЛУЕВ!".

РТР 17.00 Док. фильм "Думбо". 17.15 "Музыка, музыка..." 17.30 "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 18.00, 21.00, 1.05 ВЕСТИ 18.30 БАШНЯ. 19.10 "Гомеопатия и здоровье" 19.15 Х/Ф "БЛАГОЧЕСТИВАЯ МАРТА". 20.25 "Диалоги о рыбалке" 21.40 ПОДРОБНОСТИ 21.50 "Любовь с первого взгляда" 22.20 Х/Ф "МУЖСКАЯ КОМПАНИЯ" 23.45 АКУНА МАТАТА 00.50 "Дежурная часть" 01.35 "Автомотоспорт - летнее кольцо".

НТВ 08.00 Сегодня утром. 10.10, 23.45 Мир кино. "СОЛДАТЫ УДАЧИ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.20 Вчера в "Итогах". 12.15 Куклы. 12.30 Итоги. Ночной разговор. 13.30 Х/Ф "ДВА КАПИТАНА". 15.30 "Дело хозяйское". 16.00 Мультфильм 16.20, 0.40 Сегодняшко. 17.30 Сериал "НЬЮ-ЙОРК. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ПАРК". 18.25 Впрок. 18.50 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 19.40 Криминал. 20.40 Х/Ф "ТРИ ТОПОЛЯ" НА ПЛЮЩИХЕ". 22.10 "Намедни-61". 22.30 "Итого" с Виктором Шендеровичем. 01.20 Криминал. 01.35 "Антропология".

TV6 09.05 18.25, 1.10 Диск-канал. 09.40, 19.15, 0.35 Дорожный патруль. 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00 ТСН-6. 10.10, 0.55 Те Кто. 10.25 "Звезды о звездах". 10.50, 13.35, 15.50, 16.10 Телемагазин. 11.00 Аналитическая программа "Обозреватель". 12.10 Скандалы недели. 12.35 Обоз. 14.10 "Пальчики оближешь". 14.355 Сериал "НАЙТМЕН". 15.20 "Вы - очевидец". 16.40 Сериал "ПРОСТО МАРИЯ". 17.30 Мультсериал. 17.55 Сериал "ГОТОВЫ ИЛИ НЕТ". 19-я серия. 19.30 Сериал "ГРЕЙС В ОГНЕ II". 19.55 Сериал "ДИНАСТИЯ II. СЕМЬЯ КОЛБИ". 21.00 Новости дня. 21.30 "Президентские гонки". 22.25 В мире людей. 22.55 Х/Ф "ПОВЕЛИТЕЛЬНИЦА МОЛНИЙ". 00.45 Шесть новостей дня.

*იბეჭდება ინფორმაციის ნებართვით

სამშაბათი, 20 ივლისი

1 არხი 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.45 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 12.15 "Смехопанорама". 12.50 Домашняя библиотека. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.05 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.40 Мультфильм. 16.50 "Счастливый случай". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.10 "Как это было". 21.00 Сериал "МИСС МАРПЛ". "НЕМЕЗИДА". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ДВА ФЕДОРА". 00.15 Сериал "САМОЗВАНЦЫ - "АЛЕКСЕЙ I". 00.55 Сериал "ТЕМНЫЕ НЕБЕСА". 02.00 Х/Ф "КРЕПОСТЬ ОТЧАЯННЫХ".

РТР 08.00 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 11.10 "МИЛЕДИ". Сериал. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.20 ВЕСТИ 12.35 "МАЛЕНЬКИЙ БРОДЯГА". 13.30 "Моя семья". 14.30, 2.00 "Магазин на диване". 15.30 "АНТОНЕЛЛА". 16.25 "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.15 "Музыка, музыка..." 17.30 "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 18.30 БАШНЯ. 19.10 "Гомеопатия и здоровье" 19.15 Х/Ф "БЛАГОЧЕСТИВАЯ МАРТА". 20.35 "Русский бизнес" 21.40 ПОДРОБНОСТИ 21.55 "Аншлаг" представляет. 22.30 Х/Ф "УБИТЬ ШАКАЛА" 00.00 "Урмас Отт с ..." 01.05 "Дежурная часть" 01.50 "Славянский базар". Дневник фестиваля.

НТВ 08.00 Сегодня утром. 10.10, 23.45 Сериал "СОЛДАТЫ УДАЧИ" (США). 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.20 Х/Ф "ТРИ ТОПОЛЯ" НА ПЛЮЩИХЕ". 12.40 Мультфильм. 12.25 "Я и моя собака". 13.30 Х/Ф "ДВА КАПИТАНА". 15.30 Сериал "ДОКТОР КУИН, ЖЕНЩИНА-ВРАЧ" (США). 16.20, 0.40 Сегодняшко. 17.30 Сериал "НЬЮ-ЙОРК. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ПАРК". 18.25 Впрок. 18.50 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 19.40, 01.20 Криминал. 20.40 Х/Ф "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН". 22.00 "Намедни-62". 22.40 Куклы. 01.35 "Антропология".

TV6 07.55, 14.10 День за днем. 09.45, 19.20, 0.30 Дорожный патруль. 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00 ТСН-6. 10.10, 0.55 Те Кто. 10.25 Юмористическая программа "Бис". 10.50, 11.50, 13.45, 16.30 Телемагазин. 11.00 Сериал "ДИНАСТИЯ II. СЕМЬЯ КОЛБИ". 12.10 Х/Ф "КРАЖА 10000 ДОЛЛАРОВ". 16.10 Знак качества. 16.20 Мир чудес Анжелики Эффи. 16.40 Сериал "ПРОСТО МАРИЯ". 17.30 Мультсериал. 17.55 Сериал "ГОТОВЫ ИЛИ НЕТ". 18.25, 1.10 Диск-канал. 19.30 Сериал "ГРЕЙС В ОГНЕ II". 19.55 Сериал "ДИНАСТИЯ II. СЕМЬЯ КОЛБИ". 21.00 Новости дня. 21.30 Сериал "МИСТЕР БИН". 22.30 В мире людей. 23.00 Х/Ф "БЛОНДИНКА ИЗ ПЕКИНА". 00.45 Шесть новостей дня. 01.40 Сериал "ДНЕВНИКИ КРАСНОЙ ТУФЕЛЬКИ". 02.05 Сериал "ГРЕЙС В ОГНЕ II".

ოთხშაბათი, 21 ივლისი

1 არხი 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.55 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Каламбур". 11.50 Мультфильм. 12.00 Домашняя библиотека. 12.10 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.05 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.05 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Классная компания". 17.05 Зов джунглей. 17.30 "... До 16 и старше". 19.20 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.15 "Человек и закон". 21.00 Сериал "МИСС МАРПЛ". "ТОЧНО ПО РАСПИСАНИЮ". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ДЕЙСТВУЙ, СЕСТРА!". 00.30 Сериал "САМОЗВАНЦЫ - "АЛЕКСЕЙ I". 01.05 Сериал "ТЕМНЫЕ НЕБЕСА". 02.10 Х/Ф "КРЕПОСТЬ ОТЧАЯННЫХ".

РТР 08.00 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 11.10 "МИЛЕДИ". Телесериал 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.25 ВЕСТИ 12.35 "МАЛЕНЬКИЙ БРОДЯГА". 13.30 "Моя семья". 14.30, 2.35 "Магазин на диване" 15.30 "АНТОНЕЛЛА". 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.15 "Музыка, музыка..." 17.30 "Позвоните Кузе". 18.30 БАШНЯ. 18.55 Футбол. Чемп. России. "Динамо" - "Торпедо". 21.40 ПОДРОБНОСТИ 21.55 САМ СЕБЕ РЕЖИССЕР 22.25 "Славянский базар в Витебске". Открытие. 00.05 "Площадь звезд-99" 01.10 "Дежурная часть" 01.55 "Славянский базар". Дневник фестиваля. 02.05 АВТОШОУ

НТВ 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 17.30 Сериал "НЬЮ-ЙОРК. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ПАРК". 18.25 Впрок. 18.50 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 19.40, 01.20 Криминал. 20.40 "Профессия - репортер". 21.00 Футбол. Чемп. России. "Шинник" - "Спартак". 10.10, 23.45 Сериал "СОЛДАТЫ УДАЧИ" (США). 01.35 "Антропология". 02.20 "Футбольный клуб".

TV6 16.00, 19.00 ТСН-6. 16.10 Знак качества. 16.20 Телемагазин. 16.40 Сериал "ПРОСТО МАРИЯ". 17.25 Мультсериал. 17.55 Сериал "ГОТОВЫ ИЛИ НЕТ". 21-я серия. 18.25, 0.30 Диск-канал. 19.20, 23.55 Дорожный патруль. 19.30, 1.35 Сериал "ГРЕЙС В ОГНЕ II". 19.55 Сериал "ДИНАСТИЯ II. СЕМЬЯ КОЛБИ". 21.00 Новости дня. 21.30 Ток-шоу. "Я сама". 22.30 В мире людей. 23.00 Сериал "ЗОВ УБИЙЦЫ": "ИГРА В ПРЯТКИ". 00.10 Шесть новостей дня. 00.15 Те Кто. 01.05 Сериал "ДНЕВНИКИ КРАСНОЙ ТУФЕЛЬКИ".

ხუთშაბათი, 22 ივლისი

1 არხი 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.50 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Джентльмен-шоу". 11.50 Мультфильм. 12.05 Домашняя библиотека 12.15 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "СТАВКА БОЛЬШЕ, ЧЕМ ЖИЗНЬ". 15.05 Мультсериал. 15.30 "Вместе". 16.15 Сериал "ГАРРИ - СНЕЖНЫЙ ЧЕЛОВЕК". 16.45 "Возможно все!". 17.00 "Улица Сезам". 17.30 "... До 16 и старше". 19.15 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.20 "Чтобы помнили". 21.00 Сериал "МИСС МАРПЛ". "ТОЧНО ПО РАСПИСАНИЮ". 22.00 Время. 22.50 Х/Ф "ЭТО НЕ Я, А ОН!". 00.30 Сериал "САМОЗВАНЦЫ - "АЛЕКСЕЙ III". 01.00 Сериал "ТЕМНЫЕ НЕБЕСА". 02.05 Х/Ф "ТОВАРИЩ НА ЛЕТО".

РТР 08.00 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 11.10 "МИЛЕДИ". Сериал 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.00 ВЕСТИ 12.35 "МАЛЕНЬКИЙ БРОДЯГА". 13.30 "Моя семья". 14.30, 1.40 "Магазин на диване" 15.30 "АНТОНЕЛЛА". Сериал 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.15 "Музыка, музыка..." 17.25 "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 18.30 БАШНЯ. 19.00 "Славянский базар в Витебске". День культуры Украины. 20.25 Сериал "ДА, ГОСПОДИН ПРЕМЬЕР-МИНИСТР!". 21.40 ПОДРОБНОСТИ 21.55 "Два рояля". 22.45 Х/Ф "КОРИУЭЛЬСКАЯ ТАЙНА". 23.50 "Слушается дело". 00.45 "Дежурная часть" 01.30 "Славянский базар". Дневник фестиваля.

НТВ 08.00 Сегодня утром. 10.10, 23.45 Сериал "СОЛДАТЫ УДАЧИ" (США). 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.20, 20.40 Х/Ф "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН". 12.35 Мультфильм. 13.30 Х/Ф "ДВА КАПИТАНА". 15.30 Сериал "ДОКТОР КУИН, ЖЕНЩИНА-ВРАЧ" (США). 16.20, 0.40 Сегодняшко. 17.30 Сериал "НЬЮ-ЙОРК. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ПАРК". 18.25 Впрок. 18.50 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 19.40, 01.20 Криминал. 22.00 "Намедни-63". 22.35 Профессия репортер. 01.35 "Антропология".

TV6 16.00, 19.00 ТСН-6. 16.10 Знак качества. 16.20 Телемагазин. 16.40 Сериал "ПРОСТО МАРИЯ". 17.30 Мультсериал. 17.55 Сериал "ГОТОВЫ ИЛИ НЕТ". 18.25, 0.30 Диск-канал. 19.20, 23.50 Дорожный патруль. 19.30, 1.30 Сериал "ГРЕЙС В ОГНЕ II". 19.55 Сериал "ДИНАСТИЯ II. СЕМЬЯ КОЛБИ". 21.00 Новости дня. 21.30 О.С.П.-студия. 22.25 В мире людей. 23.00 Сериал "ВАВИЛОН 5". 00.05 Шесть новостей дня. 00.15 Те Кто. 01.05 Сериал "ДНЕВНИКИ КРАСНОЙ ТУФЕЛЬКИ".

პარასკევი, 23 ივლისი

1 არხი 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.40 Новости. 10.15, 18.00 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 "Маски-шоу". 11.40 Смак. 12.00 Мультфильм. 12.10 Сериал "ЗВЕЗДНЫЕ ВОИНЫ". 13.15 Телеканал "Добрый день". 13.55 Х/Ф "САЖЕНЦЫ". 15.30 "Вместе". 16.15 Х/Ф "ПУТЕШЕСТВИЕ НЕТТИ ГАНН". 19.20 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 20.15 Док. фильм "Дневник убийцы. Дело 1996 г.". 20.45 "Ералаш". 21.00 "Поле чудес". 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ДВОЙНОЙ УДАР". 00.10 "Женские истории". Л. Кучма. 00.55 Х/Ф "ШЕПОТ".

РТР 08.00 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 11.10 "МИЛЕДИ". Сериал 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.10 ВЕСТИ 12.35 "МАЛЕНЬКИЙ БРОДЯГА". 13.30 МОЯ СЕМЬЯ 14.30, 1.50 "Магазин на диване" 15.30 "АНТОНЕЛЛА". Сериал 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.15 "Музыка, музыка..." 17.25 "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 18.30 БАШНЯ. 19.00 "Гомеопатия и здоровье" 19.05 Х/Ф "ПЕРВАЯ ЛАСТОЧКА" 20.25 Сериал "ДА, ГОСПОДИН ПРЕМЬЕР-МИНИСТР!". 21.40 ПОДРОБНОСТИ 21.55 "Городок". 22.30 Х/Ф "ЗЕМНЫЕ ДЕВУШКИ ЛЕГКО ДОСТУПНЫ". 00.20 "Подиум д'Арт". 00.55 "Дежурная часть" 01.40 "Славянский базар". Дневник фестиваля.

НТВ 08.00 Сегодня утром. 10.10 Сериал "СОЛДАТЫ УДАЧИ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.20 Х/Ф "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН" "КРОВАВАЯ НАДПИСЬ". 12.30 Криминал. 13.30 Сериал "ОПЕРАЦИЯ "ТРЕСТ". 15.30 Сериал "ДОКТОР КУИН, ЖЕНЩИНА-ВРАЧ". 16.20 Сегодняшко. 17.30 сериал "НЬЮ-ЙОРК. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ПАРК". 18.25 Впрок. 18.50 Футбольный клуб. 19.40 Криминал. 20.35 Х/Ф "ПРИКЛЮЧЕНИЯ ШЕРЛОКА ХОЛМСА И ДОКТОРА ВАТСОНА" "КОРОЛЬ ШАНТАЖА". 21.50 "Намедни-64". 22.30 "Итого". 23.45 "Криминальная Россия". 00.15 Х/Ф "МАМОЧКА-МАНЬЯК-УБИЙЦА".

TV6 07.55, 14.10 День за днем. 09.45, 19.20, 0.45 Дорожный патруль. 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00 ТСН-6. 10.10, 1.10 Те Кто. 10.25 СВ-шоу. 10.50, 11.50, 16.20 Телемагазин. 11.00 Сериал "ДИНАСТИЯ II. СЕМЬЯ КОЛБИ". 12.10 Наша музыка. 13.10 Сериал "ВАВИЛОН 5". 16.10 Знак качества. 16.40 Сериал "ПРОСТО МАРИЯ". 17.25 Мультсериал. 17.55 Сериал "ГОТОВЫ ИЛИ НЕТ". 18.25 Диск-канал. 19.30, 2.30 Сериал "ГРЕЙС В ОГНЕ II". 19.55 Шоу Бенни Хилла. 21.00 Новости дня. 21.30 Скандалы недели. 21.55 Обоз. 22.55 Х/Ф "ДУХ МЩЕНИЯ" 00.55 Шесть новостей дня. 01.25 Радиохит.

შაბათი, 24 ივლისი

1 არხი 08.55 Х/Ф "СЛУГИ ДЬЯВОЛА НА ЧЕРТОВОЙ МЕЛЬНИЦЕ". 10.25 Слово пастыря. 10.45 "Домашняя библиотека". 11.00, 16.00, 19.00 Новости. 11.15 "100 %". 11.45 "Утренняя почта". 12.20 Каламбур. 12.50 Смак. 13.10 "История одного шедевра". 13.35 "Экстренный вызов". 14.05 Х/Ф "МЫ, ДВОЕ МУЖЧИН". 15.30 "Цивилизация". 16.15 Док. сериал "Мама, это я!". 16.45 В мире животных. 17.25 Футбол. Лучшие матчи чемп. мира 1998 года. 19.15 "Тема". 19.55 "Ералаш". 20.05 Х/Ф "ОПЕРАЦИЯ "СВЯТОЙ ЯНУАРИЙ". 22.00 Время. 22.50 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ". 00.30 Х/Ф "ФЕЙЕРВЕРК".

РТР 09.00, 10.30, 13.45, 15.50 Мультфильм 09.05 Х/Ф "4:0 В ПОЛЬЗУ ТАНЕЧКИ". 11.00 ДОБРОЕ УТРО, СТРАНА 11.35 САМ СЕБЕ РЕЖИССЕР 12.05 "Сто к одному". Телеигра 12.50 "Любовь с первого взгляда" 13.15 "Золотой ключ" 13.30 "Хорошие новости" 15.00, 21.00 ВЕСТИ 15.30 Х/Ф "УЛИТКИ". 16.15 Х/Ф "АСЫ". 18.00 "Славянский базар в Витебске". "Казачий круг". 19.00 МОЯ СЕМЬЯ 20.00 СТАРАЯ КВАРТИРА. Год 1990-й. 21.30 "Досье". 22.00 Х/Ф "ВОЙНА РОБОТОВ". 23.45 "Славянский базар в Витебске". Ночь юмора 00.50 "Славянский базар". Дневник фестиваля. 01.00 "Звуковая дорожка".

НТВ 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 Х/Ф "ПРИКЛЮЧЕНИЯ ШЕРЛОКА ХОЛМСА И ДОКТОРА ВАТСОНА" "КОРОЛЬ ШАНТАЖА". 10.20 Мультфильм. 10.40 "Фитиль". 11.15 Криминал. 11.40 "Дело хозяйское". 12.20 Сериал "НИГДЕ И НИКОГДА" (США). 13.25 "Впрок". 13.45 Своя игра. 14.25 Х/Ф "ПЕЧКИ-ЛАВОЧКИ". 16.10 Суд идет. 17.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" (США). 18.30 "Антропология". 19.20 Дог-шоу "Я и моя собака". 20.35 Х/Ф "ЖИВЕТ ТАКОЙ ПАРЕНЬ". 22.25 "Весь Жванецкий". 23.45 Х/Ф "ОПЕРАЦИЯ ОТРЯДА "ДЕЛЬТА 2". 01.40 Ток-шоу "Про это". 02.25 Х/Ф "МИРАНДА".

TV6 09.05, 19.30, 23.15 Дорожный патруль. 09.20 Мультфильм. 09.45 Мультсериал. 10.10 Сериал "МАРКО ПОЛО". 11.05 Сериал "РОБИН ГУД". 12.00 Юмористическое шоу "Чердачок". 12.20 Путешествия с Национальным географическим обществом. 13.15 Диск-канал. 13.50, 18.20 Телемагазин. 14.00 "Мое кино" с Виктором Мережко. 15.45 "Территория ТВ-6". 16.10 Это - Жириновский! 16.35 Х/Ф "МАКАРОВ". 18.30 Сериал " ФЛИППЕР III". 19.20 "Любишь - смотри". Видеоклипы. 19.45 Сериал "НАЙТМЕН": "ДЯВОЛ В МАСКЕ". 20.30 СВ-шоу. 21.05 Х/Ф "ГАРДЕМАРИНЫ-3!" 22.55 Те Кто недели. 23.30 Шесть новостей дня. 23.40 Концерт. 01.05 Плейбой.

კვირა, 25 ივლისი

1 არხი 09.00 Мультфильм. 09.15 Х/Ф "НОВЫЙ ГУЛЛИВЕР". 10.30, 17.35, 18.00 Дисней-клуб. 11.00, 16.00 Новости. 11.15 "Непутевые заметки". 11.30 "Пока все дома". 12.05 "Утренняя звезда". 12.55 "Служу России!". 13.30 "Играй, гармонь любимая!". 14.00 "Крестьянские ведомости". 14.35 "Все путешествия команды Кусто". 15.25 "Смехопанорама". 16.15 "Здоровье". 16.45 Клуб путешественников. 18.30 "Колесо истории". 19.20 Программа к 70-летию В.Шукшина. 20.05 Х/Ф "КАЛИНА КРАСНАЯ". 22.00 Время. 22.40 Х/Ф "РУССКИЙ ОТДЕЛ". 00.50 Футбольное обозрение. 01.20 "Абажур". 01.50 Сериал "ЗОЛОТЫЕ ГОДЫ СТИВЕНА КИНГА".

РТР 09.00 Мультфильмы. 09.30 "Служу Отечеству." 10.00 "Сельские вести" 10.30 "Почта РТР" 11.00 ДОБРОЕ УТРО, СТРАНА 11.30 "АНШЛАГ" ПРЕДСТАВЛЯЕТ 12.00 "Городок". 12.25 "Устами младенца" 13.00 РУССКОЕ ЛОТО 13.40 "Мир книг с Леонидом Куравлевым" 13.55, 22.15 "Славянский базар в Витебске". 15.00 ВЕСТИ 15.30 ФЕДЕРАЦИЯ 16.10 Ток-шоу "На здоровье!" 17.05 "ЗАКОН И ПОРЯДОК". 18.00 ДИАЛОГИ О ЖИВОТНЫХ 19.00 Фестиваль солдатской песни. 20.35 Х/Ф "КРИМИНАЛЬНЫЙ КВАРТЕТ". 00.15 "Мастер-ралли-99". 00.35 "К-2" ПРЕДСТАВЛЯЕТ. 01.30 "Дежурная часть"

НТВ 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 09.15 Х/Ф "ПЯТНАДЦАТИЛЕТНИЙ КАПИТАН". 10.40 "Фитиль". 11.15 Х/Ф "ЖИВЕТ ТАКОЙ ПАРЕНЬ". 13.20 "Пойми меня". 13.50 "Невероятные путешествия". 14.20 Х/Ф "Я СВЕРШИЛ ПРАВОСУДИЕ". 17.30 "Профессия - репортер". 17.45 "Свадьба". 18.15 Х/Ф "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 19.05 Док. сериал. 20.30 Х/Ф "БЕЛЫЙ ШКВАЛ" 23.45 Куклы. 00.00 Х/Ф "АНГЕЛЬСКАЯ ПЫЛЬ".

TV6 09.05, 19.30 Дорожный патруль. 09.20, 16.00 Мультфильмы. 09.45 Сериал "МАРКО ПОЛО". 10.35 Сериал "РОБИН ГУД". 11.25 Диск-канал. 12.00 Вкусная передача "Пальчики оближешь". 12.30 Канон. 13.00 Шесть новостей недели. 13.25, 15.50 Телемагазин. 13.40 Х/Ф "ВЕЧНОСТЬ". 16.25 "Спартак-чемпион". 16.55 "Звезды о звездах". 17.20 "Любишь - смотри". Видеоклипы. 17.35 "Президентские гонки". 18.25 "Любишь - смотри". Видеоклипы. 18.35 Катастрофы недели. 19.50 Юмористическая программа "Бис". 20.20 Вы - очевидец. 20.55 Х/Ф "ЛЮБИМАЯ "ЖЕНЩИНА МЕХАНИКА ГАВРИЛОВА". 22.20 Х/Ф "КОРОЛИ МАМБО". 00.05 Наша музыка. 01.10 Х/Ф "ПОСЛЕ ПОЛУНОЧИ".

პოლიგრაფია — წიგნები, ბლანკები, ბროშურები, ბილეთები, ეტიკეტები, პლაკატები, გაზეთები და სხვა. სტამბა „კოლორი". 877-40-37-83; 70-76-45 ქ. №8

GS International MEDICAL CENTER ჯი-ეს ინტერნეშენელ
სახის და კისრის კანის დაჭიმვა. ნაოჭების გასწორება ოქროს ძაფების ჩანერგვით
•ნაყვავილარი და ფორებიანი კანის დამუშავება
•ბავშვებისა და მოზრდილთა ...
ი.აბაშიძის ქ.3 ტელ: 22-76-78, 25-22-28

ანონსი

2.00 „უკვდავი სატრფო" აშშ

ვინ იყო მისი მუზა, მისი სამყარო? — ქალი, რომელსაც გენიოსმა თავისი სულის ყველაზე იდუმალი მუსიკა უძღვნა... ფილმი ...

22.35 „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე" საფრანგეთი

1968 წელი. პრაღა. ახალგაზრდა ქირურგი დარწმუნებულია, რომ ნამდვილი სიყვარული არ არსებობს... ქირურგი ბოლოს და ბოლოს ...

იყიდება ბინები

სასწრაფოდ! სუფთა ბინა, მიშენების პერსპექტივით. მის: დ/მ, მე-5 კვ, კორპ. 22, ბ. 16. ტელ: 52-27-94; 899-57-28-94. გოგა

ავჭალაში 1-სართულიანი საკუთარი სახლი მანსარდით (ს/ფ 850 კვმ, საცხ. ფართი – 250 კვმ), ხეხილით, ცხელი წყლით, ბუნებრივი აირით, აბაზანა-ტუალეტით, ცალკე მდგომი 4-ოთახიანი პატარა სახლით. ფასი 12000$. მის: ჩიქვანაიას ქ. №22. ტელ: 62-19-17. ბერიტაშვილი ვახო

ქირავდება

1-ოთახიანი, იზოლირებული ბინა წერეთლის პროსპექტზე, აუცილებელი, პირველადი ავეჯით. ტელ: 98-34-56

2-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა საირმის ქუჩაზე. ტელ: 33-42-46

მილოცვა

ნანა! გილოცავ დაბადების დღეს. იყავ დღეგრძელი და მხვგრძელი. შენი სურვილი და მიზანი რეალობაში გეხილოს!

შენი მეგობარი ვანო

გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს, გამგზავრებას გერმანიაში, 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, Au-pair პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. სიახლე – ჯიბის ფული 400-600 მარკა თვეში და 4-კვირიანი ანაზღაურებადი შვებულება პროგრამის ბოლოს. ტელ: 96-07-81; 95-64-18

ინტერნაციონალური სასწავლო სააგენტო გთავაზობთ სამუშაოს და სწავლას საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში. მის: წერეთლის გამზ. №95ა (მანეჟი). ოთხშაბათს, პარასკევს, 13-15 სთ

მომსახურება

შპს „კინოვიდეორემონტაჟი". ვაწარმოებთ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს, ვამზადებთ ხის კარფანჯარას და სხვა ნაწარმს. ტელ: 96-94-72; 37-00-65; 37-02-24; მობ. 97-11-69

ს/ს „მშვილდოსანი"! ვაწარმოებთ სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ვამზადებთ საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს. სამუშაოები წარმოებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. მის: წერეთლის გამზ. №57. ტელ: 34-82-30; 34-14-81. ს/ს „მშვილდოსანი"

ავტომობილებზე მინების დამუქება-დაფერვის ცენტრი გთავაზობთ მომსახურებას მსოფლიო სტანდარტების დონეზე. სალონს იცავს სიცხისაგან და მინებს ჩამტვრევისაგან. მის: გამსახურდიას გამზირი №29 (შეუხვევთ ბულაჩაურის ქ. №8-ში), დაინახავთ სარეკლამო აბრას.

ავზების გამორეცხვა; ავზების, „ატმორის", „ვიატკის", გენერატორის, ელექტროქურის, ელექტროგაყვანილობის, მრიცხველის, სადარბაზო კაბელის, სატელეფონო და ანტენის ხაზის, ჭაღების მონტაჟი-რემონტი. მომსახურების საწყისი ფასი 10 ლარი. ტელ: 96-17-37

ვაკეთებ ნებისმიერ ავეჯს კატალოგიდან, აგრეთვე რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას. ვარემონტებ კარადებს, სკამებს, მატრასებს. ტელ: 95-27-88

ვაშენებ და ვაპირკეთებ ბუხრებს. ტელ: 96-41-01. ვახტანგი

გთავაზობთ საცხოვრებელი ბინების სამღებრო (კოსმეტიკური) სამუშაოს შესრულებას, დროულად, ხარისხიანად და სტაბილურ ფასად. მაქვს საკმაო პროფესიული გამოცდილება. აუცილებლად კმაყოფილი დარჩებით! ტელ: 60-08-05 (საღამოს)

პრეტენზიული ქალებისათვის! ჭარბი თმის მოცილება მცენარეული ნაყენით, დამუშავებული მოსკოვის БИУА-ში, რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში, დოცენტის მიერ. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №113 (შესასვლელი თაღიდან), კაბ. 12. მიღება ყოველდღე, 12-19სთ.

სილამაზის სალონი „პოდიუმი-777"! თმის შეჭრა კატალოგების მიხედვით – 5-7 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; მელირება 10-15 ლარი; ქიმიური გასწორება – 15-20 ლარი; ელექტროეპილაცია – 1სთ – 8 ლარი. თქვენ მოგემსახურებათ საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე სტილისტი ირა გურჯიანი და ექიმი-კოსმეტოლოგი მაია ფიფია. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №113 (ეზოს ბოლოს). სილამაზის სალონი „პოდიუმი-777". ტელ: 95-08-83 (სამს); 68-28-17 (ბინა)

მკურნალობა

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობისა და სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), მე-6 სად. (ეზოდან), ბინა 1. მიღება 18-20 სთ, შაბათს – 12-16 სთ. ტელ: 35-20-06

სიახლე!!! მამაკაცთა საყურადღებოდ! ვისაც აწუხებს ნაადრევი ეაკულაცია (სპერმის ამოფრქვევა), გთავაზობთ მარტივად მოსახმარ, მაღალეფექტურ, აბსოლუტურად უვნებელ გარეგან საშუალებას. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, პირველივე მოხმარებაზე. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 61-02-97 (საღამოს); 899 57-16-99. მანანა ექიმი

წინაპართა მეთოდით მცენარეებისა და თეთრი მუმიისგან მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს მალამოებს, მკურნალობს ოსტეოქონდროზს, რევმატიზმს, მარილების დაგროვებას, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, თავის ტკივილს. ჰაიმორიტი ინკურნება 4-5 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია, ლიცენზირებული – ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ. მის. გორის ქ. №3. I სად. 1 სართ. მ. „წერეთელთან". მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა, 13-16სთ. ტ: 34-05-69

„იადიგარ დაუდი" გთავაზობთ მკურნალობას: 1) ფოტოსურათით: უძილობა, შიში, აგრესია, თვითმკვლელობის სურვილი, ალკოჰოლიზმი, ნევროზი, დეპრესია; 2) ფუტკრის პროდუქტებით: სქესობრივი სისუსტე, სასქესო ასოს ანთება, კუჭ-ნაწლავის წყლული, კოლიტი, ბუასილი, ქოლეცისტიტი, ჰაიმორიტი, პიელონეფრიტი, ცისტიტი, ენურეზი, კენჭები, ჭიები, თმის ცვენა, წითელი ქარი, კანის დაავადებები, დაყუყილობა. მის: რუსთაველის გამზ. №40. მე-2 სართ. 11-17 სთ, გარდა კვირისა. ტელ: 98-61-91; 877 41-60-03. ნანა

ვასწავლი

თბილისის ეკონომიკისა და პედაგოგიკის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას: 1) იურიდიული – სამართალმცოდნეობა; 2) ეკონომიკური – საფინანსო, საბანკო საქმიანობის მენეჯერი; 3) პედაგოგიური – დაწყებითი განათლების პედაგოგიკა. მის: ალ. ყაზბეგის (ყოფ. პავლოვის) გამზ. №39 (მ. „გოცირიძესთან"). ტელ: 39-74-29; 39-39-22

შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას, სწრაფად და ხარისხიანად. სწავლება ინდივიდუალურია. MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER. ტელ: 34-32-79 (დარეკეთ დღის საათებში)

კომპიუტერული ცენტრი „ინტელექტუალური სისტემები" შეგასწავლით: WINDOWS-98, WORD, EXCEL, ACCESS, COREL DRAW, PAGE MAKER, PHOTO SHOP, „ინფო ბუღალტერი". INTERNET-ის საკვირაო სკოლა (INTERNET ერთ დღეში). მის: აკ. წერეთლის 142 („სამთო ქიმიის" შენობა, მეტრო „დიდუბის" პირდაპირ). ტელ: 94-10-74; 34-08-46

შპს „ინტელექტუალური სისტემების" ბუღალტერთა დასაქმების სამსახური გთავაზობთ პრაქტიკული ბუღალტერიის შემსწავლელ კურსებს. წარმატებით დამთავრების შემდეგ დაგეხმარებით შრომით მოწყობაში. მის: აკ. წერეთლის 142 („სამთო ქიმიის" შენობა, მეტრო „დიდუბის" პირდაპირ). ტ: 94-10-74; 34-08-46

იყიდება

ახალი ჩამოყვანილი „ოპელ-ომეგა CD", თეთრი ფერის, საუკეთესო მდგომარეობაში, სრული „ნავაროტკით", ავტომატიკით. ფასი 4200$. ტელ: 34-73-33

1996 წლის „ჰუნდაი-ლანტრა". ფასი 5000$. ტელ: 34-56-65

ახალი დახლ-მაცივარი, რუსეთის წარმოების. სიგრძე 2 მეტრი, სიმაღლე 90 სმ, სიგანე 85 სმ. ზემოდან დახურულია პლასტიკატით, იკეტება გასაღებით. ფასი 900 ლარი. ტელ: 66-40-83 ინგა

„ლუიზოლი" – ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემი, ლოსიონი (ნებისმიერი საშუალებით თმის ფესვიანად ამოღების შემდეგ); „ელჯეი" – სახის კრემი, ლოსიონი (ნაოჭები, გამონაყარი, ლაქები). მის: იოსებიძის ქ. 53, კაბ. „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13 (11-18 ყოველდღე)

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი" სპილენძის ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი" აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას 27. სადღესამისო აფთიაქი „ნინო-დ" (რესპუბლიკური საავადმყოფოს ასახვევთან). ტელ: 38-80-75

უვნებელი, ადვილად მოსახმარი მცენარეული ლოსიონი „ანსალიტი" ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სხვა სინთეტიკური პრეპარატებისაგან. მის: იოსებიძის ქ. 53, კაბ. „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13 (11-18სთ)

საწოლ-საქანელები (ბარებისა და აგარაკებისათვის) ზომის მიხედვით, შეღავათიან ფასად. ტელ: 60-88-54. გოგა

შევიძენ

ადამიანის გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართული. მაღაზია „ესთეტი". 12-17სთ, შაბათ-კვირის გარდა. ტელ: 68-19-80

სხვადასხვა



23 ივლისს, ცნობილი მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას 60 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში (გუდიაშვილის ქ. №7) იხსნება დიდი გამოფენა. დასაწყისი 12 საათზე.

ინფორმაცია: ფსორიაზის, ეგზემის, ნეიროდერმიტის, სებორეის, მუნის შესახებ. ტელ: 39-02-98

ზაფხულია, ცხელა. უსიამოვნო სუნისგან რომ დაიცვათ თავი, გირჩევთ, იხმაროთ ქალბატონ მარეხის საგვარეულო მალამო. დარეკეთ: 96-18-26

ხსოვნა

მერაბ ალექსანდრეს ძე შატბერაშვილის გახსენება



შეუძლებელია გადმოიცეს ის მწუხარება, რასაც შენი თავზარდაცემული ოჯახი, ნათესავები და მეგობრები განიცდიან. ტირის მთელი შენი სამსახური, შენ ხომ მათთან დალიე სული. უკვე 40 დღე გავიდა, რაც შენმა კეთილმა გულმა უეცრად გვიღალატა. ჩვენო ერთგულო მერაბო, ველარ ვუძლებთ ამ უსაშველო მონატრებას, უშენობას, მე, დედა. ასე რატომ გაგვწირა განგებამ? ცრემლიანია ჩვენი ყოველი დღე, ყოველი საათი. ყველასგან კეთილშობილებითა და ერთგულებით გამორჩეულო, ლამაზო მამიკო, სულ გელოდები, გეძახი, როგორ მენატრება შენი ალერსი, ჩუმად გესაუბრები, გეფერები. გვენატრება შენი ხმის გაგონება. უსაშველოდ გვიყვარხარ, მამიკო! დრო ვერ დაგვავიწყებს შენს სიყვარულს, ჩვენი მწუხარება დავიწყებას ვერ მიეცემა, ჩემო ვაჟკაცო მამიკო, სითბოთი, სიყვარულითა და კეთილშობილებით გამორჩეულო!

მერაბო, შენმა მეგობრებმა დიდად დაგიფასეს შენი ერთგულება და დიდი სიყვარული.

გეფერებით, დაგტირით!

ოჯახი

რაისო გიორგის ასული წულაია-სართანიას მონატრება!

ღმერთმა ადამიანს მაღლიდან გადმოხედა და ამ ქვეყანაზე მას დროებით სტუმრობა დაანათლა, მაგრამ საყვარელი ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების კეთილდღეობისათვის ფუსფუსში დროებითობა არავის ახსოვს. ასეთი იყავი შენც, ჩვენო ბებია. შენი შვილები და შვილიშვილები სითბოთი გიგონებთ ქალს, რომელსაც არასოდეს გიკითხავს ცხოვრების საათი. დაღლა არ ეწერა შენს მარჯვენას, არ გეცალა ავადმყოფობისა და დასვენებისათვის.

ძალიან დააკლდი შენს ოჯახს, მოგონება გვივსებს დანაკლისს. მოგონება გვივსებს დანაკლისს. შენი ნაფეხურები სუფთა და წმინდაა, შენი განვლილი ცხოვრების გზა კი – ჩვენი კლაპტარი. შენს შვილიშვილებს ერთი რამ გვაიმედებს: არ წავიშალოთ მეხსიერებიდან ერთი ლამაზი სიტყვა, რასაც „მონატრება" ჰქვია.

შენი მადლიერი შვილიშვილები

შურა კიკნაძე-ძიძავას ხსოვნას!

რა თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი წასვლა ჩვენგან, ჩვენო საფიცარო დედავ!

მას მერე, ყოველ წელიწადს, შენი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები შენი გარდაცვალების იმ მწარედ მოსაგონარ დღეს საფლავზე მისვლით ალენიშნავდით. უკვე რვა თვეა, მამაც ჩვენს რიგებს გამოაკლდა.

19 ივლისს, განშორებიდან ათი წლის თავზე, ჩვენ ისევ მოვალთ მამას გარეშე. გავიხსენებთ ტკბილად მოსაგონარ დღეებს, შენს სიყვარულითა და სითბოთი სავსე სიტყვებს, „დედა გენაცვალოთი" რომ ამთავრებდი და მალამოდ მოგვცხებდი ყველა სიტუაციაში. როგორ გვენატრებით, ვერ წარმოიდგენთ...

ულრმესი მადლობა ორივეს შვილებისაგან, თქვენს მიერ გაწეული ამაგისათვის, ძვირფასო დედ-მამავ!

ღმერთო, სამოთხეში დაუმკვიდრე მარადიული სასუფეველი ჩვენს მშობლებს.

შვილები: ლალი, დალი, მელიტონ და თემურ ძიძავები

ნეკროლოგი

ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **გურამ თოფურია**.

პანაშვიდები 18, 19 ივლისს, 5 სთ. დაკრძალვა 20 ივლისს, 3 სთ. მისამართი: თოიძის ქ. №41.

„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს კოლეგებს: დოდო თოფურიას ძმის და გოგილო კიკვაძეს ბიძის გარდაცვალების გამო

სამძიმარი

თამუნა დოდაშვილს! უსაშველოდ მტკივა, თამო, შენი ტკივილი პაატას (შენი პატის) დაკარგვის გამო. ვის შეშურდა შენი ბედნიერება, რომ სიცოცხლე მოუსწრაფა ადამიანს – ნამდვილ მეუღლესა და მეგობარს?! როგორ უნდა გაგებინო მარუშკის და გოგას, რომ მამიკო აღარ გაილვიძებს? გითანაგრძნობ, თამო, თუმცა, რა შეუძლიათ მხოლოდ ცრემლებს?!

მანოლი ლილუაშვილი

ბაუეთეფსო ბიზნესმენის კონკურსის, რომელიც უკვე მეოთხე წელია იმართება, ამბავსაც რესპორთან "არაგვის" უახლოესია.

— რა სულთნია მთვრალებში ქეიფს, — განაცხადა ერთ-ერთმა ტელეოპერატორმა და თავისდაუნებურად კონკურსში გამარჯვებული ნინასჩარი იფარებდა.

"არაგვში" ბიზნესმენთა აქტივის გარდა პოლიტპრომეტაც მრავლად იყრიან — მოედო სახალხო დამსვეტილე სამეფოში მინისტრის თანაგრძნობა. ფინანსისტა მინისტრი და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი, პრეზიდენტის მრჩეველი. სამეულმინეთ და კერძო ტელეკომპანიების პირდაპირი ეთერისთვის დაინტერს მზადება და... კონკურსი ნელ-ნელა პოლიტიზირებულ შოუში გადაიზრდება. პოლიტკორექტულის დაფდუფებებმა პარლამენტარიდან ოფიციალური "არაგვის" მგაღიდებე გადმოინტერვიუ.

თვალს მიჩეული ტელეგმერო სახეების მიხედვით ადვილად გამოიარჩეოდა მაგალითად, სად იყო ტარიონის, ეფლის, მოქკაშვილის, მრეწველობების და სხვა ნაციონალური ბიზნესის მაგიდები. სანთლებით დეკორირებული ეროვნული ინტერიერი ოდნავ ეკრანებთ ეფინებოდა. ასტე მოხდა — საკვლევო ბიზნესმენთა კლუბ გოგი თოფხუს დასაბერდა, რომელსაც ბოლო პერიოდში აქტიურად ეცხრება ფრინველის გადაშინდეული, ბიუჯეტის განსაკუთრებით დიდი მოვალეს იმედი.

მონაწილეთა სტუმრები მხოლოდ შოუს დასრულებისას გამოეცხენ და "არაგვის" ირეგიზე დასარბენ-მოსეირნეთ ეურჩალოსტეთ ავფიციანტებს თავიანთ ადგილებზე.

— ეხანის, რომ მოლიტიკეთ დროსთან მიეცილე მონანილეთა, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

— რიცა უნდათ ჩამრთავენ, რიცა უნდათ ამოჩრთავენ ამ კონკურსიდან, — ბრაზობდა პარლამენტარი-ბიზნესმენი "ბურთის ცხრიმეული.

შოუს მონანილეები პეტარების ხმაურმა გაფანტა დარბაზში დაბრუნებულებმა ლიმილით ეგებებოდა „სამეის". „მრეწველი" პრეზიდენტი ბრიმ ტყეპალაძე და ერთადერთი ქალი მინისტრი — რიგორ მოგეწონათ კონკურსი?

ზაზა გრიგალაშვილი

ამერიკელი პილიგრიმები ჰხრევნებისთვის ფულს აგროვებენ

ნატა ს. ფორაბი ან კამპანიის კერძო შემონაწოლობის ხარჯზე ანაღებს, მაშინ მას შეუძლია რა თანხაც უნდა, იმდენი დახარჯოს.

ჯეორჯეთოში, ბრძოლა მიმდინარეობს არა პრეზიდენტის პოსტის, არამედ ოფიციალური კანდიდატს სტატუსისთვის ორი ნამყვანი პარტიიდან (რესპუბლიკური და დემოკრატიული). მაგალითად უკვე ცნობილია ამერიკელი ორი ყოფილი რესპუბლიკელი ჯეორჯ ბუში.

როგორც ჩანს, მისი კამპანიისთვის განკუთვნილი კერძო შემოწირულობები ყველა ლიმიტს ეყოფა. რესპუბლიკელთა სხვა კანდიდატებმა გაიცილებით ნაკლები შეაგროვეს. მაგალითად, ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ დან ქუეილს ჯ. მაკეინი, მან 26,5 მლნ დოლარის მოუყარა თავი. ელინ"ზაბეთ დოულს 4 მლნ დოლარ აქვს. ბრძოლაში ჯეკრ არ ჩაბმულა ბუშის ყველაზე სერიოზული მებრძოლ ნ ფორბსი. იგი საკუთარ ფულს დახარჯავს, თუმცა ლიპრიც ამოუ ნლია ფული აქვს. თუმცა ბუშზე ნაკლები მაინც ჩადის. დემოკრატთა წარმომადგენელმა ალბერტ გორმა მხოლოდ 18,5 მლნ დოლარი შეაგროვა.

რიცა პარტიების ყრილობები ახლოსაა ყველა კანდიდატის კამპანიის ხარჯები მკვეთრად იზრდება. ამ ინფორმაციის ბრძოლაში ჩაებრძოლნენ, ფულის ფატარო შენყვეტს ესოდენ მნიშვნელოვანი როლის თამაშს. დემოკრატების ყოველთვის ნაკლები ფინანსური შესაძლებლობები ქონდათ, ვიდრე რესპუბლიკელებს, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდა საარშიყნებლად ფასიანი თვითრეკლამების გამოსაყენებლად.

NGA

ფაქტი-პრესა: ლიტონის კარი – 350 ლარი; „ბარშიპანი", 1.03.3 – 80 ლარი; ქალაზვადა, 1.03.2 – 80 ლარი; ფანჯრის ფარავ გიჩოსაგა, 1.03.2 – 50 ლარი. აბრეშუმ, ნვალისტიკა საკუთარ ფულ დაბინავებაზეც აიკვეთ, 1.03.2 – 250 ლარი.

ფილიალები: ქ.ბათუმში, 25 ოქტომბრის ქუჩის №10, ტელ: 22-60-03; 877-41-87-75

ევროპაში თითქმის აღარ დარჩა

„დიუთი-ფრის" მაღამიები

1991 წელს ეკროკავშირის მიხედვის სანლეთო და სავაჭრო ტრანსპორტირების ეკროპული სანზებლე დაუნებერეთ ვაჭრობის მაღალზებს აჩრძალა კარანტინის ძალაში შესასვლელი საკანონმდებლო, მატერიალური და ტექნიკური ბაზის მომზადებას 8 წელი დასჭირდა. გასულ კვირას ლუქსემბურგსა და სანლეთო პორტუგალიაში განლაგებულმა „დიუთი-ფრის" ყველა მაღალიან მუშაობა შენყვიტა და იმას არ ნინმნეს, რომ მუშაობას შენყვეტს დაუნებერეთ ვაჭრობის ზონაში განლაგებული ყველა მაღალი სავაჭრო სანარაჟი ფასიანის ფორმირების სხვა სისტემაზე გადავიდენ.



ისეთი სატრანსპორტო ფასი, როგორიცაა ავსტრალია, სარკინძანაო ტერმინი და ტანსაცმელი, პრაქტიკულად, არ შეიცვლება, მაგრამ თამბაკეი და სპორტანი სასმელი გაძვირდება. დაუნებერეთ ვაჭრობის აჩრძლება ევროკავშირში შემავალ 15 ქვეყანაზე.

ნოვოსტი მირა №24

კითხვა-პასუხი

მარიაობა თუ არა, რომ ცხინვალში შეღავათიან ფასად ხდება მანქანის ტექ-დათვალიერება?

ი. ბურჯანაძე

საქართველოს ავტოინსპექციაც კანონიერად არ მიიჩნევს ჩვენი მოქალაქეების მიერ ცხინვალში ჩატარებულ ტექ-დათვალიერებას, რადგან იქ არ იხდიან საგზაო ფონდის, დაზღვევის, დიაგნოსტიკის გადასახადებს და, შესაბამისად, ეს თანხა ჩვენს ბიუჯეტში არ შემოდის. ამგვარი მანქანები, თუ ისინი ცხინვალის რაიონის არ განეკუთვნება, ჩვენი ავტოინსპექციის მიერ ეძებენ და აჯარიმებენ.

რად განსხვავდება იყო გერნეიის დროსთან მიმართებაში საქართველოში საბჭოთა პერიოდში, გარდაქმნის დროს და ამჟამად?

თამაზ ჯალაღანია
საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი

მკითხველი

საქართველო, კერძოდ, თბილისი III სასაათო სარბაზეშია მოქცეული და გერნეიის დროსთან (ეს პირობითი ცნებაა) მიმართებაში ჩვენთან სამი სასთია განსხვავება. მძიმეროდ დასახე-ბულ ტერიტორიებში სასაათო სახლვარი ხშირად სცილდება შერიდინების და ზიგზაგის სახით ბირითად მაგისტრალებსა ან ავმინისტრაციულ სახლვრებს მიჰყვება. მაგალითად, სამჭოთა პერიოდში მოსკოვის სასაათო სარბაზეი ხელოვნურად, ზიგზაგის სახით, გადაჭედილი იყო II სასაათი სარბაზეში, ხოლო თბილისი სწორედ III სასაათო სარბაზეში იყო მოქცეული. სინამდვილეში კი მოსკოვიც და თბილისიც III სასაათო სარბაზეს განეკუთვნება.

ტელა მარგველაანი, თასუ ფიზკულტურა ტეორიისთან კათედრის დოცენტი

შეიძლება თუ არა ჯანმრთელობა ადამიანმა ჩაინახა და ყიდვაში მიიღოს სახარონ და რა რაოდენობით?

ე. მგრელაური

ჯანმრთელი ადამიანისთვის სახარინის მიღება სასურველი არაა, მაგრამ, თუ მუდმივი ან ნანილობრივი მაკრის არსებობა დაუფასებრეთება, მას ენდოკრინოლოგის რჩევის მიხედვით შეუძლია მიიღოს სახარინი, რომლის რაოდენობაც გემოვნებაზეა დამოკიდებული. სარინოდ, სახარინს უნიშნეულ დოზებით დაავადებულებს, სახარინის სახეობებს შორის კი კარგია ფრუქტოზის მიღება.

ინდუსტეორი პაოლოგიის ცენრის, ეკიმი ლეილა ხახუაშვილი

ვცხოვრობ ქუთაისში, ვმუშაობ შსს ორგანოში, ვარ ოფიცერი, დაუსწრებლად ვსწავლობ თბილისის შსს აკადემიაში. პერიოდულად მივლენებით მიწევს თბილისში ჩასვლა. მეკუთვნის თუ არა სამივლინებო თანხა?

მ. ჯანდილაძე

თუ შენაგან სამმეთა ორგანოში მომუშავე პირს სამსახურებრივი მოვალეობის შესახურებლად ენევს თბილისში ჩასვლა, მას ეკუთვნის სამივლინებო თანხა.

რას წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდი? რა კრიტერიუმით შეირჩევიან მასში მწერლები და პოეტები?

სოსო ყაზბეგელი

მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდი არის მსოფლიო ლიტერატურაში აღიარებულ შემოქმედთა ნანარმოებების ერთობლიობა. მათი შერჩევა ან ხდება ლიტერატურულ წრეებსა და საალრნებში პროფესიონალთა მიერ ერთხმად აღიარებისა და გამოკითხვის შედეგად. ამგვარი გამოცდილება აქვს ამერიკას, საფრანგეთს, თუმცა საქართველოში მსგავსი ლიტერატურული გამოკითხვა არ ჩატარებულა.

თასუ საერთაშორისო ურთიერთობის კათედრის გამგე

დღევანდელი კანონით არის თუ არა მინა ქონებრივი საკუთრება, რომელიც მემკვიდრეობით, ჩუქებით ან გაყიდვით შეიძლება გადაეცეს სხვა პირს?

გ. ბეჭურო, თიანეთის რნი

დღევანდელი კანონით, მინა უკვე კერძო საკუთრებაა, რაც იმითაც გამოიხატება, რომ ხდება მისი რეგისტრაციაში გატარება, მემკვიდრეობით გადაცემა და სხვა.

სურვილი მაქვს, გადავიდე დედის გვარზე. ვის მივმართო?

ნოტარიუსი მელაძე

დედის გვარზე გადასვლისათვის დაკვეშირებულ ყველა ოპერაციის ამჟამად ანარმოებს მმართ ბიურო.

ნოტარიუსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 17 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	1,925
გერმანული მარკა	1,003
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,012
ფრანგული ფრანკი	0,299
რუსული რუბლი	0,079
თურქული ლირა (10.000)	0,044
შვეიცარიული ფრანკი	1,223

რკინის კარების დამზადება და საკეტების შეცვლა შეღებვა-ათიან ფასად.

ტელ: 66-26-50 ნოდარი

ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი შედეგების, ქუნთაობის, მუცსხაკის, სახსრიანების და სახსლარავეთანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ვეძებთ ფარტბარნებრივ ფოლოსებს. ტანუალურ თერაპევტებ დაპნიო ქორთოპებაზე

თბილისი, ად ჯავახიშვილის 31, I სართ, თოახი 9

ტელეფ: 96-95-69; 877-43-31-26

ჟორნალ პრესტიჟის

დღეისათვის არსებული უკვდავება თანამედროვე მეთოდით და ესპანური ეროთი. მათ შორის, ზრდ. გუსკოვის შეთოდით ულტრაფიოლეტ „ინტერფერონის", რომელიც გუმებრონიით ნანარმოებია.

როგორც „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, აშშ-ში ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა სახელგანთქმული ამერიკელი ასტრონავტი ჩარლზ კონრადი. იგი რიგით მესამე მინიერი გახლდათ (ნეილ არმსტრონგისა და ბაზ ოლდრინის შემდეგ), რომელმაც 1969 წლის ნოემბერში კოსმოსურ ხომალდ „აპოლონ-12“-ით მონაწილეობა მიიღო მთვარის დალაშქვრის მეორე ექსპედიციაში და 8 საათი დაჰყო მთვარის ზედაპირზე... სამწუხაროდ, კონრადი ვერ მოესწრო საიუბილეო თარიღს, რომელსაც მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში მთელი ამერიკა და არა მარტო ამერიკა აღნიშნავს... ზუსტად 30 წლის წინ, 1969 წლის 20 ივლისს წარმატებით დაგვირგვინდა პრეზიდენტ ჯონ კენედის ინიციატივით აშშ-ის კოსმოსური კვლევისა და პროგრამების ცენტრში (ნასა) შემუშავებული „მთვარის ათვისების“ მრავალწლიანი და მრავალმილიარდიანი პროგრამა, რომელიც, უწინარესად, მთვარეზე პირველი ადამიანის გადასვლას ისახავდა მიზნად...

და კიდევ: ივლისის ეს დღეები სხვა მხრივაც არის ნიშანდობლივი. 15 ივლისს შესრულდა სამი წელი მას შემდეგ, რაც ნასამ ოფიციალურად გამოაცხადა (1996 წლის 15 ივლისი), რომ პილოტირებული კოსმოსური ექსპედიცია მარსზე 2015 წელს განხორციელდება. ეკიპაჟი ხუთკაციანი იქნება, ხოლო პროგრამა 100 მილიარდამდე დოლარი დაჯდება (ჯონ კენედის „მთვარის ათვისების“ პროგრამა 4 მილიარდი დოლარი დაჯდა...)

ახლა კი უშუალოდ იმ ისტორიული მოვლენის შესახებ, რომელმაც ამ 30 წლის წინ შეძრა მთელი მსოფლიო.

1987 წელს თბილისში იმყოფებოდა ცნობილი ამერიკელი ასტრონავტი ედგარ მიტჩელი, რომელიც 1971 წელს „აპოლონ 14“-ით ალან შეპარდთან და სტიუარტ რუსასთან ერთად მონაწილეობდა მთვარის მორიგ ექსპედიციაში და 33 საათი დაჰყო უსიცოცხლო პლანეტაზე, აქედან 9 საათი უშუალოდ მთვარის ზედაპირზე დააბიჯებდა და ექსპერიმენტებს ატარებდა... სწორედ მიტჩელის თბილისში ყოფნისას (მან ლექციები წაიკითხა მეცნიერებათა აკადემიაში) ინტერვიუ ჩამოვართვი მას (გაზეთი „თბილისი №212. 1987წ. „რომელი ვარსკვლავისკენ გავფრინდეთ, ჯენეტ?!“) და ამერიკელთა მიერ მთვარის დალაშქვრასთან დაკავშირებული ლიტერატურაც მაშინ მისახსოვრა...

მაშ, დავუბრუნდეთ 1969 წლის ივლისს და ვნახოთ, რა ხდებოდა მაშინ მთვარესა და დედამიწაზე. უფროსი ასაკის ადამიანებს ემახსოვრებათ, რომ მთვარიდან მიღებულ პირველ ტელერეპორტაჟებს აბსოლუტურად ყველა ქვეყანა გადასცემდა ორი გაუბედურებული ქვეყნის, ბრეჟნევის საბჭოთა კავშირისა და მაო ძე დუნის ჩინეთის გარდა, ვითომ „იდეოლო გიური“, სინამდვილეში კი, წმინდა ეგოისტური მოსაზრებების გამო. განსაკუთრებით უზნეო და ამაზრზენი ჩანდა კრემლის საქციელი, არ ეჩვენებინათ ტელეტრანსლაციები მთვარიდან, რომ ამერიკელმა ასტრონავტებმა მთვარეზე ამერიკის დროშის გვერდით დაღუპული საბჭოთა კოსმონავტების ვლადიმირ კომაროვისა და იური გაგარინის გამოსახულებიანი მედალიონებიც დაამაგრეს...

1969 წლის ივლისში კენედის კონცხი, საიდანაც სტარტი უნდა აეღო კოსმოსურ ხომალდ „აპოლონ 11-ს“, ნამდვილ ბაბილონს მოგაგონებდათ. ნასას მიერ მოწვეული სტუმრების გარდა, მილიონამდე ტურისტი და ათასობით ჟურნალისტი 300 ათასი ავტომობილით მიაწყდა იქაურობას.

პოლიციელთა და სპეცსამსახურების აგენტთა არმია გაჭირვებით აკონტროლებდა მანამდე არნახული მასობრივი თავშეყრის უზარმაზარ სივრცეს... ყველაზე მშვიდად თავად ასტრონავტები, ნეილ არმსტრონგი, ბაზ ოლდრინი და მაიკლ კოლინზი გრძნობდნენ თავს, რომლებიც მორჩილად ასრულებდნენ კოსმოსური პროგრამის ხელმძღვანელებისა და ექიმთა უკანასკნელ მითითებებს. უკიდურესად სტრესულ მდგომარეობაში ნასას დირექტორი თომას პეინი გახლდათ, რომელიც ითვალისწინებდა რა ექსპედიციასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ მრავალ საშიშროებას, განუწყვეტლივ მოუწოდებდა ყველას სიფრთხილისაკენ: „ჩვენ ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს უკიდურესად რისკიანი საქმეა. ასტრონავტებს ვაგზავნით იქ, სადაც კაციშვილს ფეხი არ დაუდგამს. ყველაზე საშიში მოსალოდნელი ვარიანტებიც კი გავითვალისწინეთ რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, მაგრამ ვერ მოგცემთ აბსოლუტურ — გარანტიას, რომ იქ, მთვარეზე, ყველაფერი რიგზე იქნება“, ამბობდა იგი... ყველაზე კატასტროფულ საფრთხედ პეინი თვლიდა „მთვარის კაბინის“ ასაფრენი საფეხურის მექანიზმის შესაძლო გამოსვლას მწყობრიდან. „ასეთ შემთხვევაში გამორიცხული იქნება ყველა ვარიანტი მთვარეზე მყოფი ასტრონავტების გადასარჩენად. მთვარის ორბიტაზე მყოფი მთავარი ხომალდი ვერ შეძლებს დაჯდომას ასტრონავტების ასაყვანად, „აპოლონ 12“-ის გაგზავნა კი, მათ გადასარჩენად, პრაქტიკულად, შეუძლებელია“, დასძენდა პეინი. რაც შეეხება თავად ასტრონავტებს, სტარტის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისინი აცხადებენ: „შიში არ არის ჩვენთვის უცნობი გრძნობა, მაგრამ ექსპედიციის წინ ეკიპაჟი არ ფიქრობს მასზე...“

ექსპედიციასთან დაკავშირებულ წმინდა სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების ირგვლივ საუბრებს, ბუნებრივია, თან ახლდა ტრადიციული ამერიკული შოუ და გრანდიოზული სარეკლამო კამპანია. თავად პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს ძლივს აალებინეს ხელი განზრახვაზე, უშუალოდ სტარტის წინ ესაუბრა ასტრონავტებთან ერთად(!). ასტრონავტთა პირადმა ექიმმა, დოქტორმა ბერიმ უცერემონიოდ „მოისროლა“ პრეზიდენტი, იმ საბაბით, რომ ასტრონავტები კარანტინში არიან და სულაც არ აპირებენ მთვარეზე იმ ბაცილების ატანას, რომელიც შეიძლება ნიქსონმა გადასდოს მათო... განბილებულმა პრეზიდენტმა ისღა ამოღერღა, რომ „მთვარეზე დაჯდომის დღეს უქმედ გამოაცხადებდა და თეთრი სახლიდან ტელეფონით გაესაუბრებოდა მთვარეზე მყოფ ასტრონავტებს“... მაგრამ, ნიქსონის ამ ინიციატივებმა ისე გაალიზიანა ამერიკული მასმედია, რომ მაგალითად, „ნიუ-იორკ თაიმსმა“ პირდაპირ მიახალა: „მთვარეზე ასტრონავტთა ყოფნის ორი საათიდან ერთი წამის დაკარგვაც კი, პრეზიდენტთან სატელეფონო ლაყბობისათვის, დანაშაული იქნებაო...“ „ვაშინგტონ პოსტს“ კი, არც იმისი თქმა დავიწყნია, რომ ბოლო სამი პრეზიდენტიდან ნიქსონს ყველაზე ნაკლები უფლება ჰქონდა ეტრაბახა „აპოლონის“ წარმატებით, რადგან პროგრამას ჯონ კენედიმ ჩაუყარა საფუძველი, ხოლო ლინდონ ჯონსონის დროს კი, პროგრამამ თავის სრულყოფას მიაღწიაო...“

მოკლედ, ასე იყო, თუ ისე, 1969 წლის 16 ივლისს „აპოლონ 11“ გავიდა ორბიტაზე და დედამიწის გარშემოვლის შემდეგ,

მარცხნიდან: ნეილ არმსტრონგი, მაიკლ კოლინზი, ბაზ ოლდრინი

30 წელიწადი... მთვარის „ათვისებიდან“

მთვარიდან მიღებულ პირველ ტელერეპორტაჟებს აბსოლუტურად ყველა ქვეყანა გადასცემდა ორი გაუბედურებული ქვეყნის, ბრეჟნევის საბჭოთა კავშირისა და მაო ძე დუნის ჩინეთის გარდა.

კურსი მთვარისკენ აიღო. 19 ივლისს ხომალდი მიუახლოვდა მთვარეს და ეკიპაჟმა ჩართო სამუხრუჭე მექანიზმი. ერთი დღე-ღამე ფრენდნენ მთვარის გარშემო და მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ნიუანსამდე იყო გათვლილი მთვარეზე დაშვების პროგრამა (მანამდე „აპოლონ 9“-ისა და „აპოლონ 10“-ის ეკიპაჟებმა მთვარის ორბიტიდან გამოიკვლიეს მთვარის ზედაპირი და გამოსცადეს დასაშვები აპარატი — „მთვარის კაბინა“) ჰიუსტონის მართვის ცენტრი არ აჩქარებდა ეკიპაჟს, ამუშავებდა მიღებულ ინფორმაციას და ახდენდა დასაშვები აპარატის მანევრირების კორექტირებას...

...და აი, მთვარიდან 110 კილომეტრის სიმაღლეზე ნეილ არმსტრონგისა და ბაზ ოლდრინის მაიკლ კოლინზთან გამომშვიდობების დროც დადგა. კოლინზი მთავარ ხომალდთან ერთად მთვარის ორბიტაზე რჩებოდა. „მთვარის კაბინის“ ხუფის დახურვამდე კოლინზმა ხელი ჩამოართვა მეგობრებს და როგორც შემდეგ იხსენებდნენ არმსტრონგი და ოლდრინი, საკმაოდ მშვიდად და საქმიანად უთხრა — ნახვამდის, გელით 30 საათის შემდეგ!

ხაზი რომ გაესვათ ექსპედიციის ისტორიული მნიშვნელობისათვის, ამერიკელებმა „აპოლონ 11“-ის ძირითადი ხომალდი „კოლუმბის“, „მთვარის კაბინა“ კი, აშშ-ის გერბზე გამოსახული „არწივის“ სახელით მონათლეს...

როცა ხომალდი მთვარის უხილავ მხარეზე მიფრინავდა, „არწივი“ ჩამოშორდა მას. ცოტა ხანს გვერდიგვერდ, 15-20 მეტრის დაშორებით მიფრინავდნენ, შემდეგ კი, კოლინზის თქმით, „არწივი“ კაშკაშა ვარსკვლავად იქცა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მან მთვარის ზედაპირისკენ აიღო გეზი...

კაცობრიობის ისტორიაში ეს უპრეცედენტო და ფანტასტიკური ექსპედიცია დაიწყო!

ბაზ ოლდრინი ელექტრო-გამომთვლელ აპარატურას არ აშორებდა თვალს და ჰიუსტონის კოსმოსური ცენტრის დამშვიდებასაც ახერხებდა: „ყველაფერი რიგზეა, უკეთესად, ვიდრე ვარჯიშისას“... როცა სიმაღლისმზომმა ხელსაწყომ მთვარის ზედაპირიდან 150 მეტრი უჩვენა, არმსტრონგმა კაბინის მართვა ავტომატურიდან შტურვალზე გადმორთო. მისი თქმით, სწორედ ეს იყო ყველაზე საშიში მომენტი. არმსტრონგმა იგრძნო, რომ „არწივი“ ემორჩილებოდა მას, რომელიც ვერტმფრენის მსგავსად, ვერტიკალურად ეშვებოდა და მანევრირებდა. მუხრუჭის ცეცხლოვანი ჭავლი მთვარის მტვერს აბუქებდა და არმსტრონგისთვის არცთუ იოლი გახლდათ მოსწორებული ზედაპირის მოძებნა. საკმარისი იყო, კაბინის ოთახიდან თუნდაც ერთი ფეხი პატარა კრატერში ჩავარდნილიყო ან დიდ ქვაზე დამდგარიყო, რომ კაბინა ამოყირავდებოდა, ან ისე დამრეცად დადგებოდა — აფრენას ველარ მოახერხებდნენ. კაბინის დასაშვები გადახრა მხოლოდ 30 გრადუსი იყო...

არმსტრონგმა კაბინა მთვარიდან 10 მეტრის სიმაღლეზე დაკიდა, შემდეგ გვერდზე წაიყვანა დასაშვები ადგილის მოსაძებნად, გადაუფრინეს სტადიონის ტოლ კრატერს, მათ განკარგულებაში ორი წუთიღა რჩებოდა. საწვავის მაჩვენებელი ისარი ნულს უახლოვდებოდა... როგორც არმსტრონგი იხსენებდა, იგი ამას მთელი არსებით შეიგრძნობდა, თითქოს „არწივი“ კი არ ხარჯავდა საწვავს, არამედ არმსტრონგის ძარღვებში იშრიტებოდა სისხლი...

თუ დამშვებ საფეხურში გათავდებოდა საწვავი, გამოსავალი ერთიღა იყო — მოეშორებინა იგი და ასაფრენი საფეხური ჩაერთო. წინააღმდეგ შემთხვევაში, კაბინა დაენარცხებოდა მთვარეს და დაიმსხვრეოდა... მის კონსტრუქციას ხშირად ადარებდნენ ნაძვის ხის სათამაშოს... ამიტომ, ეს იყო ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი წამები ნეილ არმსტრონგის ცხოვრებაში, წამები რისთვისაც დაიბადა იგი და რისთვისაც, სწორედ მას ერგო დიდი პატივი — პირველს დაედგა ფეხი მთვარეზე!

ჰიუსტონში კი, ამ დროს, სამედიცინო კონტროლის აპარატურამ დააფიქსირა არმსტრონგის პულსი — 156 დარტყმა წამში 77 ნაცვლად და 130 ოლდრინისა. ყველა გრძნობდა, რომ დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია! საწვავი 49 წამისთვისღა რჩებოდა და არმსტრონგმა, როგორც იქნა, მოძებნა მოსწორებული სუფთა ზედაპირი. ცახდებით! — ისროლა ასტრონავტმა და მიუშვა „არწივი“. ზედაპირთან შეხებისთანავე ავტომატურად გამოირთო ძრავა. რამდენიმე წუთს ასტრონავტები ვერ ახერხებდნენ ხმის ამოღებასაც კი, ძალა არ ჰყოფნიდათ, რომ ერთი სიტყვით მაინც დაემშვიდებინათ დედამიწა და მთვარის ორბიტაზე მყოფი კოლინზი...

ადამიანები დაფრინდნენ მთვარეზე! ასრულდა კაცობრიობის უძველესი და უდიდესი ოცნება! ეს მოხდა 1969 წლის 20 ივლისს!

...არმსტრონგი და ოლდრინი რამდენიმე წუთის განმავლობაში უსმენდნენ „მთვარის სიჩუმეს“. შემდეგ კი მღელვარებისაგან ხმაწართმეულმა არმსტრონგმა ყრუდ წარმოთქვა: „ალო, ჰიუსტონ! ლაპარაკობს „სიმშვიდის ზღვა“... „არწივი“ დაჯდა! („სიმშვიდის ზღვა“ ეწოდება მთვარის იმ რაიონს, სადაც დაეშვა კაბინა...)

ფრენის მართვის ცენტრში და მის გარეთ სიხარულისაგან ყველამ დაკარგა წონასწორობა. ხალხი ბღაოდა, ხტოდა, ეხვეოდა ერთმანეთს და კრემლის დაბოღმილ და გულგასიებულ ლიდერთა ჯინაზე უკვე მარსის ექსპედიციასაც კი გეგმავდნენ. ამერიკა მართლაც რომ დაემსგავსა „შეშლილ მსოფლიოს“...

და აი, დაფრენიდან 5 საათის შემდეგ, ბაზ ოლდრინი რთავს კაბინის გარეთ დამონტაჟებულ ტელეკამერას და პირველი დედამიწელი, ნეილ არმსტრონგი პირველ ნაბიჯს დგამს მთვარეზე: „ადამიანის ეს ერთი პატარა ნაბიჯი — უზარმაზარი ნახტომია კაცობრიობისთვის“, ამბობს იგი. 20 წუთის შემდეგ ოლდრინიც გადადის მთვარეზე. ასტრონავტები ამაგრებენ თავიანთი სამშობლოს ალამს, მის გასწვრივ კი, გაეროსა და 136 სახელმწიფოს ალმებს; სპეციალურ ვიმპელ მასზე ამოკვეთილი სიტყვებით: „აქ პირველად დადგა ფეხი პლანეტა დედამიწიდან მოსულმა ადამიანმა ქრისტეს დაბადებიდან 1969 წელს. ჩვენ მოვედით მშვიდობისათვის მთელი კაცობრიობის სახელით“.

დაამაგრეს ზეთისხილის რტოც, როგორც მშვიდობის სიმბოლო, გვერდით კი მედალიონები იმ ადამიანთა სახელებით, რომლებმაც კოსმოსის ათვისებას შესწირეს სიცოცხლე: ვირჯილა გრისომი, ედვარდ უაითი, როჯერ ჩაფი (სამივე „აპოლონის“ გამოცდისას მომხდარი კატასტროფისას დაიღუპა), ვლადიმირ კომაროვი, იური გაგარინი! შემდეგ კი, პროგრამით გათვალისწინებულ ექსპერიმენტებს შეუდგნენ: ასტრონავტებმა 22 კილოგრამიანი მთვარის ქვები მოაგროვეს, გაბურღეს და ამოიღეს მთვარის გრუნტის მცირე ნაწილი; დაამაგრეს სეისმოგრაფი; აგრეთვე ლაზერული მოწყობილობა, რითაც ზუსტად გაიზომა მანძილი დედამიწიდან მთვარემდე — ასტრონავტები ორსაათ-ნახევარი დააბიჯებდნენ უშუალოდ მთვარის ზედაპირზე, რომელიც მათი თქმით, მტვრის სქელი ფენით იყო დაფარული, ხოლო მთვარის ნიადაგი დაუტკეპნავი ასფალტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მთვარის ზედაპირის სუსტი მიზიდულობა საშუალებას აძლევდა ადამიანებს, მსუბუქად და დაუბრკოლებლად ემოძრავათ, ეხტუნათ, ხოლო ბაზ ოლდრინმა იმდენი მოახერხა, რომ კაბინის კიბის მესამე საფეხურიდანაც გადმოხტა... ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ასტრონავტებმა მთვარეზე დატოვეს ყველაფერი, რაც აღარ სჭირდებოდათ — ტელე და კინოკამერები, ფოტოაპარატი, გრუნტის ასაღები მოწყობილობა და სხვა „წვრილმანი“. ასე შემსუბუქებულებმა დაიწყეს ასაფრენად მზადება. კაბინაში დაბრუნებულებმა ისაუზმეს და 7 საათიანი ძილიც „გამოაცხვეს“... თუმცა, ვერც მძაფრ სუნს დააღწიეს თავი, რომელიც სკაფანდრების მოხსნისთანავე შეიგრძნეს. ეს იყო დენთის სუნის მსგავსი, რომელიც კაბინაში შეყოლილ მთვარის მტვერს ასდიოდა...

დადგა მთვარესთან გამოთხოვების ჟამიც. ასტრონავტებს კვლავ უკიდურესად სარისკო სამუშაო ელოდათ. „არწივმა“ ნელნელა დაიწყო აფრენა, რაც რამდენიმე ძლიერმა ბიძგმა შეცვალა. ვერც ასტრონავტებმა და შემდეგ ვერც ცენტრმა ვერ გაარკვია, რა მოხდა და დღემდე გამოცანად დარჩა... მეორე სირთულეც ელოდათ, კერძოდ, ძლივს მოახერხეს „კოლუმბისა“ და „არწივის“ შეკავშირება. კოლინზის თქმით, მან ჯოჯოხეთური რყევის 8-10 წამი გადაიტანა, სანამ „არწივი“ საიმედოდ დამაგრდებოდა „კოლუმბზე“... კაბინიდან ძირითად ხომალდში არმსტრონგისა და ოლდრინის გადასვლის შემდეგ, ეკიპაჟი „არწივსაც“ გამოემშვიდობა, დატოვა რა იგი მთვარის მუდმივ თანამგზავრად და დედამიწისკენ აიღო გეზი. 24 ივლისს რვადღიანი ისტორიული ექსპედიცია დამთავრდა!

მას შემდეგ ამერიკელებმა კიდევ არაერთხელ დალაშქრეს მთვარე („აპოლონ 13“-ის ეკიპაჟი კი, სასწაულით გადაურჩა დაღუპვას, ხომალდზე მომხდარი აფეთქების გამო...), მაგრამ „აპოლონ 11“-ის ეკიპაჟმა ისტორიაში სამუდამოდ დაიკავა ადგილი „ლეგენდარული სამეულის“ სახელწოდებით. მთვარეზე ექსპედიციის შემდეგ მათ შეიცვალეს პროფესია და სხვადასხვა შტატში დასახლდნენ: კოლინზი სათავეში ჩაუდგა სმიტსონის ეროვნულ აეროკოსმოსურ მუზეუმს. არმსტრონგი კი, ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატის უნივერსიტეტის პროფესორია და ასტრონავტიკაში კითხულობს ლექციებს.

დრამატულად წარიმართა მხოლოდ ბაზ ოლდრინის ცხოვრება, რომლის სახელიც წლების მანძილზე არ ჩამოსულა მსოფლიო პრესის ფურცლებიდან. ეს ის ასტრონავტია, რომლის შესახებ საქართველოშიც ბევრი ჭორი გვსმენია: თითქოს გაგიჟდა, მღვდლად ეკურთხა, მთვარეზე მიცვალებული ნათესავები იხილა, თავი მოიკლა და ა.შ. მაგრამ, აი, რას წერს ბაზ ოლდრინი ბესტსელერად ქცეულ თავის წიგნში: „მე პრესვიტერიანული ეკლესიის მიმდევარი და მორწმუნე გახლავართ, ამას ყოველთვის აღვნიშნავდი, მთვარის ექსპედიციამდეც და შემდეგაც. მთვარეზე ყოფნისას ვილოცე კიდეც. დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ კი მელანქოლია დამეწყო და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მთვარეზე ექსპედიციის შემდეგ ყველაფრისადმი ინტერესი დავკარგე. უმიზნობამ პინგ-პონგის ბურთულად მაქცია, რომელიც სხვების ნებასურვილისამებრ ხტის აქეთ-იქით. ამას დაემატა ჩვენს ირგვლივ ატეხილი სარეკლამო აჟიოტაჟი მისთვის დამახასიათებელი უტაქტობებით; გაუთავებელი მიღებები და ბანკეტები, სიტყვით და ლექციებით გამოსვლები, მთელ მსოფლიოში წანწალი და ბოლოს, იქამდეც კი მივედით, რომ ერთ-ერთი ვოიაჟის დროს ჩემმა მეუღლემ სერიოზულად მკითხა: „მე ვიცი, რომელ ქალაქში ვართ, მაგრამ რომელი ქვეყნის ქალაქია?(!)“... მოკლედ, საშინლად გადავიღალე, მივხვდი, რომ ავად ვარ და არც დამიმალავს, რომ ვსაჭიროებდი ფსიქიატრიულ დახმარებას...“

ბაზ ოლდრინი მალე გამოჯანმრთელდა. რეკლამას უწევდა „ფოლკსვაგენის“ ავტომობილებს, შემდეგ კი, სამი პატარა ფირმის პრეზიდენტი გახდა...

„აპოლონ 11“-ის ოდისეა 30 წლის წინ დასრულდა. მისი ეკიპაჟის ცხოვრება კი გრძელდება. ნეილ არმსტრონგს 69 წელი შეუსრულდება, ადამიანის ნაკვალევს კი, უსიცოცხლო მთვარე, ფიზიკოსთა გაანგარიშებით, ერთ მილიონ წელიწადს შეინახავს!

ზურაბ მჭედლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანელი სტუდენტები ახალ რევოლუციას ამზადებენ

ირანის რევოლუციის 20 წლისთავზე ქვეყანაში დიდი მღელვარება დაიწყო. რამდენიმე დღეა, თეირანსა და სხვა ქალაქებში ათიათასობით სტუდენტი საპროტესტო აქციას ატარებს. საჯაროდ პირველად გააკრიტიკეს სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენე. სტუდენტებმა მას მოსთხოვეს, კონტროლი პოლიციაზე, სასამართლოებზე, არმიასა და ტელევიზიაზე გადასცეს პრეზიდენტ მოჰამედ ხათემის. თავის დროზე სწორედ ირანელმა სტუდენტებმა დაამხეს შაჰის, მოჰამედ რეზა ფეჰლევის რეჟიმი. ასე რომ, დღევანდელი სიტუაცია, შესაძლოა, ადგილობრივ სასულიერო ხელისუფალთათვის, რომლებიც ხალხში პოპულარობას კარგავენ, წამგებიანი გამოდგეს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თეირანის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოითხოვეს ლიბერალური გაზეთ „სალამის" გამოშვების განახლება და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გაუქმება. რამდენიმე ხნით ადრე ირანის პარლამენტმა მიიღო სიტყვის თავისუფლების გამკაცრების კანონი, გაზეთი „სალამი" დახურეს, დააპატიმრეს გამომცემელი, პრეზიდენტ ხათემის თანამოაზრე მუსავი ხოინია.

მის დასაცავად აღდგნენ სტუდენტები, მანიფესტაცია არცთუ მრავალრიცხოვანი იყო და რამდენიმე საათში მშვიდობიანი გზით მალევე დამთავრდებოდა, მაგრამ მოულოდნელად პოლიცია შემოერტყა საერთო საცხოვრებელს, სადაც მომიტინგეები იმყოფებოდნენ. შეტაკების დროს 1 სტუდენტი დაიღუპა, რამდენიმე დაიჭრა, ასობით დააპატიმრეს. ასეა თუ ისე, უნივერსიტეტის შტურმი სასულიერო პირთა შეცდომად იქცა. აქციების ტალღა სხვა ქალაქებსაც მოედო. პრეზიდენტი ხათემი სტუდენტებს დაჰპირდა, რომ ინციდენტს გამოიძიებს და დაპატიმრებულებს გაათავისუფლებინებს. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, შეძლებს თუ არა ირანის ხელისუფლება სიტუაციის გაკონტროლებას და აიცილებს თუ არა ახალ სისხლის ღვრას. სტუდენტები პრეზიდენტისაგან ითხოვენ გადამწყვეტ მოქმედებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალ რევოლუციას მოაწყობენ და მასში ფრთხილი ხათემი იპოვის თუ არა თავის ადგილს — ძნელი სათქმელია.

იზვესტია №126

ამან ტულიევს სიკვდილი მიუსაჯეს

ინტერფაქსის ცნობით, გროზნოში გამართული ჩეჩნეთისა და დაღესტნის ისლამისტ სწავლულთა საგანგებო სხდომაზე კემეროვოს გუბერნატორს ამან ტულიევს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ამ სასტიკი ვერდიქტის მიზეზი გახდა ვითომდა ტულიევის გაქრისტიანება. სულიერი მამების გადაწყვეტილებით, ყოველ მუსულმანს შეუძლია განაჩენი აღასრულოს იქ, სადაც კი წაასწრებს სიკვდილმისჯილს. ჩეჩნეთის საინფორმაციო საშუალებები ამ გადაწყვეტილების შესახებ, ჯერჯერობით, დუმს... ამბობენ, ტულიევი ქრისტიანულად 25 ივნისს მოინათლაო. გუბერნატორის პრეს-მდივანმა უკვე რამდენჯერმე განაცხადა, მსგავსი არაფერი მომხდარა, ბატონი ტულიევი ათეისტია, თუმცა წარმოშობით, რა თქმა უნდა, მუსულმანიაო. მისი თქმით, ამან ტულიევმა 5 წლის წინ მოილოცა მექა, მაგრამ ეს უფრო ტურისტული მოგზაურობა იყო, ვიდრე ჰაჯი და მაინც, მთავარი ის კი არ არის, რა აღმსარებლობისაა ტულიევი. ეს, ბოლოს და ბოლოს, მისი პირადი საქმეა, არამედ ის, რომ ჩეჩნეთში რუსეთის კანონების მიხედვით არ ცხოვრობენ (თუმცა ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციის ობიექტია). გამოდის, რომ ჩეჩნებს შეუძლიათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ მას, ვისაც უნდათ და ეს არ აღაშფოთებს არც ერთ რუს პოლიტიკოსს (რაც მთავარია, არც თავად ტულიევს). ამ უკანასკნელმა ისლა განაცხადა — არ გავქრისტიანებულვარო. საინტერესოა, გამოჩნდება რუსეთში რომელიმე ორგანო, რომელიც აღკვეთს ამ უკანონობას?!

სეგოდნია №52

ნატო ბალკანურ პლაცდარმს ამაგრებს

ნატოს ხელმძღვანელობის აზრით, ბალკანეთში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რაც შეიძლება მალე მიიღონ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში იუგოსლავიის რამდენიმე მეზობელი ქვეყანა; კერძოდ, რუმინეთი, სლოვენია და ბულგარეთი. ისმის კითხვა: მიიღოს თუ არა ალიანსმა სუსტი და დახმარების მოსურნე ქვეყნები, თუ კარი გაუღოს მათ, ვისაც ნაკლები პრობლემები აქვთ და სწრაფი ადაპტირების უნარიც (იგულისხმება სამი ბალტიისპირეთის სახელმწიფო). თვით ხავიერ სოლანა „სამხრეთ სტრატეგიის" მომხრეა (საბერძნეთსა და თურქეთს შორის რამდენიმე ომი აიცილა თავიდან ნატომ, რადგან ორივე ქვეყანა ალიანსის წევრი იყო).

ამ მხრივ ნატო დიდ იმედს ამყარებს სამხრეთ-აღმოსავლეთისთვის სტაბილურობის პაქტზე — ახალ ფორუმზე, რომელშიც გაერთიანებულია სლოვენია, ბულგარეთი, რუმინეთი, მაკედონია, ხორვატია, ბოსნია. ნატოს პოლიტიკოსების ასეთი „სამხრეთ ცენტრისტული" მიდგომა ძალზე აღიზიანებს ტალინს, რიგასა და ვილნიუსს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ იმსახურებენ წახალისებას დემოკრატიზაციისა და მცირერიცხოვანი რუსულენოვანი მოსახლეობის კრიზისის გადაწყვეტისათვის. ამა წლის ოქტომბერში ნატოს გენერალური მდივანი პოსტს დატოვებს და ევროკავშირის მთავარი დიპლომატი გახდება... მოახდენს კი იგი ალიანსის „სამშვიდობო" კონცეფციაზე არსებით ზეგავლენას? განთავისუფლებულ პოსტზე, მეთვალყურეთა აზრით, საკმაოდ დიდი შანსი აქვთ დანიის თავდაცვის მინისტრს — ჰანს ჰეკერუპს და ბრიტანეთის ლიბერალურ დემოკრატების ყოფილ ლიდერს — პედლი ეშდაუნს. სხვათა შორის, დანიელს ამერიკელი სამხედრო მინისტრის, უილიამ ქოენის მხარდაჭერის იმედი აქვს. იგი ცნობილია, როგორც „ბალკანური უშიშროების ზონის" აქტიური შემქმნელი. პრეტენდენტთა შორის დასახელებულია პოლონეთის საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაური — ბრონისლავ გერემეკი, რომელიც „სოლიდარობის" ერთ-ერთი ლიდერი იყო: იგი მოითხოვს ნატოს სამხედრო ჩარევას იუგოსლავიის საქმეებში და აქტიურად დაუჭერს მხარს ბალტიისპირა სახელმწიფოების შესვლას ალიანსში.

ნოვიე იზვესტია №120

ევროპა თვით ევროპელებსაც არ მოსწონთ

მოსკოვის მახლობლად, „ბორის" კომპლექსში, მუშაობა დაიწყო საგარეო საქმეთა ექსმინისტრების საერთაშორისო კავშირმა. იგი გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომას ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბრძოლის სულისკვეთებით არ არის გამსჭვალული. ყოფილი მინისტრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ თანამედროვე დიპლომატიის მდგომარეობის გამო, რომ არ გამართლდა მათი იმედი ახალი მსოფლიო წესრიგის შესახებ, წაიშალა განსხვავება „ეროვნულსა" და „საერთაშორისოს" შორის, — აცხადებს გარეტ ევანსი (ავსტრალია).

„ჩვენმა საუკუნემ შექმნა კაცობრიობის ახალი გამანადგურებელი საშუალებანი, გაჩნდა ახალი ეპიდემიები. შევეცადეთ, შეგვექმნა „მსოფლიო წესრიგი" — გაერო და ერთა ლიგა. არც ერთს წარმატება არ მოუტანია. გაიზარდა საზოგადოებრივი აზრის როლი დიპლომატიაში. საგარეო პოლიტიკა მომავალ არჩევნებზეა დამოკიდებული, რაც ხელს უშლის დიპლომატიის ეფექტიანობას," — თქვა გეორგ რალისმა (საბერძნეთი).

„საბჭოს წევრები, გაეროს თხოვნით, „მიჩუმათებულ" არაფორმალურ დიპლომატიას ეწევიან და თურმე, ასეთი დიპლომატია უფრო ეფექტურია, ვიდრე ოფიციალური; რადგან ფარდა ეხდება მსოფლიოს დიპლომატიური საზოგადოების კულისებს მიღმა ცხოვრებას," — ამბობს ალექსანდრ ბესმერტნიხი (რუსეთი).

„ვფიქრობდით, რომ მსოფლიოში დემოკრატია და ეკონომიკური პროგრესი გაიმარჯვებდა, ბოლოს მივიღეთ რეგრესი," — განაწყენებულია ვაცლავ ჰაველი.

„ევროკავშირი ნატოს ნაწილი გახდა. ჩინეთიც ვერ დაუპირისპირდა ნატოს. ჩვენი იმედები არ გამართლდა. ჩვენ ვხედავთ კოლონიალიზმის ახალ დამახინჯებულ სახეს" (კუმარ გურჯალი, ინდოეთი).

„აშშ-მა დაასრულა თავისი ტრადიციული იზოლაციონალიზმი, ორ მთავარ პარტიას მისი არ სჯერა, რადგანაც ევროპა ყველაფერში გაუთანაბრდა აშშ-ს. ევროპა, თავისი მზარდი პოტენციალის რეალიზაციისთვის, აშშ-ის მსგავსად ან უნდა შეიარაღდეს, ან იქონიოს საერთო საგარეო პოლიტიკა მთელი კონტინენტისთვის" (ერვინ ლანცი, ავსტრალია).

დომინირებდა ერთადერთი არა „ექს"-წარმომადგენელი, ერაყის ვიცე-პრემიერი ტასიკ აზიზი თავისი დიდი სიგარით, რომელიც „მასობრივი განადგურების იარაღად ჩათვალეს". მან გულისტკივილით განაცხადა: — „ოდესღაც არაბები შურით შეჰყურებდნენ გაერთიანებულ ევროპას და ცდილობდნენ, მას დამსგავსებოდნენ. ვერც წარმოვიდგენთ, რომ შესაძლებელია ის, რაც იქ მოხდა (მეზობელმა ქვეყანამ აიძულა, გაეყვანა თავისი ტერიტორიიდან საკუთარი ჯარები და პოლიცია, სამაგიეროდ, იქ უცხო ჯარი შეუშვეს; ორი წლის შემდეგ კი გამოცხადდა რეფერენდუმი ამ ტერიტორიის გამოყოფის შემდეგ...)." ნათლად ჩანს, რომ ომის შემდეგდროინდელი ევროპის მდგომარეობა თვით ევროპელებსაც არ მოსწონთ.

ნეზავისიმაია გაზეტა №123

ასაჰარას მოციქულნი ციხეებიდან გამოდიან

ალბათ გახსოვთ,, იაპონური სექტის „აუმ სინრიკეს" წევრების ტერორისტულმა ქმედებებმა რომ 90-იანი წლების შუახანებში მთელი მსოფლიო განაცვიფრა. ტოკიოს ციხეში მკაცრად იცავდნენ „აუმ სინრიკეს" ხელმძღვანელს, 44 წლის სეკუ ასაჰარას, რომელიც დაადანაშაულეს ქვეყნის დასასრულის წინასწარმეტყველებასა და ცოდვილთა განადგურებაში. ნახევრად უსინათლო ცრუწინასწარმეტყველს სიკვდილით ემუქრებოდნენ. სექტანტებს სულაც არ ეშინიათ თავიანთი სულიერი მამის დაღუპვისა... იგი ძლიერია და ნებისმიერ დროს უხილავი გზით კედელშიც გავაო, — აცხადებენ სექტანტები. იაპონიის ხელისუფლება, როგორ ჩანს, ვერ უმკლავდება ამ ორგანიზაციას, რომელთა სინდისზე 20-ზე მეტი მკვლელობაა. სექტა განადგურების მაგიერ აყვავების გზას ადგას და მომგებიან სავაჭრო-სამრეწველო კომპანიად გადაიქცა. პოლიციის მონაცემებით, „აუმ სინრიკემ" იაფფასიანი იმპორტული დეტალებისაგან პერსონალური კომპიუტერების აწყობა დაიწყო. სექტანტი-ფანატიკოსები ორ ქარხანაში მუშაობენ, ხელფასს არ იღებენ და მხოლოდ ბოსტნეულით იკვებებიან, იაფფასიანი კომპიუტერების წყალობით, სექტა ყოველწლიურად 7 მლრდ იენს (58 მლნ დოლარი) შოულობს. ამ თანხით სასამართლოს

დადგენილ კომპენსაციებს უხდიან ასაჰარას მსხვერპლთა ოჯახებს, აქტიურად ქმნიან თავიანთი ბაზების ქსელს. სექტანტებს დაუპირისპირდნენ ნაგანოს პრეფექტურის გლეხები, რომელთაგან მაღალმთიან ადგილებში მიწები შეიძინეს „აუმ სინრიკეს" წევრებმა. გლეხებმა არც კი იცოდნენ, რომ მყიდველები ასაჰარას მოციქულები იყვნენ. პოლიცია ჯერჯერობით უმკლავდება ასაჰარას მომხრეთა წვრილმან გამოხდომებს, მაგრამ ხელისუფლება შიშით ელოდება დეკემბერს, როდესაც ციხიდან გამოუშვებენ სექტის ერთ-ერთ გავლენიან ლიდერს, 36 წლის ფუმიჰირო ჰჟუს. სულ მალე გათავისუფლდებიან ყოფილი „ქიმიური დაჯგუფების" თანამშრომელი ქალებიც. სწორედ ამ განათლებულმა ფანატიკოსმა ქალებმა წარმატებით ჩაატარეს ნერვულ-პარაციტიკური გაზის სინთეზირება.

იზვესტია №123

მუსლიმები გერმანიაში

მუსლიმები გერმანიაში ერთ ნაკადად არ შემოჭრილან. პირველად 50-იან წლებში ჩამოვიდნენ არაბი, ირანელი და სხვა ისლამური სახელმწიფოების სტუდენტი ახალგაზრდები, თუმცა მათი რიცხვი ძალიან მცირე იყო. ინტენსიური ემიგრაცია 60-იანი წლებიდან დაიწყო და მალე მათმა რიცხვმა მილიონობით ადამიანს მიაღწია. ისინი ძირითადად, იყვნენ სამუშაოს საშოვნელად ჩამოსული თურქები, მაროკოელები და ტუნისელები. 80-იან წლებში კი მუსლიმები საგრძნობლად მომრავლდნენ, განსაკუთრებით ისინი, ვინც ომებს გაურბოდნენ ავღანეთსა თუ ბოსნიაში. შედარებით გვიან კი ერაყელები და თურქი ქურთებიც დამკვიდრდნენ. 1996 წლის აღრიცხვით მუსლიმთა რაოდენობამ გერმანიაში 1,6 მლნ ადამიანს გადააჭარბა, რომელთაგან მცირე ნაწილი თვით გერმანელები არიან.

ემიგრანტი მუშების გამოჩენამდეც ისლამი გერმანიისთვის არ იყო უცხო. 1915 წელს ფონსდორფში, ტყვეთა ბანაკში მცხოვრებ მუსლიმანთათვის აშენდა პირველი მეჩეთი, ათ წელიწადში მეორე მეჩეთი აიგო ქალაქ ბერლინში. 1953 წელს კი ჰამბურგში დაარსდა შიიტური ისლამური ცენტრი, შემდეგ აშენდა მეჩეთიც. იმ დასახლებებში, სადაც არ არსებობდა მეჩეთი, მუსლიმები და ქრისტიანები ერთ ჭერქვეშ იკრიბებოდნენ. შენობის ერთ სართულზე ეკლესია იყო, ხოლო მეორეზე — მეჩეთი. დღესდღეობით მეჩეთები იმდენად მომრავლდა, რომ ბევრ უბანში ეკლესია და მეჩეთი ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა.

ყველა სხვა რელიგიის მსგავსად, ისლამშიც მრავალი მიმართულებაა. გერმანიაში ისლამის რამდენიმე განშტოება არსებობს, რომელთა შორის კონფლიქტი ართულებს ისლამური უმცირესობის ყოფა-ცხოვრებას.

მუსლიმ ემიგრანტებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის არცთუ მეგობრული დამოკიდებულებაა, რადგან გავრცელებული წარმოდგენის თანახმად, ისლამი არის ფანატიკური და აგრესიული რელიგია.

როგორც გერმანელები ანყდებიან სირთულეს მუსლიმებთან, ასევე თვით მუსლიმებიც ძნელად ეგუებიან გერმანელ საზოგადოებას.

საბოლოოდ, კითხვა, როგორი ურთიერთობა აქვთ მუსლიმ ემიგრანტებს და მკვიდრ გერმანელებს, უპასუხოდ რჩება. ამას მასშტაბური განხილვა და გაანალიზება სჭირდება.

(გაზეთ „ფიქსიენ ვა ფანს" მიხედვით) მოამზადა თამარ ნატროშვილმა

სამიროს ქვეშევრდომნი „ოჯახის" შემოსავლით დაინტერესდნენ

კატარის (საუდის არაბეთი) მმართველ ოჯახს — ელ-ტანის ცუდი დღეები დაუდგა. ამირას ნათესაობა, რომელიც ათეული წლების მანძილზე დიდი პრივილეგიებით სარგებლობს, საფრთხეშია. კატარის ეკონომიკა, ნავთობის ფასების დაკლების გამო, საგრძნობლად მოიკოჭლებს... ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩა. ამ დროს კი მმართველი ოჯახი, კატარის კონსტიტუციის მიხედვით უზრუნველად ცხოვრობს; ელ-ტანის გვარის ყოველ წარმომადგენელს ყოველთვიურად 8 ათასი დოლარი „ერგება", მხოლოდ იმიტომ, რომ „მოევლინა" ამ ქვეყანას. ამჟამინდელ ამირას, ჰამადა ბენ ხალიფა ელ-ტანის 3 ათასი ნათესავი (ძმა, დეიდა, მამიდა, დისწული, ძმისწული და სხვ.) ჰყავს. ამხელა ოჯახის შენახვა გაუჭირდა სახელმწიფოს (საშუალოდ 15-20 ათასი მლნ დოლარი). ჟურნალ „ფორბსის" მიხედვით თვით ამირას ქონება 5 მლრდ-ს აღწევს.

რასაკვირველია, „სამუდამო სტიპენდიის" მოხსნა ქვეყნის ეკონომიკას წელში გამართავდა.

ქვეყნის 700 ათასი („დროებითი ქვეშევრდომი") მცხოვრებიდან 170 ათასი ძირძველი კატარელია. ისინი თავს არ იწუხებენ ჭუჭყიანი სამუშაოებით, ძირითადად მმართველ სფეროებში მუშაობენ. მიუხედავად იმისა, რომ კატარას მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული არმია ჰყავს, „დროებით ქვეშევრდომთა" უკმაყოფილებამ, შესაძლოა, ქვეყნის სტაბილურობა შეარყიოს. ელ-ტანის ოჯახის დაუმსახურებელმა უპირატესობებმა ამირა თავის ნათესავებს დაუპირისპირა.

მიუხედავად „ოჯახის" პრივილეგიებისა, კატარაში სამეფო მემკვიდრეობის საკითხი საკმაოდ თავისებურად წყდება: ამჟამინდელი ამირა თავის „დროს" არ დაელოდა და სამეფო ტახტიდან ჩამოაგდო მამა — ხალიფა ბენ ჰამად ელ-ტანი (1995 წელს). საბედნიეროდ, კატარას „გადატრიალებანი" უსისხლოდ მიმდინარეობს. ეტყობა, ამირა ჰამად ბენ ხალიფა ელ-ტანი, ითვალისწინებს რა ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდების ტრადიციულ მეთოდს, მაინც დიდ რისკზე მიდის — თავს ესხმის „ყველაზე უფრო წმინდას" — ოჯახის ფინანსურ კეთილდღეობას.

ფორბსი

მოკლედ

პარიზში წლინახევრის ყოფნის შემდეგ სანქტ-პეტერბურგში დაბრუნდა ანატოლი სობჩაკი, რომელიც აპირებს გააგრძელოს პროფესიული და პოლიტიკური საქმიანობა.

ალმა-ათას აეროპორტში გაჩენილ ხანძარს 40 სახანძრო ბრიგადა აქრობდა, მაგრამ უშედეგოდ. ცეცხლმა ყველაფერი გაანადგურა, გარდა აეროპორტის შენობის სარდაფისა. ვარაუდობენ, რომ აეროპორტს ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა.

ინდოეთი და პაკისტანი შეთანხმდნენ ომის შეწყვეტის შესახებ. მეთვალყურეთა ცნობით, ორი თვის სასტიკ ბრძოლას შეეწირა 680 პაკისტანელი და 323 ინდოელი ჯარისკაცი, დაჭრილია დაახლოებით 500 ადამიანი.

„ჩვენ 60 ათასი ვართ, ყველა ებრაელს დავხოცავთ," — ყვიროდა ფაშისტური ორგანიზაციის წევრი სტუდენტი ნ. კრივჩუნი **მოსკოვის** სინაგოგაში, სადაც მან მძიმედ დაჭრა ებრაული კულტურის ცენტრის დირექტორი ლეოპოლდ კაიმოვსკი.

ცნობილ როკ-მომღერალს, 52 წლის **ელტონ ჯონს ლონდონის** საავადმყოფო „ველინგტონში" გულის ოპერაცია გაუკეთეს — ჩაუდგეს გულის კუნთის მუშაობის მომწესრიგებელი პატარა მოწყობილობა.

ვინ მიყვარს? ვისაც უფრო მეტად ვუყვარვარ!

წარსულში დამსახურებისთვის, სამწუხაროდ, თამასუქებს არავინ არიგებს, მაგრამ თუ სიყვარული ერთხელ მიეგო, მთელი სიცოცხლე სიამოვნებას იზოგავს, ეფერება და ნალვერდალივით სულს უბერავს ადამიანი. ლეილა აბაშიძეს იოლად ვერ დაივიწყებ და გულგრილად ვერასოდეს შეხედავ. ეს კია, ბოლო დროს რატომღაც შემოსწყრნენ რეჟისორები...

ლეილა აბაშიძე: ვერ ვიტყვი, რომ შემომწყრნენ, უბრალოდ, მოდა წამოვიდა ასეთი. პროფესიონალ მსახიობებს იშვიათად იწვევენ კინოში. თუმცა არსებობს სუბიექტური მიზეზებიც, რომელთაც ხმამაღლა ვერ ვიტყვი.

— **რატომ ვერ იტყვით?**

— არ მინდა იმაზე მეტი მტრები გავიჩინო, ვიდრე მყავს. იმათაც ძლივს ვუმკლავდები. თუმცა არც ვებრძვი, საერთოდ ხმას არ ვცემ. ზოგს ჰგონია, რომ ბევრი რამ არ ვიცი... სჯობს ყველაფერი ასე დარჩეს.

— **არ გგონიათ, რომ სიმართლის თქმა ნათელს მოჰფენს საქმეს და ამით თქვენი მდგომარეობაც გაუმჯობესდება?**

— არა მგონია, იმიტომ, რომ მიზეზები, რომლის გამოც მე ეკრანზე აღარ ვჩნდები, ადვილად დასანახი უნდა იყოს იმათთვის, ვისზეც დამოკიდებულია ჩემი უმუშევრობა. ვფიქრობ, ვიღაცას სჭირდებოდა ჩემი დროებით ჩამოშორება გზიდან, რათა საკუთარი კარიერა შეექმნა. თქვენ თითქმის მათქმევინეთ ის, რისი თქმაც ნამდვილად არ მინდოდა.

— **რატომღაც მგონია, რომ მალე, თქვენ, როგორც კინოვარსკვლავი, ხელახლა გაბრწყინდებით.**

— მეც მჯერა, შინაგანად გულმოდგინედ ვემზადები ტრაგიკული როლისთვის, რისთვისაც, მგონი, თვით ცხოვრებაც მამზადებს. იქნებ, ჩემმა მოქიშპეებმა კარგი სამსახურიც გამიწიეს.

— **მაინც რისი ბრალია ჩვენში ტრადიციად ქცეული ეს ქიშპობა მწერალთა შორის, რეჟისორთა შორის და ა.შ?**

— ნიჭიერების, ჩემო ბატონო. ჩვენ ძალიან ნიჭიერი ხალხი ვართ, ყველას პირველობა გვინდა. ასეთი ადგილი კი მხოლოდ ერთია. მე მხოლოდ ის არ მესმის, რატომ არ შეიძლება ერთმანეთის გვერდით არსებობდეს ორი, ათი და თუნდაც ოცი ერთმანეთზე ნიჭიერი პროფესიონალი?! განა ეს უფრო დიდი გამარჯვება არ იქნებოდა ჩვენი ერისა? თუმცა, ხშირად სწორედ ასეთ ქიშპობაში იწრთობა და იხვეწება ის ბრილიანტი, თვალის მომჭრელად რომ აელვარდება ხოლმე რომელიმე ვარსკვლავის სახით. მიფიქრია, იქნებ სწორედ ცხოვრების ასეთ კანონზომიერებაში დევს ჩვენი გენეტიკური გადარჩენის კოდი... დიახ, ფილოსოფიურა-

დაც კი მინდა გავამართლო ჩემდამი ქიშპი. თუ მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, დავიპყარი ქართული კინოს სამსახიობო მწვერვალები, განა ახლა უფრო არ შემიძლია დიდი როლების შესრულება? სერგო ზაქარიაძემ კარიერის დასასრულს შექმნა ყველაზე დიდი როლები. ასე იყო ქალბატონი სესილიას ცხოვრებაშიც.

— **რომელიმე სხვა ცივილიზებულ ქვეყანაში რომ დაბადებულიყავით ალბათ, ახლა უბედნიერესი ქალი იქნებოდით, მილიონერი, სასახლეებით, ვილებით... არ ნანობთ, რომ საქართველოში დაიბადეთ?**

— არა, რას ბრძანებთ, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვარ ქართველი, უცხოეთში ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ყოველთვის გული აქეთ მომიწევდა. არასოდეს გამჩენია სურვილი სხვაგან დარჩენის. მსახიობი თავის ქვეყანაში უნდა შრომობდეს, იმიტომ, რომ პროფესიონალიზმს ძირითადად ხასიათი განსაზღვრავს. მე ქართველი ქალი ვარ და მხოლოდ ქართველი ქალი შეიძლება ვითამაშო და არა ამერიკელი. შეიძლება ითამაშო ერთი, ორი როლი საზღვარგარეთ, მაგრამ ეს დიდი სასჯელია.

— **მითხარით, მშობლები რეპრესირებულები იყვნენო. ამის გამო არასოდეს გაგჩენიათ ხელისუფლებისადმი შურისძიების გრძნობა?**

— მე ჩემი სამყარო მაქვს და პოლიტიკისგან ძალიან შორს ვდგავარ. არ მომწონს ასეთი საყოველთაო პოლიტიზაცია, რაც ჩვენში ხდება. პოლიტიკა პოლიტიკოსების საქმეა და მათ უნდა აკეთონ.

— **ქალბატონო ლეილა, გულწრფელად მითხარით, ყველაზე მეტად ვინ გიყვართ?**

— ვინ მიყვარს? ის, ვისაც უფრო მეტად ვუყვარვარ!

— **ვისგან გრძნობდით ყველაზე დიდ სიყვარულს?**

— ჩემი ყოფილი მეუღლისგან, რომელიც საოცრად ფაქიზი სულის, მუსიკალური და სათნო ადამიანია (გარკვეულწილად, მას ჰგავს ჩვენი შვილიც, რამაზ დანელია). სამწუხაროდ, ცხოვრება რთულია და ჩვენ დავშორდით, მაგრამ მე ახლაც დიდ პატივს ვცემ მას, იგი ღირსეული პიროვნებაა და თავისი საქმის პროფესიონალი. ამის გარდა, მქონდა კიდევ ერთი სიყვარული, რომელიც მკითხველისთვის მინდა საიდუმლოდ დარჩეს. უსიყვარულოდ არაფრად ღირს ჩვენი ცხოვრება, ვისაც ეს გრძნობა არ გააჩნია, იგი ღვთისგან დასჯილია.

— **რა არის თქვენი ჰობი?**

— წერა, ლექსებს ვწერ, სცენარებს და კიდევ რაღაც-რაღაცებს ვწერ ჩემთვის.

— **ხომ არ წაგვიკითხავდით თუნდაც ერთ სტროფს თქვენი შემოქმედებიდან?**

— *„ისევ ქარმა წაგილო,*
სულშიც ქარი ქროდა,
ჩემს თითებს კი შენი თმის
სურნელება ჰქონდა,
ჩემს ტუჩებსაც ისევ აჩნდა
შენი კოცნის კვალი,
შორს, ღრუბლებში დაგადევნე
ცრემლიანი თვალი,
ისევ ქარმა წაგილო,
სულშიც ქარი ქროდა,
ჩემს თითებს კი შენი თმის
სურნელება ჰქონდა“.

სხვათა შორის, ამ ლექსს მღერის ერთ-ერთი ანსამბლი და არც კი იციან, რომ ჩემი ლექსია.

— **თქვენ თვითონ სიმღერასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— ძალიან კარგი, მე ვთვლი, რომ ხმაცა მაქვს და სმენაც. უბრალოდ, ძალიან მუსიკალურ გარემოცვაში ვცხოვრობდი — აბაშიძეების, ანჯაფარიძეებისა და ბარათაშვილებისა. სიმღერის დროს, ვერ ეგუებოდნენ მცირეოდენ ხარვეზსაც კი და ხშირად მაჩუმებდნენ. უცნაური თვისება მქონდა ბავშვობიდან — შენიშვნას ვერ ვიტანდი. თუ გინდათ, რომ რამე გავაკეთო, სულ უნდა მაქოთ და მადიდოთ...

— **რა ლამაზი ხართ, ქალბატონო ლეილა, რა მომხიბლავი** (იცინის, ძალიან გულიანად)!.. **თქვენი აუხდენელი ოცნება** (ფიქრობს, შემდეგ კი ძალიან სევდიანად ამბობს)?

— ჩემი ყველაზე დიდი როლი ჯერ არ მითამაშია.

ესაუბრა ფირუზ ფურცელაძე

ლინო ვენტურა 80 წლისა გახდებოდა

ცნობილი ფრანგი მსახიობი ლინო ვენტურა 60-70-იანი წლების საფრანგეთისთვის იგივე იყო, რაც ჟან გაბენი — 40-იან წლებში. იგი ყოველთვის ნაზი სულის, უხეში გარეგნობის მამაკაცებს ასახიერებდა. ფილმში, „თავგადასავალთა მაძიებლები“, ვენტურასა და ალენ დელონის გმირები ერთ განძს ეძებენ და ერთი ქალი უყვართ. მართალია, ვენტურას გმირი ჩრდილშია მომხიბლავი ალენის ფონზე, მაგრამ სწორედ მისი ერთგულება და თავდადება ამშვენებს ამ ფილმს. ლინომ უამრავ სხვა როლთან ერთად ჟან ვალჟანიც განასახიერა „განკიცხულში“. მსახიობი, რომელმაც 70 წელიც ვერ იცოცხლა, მსოფლიო კინემატოგრაფს შემორჩა, როგორც „მაგარი ბიჭების“ განმასახიერებელი.

ობსერვატორი

მეოთხეც შედევრი იქნება

მიუხედავად აუტანელი სიცხისა, „მდინარის მგლის“ გადასაღებ მოედანზე მუშაობა არ ცხრება. სხვანაირად არც შეიძლება. ფილმს იღებს კინოს აღიარებული ოსტატი გიორგი დანელია. ვოლგაზე, ნიჟნი ნოვგოროდის მახლობლად, უკვე ორი კვირაა, ადგილობრივ მოსახლეობას უთენია აღვიძებს კინემატოგრაფიული ბრძანება: „მოტორი, დავიწყოთ!“

ახალი ფილმი, რასაკვირველია, კომედიაა... სცენარის ავტორები არიან თავად რეჟისორი და დრამატურგი ალექსეი ტიმი. მოქმედება მიმდინარეობს ძველ, პატარა ხომალდზე, რომელიც რუსეთის უდიდეს მდინარეზე დაცურავს. მასზე დროდადრო გამოჩნდებიან ახალ-ახალი ადამიანები, რომლებიც ერთმანეთში ხუმრობენ, დროს ატარებენ და მაინც თავს ვერ აღწევენ მწვავე კონფლიქტებს... ბოლოს, ბარჟა ჩაიძირება... ამას რა მოჰყვება, არ გვიმხელს რეჟისორი, ის კი ვიცით, რომ ყველაფერი მოგვარდება.

ბებერი მგლის როლს თამაშობს ვახტანგ კიკაბიძე. ამ მსახიობისა და რეჟისორის შეხვედრა უთუოდ დიდ სიხარულს გვპირდება. მათ, ორთავემ, კინომოყვარულებს ხომ სამი შედევრი უძღვნეს: „არ იდარდო“, „მთლად წყალწაღებული“ და „მიმინო“. დარწმუნებულნი ვართ, მეოთხეც შედევრი იქნება!

ტრუდი №102

„ბედნიერ ვარსკვლავზე დავიბადე!“



საფრანგეთში, ევიანის მუსიკალურ საღამოებზე, რომლებიც მსტისლავ როსტროპოვიჩის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს, პირველად აჟღერდა ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის ორი ბოლოდროინდელი მუსიკალური ნაწარმოები: „სტუმრად ბავშვობასთან“ და „დიპლიპტო“, რომელთაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს იოსიფ ბროდსკის ტაეპი — „ლექსი ჩემი — მუნჯია“.

კომპოზიტორი იზიარებს ბროდსკის აზრს, რომ რომანი ან პოემა მწერლისა და მკითხველის თანაზიარობის შედეგია. „იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, რომ მსმენელი და ინსტრუმენტი ერთად სუნთქავენ... არ მესმის, როგორ წერენ კომენტარებს მუსიკალური ნაწარმოებისთვის... მუშაობის დროს ვცდილობ, ჩემი შემოქმედება უფლის მოსაწონი იყოს, რათა მან მე და ჩემს მსმენელს სიამოვნება მოგვანიჭოს... სულ მაწუხებს, რომ არ ძალმიძს დავწერო უკეთესად... ახლა უფრო ვამჩნევ ჩემს ნაკლს,“ — ამბობს გია ყანჩელი.

გია ყანჩელი ანტვერპენში ცხოვრობს. მისთვის ახლობელია ბახიცა და XX საუკუნის მუსიკაც. მაგრამ ქართული პოლიფონიის ძალა მას განსაკუთრებით იზიდავს, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, ბოლომდე ვერ ამოუცვნია, რადგან შემოქმედებითი სრულქმნილება ყოველთვის იდუმალებითაა მოსილი... სილამაზე და სინათლე მხოლოდ რელიგიურ გრძნობაში შეერწყმის ერთმანეთს...

ყანჩელმა ორი უნიკალური ნაწარმოები — „ღიმილით დიდებისკენ“ და „სიმი“ — უძღვნა როსტროპოვიჩს. კრიტიკოსები ყანჩელს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს თანამედროვე კომპოზიტორად მიიჩნევენ, რომლის ნაწარმოებებს ასრულებენ გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, აშშ-სა და რუსეთში და ყველაზე იშვიათად — საქართველოში.

ევიანიდან ყანჩელი ათენში მიემგზავრება. 27 ივლისს იქ გაიმართება რობერტ სტურუას მიერ დადგმული შექსპირის პიესის „კორიოლანუსის“ პრემიერა, რომელიც გია ყანჩელმა გაახალისა თავისი მუსიკით. „სტურუამ დიდი როლი ითამაშა ჩემს შემოქმედებაში, ჩვენ თითქმის მთელი სიცოცხლე ერთად ვართ“, — ამბობს კომპოზიტორი.

ნოვიე იზვესტია №120

ვუპი გოლდბერგი — ჰოლივუდელი „შავი მიკი“

უხეში, გაუთლელი, მამაკაცური დედაკაცი ცხენისებური ღიმილით და „ტყის კაცის“ მოუქნელი მანერებით — ასეთია ამერიკელი კინოვარსკვლავის ვუპი გოლდბერგის ნაუცბათევი პორტრეტი, ქალისა, რომლისთვისაც ყველა გიჟდება — დაწყებული თაყვანისმცემელი მამაკაცებით და რეჟისორით დამთავრებული. მაინც რა ისეთი თილისმა აქვთ ამ ვუპის?

მის შესახებ ჰოლივუდში, ძირითადად, ცუდი ხმები დადის. პირველი, ყველაზე გავრცელებული — მისი სიძუნწის შესახებ. იგი მოითხოვს, რომ ყველა კოსტიუმი, რომლითაც იგი კინოგადაღებებში მონაწილეობს, აუცილებლად აჩუქონ, თანაც, მნიშვნელობა არა აქვს, ძვირფასია ეს კაბა თუ უბრალო. თუ რეკვიზიტორი ან პროდიუსერი რაიმე მიზეზით უარს ამბობს, მაშინ ეს შავკანიანი ეშმაკისფეხი წარმოუდგენელ სკანდალს აწყობს გინებით და ყველანაირი აურზაურით, თანაც ჟურნალისტების თანდასწრებით.

მეორე ჭორი ვუპის ჰიპერსექსუალობას ეხება. მას ყველანაირი მამაკაცი მოსწონს და ხანმოკლე თუ გრძელვადიანი რომანის მისაღწევად ყველაფერზე წავა. სასიყვარულო ურთიერთობაში მამაკაცივით იქცევა. თავად ირჩევს „ბოიფრენდს“, სთხოვს ტელეფონის ნომერს, პატიჟებს რესტორნებში და... ძვირფას საჩუქრებსაც ჩუქნის. ინტიმურ ურთიერთობაშიც წამყვანი პოზიცია უჭირავს — ძალზე აქტიურია და თავისი სწორხაზოვანი ქმედებით ზედმეტად ჩაგრავს ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. „ერთდროულად შემიძლია ვიყო საყვარელი, ნუგბარი ქალი და ამავე დროს აუტანელი და მკაცრი, როგორც პროფესიონალი მკვლელი“ — ამბობს ვუპი თავის შესახებ.

ვუპის მძიმე ბავშვობა ჰქონდა. კერინ ჯონსონი (მისი ნამდვილი სახელი) ჰარლემში დაიბადა, ნიუ-იორკის ყველაზე ღარიბულ კვარტალში, ალკოჰოლიკების ოჯახში. ბავშვობიდანვე ცუდ წრეში ტრიალებდა, ეწეოდა და სვამდა, მალე კი ჰიპების მოძრაობას შეუერთდა. პირველად იქ გასინჯა და მიეჩვია მარიხუანას. მეგობრები დიდ ალქაჯად მიიჩნევდნენ. ნებისმიერი მათგანისათვის შეეძლო ცხვირპირი დაელურჯებინა, მის წყენინებას თუ გაბედავდა.

დაახლოებით ათი წელი ვუპი დახმარებით (უმუშევრობის გამო) ცხოვრობდა, დროდადრო მეეზოვეობით შოულობდა დამატებით ფულს, ხან ჭურჭელს რეცხავდა რესტორან-ბორდელში, ხან ღამის პარკებს დარაჯობდა.

„ჩემი სიფათი, ვისაც გინდათ, დააფრთხობს, მე არ მჭირდება ხელჯოხი და სასტვენი“, — ამაყად ამბობდა ხოლმე, როცა დარაჯად აპირებდა მოწყობას. საძაგელი ხასიათი, ბილწსიტყვაობა და მოუსვენრობა იყო იმის მიზეზი, რომ ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდებოდა. ამ „შავი“ არსების ლირიკული სულის მოთქმა იყო სამსახიობო ოსტატობის დრამატულ კურსებზე სიარული, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა, თავისუფალმა და უშუალო მსახიობმა. როცა სადიპლომო სპექტაკლის შემდეგ შესთავაზეს კონტრაქტები პრესტიჟულ თეატრებში, მიხვდა, რომ „ხალხში გამოსვლის“ რეალური შესაძლებლობა მიეცა.

ბრწყინვალედ დადგმულმა სატელევიზიო შოუებმა ვუპი შინაური ეკრანის ვარსკვლავად აქცია, ხოლო სტივენ სპილბერგმა გაბედა და საყოველთაოდ ცნობილი სკანდალისტი ფილმში მიიწვია (1985წ). ვუპი პოპულარული გახდა, მაგრამ სერიოზული დრამატული სახის ჩარჩო ძალზე ვიწრო აღმოჩნდა იმგვარი ვულკანისათვის, როგორიც ვუპი იყო. რაღაც უნდა მოეხერხებინა ფეთქებადი ენერგიისთვის, სულისშემძვრელი გრიმასებისა და იუმორის დახვეწილი გრძნობისათვის. ვუპი გრძნობდა, რომ იგი კომედიისათვის იყო დაბადებული. სწორედ ამ ჟანრმა დაამკვიდრა იგი ვარსკვლავთა უმაღლეს კატეგორიაში. პუბლიკამ ძალზე შეიყვარა უკომპლექსო და უშუალო მისი გმირები — ულამაზო, სასაცილო ქალები. ამასთან, ვუპი რასობრივ-სოციალურ ქვეტექსტებს ასე აზავებს თავისი მანჭვა-გრეხით, რომ გულგრილი არავინ რჩება.

უამრავი რომანისა და წარუმატებელი ქორწინების შემდეგ, როგორც იქნა, მიაგნო გულისსწორს და ცოლად გაჰყვა ბებერ, მაგრამ მომხიბლავ მსახიობს ფრანკ ლანჯელს (ბედის ირონიით, მან სახელი იმით გაითქვა, რომ გრაფ დრაკულას როლი ითამაშა). სხვა ვინ შეძლებდა ჭირვეული ვუპის მორჯულებას?

მკ ბულვარი №27

არც ერთი ნაბიჯი უხახვოდ

დიდი ხანია ცნობილია, რომ ხახვი შველის გაციებას, სურდოს დროს გახეხილი ხახვის წვენში დასველებული ბამბის ტამპონი რამდენიმე წუთით ცხვირის ნესტოში ჩავიდოთ. ეს პროცედურა დღეში რამდენჯერმე უნდა გავიმეოროთ, აგრეთვე საწოლთან ჩამოვკიდოთ წვრილად დაჭრილი ხახვით სავსე მარლის ტოპრაკი.

ხახვის ფოთლებსა და ბოლქვებში არის B და PP ვიტამინები, კალიუმის მარილები. მწვანე ხახვს ექიმები ურჩევენ მსუქნებს. ხახვი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და შესანიშნავი შარდმდენი საშუალებაა.

სიქაჩლე — ეს თითქმის ტრაგედიაა, რომლისგანაც არ არის დაზღვეული არც მამაკაცი და არც მანდილოსანი. სქელი თმის შენარჩუნებას ხელს უწყობს შემდეგი შემადგენლობის მკვებავი ნიღაბი: საჭიროა ერთი ხახვის წვენი, ერთი ჩაის კოვზი თაფლი, უმი კვერცხის გული, ერთი სუფრის კოვზი ზეთი და ჩაის კოვზი შამპუნ-ბალზამი. გათქვიფეთ, წაისვით თავზე, დაიხურეთ პოლიეთილენის ქუდი, ზემოდან კი შალი მოიხვიეთ. 1 ან 2 საათის შემდეგ თავი შამპუნით ჩამოიბანეთ. თუ ამ ნიღაბს პერიოდულად გაიმეორებთ, შესანიშნავ შედეგს მიაღწევთ.

ტვ პარკი №29

მედიცინის სიახლენი

ლონდონელმა დიეტოლოგმა ენდრიუ პრენტისმა უარყო გავრცელებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ სიმსუქნე შენელებული ნივთიერებათა ცვლის შედეგია. მისი თქმით, ადამიანი მხოლოდ ერთადერთი მიზეზით სუქდება — ძალიან ბევრს ჭამს.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ მსუქნებს ისეთივე ნივთიერებათა ცვლა აქვთ, როგორიც გამხდრებს. მსუქნების მხოლოდ 1%-ს აქვს შენელებული ნივთიერებათა ცვლა. შესაბამისად, მათთვის საჭიროა სიმსუქნის საწინააღმდეგო პრეპარატები, დანარჩენმა 99%-მა კი ნაკლები უნდა ჭამოს და ხშირად ირბინოს.

ბოლო დროს სწორი კვების სპეციალისტები გვარწმუნებენ, წითელი ღვინო ძალზე სასარგებლოა, გულის დაავადებებს გვაცილებსო და მაგალითად ფრანგები მოჰყავდათ. მედიკოსებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ფრანგებს იშვიათად ემართებათ ინფარქტი, რაც წითელი ღვინის წყალობად ჩათვალეს.

მიუხედავად ამისა, ბრიტანელი ექიმების ჯგუფს ამ საკითხზე თავისი თვალსაზრისი გაუჩნდა. კერძოდ, განაცხადეს, რომ წითელი ღვინო არაფერს რგებს. რაც შეეხება ფრანგებს, გულისთვის მავნე ცხოვრების სტილს (უზომო სმა და სიგარეტის ქაჩვა) ისინი ბოლო 15 წელია მისდევენ. გულის დაავადებათა წარმოსაქმნელად კი 25-35 წელი მაინცაა საჭირო. ასე რომ, ეტყობა, შედეგს უნდა დაველოდოთ და წითელი ღვინის იმედად აღარ უნდა ვიყოთ. და საერთოდ, სჯობს სმას თავი დავანებოთ და დიეტაზე გადავიდეთ.

ნიუზუიქ, 12 ივლისი

ზაფხულის „საიდუმლოებანი"

შუა აზიაში ოდითგან იცოდნენ, რომ ცხელი ჩაის სმა საჭიროა პაპანაქება ზაფხულში. ცივი წყალი ორგანიზმის დეზორიენტაციას ახდენს, სხეული საჭირო ტემპერატურას ვერ ინარჩუნებს: ოფლის გამოყოფა დაქვეითებულია, კანი არ გრილდება. ყოველ სალამოს აბაზანას თუ ზღვის მარილსა და რამდენიმე წვეთ სურნელოვან ზეთს დავუმატებთ, კანს სასიამოვნო სურნელი ექნება. ჩაწექით შვრიის ნახარშიან აბაზანაში, ტანზე წაისვით თაფლი, არაფერი სჯობს სუფთა კანის სურნელს. ცხელ ამინდში ეცადეთ, სუნამო არ იპკუროთ — ოფლის სუნს შეერევა.

სხეულზე წაისვით რძეში ჩამბალი ფორთოხლის ნაჭრები და შვრია. ეს ნარევი საუკეთესო მატონიზირებელი საშუალებაა.

კომსომოლსკაია პრავდა №124

არ უცქიროთ მზეს 11 აგვისტოს

სწორედ ამ დღეს მოხდება მზის სრული დაბნელება. უნგრელმა მედიკოსებმა უკვე დაიჭირეს თადარიგი და მოსახლეობას ამ დღის ქცევის ნორმებს უხსნიან. მიზეზი მარტივია: სწორედ უნგრეთში დააკვირდნენ მთვარისა და მზის, ამ „ორი შეყვარებულის შეხვედრას". რუმინეთში ცოტა ტურისტი ჩადის. იუგოსლავიაშიც, ცნობილი მოვლენების გამო, არავინ ჩავა. ამიტომ ტურისტთა მოზღვავებას მზის დაბნელების საცქერად, უნგრეთში ვარაუდობენ.

სამწუხაროდ, ვინც სპეციალური სათვალის გარეშე დააკვირდება ამ მოვლენას, მხედველობას დაკარგავს. სწორედ ამ საშიშროების გამო აფრთხილებენ ექიმები ცნობისმოყვარეთ. მათი თქმით, „საუკუნის მოვლენა" განსაკუთრებით საშიშია პატარა ბავშვებისა და მოზარდებისათვის. ტრავმა იწვევს მხედველობის თანდათანობით დაკარგვას და მისი აღდგენა შეუძლებელია.

11 აგვისტო უნგრეთში უქმე დღედ გამოცხადდა. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სპეციალური სათვალე ყველა მსურველს ერგოს, მაგრამ ვინც ვერ შეიძენს, ისლა დარჩენია, თვალები დახუჭოს და თავდაღმა დაწვეს მიწაზე.

პრიროდა №7

აუცილებელია რაციონალური კვება

ინგლისის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, კვების დარგის კომპანიებს გარკვეული შეზღუდვები დაუწესოს. კერძოდ, აიკრძალება მომხმარებლის დამაიმედებელი წარწერა „85%-ით ცხიმგამოცლილი". ამიერიდან ნამცხვრების, შოკოლადებისა და სხვა ნუგბარის ეტიკეტებზე აღინიშნება — „ცხიმი 15%".



რაციონალური კვების სპეციალისტების აზრით, კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები თავგზას უბნევენ მომხმარებლებს, როდესაც აქცენტი გადააქვთ უცხიმობის პროცენტზე. სინამდვილეში, ცხიმის ის რაოდენობა, რომელიც პროდუქტში რჩება და რომელზეც ჯიუტად დუმან მწარმოებლები, სავსებით საკმარისია წონაში მოსამატებლად. ეტიკეტს მინდობილი მომხმარებელი მშვიდად შეექცევა ვითომდა დიეტურ პროდუქტს და ვერ გაუგია, გახდომის ნაცვლად რატომ სუქდება.

ეე №6

ფეხის ოფლიანობას იწვევს???

ცხელი დღეების დადგომისთანავე გახშირდა ჰიპერჰიდროზი — ოფლის დენა. განსაკუთრებით ძლიერდება ფეხის ოფლიანობა.

ექიმების აზრით, ამ დაავადებასთან ბრძოლა ძალიან ძნელია, ვინაიდან ურიცხვი, ფართოდ რეკლამირებული და ძვირი დეზოდორანტები ისევე, როგორც იაფფასიანი ხალხური წამლები, ყოველთვის არაა ეფექტური.

ამიტომ, ჩრდილოირლანდიელი ექიმები გვირჩევენ, დიდი ყურადღება მივაქციოთ სწორ დიეტასა და დღის რეჟიმს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნიორი, ხახვი და ზოგიერთი სანელებელი აქტიურად უწყობს ხელს უსიამოვნო სუნის გაძლიერებას. სპეციალისტები გვირჩევენ შიშველი ფეხით მიწაზე და ბალახზე სიარულს.

ნიუზუიქ, 5 ივლისი

სიცხე საშიშია

ყოველ ზაფხულს აშშ-ში სიცხისაგან 380 კაცზე მეტი იღუპება. ეს სამწუხარო სტატისტიკა ახლახან გამოქვეყნდა, როცა აშშ-ის ატლანტის სანაპირო ტროპიკულის მსგავსმა ხვატმა მოიცვა. სულ 1979 წლიდან 1996 წლამდე სიცხისაგან 7 ათასი ამერიკელია დაღუპული. მსხვერპლთა ნახევარი 65 წლის და მეტი ასაკისაა. სპეციალისტები გვირჩევენ, რომ ცხელ დღეებში არა მხოლოდ კონდიცირებულ ნაგებობებში ყოფნა, არამედ ბევრი წყლის სმაცაა საჭირო, ფიზიკური დატვირთვა მაქსიმალურად უნდა შევზღუდოთ. თუმცა სიცხესა და სიცივეს შორის არჩევანს თუ გავაკეთებთ, სიცხე ნაკლები ბოროტებაა. იმავე აშშ-ში ყოველ ზამთარს გაყინვით 700 მცხოვრები იღუპება.

ეხო პლანეტი №25

როგორ ვებრძოლოთ ქრონიკულ დაღლილობას?

ქრონიკული დაღლილობა XX საუკუნის დასასრულს უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული დაავადებაა. მაგრამ, ეს ის დაღლილობა როდია, რომელსაც ჩვენ სპორტული ვარჯიშის ან დაძაბული გონებრივი სამუშაოს შემდეგ ვგრძნობთ. არა, ეს არის დაღლილობის მუდმივი შეგრძნება, რომელიც დღითი დღე იზრდება და ხშირად სხვადასხვა დაავადებამდე მივყავართ.

— დაღლილობა, რომელსაც ვგრძნობთ, ერთგვარი საზღაურია ჩვენი ცხოვრების თანამედროვე სტილის გამო, ცხოვრებისა, რომელიც მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს, დროს არ გვიტოვებს გართობა-დასვენებისათვის, — ამბობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნატალია ივანოვნა დუბოვა, — ადამიანები ერთთავად დაძაბულნი არიან, იმუნური სისტემა უქვეითდებათ. შეიძლება, გამოჩნდეს სხვა სიმპტომებიც — წონის დაკარგვა, მაღალი ტემპერატურა. ნერვულ დეპრესიას აპათია მოსდევს, მუდმივი შფოთი, უმადობა. ზოგჯერ დაღლილობა ძილშიაც თან სდევს ადამიანს, ეს კი დამღუპველ ზეგავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე. ადამიანი თავდაპირველად ფიზიკურად სავსებით ჯანმრთელია, მაგრამ დაღლილობის შეგრძნებას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება, რადგან ადრე თუ გვიან, გავლენას იქონიებს ჩვენს საერთო მდგომარეობაზე. არ უნდა ჩაგვითრიოს ნერვული გადაღლილობის მორევმა, რამაც შესაძლოა, ორგანიზმის სრულ გამოფიტვამდე მიგვიყვანოს.

ამისათვის არსებობს უამრავი პრეპარატი. უმრავლესობა შეიცავს საგანგებო დანამატებს, რომლებიც ენერგიას გვმატებს. სასარგებლოა ვიტამინებიც, რომელიც ნივთიერებათა ცვლას უწყობს ხელს და დაღლილობის დამარცხებაში გვეხმარება. ინტელექტუალური ტონუსის ასამაღლებლად და იმავდროულად ნერვული დაძაბულობისა და ფიზიკური დაღლილობის დასაქვეითებლად კარგია მასტიმულირებელი საშუალებებიც. თუმცა, უნდა გახსოვდეთ, რომ ეს პრეპარატები არ მოხსნის დაღლილობასა და გადაღლას. ყველაზე ეფექტური მხოლოდ კლინიკასა და სანატორიუმში მკურნალობა იქნება. საჭიროა მკაცრი დღის რეჟიმი, სწორი და ჯანსაღი კვება. ძილის წინ მოდუნდით, ეცადეთ, არ დალიოთ საძილე საშუალებები, რომლებიც საოცარია, მაგრამ დაღლილობას ამძაფრებს. საღამოობით ალკოჰოლსა და ყავას ნუ მიეძალებით, მათ ხანმოკლე გამომაცოცხლებელ ან მომადუნებელ ეფექტს სერიოზული გვერდითი მოვლენები მოსდევს. თუ ნებისყოფა გეყოფათ, დროებით მაინც თქვით უარი სიგარეტსა და სასმელებზე.

თუ მკურნალობის მრავალჯერადი კურსით მაინც ვერ მოიცილებთ ქრონიკულ დაღლილობას, მაშინ უფრო სერიოზული მიზეზები უნდა მოვძიოთ და უფრო ღრმა გამოკვლევა უნდა ჩატარდეს.

ამიტომ, საჭიროა ექიმის კონსულტაციები და მეთვალყურეობა.

კალეიდოსკოპ №24

ნეტი — ცხვირის გაწმენდა

ეს პროცედურა კურნავს: ცხვირისა და შუბლის ღრმულების მწვავე და ქრონიკულ დაავადებებს (სინუსიტები, ჰაიმორიტი, ეტმონდიტი და სხვ.); გლაუკომასა და თვალის სხვა დაავადებებს (რომელთაც ახლავს ქათმის სიბრმავე და ბუნდოვანება); კარგად მოქმედებს თვალის ფსკერსა და სმენის ორგანოებზე. შველის უძილობას, ცუდ მეხსიერებას, თავის ტვინის ზოგიერთ დაავადებას; როგორც იოგები ამბობენ, სტიმულირებას უკეთებს ინტელექტის განვითარებას. თავიდან აგვაშორებს ნაადრევ გაჭაღარავებასა და თმის ცვენას.

აიღეთ ჩაის ფერის დასაყენებელი პატარა, 400 გრ მოცულობის სუფთა ჩაიდანი, ცხვირზე ჩამოაცვით ბავშვის საწოვარა, რომელსაც ბოლოს ოდნავ მოაჭრით. ჩაიდანში ჩაასხით ადამიანის სხეულის ტემპერატურის მქონე წყალი, ჩაყარეთ შიგ ერთი ჩაის კოვზი სუფრის მარილი. აბაზანის წინ ჩაიკუზეთ, წინ დაიდგით ტაშტი ან ვედრო. ჩაიდნის ცხვირი (საწოვარა) მოათავსეთ იმ ნესტოში, რომლითაც უკეთ სუნთქავთ, მაგალითად, მარჯვენაში. თავი მარცხნივ გადახარეთ, ნიკაპი მარჯვნივ შეაბრუნეთ, წყლის ნაკადი მარცხენა ნესტოდან გამოვა.

მთელი პროცედურის დროს პირით ისუნთქეთ. თუ წყალი ყელში გადაგცდებათ, თავი ცოტა წინ დახარეთ, როცა ჩაიდანი ნახევრად დაიცლება, წამოდექით, რამდენჯერმე ცხვირით ღრმად ამოისუნთქეთ, თავს ნუ გაასწორებთ, მარცხნივ შეატრიალეთ და ცხვირით ისევ რამდენჯერმე ძლიერად ამოისუნთქეთ. ამ დროს არ ისარგებლოთ ცხვირსახოცით და ნუ ეცდებით ცხვირის მოხოცვას, რადგან ამან შეიძლება შუა ყურის ანთება გამოიწვიოს.

პროცედურა განაგრძეთ, ახლა საწოვარა მეორე ნესტოში მოათავსეთ. ნეტის ჩატარება უკეთესია დილით, შხაპის მიღებისა და კუჭის გაწმენდის შემდეგ. ამ პროცედურის გაკეთება შეუძლია ყველას, ბავშვებსაც კი, თუ ჩამოთვლილი დაავადებებიდან რაიმე გაწუხებთ, მათ სრულ განკურნებამდე, მაგრამ არა უმეტეს, 2-ჯერ დღეში.

ნეტი რეკომენდებულია, თუ დილით ცხვირში „გიჭერთ", გრიპის ან სხვა ვირუსულ-ბაქტერიული ეპიდემიების დროს.

იოგები გვირჩევენ, პროცედურა პროფილაქტიკისთვის ჩავიტაროთ არანაკლებ კვირაში ერთხელ.

ნეტი სუნთქვას აწესრიგებს, ამიტომ ძნელიც კია მისი მნიშვნელობის სათანადოდ შეფასება ორგანიზმის გასაჯანსაღებლად.

პარი მატჩი №26/11

ხალხური მედიცინა — მაქსიმალური გარანტია!!!
* „ნერვის ანთება";
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა"
* სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები).
მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, კაბ. №11 (მ. „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის 87)
☎61-02-97; 39-39-97 (სად.)

თუ გსურთ მოიცილოთ თმის ცვენის პრობლემა, დაგვირეკეთ:
60-78-81
9-11 სთ-მდე
20-23 სთ-მდე

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

„დინამოს“ პირველი მეტოქის ვინაობა გაირკვა

თუ სასწაული არ მოხდა, თბილისელებს ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვური „ზიმბრუ“ დაუპირისპირდება

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ პირველი მეტოქე, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, მოლდოვას ჩემპიონი „ზიმბრუ“ იქნება. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მოლდოველებმა სტუმრად გამანადგურებელი ანგარიშით — 5:0 სძლიეს ირლანდიის „სენტ პატრიკს“ და მომავალ ეტაპზე, ფაქტობრივად, თამაში გაინაღდეს. ამ გუნდების განმეორებით შეხვედრას, რომელიც 21 ივლისს მოლდოვაში გაიმართება, მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება. ასე რომ, „დინამო“, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ განაგრძობს წვრთნას, „ზიმბრუსთან“ შესახვედრად უნდა მოემზადოს. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩს თბილისელები 28 ივლისს შინ მართავენ. საპასუხო შეხვედრა კი 4 აგვისტოს შედგება მოლდოვაში. თუ საქართველოს ჩემპიონმა მოლდოვური ბარიერი დასძლია, კიდევ ერთი ტურის გავლა მოუწევს ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ავტომატურად გადაინაცვლებს უეფას თასის გათამაშებაში. გაგაცნობთ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი წრის დანარჩენი შეხვედრების შედეგებს:

ვესტმანაეიარი (ისლანდია) — ტირანა (ალბანეთი) 1:0
სლოგა (მაკედონია) — ძიაფაზი (აზერბაიჯანი) 1:0
პარტიზანი (იუგოსლავია) — ფლორა (ესტონეთი) 6:0
ბარი თაუნი (უელსი) — ვალეტა (მალტა) 0:0
ლიტექსი (ბულგარეთი) — გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) 3:0
ჰაფნარი (ფარერები) — ჰაკა (ფინეთი) 1:1
ჟენესი (ლუქსემბურგი) — სკონტო (ლატვია) 0:2
ჟალგირისი (ლიტვა) — ცემენტ არარატი (სომხეთი) 2:0
განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 21 ივლისს.

იაშვილმა ვარჯიში განაახლა

გერმანიის „ფრაიბურგისა“ და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ალექსანდრე იაშვილმა ხუთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა. „ფრაიბურგი“ ამჟამად ნორვეგიის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე განაგრძობს სეზონისათვის მზადებას. როგორც გახსოვთ, იაშვილმა ძალზე წარმატებულად დაიწყო სეზონი, რამდენიმე გოლიც გაიტანა და გუნდის ლიდერადაც იქცა, მაგრამ შუა სეზონში მიღებულმა მძიმე ტრავმამ რამდენიმე თვით ჩამოაშორა ფეხბურთს. „ფრაიბურგის“ მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ახლა მხოლოდ მსუბუქად ავარჯიშებს ქართველ ფორვარდს, თუმცა იმედოვნებს, რომ სეზონის პირველ მატჩს „იაშკა“ სრულ მზადყოფნაში შეხვდება. ბუნდესლიგის პირველი ტური 14 აგვისტოს გაიმართება.

იოზეფ ბლატერის მორიგი მარცხი

საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ კონფედერაციის თასის გათამაშების ორგანიზატორები. მოგეხსენებათ, ტურნირის დაწყება ივლისის ბოლო რიცხვებისთვისაა დაგეგმილი. ორი კვირის წინ შეჯიბრში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მსოფლიო ჩემპიონებმა — ფრანგებმა, ახლა კი ბრაზილიისა და გერმანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მექსიკაში ვერ გაუშვებენ თავიანთ საუკეთესო ფეხბურთელებს. სხვადასხვა მიზეზთა გამო ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ბრაზილიელებმა — ამორუზომ, კაფუმ, რივალდომ, რონალდომ და რობერტო კარლოსმა; გერმანელთაგან — კი ილგნერმა, ჰესლერმა, შტრუნცმა, ბირჰოფმა და კირსტენმა. გამოდის, რომ მათ, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობებით მოუწევთ მექსიკაში წასვლა, რაც თავისთავად ინტერესს დაუკარგავს ამ ტურნირს, რადგანაც ბრაზილიისა და გერმანიის გარდა კონფედერაციის თასზე არც ერთი სუპერნაკრები არ მონაწილეობს და ბოლივიის, ეგვიპტის, ახალი ზელანდიის, აშშ-ის და საუდის არაბეთის (სწორედ ეს გუნდები არიან მიწვეული კონფედერაციის თასზე) გუნდების მატჩების საყურებლად მაინცდამაინც არც მაყურებელი შეიწუხებს თავს. ამჟამად ბილეთების 50%-იც კი არ არის გაყიდული და ბრაზილიელთა და გერმანელთა უარი ტურნირს სრული კრახით დასრულებით ემუქრება. ყველაზე რთულ სიტუაციაში კი ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი აღმოჩნდა, მოგეხსენებათ, სწორედ მისი იდეა გახლდათ კონფედერაციის თასის გათამაშება.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი იოკოჰამაში გაიმართება

მსოფლიოს 2002 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩი იაპონიის ქალაქ იოკოჰამას სტადიონზე გაიმართება, ხოლო გახსნის მატჩი — კორეის დედაქალაქ სეულში — ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ტურნირის ორგანიზატორებმა. მოგეხსენებათ, კორეა და იაპონია ერთობლივად მასპინძლობენ ჩემპიონატს და დავა ფინალური მატჩის ჩასატარებლად რამდენიმე წელი მიმდინარეობდა. იოკოჰამა საპორტო ქალაქია, რომელიც ტოკიოდან სულ რაღაც 30 კმ-ით გახლავთ დაშორებული, მისი სტადიონი კი 70.000 ადამიანს იტევს.

კვლავ ანელკა და ჯორკაეფი

სად ითამაშებს მომავალ სეზონში ფრანგი ნიკოლა ანელკა? ეს კითხვა უკვე მესამე თვეა, არ ასვენებს ცალკე ფეხბურთელს, ცალკე — ლონდონის „არსენალსა“ თუ ფრანგის შეძენის სურვილის მქონე კლუბებს, რომელთა რიცხვიც დღითი დღე იზრდება. ტრანსფერს კი არა და არ დაადგა საშველი. „არსენალი“, სადაც ამჟამად ანელკა ირიცხება, ყოველდღიურად ზრდის ანელკას ფასს. თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ შავკანიანი ფრანგი იტალიურ „ლაციოს“ 28 მილიონ დოლარად უნდა ეყიდა, როცა ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობამ 34 მილიონი მოითხოვა. თავად ანელკას ბრიტანეთში დარჩენა არ სურს. ჯერ ესპანეთში, კერძოდ, მადრიდის „რეალში“ გადასვლაზე ოცნებობდა. არაფერი რომ არ გამოუვიდა, ახლა არც „ლაციოში“ თამაშზე ამბობს. უარს, თუმცა მას არავინ ეკითხება. მისი შეძენის მსურველ კლუბს 34 მილიონის გადახდა მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრანგი, რომელიც თავის დროზე „მეთოფეთა“ კლუბმა სულ რაღაც 780.000 დოლარად იყიდა, „არსენალში“ დარჩება.

დაახლოებით მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი — იური ჯორკაეფი, რომელიც აქამდე მილანის „ინტერის“ ღირსებას იცავდა, თუმცა სეზონის დასრულების შემდეგ განაცხადა, — მილანში გაჩერება აღარ მინდაო. ჯორკაეფის გადაბირებას ესპანეთის „ბეტისი“, საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“ და იტალიის „რომა“ ცდილობდნენ. ამ სიას ახლა სამი ინგლისური კლუბი — „ლივერპული“, თემურ ქეცბაიას „ნიუკასლ იუნაიტედი“ და „ტოტენჰემ ჰოტსპური“ შეემატა. ეს უკანასკნელი მზადაა, 31 წლის ჯორკაეფის საფასურად 7 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. აქედან გამომდინარე, ყველაზე რეალურია, ჯორკაეფი სწორედ „ტოტენჰემში“ გადავიდეს. შეგახსენებთ, რომ „ჰოტსპური“ კიდევ ერთი ხანდაზმული ლეგიონერის — ხორვატი დავორ შუკერის შეძენას აპირებს.

ბეკერი „ბაიერნში“ მიიწვიეს

გერმანიის ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ დაასრულა საჩოგბურთო კარიერა უიმბლდონის ტურნირზე გამოსვლით, გერმანიის ყველაზე ტიტულოვან საფეხბურთო კლუბში — მიუნხენის „ბაიერნში“ მიიწვიეს მრჩევლად(?!). კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ისეთი სახელისა და რეპუტაციის მქონე კაცი, როგორიც ბეკერია, შესანიშნავი იმიჯია გუნდისათვის, თანაც ბეკერს ფეხბურთი ძლიერ ჰყვარებია და „ბაიერნის“ დიდი გულშემატკივარიც ყოფილა.

მიჰაელ შუმახერი 32 წლის ფინელმა შეცვალა

გასულ კვირას „დიდი ბრიტანეთის“ გრან-პრის გათამაშებისას მომხდარი ტრაგედიის შესახებ, რომელმაც კინაღამ ფორმულა-1-ის თანამედროვეობის უპირველესი პილოტი მიჰაელ შუმახერი იმსხვერპლა, ყველას მოეხსენება. ამ შემთხვევის შემდეგ მთელი კვირა გავიდა, მაგრამ ავარიის კონკრეტული მიზეზი ჯერ კიდევ უცნობია. ყველაზე დამაჯერებელ ვერსიად ისევ „ფერარის“ ბოლიდის უკანა მუხრუჭების გაუმართაობა სახელდება. არადა, კომპიუტერული ანალიზი აჩვენებს, რომ სტარტის დროს „შუმის“ მანქანა სრულ წესრიგში იყო. მოგეხსენებათ, ავარია სტარტიდან 30 წმ-ის შემდეგ მოხდა, როცა მიჰაელ შუმახერი ტრასიდან გადავიდა და 200 კმ/სთ სიჩქარით შეასკდა გადამუშავებული საბურავებისაგან დამზადებულ სამმაგ კედელს, რომელმაც გერმანელს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ასეა თუ ისე, „ფერარისა“ და გერმანელი პილოტის თაყვანისმცემლებს სულ ცოტა, სამი თვით მაინც მოუწევთ მოცდა, სანამ თავიანთ კერპს ისევ საჭესთან იხილავენ. სწორედ ამ ვადას ასახელებენ, მოტეხილი მარჯვენა ფეხის ფუნქციების სრულიად აღსადგენად, შუმახერის მკურნალი ექიმები. გერმანელი კლინიკიდან უკვე შინ გაუშვეს და ამბულატორიულად უმკურნალებენ. ამასობაში, „ფერარიმ“ თავის ლიდერს შემცვლელი გამოუძებნა — ფინელი მრბოლელი — 32 წლის მიკა სალო, რომელიც გუნდის მესვეურებმა მას შემდეგ მიიწვიეს, რაც „ფერარის“ ყოფილი წევრის, ფრანგი ჟან ალეზისაგან უარი მიიღეს. მიკა სალოს განსაკუთრებული წარმატებებისათვის არასოდეს მიუღწევია. ფორმულა-1-ში ფინელმა პირველად 1994 წელს მოსინჯა ძალები და სამი წელი დაჰყო „ლოტუსში“, 1998 წელს „აროუსში“ ასპარეზობდა, მიმდინარე სეზონის დაწყების წინ კი უგუნდოდ დარჩა. სალო უკვე „ფერარის“ განკარგულებაშია და შოტლანდიელ თანაგუნდელ ედი ირვინთან ერთად შეეცდება, გუნდს წარმატება მოუტანოს, შუმახერის ოცნება კი — წელს ჩემპიონობა ეზეიმა — ოცნებადვე დარჩა, იგი სავარაუდოდ, ოქტომბერში, მალაიზიის გრან-პრის გათამაშებისას დაუბრუნდება ტრასას.

რაფტერი პირველი ჩოგანი გახდება, გრაფი კი კარიერას ასრულებს



26 ივლისს ვაჟთა ჩოგბურთში ისევ შეიცვლება ლიდერი. სხვათა შორის, ეს უკვე მეექვსე ცვლილება იქნება მიმდინარე სეზონში, თანაც გადაადგილება ისევ უბრძოლველად მოხდება, სარეიტინგო ქულების განაწილების ახალი სისტემის წყალობით. მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი გახდება ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი, საჩოგბურთო მწვერვალის დაპყრობაში კი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მას ამჟამინდელი კლასიფიკაციის ლიდერმა — ანდრე აგასიმ შეუწყო ხელი, რადგანაც უარი განაცხადა ვაშინგტონის ტურნირში მონაწილეობაზე, რითაც 278 სარეიტინგო ქულა დაკარგა და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მეორე პოზიციაზე რაფტერის შემდეგ პიტ სამპრასი გადავა. ამასობაში, სპორტული კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა ქალმა შტეფი გრაფმა. მისივე თქმით, გერმანელი სპორტისაგან სრულ იზოლაციას არ აპირებს და კვლავ ითამაშებს, მხოლოდ სამოყვარულო ტურნირებში, თანაც არა შედეგის მისაღწევად, არამედ თამაშისაგან სიამოვნების მისაღებად. შეგახსენებთ, რომ გრაფს „დიდი მუზარადის“ 22 ტურნირი აქვს მოგებული და ამ მაჩვენებლით მხოლოდ მარტინა ნავრატილოვას ჩამორჩება.

გარჯა დაუფასეს

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, 1.000.000$-ით დააჯილდოოს თავისი ქვეყნის ქალთა საფეხბურთო ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის. თავიდან დაგეგმილი იყო, რომ ჩემპიონობის შემთხვევაში გუნდი 250.000$-ით დაეჯილდოებინათ, მაგრამ გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ფინალს ამერიკელთათვის სარეკორდო რაოდენობა — 40.000.000 ადამიანი უყურებდა, ფედერაციამ გადაწყვიტა, პრემიალურები 4-ჯერ გაეზარდა. ოცმა ფეხბურთელმა მილიონი დოლარი ზუსტად თანაბრად გაიყო. გარდა ამისა, ფინალში გასვლისთვისაც მიიღეს 150.000$. ახლა ლაპარაკია შეერთებულ შტატებში ქალთა პროფესიული ლიგის ჩამოყალიბებაზე. სპეციალისტთა გაანგარიშებით, ამ პროექტის განხორციელება სულ მცირე, 50.000.000$ დაჯდება.

პელეს ოპერაცია გაუკეთეს

ბრაზილიური პრესის ცნობით, რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ კლინიკაში მარჯვენა მუხლის მენისკის ოპერაცია გაუკეთეს ფეხბურთის მეფეს — პელეს. საინტერესო ის გახლავთ, რომ 58 წლის ლეგენდას ცხოვრებაში პირველად დასჭირდა ქირურგიული ჩარევა. 21 წლიანი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში პელეს არც ერთხელ არ მიუღია ისეთი სერიოზული ტრავმა, რომ ოპერაცია დასჭირვებოდა.

მათეუსი კვლავ ნაკრების კაპიტანია

მიუნხენის „ბაიერნის“ უბერებელმა ლიბერომ, ლოთარ მათეუსმა განაცხადა, რომ კონფედერაციის თასის გათამაშებაზე, რომელიც მექსიკაში გაიმართება და 24 ივლისიდან 4 აგვისტომდე გასტანს, გერმანიის ეროვნულ ნაკრებს სწორედ ის ჩაუდგება სათავეში. მათეუსი სულ ახლახან ცოლს გაშორდა. მშვენიერ შვეიცარიელ ლოლიტასთან გერმანელმა ათი წელიწადი იცხოვრა. როგორც ჩანს, ოჯახური პრობლემები მათეუსს ნაკლებად აწუხებს და კონფედერაციის თასზე უფრო სერიოზულად ფიქრობს. ვეტერანი ამჟამად 38 წლისაა და თითქმის 18(!) წელია, ეროვნულ ნაკრებში თამაშობს. იგი დამდეგი სეზონის პირველ წრეს ისპარეზებს „ბაიერნში“, შემდეგ კი ამერიკას მიაშურებს და MLS-ის ლიგაში თამაშით შეიქცევს თავს, თუმცა ნაკრებიდან წასვლას სულაც არ აპირებს.

ამასობაში საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო „ბაიერნის“ ერთ-ერთმა ლიდერმა — შტეფან ეფენბერგმა, რომელიც ვარჯიშისას დაშავდა და დაახლოებით ორი თვე ველარ ითამაშებს, რაც მიუნხენელთათვის დიდი დანაკლისი იქნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო გუნდის დატოვებას აპირებს მარიო ბასლერიც, შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერნს“ ძლიერ გაუჭირდება ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება.

გვერდი მოამზადა მათე კბილაძემ

საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

გ. მოსიაშვილი



თეთრები იწყებენ და აცხადებენ შამათს ორ სვლაში.

შავების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლC7!

მე აქ დედოფალი ვიყავი

უნივერსიტეტიდან ფოლკლორულ ექსპედიციაში წავედით. ერთ სოფელში დავბინავდით. სოფლის ბოლოს, მითაყამობის ციხესიმაგრის ნანგრევები იყო, რომელსაც არც ერთი მატიანე არ მოიხსენიებდა და მით უმეტეს, მისი სახელი არც სოფლის ხსოვნას შემორჩენოდა. წავედით ნანგრევების დასათვალიერებლად. უცებ თინიკომ ფეხი ქვას წამოჰკრა და მუხლებით დაასკდა მწვანე მინდორს. ბევრი არაფერი დაშავებია, მაგრამ გულამოსკვნილი ქვითინი აუტყდა და ვერაფრით დავაწყნარეთ.

მე აქ დედოფალი ვიყავი და თათრებმა მანამესო, — გვითხრა სლუკუნით. თინიკოს გაკვირვებულებმა შევხედეთ და პირკატა გვეცა — მკლავები და მთელი სხეული აჭრელებული ჰქონდა!

საღამოს მოხუცებს გამოვკითხეთ ამ ნანგრევების ამბავი. ზოგმა გვითხრა, — დაწყევლილი ადგილია, ღამით, სავსემთვარეობისას, კვირიკობისთვეში, იქ ჭოტი ტირის ხოლმეო, ზოგმა თქვა, — ქალი გოდებსო...

აგვისტო იყო.

ეთერ ლალიაშვილი

ვალდენბურგელი მონსტრი

1735 წელს, ლაიფციგის მახლობლად, პატარა ქალაქ ტაუხში 28 წლის დიასახლისს იოჰანა სოფია შმიდს მეოთხე ბავშვი შეეძინა — პირველი სამი შვილი სავსებით ნორმალური ჰყავდა, მეოთხე კი — ნამდვილი მონსტრი. ექიმმა გოტლიბ ფრიდერიჩიმ სასწრაფოდ მხატვარი მოიწვია და მკვდრადშობილი დაახატვინა. შემდეგ პატარა მონსტრი დასპირტა და ვალდენბურგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოათავსა. გდრ-ის დროს მონსტრის ჩვენება მნახველისთვის აკრძალული იყო.

თავის დროზე ექიმმა ფრიდერიჩიმ ახალშობილი გაკვეთა და შთამომავლობას 32 გვერდიანი ანგარიში დაუტოვა. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ახალშობილს თავზე უზარმაზარი სიმსივნე წამოზრდოდა ტვინის მასისებური შიგთავსით. არ ჰქონდა გულის პერანგი, თავად გული კი ზედმიწევნით თხელ მემბრანაში იყო მოქცეული. ზედა კიდურებს არ ჰქონდა იდაყვის სახსარი, ხოლო მუხლებს — ფიალები. ზოგიერთი ორგანო საერთოდ არ აღენიშნებოდა, თვალებზე თეთრი მემბრანა იყო გადაკრული. მეცნიერების შეხედულებით, მონსტრი ზედმიწევნით ჰგავს აბდუქციის (უცხოპლანეტელთა მიერ ადამიანების მოტაცება) მსხვერპლს. სავარაუდოა, რომ იოჰანა სოფია თავის დროზე უცხოპლანეტელთა გენეტიკური ექსპერიმენტის ცდის პირი იყო. ჩანს, ექსპერიმენტი არ გამართლდა — „ჰიბრიდმა" დედამიწის პირობებს ვერ გაუძლო. მკვლევარებს გადაწყვეტილი აქვთ ჰიბრიდის გამოკვლევა. ვინ იცის, იქნებ ამ უცნაური არსების ორგანიზმში უცხო პლანეტის გენეტიკური მასალაც აღმოჩნდეს.

ზდოროვიე **№28**

გენური ინჟინერია ძალას იკრებს

აშშ-ის ჰავაის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ახალი სახეობის ცოცხალი ორგანიზმების გამოსაყვანად გენური ინჟინერიის სპეციალური მეთოდები გამოიყენეს. თაგვის გაყინულ სპერმატოზოიდებში ღრმა წყლების მედუზის გენები მოათავსეს, შემდეგი თაგვის კვერცხუჯრედი ხელოვნურად გაანაყოფიერეს. შედეგად ქვეყანას მოევლინა მწვანეტყავიანი თაგვი, რომელიც ახლა მედუზის ახლო ნათესავად ითვლება. გენური ინჟინერიის საბოლოო წარმატება იმანაც ცხადყო, რომ მწვანე თაგვი სიბნელეში მწვანედ ანათებს, ზუსტად ისევე, როგორც მისი წყლების ბინადარი ნათესავი.

ჰავაის უნივერსიტეტის პროფესორის, ენტონი პერის აზრით, გენური ინჟინერიით ამჟამად შეიძლებოდა ცხოველების სრულიად ახალი სახეობის შექმნა, მაგალითად, ფრთიანი სპილოსი ან ლომისფაფრიანი კურდღლისა. გამორიცხული არ არის, უახლოეს ათწლეულში ცნობილი ფანტასტი-მწერლის ალექსანდრ ბელიაევის ჩანაფიქრი განხორციელდეს. მწერლის ერთ-ერთ გმირს, სახელად იქთიანდრს, ზვიგენის ლაყუჩები ჰქონდა!!!

ნაუკა ი ჟიზნ **№5**

გენიოსობის ხუთი სიმპტომი

გენიოსობის ზუსტი განსაზღვრა ძნელია. იგი მხოლოდ უმაღლესი ნიჭიერება კი არ არის, არამედ ახალი გენიალური ქმნილების შექმნაა. გენიოსი 50 მლნ ადამიანში ერთი იბადება, მაგრამ უმრავლესობა აღიარების გარეშე რჩება. ადგილი, დრო, ეროვნება, ისტორიული ვითარება გენიოსის გაჩენას არ განსაზღვრავს. ცნობილი გენეტიკოსის, ეფროიმსონის აზრით, აუცილებელია „მიზნის უძლიერესი რეფლექსი". იგი აუცილებლობად მიიჩნევს „უძლიერესი ჰარმონიის" არსებობას ადამიანის სულში. ადამიანის ბუნებაში არის რაღაც უფრო ძლიერი, ვიდრე ბუნებრივი ტალანტი და ნებისყოფაა, რასაც შეუძლია იგი „გამოგლიჯოს" საერთო მასიდან და ისე შორს გატყორცნოს, რომ იძულებული გახდეს, გენიოსად იქცეს. არავინ იცის, რამდენი მემკვიდრეობითი ნიშანი არსებობს გენიოსობისა, ხუთი მათგანი კი დადგენილია.

პირველი — **მაღალშუბლიანობა**. რაც უფრო მაღალი შუბლი აქვს ადამიანს, მით უფრო ჭკვიანია იგი.

მეორე — **ჰიპერურიკემია**, ანუ შარდმჟავას მომატებული რაოდენობა სისხლში (ახასიათებდა ალექსანდრე მაკედონელს). ქიმიური სტრუქტურით იგი მსგავსია კოფეინისა და თეობრომინისა, რომელიც ააქტიურებს გონებას.

მესამე — **მარფანის სინდრომი** (ახასიათებდათ აბრაამ ლინკოლნს და ჰანს ქრისტიან ანდერსენს): მაღალი, გამხდარი სხეული, ობობასებრი თითები, გრძელი კიდურები, როგორც წესი, ოდნავ ამობურცული თვალის კაკალი, ხშირად თანდაყოლილი გულის მანკი, ადრენალინის გაძლიერებული გამოყოფა — საერთო და გონებრივი მოქმედებების უძლიერესი სტიმულატორის: მარფანის მქონე ადამიანები ხასიათდებიან განსაცვიფრებელი ენერგიით.

მეოთხე — **ციკლოტიმია**, ანუ ხასიათის მკვეთრი ცვლილება (ახასიათებდათ ფრანც შუბერტსა და ჩაადაევს). იგი ორი ფაზისგან შედგება — აპათია, სევდა, რომელიც მეორე წუთს იცვლება მშვენიერი განწყობილებით, სიკეთის კეთების სურვილით. რა იწვევს ამას, რომელი ნივთიერება, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. მრავალი გენიოსი შედევრებს სწორედ ციკლოტიმიის პერიოდში ქმნიდა.

და ბოლოს, მეხუთე — დაბადებით თანდაყოლილი ნიშანი გენიოსობისა, არის ტესტიკულარული **ფემინიზმის სინდრომი** (ახასიათებდა ჟანა დ'არკს), მარტივად რომ ვთქვათ, ჰერმაფროდიტიზმის ნაირსახეობა. გარეგნულად ესენი არიან მაღალი, კარგი აღნაგობის უნაყოფო ქალები.

არ არის სავალდებულო, გენიოსის ყველა, ხუთივე ნიშანი ჰქონდეს ადამიანს, ერთი-ორიც საკმარისია. გენიოსები იბადებიან ყველგან. ეს არ არის დამოკიდებული ერის რაოდენობაზე. ასი ადამიანისგანაც კი რომ შედგებოდეს ერი, მასში გენიოსის დაბადების ალბათობა ისეთივეა, როგორიც მილიარდიან ჩინეთში. მთავარია, მათ მიეცეთ თავიანთი მონაცემების გამოვლენის შესაძლებლობა. მომავალში, როცა მეცნიერები შეძლებენ გამოავლინონ გენიალობის ყველა ნიშანი, საკმარისი იქნება ახალდაბადებულის ერთი წვეთი სისხლის ანალიზი მისი გენიოსობის დასადგენად.

ნათელია, რა იქნება მომავალში: გენიოსობის გამოსავლინებელი მეთოდები საშუალებას იძლევა, მემკვიდრეობითი ნიშნების კორექტირებისას გამოვაკლოთ ერთი და დავამატოთ მეორე.

ოგონიოკი **№28**

ფატიმას ღვთისმშობლის მესამე საიდუმლო

ფატიმა ლისაბონიდან 150 კმ-ით დაშორებული პორტუგალიური სოფელია. 1917 წელს სწორედ აქ მოხდა სასწაული, რომელიც დღესაც აოცებს სხვადასხვა რელიგიური რწმენის აღმსარებელთ. ფატიმა დღესდღეობით ათასობით მომლოცველის საყვარელი ადგილი და ვატიკანის შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრია. გასაოცარიც არაფერია: ამ სოფელში 1917 წლის ყოველ თვეს ფატიმელ სამ მცირეწლოვან ბავშვს ღვთისმშობელი ეცხადებოდა და ადამიანებისათვის თავის წინასწარმეტყველებებს გადასცემდა.

რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა დიდი ხნის კვლევის შემდეგ აღიარეს 1917 წელს ფატიმაში მომხდარი სასწაულის ჭეშმარიტება. პირველი და მეორე საიდუმლო, ღვთისმშობლის მიერ გაცხადებული, მსოფლიოს პაპ პიუს XII-ის ნებართვით ემცნო, 1942 წელს. ამ წინასწარმეტყველებებში ნათქვამი იყო მომავალ მეორე მსოფლიო ომსა და რუსეთის „ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამის გულისადმი" ზიარების შესახებ. დასავლელი მორწმუნენი ვარაუდობენ, რომ „რუსეთის ზიარება" სსრკ-ის დაშლისა და კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ მოხდა.

1957 წელს ვატიკანში მივიდა წერილი ღვთისმშობლის გამოცხადების უკანასკნელი თვითმხილველის, პორტუგალიელი მონაზვნის ლუჩიასაგან. მასში სწორედ მესამე საიდუმლოს შესახებაა მოთხრობილი. კათოლიკურმა უმაღლესმა სამღვდელოებამ უარი თქვა მის გამოქვეყნებაზე, ლუჩიას დუმილის ფიცი ჩამოართვა და განაცხადა: მესამე საიდუმლო სამუდამო საიდუმლოდ დარჩებაო.

გადიოდა წლები. პაპები იოანე XXIII, პავლე VI და ახლანდელი იოანე-პავლე II რიგრიგობით ეცნობოდნენ ამ წერილს და სამივე ეთანხმებოდა გადაწყვეტილებას, რომ საიდუმლო არ უნდა გაცხადებულიყო. მხოლოდ 1984 წელს კარდინალმა რატცინგერმა მოიარებით თქვა, რომ ღვთისმშობლის მესამე წინასწარმეტყველება „დედამიწისა და ქრისტიანობისათვის მოსალოდნელ საფრთხეს" შეეხებაო. იოანე-პავლე II-მ გერმანელ პრელატებთან საუბარში, 1980 წელს, ასევე ნაწილობრივ ახადა საიდუმლოს ფარდა, როცა თქვა: „თქვენ რომ ნაგვკითხეთ, როგორ დატბორავს ოკეანეები მთელ კონტინენტებს, როგორ დაიღუპება მილიონობით ადამიანი, მაშინ მიხვდებოდით, რატომ არ ვაცხადებთ მესამე საიდუმლოს..."

იოანე-პავლე II-ს სჯერა ფატიმას მესამე საიდუმლოს ჭეშმარიტების, რადგან სწორედ ფატიმას ღვთისმშობელმა იხსნა იგი სიკვდილისგან 1981 წლის 13 მაისის თავდასხმის დროს. პაპის ყურადღება პატარა გოგონას ყელზე ჩამოკიდებულმა მედალიონმა მიიპყრო, დაიხარა, ამასობაში ტერორისტის ორმა ტყვიამ თავს ზემოთ გადაუარა. მედალიონზე ფატიმას ღვთისმშობელი იყო გამოსახული.

ფატიმას მესამე საიდუმლო 1999 წლის აპრილამდე გამოცანად რჩებოდა. უეცრად იტალიელი უფოლოგების ეროვნულ კონგრესს ეწვია ცნობილი კარდინალი კარადო ბალდუჩი. უფოლოგებთან კერძო საუბარში მან მესამე საიდუმლოს შინაარსი გაამხილა: ლაპარაკია მესამე მსოფლიო ომზე, რომელიც მესამე ათასწლეულის დასაწყისში ატყდება. გამოიყენებენ ბირთვულ იარაღს. დაიღუპება მილიონობით ადამიანი. მაგრამ თუკი ადამიანებს აღარ ექნებათ აგრესიული ზრახვები, შეურიგდებიან ერთმანეთსა და ღმერთს, ომის თავიდან აცილება შეიძლება. გარდა ამისა, მესამე საიდუმლო კათოლიკური ეკლესიის კრიზისსა და რუსეთის განსაკუთრებულ ხვედრს წინასწარმეტყველებს. ეს იყო და ეს, რაც კარდინალმა გაამხილა.

ვატიკანიდან გამოჟონილი ხმებით, ღვთისმშობელი კათოლიკე მღვდლებს ქრისტიანულ მცნებათა დარღვევაში სდებს ბრალს, აკურთხებს მართლმადიდებლობას და მოუწოდებს კათოლიკური და მართლმადიდებლური რწმენის ერთიანობისკენ.

ნლო **№26**

რას გვეტყვით, ვარსკვლავებო!

19-25 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი

ინყებთ ახალ ცხოვრებას. სერიოზული ხდებით. არ დაუპირისპირდეთ კოლეგებს. ხუთშაბათი დაუთმეთ ბავშვებს და ახლობლებს.

კურო

ნებისმიერ საქმეში წარმატება გელით, მაგრამ ოთხშაბათს მაინც წურაფერს წამოიწყებთ. ფრთხილად იყავით საჭესთან.

მარჩბივი

ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, ბედი თანამდებობას გპირდებათ. მეტი ყურადღება მიაქციეთ მშობლებს. ხუთშაბათს მოთმინება გმართებთ..

კირჩხიბი



პროფესია შემოსავალს და ავტორიტეტს გპირდებათ. ორშაბათს, რასაც შეიძენთ, ყველაფერი სიამოვნებას მოგანიჭებთ. მიეფერეთ ბავშვებს.

ლომი

ხასიათი გეცვლებათ, ეი. დაიღალეთ და დასვენება გჭირდებათ. მეტი მოთმინება გმართებთ. რელიგია გეხმარებათ სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში.

ქალწული



ნუ გადაიღლებით. მიხედეთ ჯანმრთელობას. დაისვენეთ მეგობრებთან ერთად. მიეფერეთ მშობლებსა და ბავშვებს. ბუნებაში გასეირნება გარგებთ.

სასწორი

ხუთშაბათს გაარკვიეთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. საქმიანი მოლაპარაკებებისთვის პარასკევს მოიცალეთ. უქმე დღეებში დაისვენეთ ბუნებაში.

ღრიანკალი



ნუ გადაიღლებით. ფრთხილად იყავით, ვნებათა მორევში არ ამოყოთ თავი. მხოლოდ მოთმინება გიხსნით გასაჭირიდან. კვირა ოჯახში გაატარეთ.

მშვილდოსანი

ყოველი თეთრი გონივრულად დახარჯეთ. საქმეები პარასკევამდე მოითავეთ. ახალი ნაცნობობა გელოდებათ, რომელიც შესაძლოა, მიჯნურობად იქცეს.

თხის რქა

ოთხშაბათამდე ყველა საქმეს მოითავებთ. შეინარჩუნეთ ოჯახში თბილი გარემო. არ ეკამათოთ ახლობლებს. უქმე დღეები საყვარელ ადამიანს დაუთმეთ.

მერწყული

თქვენი გარჯა შედეგს გამოიღებს. დაეხმარეთ ახლობლებს. მეტი ყურადღებით მოეკიდეთ ოჯახს. იმოგზაურეთ. ახალ, სასიამოვნო ნაცნობობას გაიჩენთ.

თევზები

ამ დღეებში, შესაძლოა, კერძო ბიზნესს მიჰყოთ ხელი. მეტი ყურადღება გმართებთ ყოველი წვრილმანისადმი. სიყვარული თქვენს გვერდითაა.

გისურვებთ წარმატებებს!

ლითონნაკეთობათა საამქრო
ლითონის კარი — 350 ლარი; ავზოფარეხი „გარმოშკა", 1კვ.მ — 80 ლარი;
ფანჯრის ჟალუზი, 1კვ.მ — 80 ლარი;
ფანჯრის უძრავი გისოსი, 1კვ.მ — 50 ლარი.
ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი;
მის: ბარნოვის 84, საბურთალოს 37/კუტუზოვის 4
29-39-81 (9-19 სთ-მდე); 38-42-34 877-41-87-75

შტამპების და ... ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎ 99-86-09; 99-00-37
38-37-89 (საღამოს)

რკინის კარები, გისოსები, ჟალუზები, ავტოფარეხები ნებისმიერი ანგარიშებით
899-50-92-92
899-57-92-92
38-83-87
37-07-78
37-46-55



ქაღალდი
საგაზეთო
კონდოპოგა, 60გრ
ოფსეტური
რუსეთის, თურქეთის, ფინეთის
ცარცის. მუყაო
სხვადასხვა ფორმატისა და სიმკვრივის
☎: 33-78-07; 877403866

განწმენდილი სული — მოწამლული განგი



უხსოვარი დროიდან ინდოელები მდინარე განგს ატანდნენ თავიანთი ოჯახის წევრების გვამებს. მათთვის მდინარეში გვამების დანახვა ჩვეულებრივი ამბავია და არავის აშფოთებს. ქალაქ ვანასას მცხოვრებთ მიაჩნიათ, რომ მდინარე განგს ღვთიური ძალა აქვს, რომელიც გარდაცვლილთა სხეულს განბანს და თითოეულ მათგანს განწმენდილი სულით წარუდგენს უფალს. ტრადიციები და რწმენა კარგია, მაგრამ ქალაქი ვანასა მოიცვა საშინელმა ეპიდემიამ. მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება განგში მიცვალებულების რაოდენობა....

ინდოეთის ეკოლოგიური საზოგადოების ხელმძღვანელის, რავეშ იასვალის განცხადებით, სასწრაფოდ უნდა დაირღვეს ტრადიცია. ისედაც დაბინძურებულ განგს წამლავს აურაცხელი ნეშტი, არადა, სწორედ განგი უკლავს წყურვილს ინდოეთის მოსახლეობის ერთ მეოთხედს. არაფერს ვამბობთ მილიონობით ცხოველზე, რომლებიც სწორედ განგს ენაფებიან და მათი დაავადებაც გარდაუვალია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც განგის წყალს სასმელად ხმარობს, საშუალოდ 40 წელს ცოცხლობს. ეს კი ნამდვილად საგანგაშო მონაცემია.

რავეშმა აქტიური ბრძოლის შედეგად გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. მას მხარს უჭერს სასულიერო წოდება. მოძღვრები მოუწოდებენ ჭირისუფალთ, ცხედარი არ გაატანონ განგს, არამედ მდინარის ნაპირას დამარხონ, მაგრამ ჯერჯერობით, ტრადიციის დარღვევას არავინ აპირებს.

ფოკუსი №20

ჩემი ხელიდან მაინც მკვდარია...

კაპიტალისტი მინისტრების თავიდან მოცილების, რფ ბურჟუაზიული რეჟიმის დანგრევისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მიზნით შექმნილმა რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ თითქმის გამზადებული ზურაბ წერეთლის პეტრე I-ის ძეგლი დანაღმა. ამით გვინდოდა წინააღმდეგობა გაგვეწია მავზოლეუმიდან ლენინის გამოტანის მცდელობისთვის, — განაცხადა ორგანიზაციის ლიდერმა ეგორ ჩუდნოვსკიმ, მაგრამ სწორედ იმ დროს (5.32სთ) სანაპიროზე რამდენიმე შეყვარებული წყვილი სეირნობდა, დაუმთავრებელი თვითმპყრობლის ფეხთით კი მეთევზეები მოკალათებულიყვნენ.

„რევოლუციონერები" შემთხვევით მსხვერპლს მოერიდნენ და დაადგინეს, რომ ძეგლი პირობითად განადგურებულია. „ასეთ მეფეს და ასეთ ძეგლს ვერანაირი ასაფეთქებელი ნივთიერება ვერ მოერევა," — განაცხადა ჩუდნოვსკიმ. ხელის მოცარვით განაწყენებულმა ტერორისტებმა ორი კვირის შემდეგ (19 ივლისს) გამოუყენებელი დინამიტით ააფეთქეს რომანოვების სამეფო ოჯახის ახალგახსნილი (17 ივლისს) სამახსოვრო ფილა (ვაგანკოვის სასაფლაოზე).

სანამ ზურაბ წერეთლის ქმნილებას „მოემსახურებოდნენ", რსს-მ ორიოდე სანვრთნელი ცდა ჩაატარა — 1997 წლის 1 აპრილს ააფეთქა ნიკოლოზ II-ის ძეგლი მოსკოვის მახლობლად (მოქანდაკე კლიკოვი), 22 აპრილს კი ლენინის პატივსაცემად მავზოლეუმთან მისულ გენადი ზიუგანოვს დამპალი პომიდვრები დააყარა.

სობესედნიკი №24

ახალი მოდა ევროპის პლაჟებზე

ზაფხულის ცხელი დღეების დადგომასთან ერთად ხმელთაშუა ზღვის პლაჟებზე მოდის ახალმა ტალღამ გადაიარა — საკუთარი სხეულის დამშვენებამ მონუმენტური ხელოვნების ყველაზე ცნობილი ქმნილებების გამოსახულებებით.

ახალმა გატაცებამ მალე მოიკიდა ფეხი სამხრეთ ევროპაშიც. ამას ბიძგი მისცა მილანში გამართულმა „ლეგ-არტის" მოდელების ჩვენებამ („ლეგ-არტი" არის ფეხებისა და სხეულის სხვა, ღიად დარჩენილი ნაწილების ხუროთმოძღვრების შედევრებით მოხატვა, მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან „ლეგ" — ფეხი).

ფურორი მოახდინა პოდიუმზე იმ ლამაზმანების გამოჩენამ, რომელთა სხეულსაც თითქოს თავად მიქელანჯელო შეხებოდა ხელით.

ახალი მიმდინარეობა საკმაოდ დემოკრატიული გამოდგა. აღარ არის საჭირო სხეულის ამა თუ იმ წუნის გამო შებოჭვა. მშვენიერების თაყვანისმცემლები ახლა აფასებენ არა უნაკლო სხეულს, მის პროპორციებს, არამედ, ვთქვათ, ყელში მიბჯენილ ეიფელის კოშკის წვეტს ან საბანაო კოსტიუმიდან ამოზიდულ პირამიდას. „ლეგ-არტის" მიმდევართა ნახევარზე მეტი იცავს მოდით დადგენილ ნორმებს და იხატავს მხოლოდ ფეხებს. მესამედი თვლის, რომ ცოდვაა ცნობილი არქიტექტურული ელემენტის, ქალის მშვენიერების, მკერდის — უყურადღებოდ დატოვება.

შეიძლება მთელი სხეულის მოხატვაც. ეს დამოკიდებულია მის პროპორციებსა და მფლობელის სურვილზე.

ფავორიტი №12

უცნაური ჩემპიონატი

შვეიცარიის ქალაქ ბილში ჩატარდა ყალიონის მწეველთა ჩემპიონატი, რომელშიც 108 პრეტენდენტი მონაწილეობდა.

მამაკაცებს შორის გამარჯვება წილად ხვდა „სანქტ-გალენაპენცელის" კლუბის წევრს პეტერ მასტილს. მან 3 გრამი თამბაქო 2 საათში, 35 წუთსა და 39 წამში მოწია. თავის უახლოეს მეტოქეს გამარჯვებულმა 5 წუთით აჯობა.

სამწუხაროდ, შვეიცარიის ჩემპიონმა ვერ მოხსნა მსოფლიო რეკორდი — 3 საათი და 15 წუთი. მაგრამ, სამაგიეროდ, მან გაახარა მაყურებელი თავისი ფილიგრანული ოსტატობით. მის ყალიონში ნაპერწკალი წყნარად, სპირალისებურად მიიწევდა თამბაქოს ერთი ნამცეციდან მეორისკენ, სულ მაღლა და მაღლა.

ქალებს შორის ჩემპიონის ტიტული წილად ხვდა ქალაქ ბეელანდის მცხოვრებ ევა შურხს. მის ყალიონში სამი გრამი თამბაქო 1 საათს, 30 წუთსა და 7 წამს იფერფლებოდა.

ობსერვატორი №43

სპორტსმენი მსახიობები

ცნობილია, რომ სპორტი ბოლო დროს შოუ-ბიზნესად იქცა; დღეს სპორტსმენები სუპერ-ვარსკვლავებად გვევლინებიან. სულაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, გაიმარჯვა თუ დამარცხდა იგი; მთავარია, რამდენად ლამაზად, ემოციურად შეასრულა ილეთი. ასე, რომ, მაყურებელს უკვე ჩვეულებრივ ფეხბურთის თუ კალათბურთის მატჩზე კი არ იწვევენ, არამედ საინტერესო სანახაობებითა და საყვარელი სპორტსმენების ცქერით დასატკბობად. მაგალითად, მსოფლიოში ცნობილმა კალათბურთელმა მაიკლ ჯორდანმა ორ მხატვრულ ფილმში ითამაშა. მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ექვსგზის ჩემპიონი ფიგურულ სრიალში გერმანელი კატარინა ვიტი მონაწილეობდა ამერიკაში ყინულზე საბალეტო წარმოდგენებში. იგი პრემია „ემით" დააჯილდოეს მთავარი როლისთვის ტელევერსიაში „კარმენი ყინულზე". შარშან კატარინამ რობერტ დე ნიროსთან ერთად ითამაშა თრილერში „რონინი". ექს-ფიგურისტი ჰოლივუდის ფილმებში ხშირად ჩნდება. იგი ერთ-ერთი პირველი სპორტსმენია, რომლის შიშველი ფოტოები დაბეჭდა „ფლეიბოიმ". თანამედროვე მოციგურავეებს შურთ ცნობილი ნორვეგიელი ფიგურისტის, სონია ჰენისა, რომელმაც მთავარი როლი ითამაშა ფილმში „მზიური ველის სერენადა".

ამერიკული ფეხბურთის სუპერ-ვარსკვლავი ჯეი სიმფსონი პოპულარულ აქტიორად იქცა. ყველას ახსოვს იგი კომედიაში „შიშველი პისტოლეტი". ამერიკელი ჯონ ვაისმიულერი — ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში (1924წ), ყველაზე ცნობილი ტარზანია მსოფლიოში. მთელი ცხოვრების მანძილზე ჯონმა 35 ფილმში ითამაშა მთავარი როლები.

მკ ბულვარი №25

სექს-გიგანტი საბერძნეთიდან გააძევეს

24 წლის ალბანელი სოკულა დრეი ორჯერ გაასახლეს საბერძნეთიდან. იგი არც ნარკოტიკებით ვაჭრობდა და არც რაიმე სხვა დანაშაულობებში იყო გარეული. ხელისუფალნი იძულებულნი შეიქნენ, რადიკალური ზომა მიეღოთ მას შემდეგ, რაც ალბანელის აქტიურმა სექსუალურმა ცხოვრებამ მოსახლეობის მოთმინების ფიალა აავსო.

რამდენიმე წლის წინ საბერძნეთში ჩამოსული ახალგაზრდა ქვისმთლელი ადგილობრივი სოფლის ქალებში ერთობ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, სამაგიეროდ, ელინი მამაკაცების რისხვა დაატყდა თავს. ბევრჯერ თავ-პირი დაუნაყეს, რით აღარ დაემუქრნენ, მაგრამ გათხოვილ ქალებთან კურკური მაინც ვერ მოაშლევინეს. სხვა გზა აღარ იყო და რქებდადგმული ქმრების ჯგუფმა თხოვნით მიმართა სოფლის ხელისუფლებას, ალბანელი ქვეყნიდან გაეძევებინათ. თხოვნა წერილობით ამგვარად იყო დასაბუთებული, — ალბანელი საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხეს წარმოადგენსო.

პოლიციამ ყურად იღო მშრომელთა თხოვნა და სექს-გიგანტი კინწისკვრით გააგდო სოფლიდან, მაგრამ მალე იგი მეზობელ სოფელში გამოჩნდა და იქაც იგივე დატრიალდა. შერცხვენილმა ქმრებმა მისი ქვეყნიდან სასწრაფოდ გასახლება მოითხოვეს.

პოსლედნიე ნოვოსტი №25

„აბბას" სოლისტი ხალხს ემალება

ეს ხნიერი, თვალებჩამქრალი ქალი არაფრით ჰგავს აგნეტს, ოდესღაც ჯგუფ „აბბას" სოლისტს და მილიონობით მსმენელის კერპს. რამდენიმე ხნის წინ პაპარაციმ მოახერხა რამდენიმე იშვიათი ფოტო გადაეღო ყოფილი მომღერლისთვის, რომელიც სტოკჰოლმში, თავისი სახლის წინ სეირნობდა. აგნეტ ფალტსკოგი უკვე მრავალი წელია, ემალება უცხო თვალს. შინიდან თითქმის არ გამოდის. 70-იანი წლების ყველაზე პოპულარული ჯგუფის დაშლის შემდეგ აგნეტი მარტო დარჩა და ყველაფერში ხელი მოეცარა, დანარჩენ წევრებს უფრო გაუმართლათ.

აგნეტი 80-იან წლებში გასცილდა მეუღლეს, „აბბას" ერთ-ერთ სოლისტს ბორნომ ულვეუსს. ამას ჯგუფის დაშლა მოჰყვა. ამან ისე იმოქმედა, რომ იგი იძულებული გახდა, ფსიქიატრთან ემკურნალა. მას დღემდე ვერ მოუშორებია აკვიატებული შიში თვითმფრინავით მგზავრობისა, ყოველ წამს მანიაკის თავდასხმას ელის და არ სიამოვნებს ხალხთან ურთიერთობა. ალბათ ლეგენდარული ქერათმიანი უკვე აღარასოდეს გამოჩნდება მსმენელის წინაშე.

ლონდონში, მიუზიკლის, „მამა მიას" პრემიერაზე აგნეტის გარდა, „აბბას" ყველა სოლისტი ჩავიდა.

ოტდოხნი №27

საფლავი ლატარიის ბილეთით

იაპონიაში ფართის დეფიციტი ლამისაა საზოგადო ცნებად იქცეს. ადამიანები აქ პაწაწინა ბინებში ცხოვრობენ, გაჭედილი ავტობუსებითა და მეტროთი მგზავრობენ, მინიბაღებს აშენებენ. ამ საყოველთაო გასაჭირს რომ თავი დააღწიონ, მიწისქვეშა ქალაქების პროექტებსაც ამუშავებენ.

თუ სიცოცხლეში ასეთი შავი დღე ადგათ, რა ელით სიკვდილის შემდგომ? აქაც არაა საქმე მთლად ისე, როგორც იაპონელებს უნდათ. ყოველ წელს მარტო ტოკიოში 18.500 ახალი საფლავია საჭირო. სამწუხაროდ, ქალაქის სასაფლაოზე ადგილების ლიმიტი, კარგა ხანია, ამოწურულია და 20 საფლავზე 4.000 კაცი მოდის. სასაფლაოს ადმინისტრაცია ლატარიის გათამაშებას აპირებს, სადაც „ვაკანტურ" ადგილებს გაათამაშებენ. ტრადიციის მიხედვით, იაპონელთა უმრავლესობა კრემაციას ირჩევს. ასე რომ, ერთ ძვალთშესალაგში რამდენიმე ურნა მოთავსდება. ამჟამად საფლავის ღირებულება 30.000 დოლარამდე ავიდა. იაპონელები, თავის მხრივ, დაკრძალვისთვის ფულს არ იშურებენ, ოღონდ საფლავი ახლოს უნდა იყოს სახლთან.

ეს თავსატეხი (საფლავების პრობლემა, ცხადია) რომ გადაწყვიტონ, სასაფლაოზე ათ მეტრამდე სიმაღლის კედლები შენდება. თითოეულ მათგანში რამდენიმე ასეული ურნა განლაგდება. ბუდისტურ ტაძრებშიც დაიწყეს განსვენებულთათვის ეზოს ნაწილის შემოღობვა.

უსაშველო გაგიჩნდაო, — ამაზეა ალბათ ნათქვამი — სიცოცხლეში ხომ თევზებივით არიან მიწყობილები, სიკვდილის მერეც მოუწევთ მუჯლუგუნებით სიარული.

მირ ნოვოსტეი №21



თარაზულად: 7. საძირკველი, „ჯეჯილი"; 8. ბაკალავრი, დოქტორი; 10. ხმალი, ქარქაში; 11. რომი, ლუვრი; 12. ვაჟა, აკაკი; 17. კარატი, „ვითა"; 18. დარდანელი, ლამანში; 19. ჰაერი, გაზი; 20. ჭადრაკი, პოლიტიკა; 21. მზე, ღამე; 25. ჰექტარი, გოჯი; 26. ჰიპოტროფია, გადაგვარება; 27. ხერხემალი, სვეტი; 28. იარდი, მეტრი; 30. კინტაური, მანდილი; 33. აზრი, ნაწარმოები; 34. მძივი, სამაჯური; 35. კოჭლი, კუზიანი.

შვეულად: 1. ხეივანი, ყურძენი; 2. კაფე, მთა; 3. მონღოლები, ბანაკი; 4. ხაფანგი, ჩიტი; 5. სოიო, ლობიო; 6. „ავრორა", გემი; 9. ჭადარი, ცრემლი; 13. ჰემინგუეი, „ჩოჩარა"; 14. არია, ორკესტრი; 15. გული, აჩქარება; 16. ირანი, აღდგომა; 22. არგენტინა, ბრაზილია; 23. ტორეადორი, ხარი; 24. გრემი, სადღეგრძელო; 29. განტოლება, იგრეკი; 31. ჰობოი, მეცოსოპრანო; 32. ჩანგალი, იარაღი; 33. ორქიდეა, გვირილა.

წინა ასოციაციის პასუხები:

თარაზულად: 7. კარნავალი; 8. საქსოფონი; 10. აგული; 11. ებრაელი; 12. არმია; 17. შტატი; 18. პაემანი; 19. კასრი; 20. სკიპტრა; 21. პლანეტა; 25. ენოტი; 26. ალფონსი; 27. კრავი; 32. თუთია; 33. ჩარდაში; 34. ციფრი; 35. ლინგვისტი; 36. არკანზასი.

შვეულად: 1. მარგალიტი; 2. გნოლი; 3. ალიბი; 4. თავლა; 5. სფერო; 6. ანტიკვარი; 9. თალგამი; 13. ეტიკეტი; 14. კაპრალი; 15. ინგლისი; 16. კარტერი; 22. ანდალუზია; 23. ბომონდი; 24. კვიპაროსი; 28. დინგო; 29. მარტი; 30. ეშერა; 31. დიეზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გადავრჩებით...

განსაცდელი — ეროვნული, პიროვნული თუ კაცობრიული, მუდამ მტკივნეულად განიცდება და ამიტომ მისგან დახსნის გზის ძიება მარად თანამდევი პრობლემაა კაცობრიობის ისტორიის ყოველ ეტაპზე.

სადღეისოდ ვერავის ეტყვი ახალს იმით, თუ განაცხადებ, რომ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა მრავალი წლის მანძილზე ავად იყო დაბმული ათეიზმის ბოროტი სულისაგან და უკანასკნელ წლებში დაიწყო მობრუნება ქრისტიანობისაკენ. დაიწყო მძიმედ, ძნელად, გაჭირვებით... ყრმა კოლაელთა მსგავსად, ჯერ შვილებმა მონახეს ეკლესიის კარი, მოძლვარი, შეიყვარეს სიტყვა უფლისა და... სასუფეველში უქრობ კელაპტრებად ანთია უმრავლეს მათგანთა სულები!.. მშობლებმა პირჯვრის წერა შვილებისაგან ისწავლეს. ეკლესიაში მისვლა, წირვის მოსმენა, ხატის მთხვევა, სანთლის დანთება და დაბორკილი ენით ალსარების თქმა უდიდესმა ტკივილმა და სასოწარკვეთილებამ დააწყებინა უმრავლესთაგან უმრავლესს... ერი თანდათანობით დაეწაფა ადრე აკრძალულს, „წყაროს დაბეჭდულს“, დასაბამს ცხონებისას. ჭეშმარიტად, ესე არს ხე კეთილი, ნერგი — განახლებული. შეკითხვაზე — რა არ მოსწონს ბოროტ სულს? — წმინდა მამა თეოფანე დაყუდებული ასე პასუხობს: „როდესაც ეშმაკი ხედავს, რომ ვინმე, თავისი გონიერი გარჯით წარმატებულად აღასრულებს ქრისტეს მცნებებს, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გაანადგუროს ყველა წიგნი, რომელშიც იესოს ლოცვაა და უკეთური ადამიანების მეშვეობით შეწყვიტოს გონიერნი საქმენი“ („პასუხი 1140 შეკითხვაზე სულიერი ცხოვრების შესახებ“).

ჩვენი საუკუნის ბოლო მეოთხედის მანძილზე საქართველოს არ დასდგომია მეტ-ნაკლებად ძლიერი ეროვნული განსაცდელი, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ავანსცენაზე მდგომი „ერის შვილების“ ერთი ნაწილი მხარში არ დასდგომოდეს მოძალადეს: ეს „სასიქადულო“ ნაწილი ქართველი ერისა მკერდით იცავს ყოველივეს, რაც პატიოსანი სპეციალისტებისა და „რიგითი“ მოქალაქეების (მათგან „ბრბოდ“ წოდებულთა) უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს. ამ „ერისშვილთა“ ნუსხა, უმნიშვნელო ვარირებით, მუდამ ერთსა და იმავე სახელებს შეიცავს. შესაშური ერთსულოვნებით უდასტურებენ ისინი ერთმანეთს, რომ ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება (რასაც მათმა აშულმა „დამოუკიდებილობა“ უწოდა), ხელისუფლების არჩევა და მისი თანადგომა ისევეა სამშობლოს ღალატის ტოლფასი, როგორც პასპორტში ეროვნების რეკვიზიტის აღდგენის მოთხოვნა და ეროვნული კულტურის ძეგლების ხელყოფის გამო პროტესტის გამოთქმა. მართალია, ისინი ხამუშ-ხამუშად ეკლესიაშიც დაიარებიან დიდ საუფლო დღესასწაულზე, ზოგი თურმე ეზიარება კიდეც, მაგრამ ყოველივე ეს მათთვის მხოლოდ მოდურ გასართობ ღონისძიებათა ერთ-ერთი სახეობაა და მისაღებია მხოლოდ გარკვეული დოზითა და მათთვის ხელსაყრელი ფორმით. ამის მიღმა კი, მათი აზრით, „ბნელი“, “დაუბანელი“, „გაუნათლებელი“ და, რაც მთავარია, „არასახარბიელო ზნეობის“ პიროვნებები დგანან. მოკლედ, „ერია თუ ბერია, ყველა დასაჭერია“, ვინც ამ „ერისშვილებს“ სიტყვითა და საქმით ხელს უშლის განზრახულის აღსრულებაში.

მაგრამ, „შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს“. ის, რაც დღევანდელ საქართველოში ხდება, უფალს სწორედ იმ უკეთურ ადამიანთა გამოსავლენად აქვს დაშვებული, რომლებიც „ჯინჯილებითა და ეკეტონებით“, ეპოლეტებით, რეგალიებითა და ტომეულებით შენიღბულნი ერთგულად ემსახურებიან რქიან ბატონს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი განსაცდელის ჟამს უფალი განსაკუთრებით გულმოწყალეა თავისი საყვარელი სამწყსოს მიმართ. დღეს საქართველოს უმძიმესი განსაცდელის ჟამი უდგას. ფელინის მეტაფორას თუ დავესესხებით, კედელი უკვე გარღვეულია და ის სფეროც უკვე შემოტივტივებულა ჩვენს სარეპეტიციო დარბაზში! ხსნის გზაც აქვეა: თუ სიყვარულმა ვერა, შიშმა ხომ მაინც უნდა გვაიძულოს ერთსულოვნება და უშურველად გაღება მსხვერპლისა, რომელიც არის „გული შემუსვრილი, სული დამდაბლებული“. სწორედ შემუსვრილი გულითა და დამდაბლებული სულით შეწირული ერთსულოვანი გულმხურვალე ლოცვა მართებს დღეს თითოეულ ჩვენთაგანს, ვისაც ერთხელ მაინც მიუღია წმინდა ზიარება, რათა უფალმან ჩვენმან აცხონოს ერი თვისი და დაიცვას სამკვიდრებელი მისი, რამეთუ „მრავალ არიან მდევარნი ჩემნი და მაჭირვებელნი ჩემნი და წამებათაგან შენთაგან არა გარდავაქციე“ (ფს. 118:157). აი, ,ეს არის კიდევაც გზა ხსნისა!

დიახ, ბატონებო, ჩვენი ბრძოლა პირჯვრის სახვით ხატის წინაშე შეწირული ლოცვაა. დაე, აღდგნენ შემდგომად ამისა ერთგულნი მსახურნი ბელიარისა (სატანისა) ხელყოფად საქართველოს ქრისტიანულ სიწმინდეთა. მაშინ ჩვენ, მსგავსად ასი ათასი წმინდა მოწამისა, არაბებმა რომ დახოცეს მეტეხის ხიდზე, უდრტვინველად მივიღებთ მათი ხელიდან განსაცდელს და ეს იქნება კიდევაც უკანასკნელი გაბრწყინება საქართველოსი ამ ცოდვით სავსე მეოცე საუკუნეში.

ძვირფასო რედაქცია!

P.S. დღეს ქართველი საზოგადოება მტკივნეულად განიცდის ეროვნული განძის უცხოეთში ხანგრძლივად მოგზაურობისა და ქრისტიანულ სიწმინდეთა ხელყოფის საშიშროებას. სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები სხვადასხვა თვალსაზრისით ცდილობენ დაასაბუთონ ამ ღონისძიების უმართებულობა და საფრთხე, მიმართავენ პროტესტის სხვადასხვა ფორმას: სამეცნიერო პუბლიკაციას, საჯარო გამოსვლას, შიმშილობას, მიტინგს... ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ შეძლებისდაგვარად ჩამოვაყალიბე ამ წერილში. თუ თქვენთვის რამდენადმე მისაღებია აქ გამოთქმული აზრები, დაბეჭდეთ, თუ არადა, მადლობას მოგახსენებთ, რომ წაიკითხეთ.

პატივისცემით მანანა ჭირაქაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

„მეორე ბეთლემი“ ეგვიპტეშია

იქ, სადაც ნილოსის ველი მთავრდება და უდაბნო იწყება, ერთი გორაკის ძირში ალ-მუჰრაკის მონასტერია. დღეს აქ ასზე მეტი ბერი ცხოვრობს... მონასტრის სახელ-დიდება პირველი საუკუნიდან მოდის, რადგან ის სწორედ იმ ადგილზეა აგებული, რომელზეც, ეგვიპტელ ქრისტიანთა გადმოცემით, ექვს თვეზე მეტხანს ცხოვრობდა უწმინდესი ოჯახი — ღვთისმშობელი ყრმითა და მართალი იოსები...

ხომ გახსოვთ ახალი აღთქმა? ხომ გახსოვთ, როგორ ბრძანა იუდეველთა მეფემ ყველა მცირეწლოვანის გაჟლეტა? ისიც ხომ გახსოვთ, როგორ გამოეცხადა ძილში იოსებს ღვთის ანგელოზი და როგორ დამოძღვრა — აიყვანე ჩვილი და დედამისი, რამეთუ იროდი ეძებს ყრმას, რომელიც იუდეას მეფე გახდება და დაღუპავს მას... ეს მონაკვეთი აუცილებლად გაგახსენდებათ, რადგან სწორედ წინა წერილებში „უფლის გზაზე სიარული ნუ მოგიშალოთ ღმერთმა“, სახარებიდან ეს ადგილიც მოვიყვანეთ.

წმინდა ოჯახი ეგვიპტისკენ გაემართა... მათ გზად რომ წმინდა გერასიმეს ტაძარში შეისვენეს, ეს თქვენ უკვე იცით, მაგრამ არაფერი იცით ეგვიპტეში ყოფნის შესახებ, ეს არც სახარებაში წერია; მხოლოდ ზეპირი გადმოცემით შემოუნახავთ

და თაობიდან თაობას გადასცემენ ეგვიპტელები, ყრმა იესოს გამოჩენაზე როგორ იმსხვრეოდა კერპები, აქაურებს მიაჩნიათ, რომ მართალი იოსების ოჯახმა აქ სამი წელი დაჰყო. ყველა ის ადგილი, სადაც შეჩერებულან ლტოლვილები, წმინდა სავანეებით დაუმშვენებიათ და მომლოცველთა რუკაზე დაუტანიათ.

ჰოდა, ეს ალ-მუჰრაკის ტაძარიც ასეთ წმინდა ადგილად არის მიჩნეული, რადგან ნაზარეველები აქ ყველაზე დიდხანს შეჩერებულან. ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა და პირველ საუკუნეშივე აუგიათ იოსების მიერ ოჯახის თავშესაფრად აშენებული ქოხის ადგილზე. მცირე ზომის ეკლესია დღევანდლამდე ბევრჯერ გადაუკეთებიათ. აქაური ბერები და მათი წინამძღვარი დიდი კრძალვით შეგიყვანთ საკურთხეველში (რა თქმა უნდა, მხოლოდ მამაკაცებს), გადახსნიან ტრაპეზზე დასვენებულ მარმარილოს ფილას, ქათქათა აბრეშუმის საფარს და თქვენს წინაშეა აკვანივით ჩაღრმავებული მონოლითი, რომელიც ყრმა უფლის საწოლს წარმოადგენდა თურმე.

ეს აკვანი — მონოლითი თავიდანვე დიდ სიწმინდედ და თაყვანისცემის საგნად ქცეულან. მე-4 საუკუნეში აქ ეგვიპტეში პირველი ქრისტიანული ტაძარი აუგიათ და ამ ადგილისთვის „მეორე ბეთლემი“ უწოდებიათ. ეგვიპტელთა სიამაყე ზღვარდაუდებელია — ისინი უფლის მეორე სამშობლოდ მოიაზრებენ აქაურობას.

ღვთის ანგელოზს არ მიუტოვებია სამშობლოდან გასული ოჯახი... კვლავ გამოეცხადა მართალ იოსებს:

— ადექი, აიყვანე ყრმა ეგე და დედამისი და წადი ისრაელის მიწაზე, რამეთუ მოკვდნენ ჩვილთა სულების მტარვალი მეფენიო.

და დაადგა წმინდა ოჯახი გზას შინისაკენ, ნაზარეთისკენ...

ამას ეკლესიურად ცრუ რწმენა ჰქვია

დღეს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ვხვდებით წერილებს, რომლებიც ეხება თეთრი მაგიის, ნათელმხილველების, ექსტრასენსების საქმიანობას. თითქმის ყოველი მათგანი აცხადებს, რომ ეს ნიჭი მას ღვთისგან აქვს მინიჭებული და რომ ეკლესიურად დაშვებულია მისი საქმიანობა.

ამ საკითხის გარკვევისათვის ლოგიკურად მივიჩნიეთ გასაუბრება ეკლესიის მამებთან. წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მოძღვრის **მამა დავითის (ქვლივიძე)** და ანჩისხატის ეკლესიის წინამძღვრის **მამა რევაზის (ტოშარაძე)** აზრი იდენტური აღმოჩნდა.

— გთხოვთ, გაგვაცნოთ, როგორია ეკლესიის სწავლება წინასწარმეტყველთა და „ნათელმხილველთა“ შესახებ?

მამა დავითი: ეკლესია აღიარებს, როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმის წინასწარმეტყველებს. ეს იყო ღვთის რჩეული ხალხი, ვინც მთელი არსებით მიენდო უფალს და ღვთის ერთგულება წმინდა ცხოვრებითა და ხშირად მონამეობითაც დაამტკიცა. ცხადია, ეს ადამიანები სულიწმიდის მადლით წინასწარმეტყველებდნენ.

თანამედროვე „ნათელმხილველები“ უმეტესად არაეკლესიური ხალხია. მათ აქვთ თვითნებური, სამოციქულო ეკლესიისათვის სრულიად მიუღებელი, არასწორი სწავლება ღვთის შესახებ. ისინი თავიანთი ნებით დაშორდნენ დედა-ეკლესიას და დაუკავშირდნენ დემონებს — ცათა სასუფევლიდან უფლის მიერ გამოძევებულ, საღვთო მადლის გარეშე დარჩენილ დაცემულ სულებს. სწორედ მათგან — დემონთაგან მიღებულ ინფორმაციას გადმოსცემენ ე.წ. ნათელმხილველები. ამას ეკლესიურად ცრუ წინასწარმეტყველება ჰქვია.

— მაგრამ ხომ არის შემთხვევები, როცა მათი წინასწარმეტყველება ახდება ხოლმე?

— ჯერ ერთი, მათი „წინასწარმეტყველებიდან“ სრულდება მცირე ნაწილი და ესეც იმიტომ, რომ ადამიანთა მოდგმის, მართლაც რომ დაუძინებელი მტერი — ეშმაკი, აი, უკვე შვიდი ათასი წელია, აკვირდება კაცობრიობას, დააგროვა დიდძალი ინფორმაცია, აქვს უდიდესი გამოცდილება. ამდენად, ბუნებრივია, რომ შეუძლია ზოგიერთი მომენტის პროგნოზირება. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ყველაფრის განჭვრეტა მას არ ძალუძს. მონადირე ხომ ისვრის საფანტს, ერთი ხვდება ნადავლს, დანარჩენი კი იკარგება უკვალოდ. ასეთივეა ეშმაკის „წინასწარმეტყველებაც“.

იგივე ითქმის მკურნალ „ნათელმხილველებზე“ — ექსტრასენსებზე. ისინი ამბობენ, რომ რაღაც ძალა ეძლევათ და, სამწუხაროდ, ჰგონიათ, რომ ღვთისგანაა; უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არის დაცემული სულებისგან მიღებული ძალა.

მამა რევაზი: — ადრე ნათელმხილველებს უვერცხლონი ერქვათ, ასე მათ იმიტომ უწოდებდნენ, რომ ისინი გასამრჯელოს არ იღებდნენ. ასეთები იყვნენ: პანტელეიმონი, იოანე, ერმალაოზი, თაბო, მუკე, რომლებიც ლოცვებით და წამლებითაც მკურნალობდნენ.

— მამა დავით, თქვენ რას იტყოდით ძველად ეკლესიაში მყოფ მკურნალ წმინდა მამებზე?

— წმინდა მამები სნეულებს, ჭეშმარიტად, ღვთის შეწევნით კურნავდნენ, ეს ნიჭი ღვთის მცნებათა დაცვითა და უდიდესი თავმდაბლობით შეიძინეს. ისინი კურნების მთხოვნელს, უპირველესად, ცოდვათა შენანებას და ეკლესიურად ცხოვრებას ურჩევდნენ, რადგანაც სწორედ ამათშია კურნება. ამის შემდეგ სნეულს შეავედრებდნენ ღმერთს და წმინდანთა ლოცვით სნეულები იკურნებოდნენ. მამები აფრთხილებდნენ განკურნებულთ, აღარ შეეცოდათ, რათა უფრო მეტად არ დასჯილიყვნენ. თანამედროვე „მკურნალები“ — ექსტრასენსები მსგავსს არაფერს აკეთებენ.

ეკლესიის წმინდა მამები ამპარტავნობის ცოდვით რომ არ დაცემულიყვნენ, კურნების მადლს ხშირად მალავდნენ. დღევანდელი ექსტრასენსები სატელევიზიო და საგაზეთო რეკლამებში ხმამაღლა აცხადებენ, რომ აქვთ ძალა სენთა კურნებისა, თავს განადიდებენ და ავიწყდებათ, ამპარტავნობა ის ცოდვაა, ნათლის ანგელოზი ეშმაკად რომ აქცია.

— ბევრი ექსტრასენსი აცხადებს, რომ მას მკურნალობისთვის ეკლესია აძლევს კურთხევას?

მამა დავითი: ამაზე მოკლედ გიპასუხებთ: ძველი აღთქმის ეკლესია ჯადოქრებს ქვებით ქოლავდა, ახალი აღთქმის ეკლესია კი ექსტრასენსებსა და ჯადოქრებს ზიარებისაგან განაყენებს.

V საუკუნის უდიდესი წმიდა მამა იოანე ოქროპირი ამბობს: „ასეთებს (ჯადოქრებს), წმიდა სამების სახელითაც რომ ლაპარაკობდნენ, წმინდანებს რომ უხმობდნენ და პირჯვარსაც ისახავდნენ, უნდა გავექცეთ და გავერიდოთ“.

— ცნობს თუ არა ეკლესია თეთრ მაგიას და თუ შეიძლება ჯადოს ეკლესიური წესით განადგურება?

მამა რევაზი: — ეკლესია არ ცნობს თეთრ მაგიას. არსებობს ეშმაკის განდევნის საეკლესიო ლოცვები. ერთხელ, თურმე მოციქულებს შეუჩივლიათ იესოსათვის — ეშმაკი ვერ განვდევნეთ ავადმყოფისგანო. იესოს უპასუხნია: ბოროტი განიდევნების მარხვითა და ლოცვით. ამიტომ ხშირად ეზიარეთ, რათა თქვენ ლოცვას ჰქონდეს ძალა. როცა ეს თქვენი ცხოვრების წესად იქცევა, მაშინ ნათლად დარწმუნდებით ყველაფერშიო.

მამა დავითი: — მაგია, ეს ბოროტებაა, ეკლესიურ ენაზე მას ჯადოქრობა ჰქვია და თეთრი იქნება, წითელი, ლურჯი თუ შავი, მიუღებელია. შხამი, არა აქვს მნიშვნელობა, ტკბილი იქნება თუ მწარე, სასიკვდილოა. ასეთივეა მაგიაც, იგი მიუღებელია ადამიანისათვის, რადგანაც მისი სულის წარმწყმედელია, ჯოჯოხეთში შთამყვანებელია. მაცხოვარი გვასწავლის: ბოროტი მოდგმა მხოლოდ მარხვით და ლოცვით განიდევნება. ასე ხდებოდა ქრისტეს მოციქულთა მოღვაწეობისას, ასევეა ახლაც. ამგვარად, თუკი ვინმეს სურს სულიერი უძლურებისა და ბოროტ ძალთა ზეგავლენისაგან განიკურნოს, უნდა მიმართოს ეკლესიას, დაიწყოს ეკლესიური წესით ცხოვრება, რათა მარხვით, ლოცვითა და სიწმინდეებთან მიახლებით განაგდოს ბოროტი.

ესაუბრა ნინო შევარდნაძე

ფირმა „ბერმუხა“

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, როგორც ადგილობრივი, ასევე ბელგიური, გერმანული და იტალიური უმაღლესი ხარისხის მასალებით, ყველაზე იაფად. საგარანტიო სერტიფიკატით. გარანტია 10 წელი. სამუშაოს ვასრულებთ რესპუბლიკის ყველა რაიონში.



მის: წერეთლის გამზ. 55, ბინა 53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50
სარეალიზაციოდ გვაქვს უცხოური უმაღლესი ხარისხის საიზოლაციო მასალები

ფირმა «გარანტი-97»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.

ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ. ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69

„მესამე ტაიმის“ ბილეთების შეძენა შეგიძლიათ საბაზეთო ჯიხურებში თბილისსა და საქართველოს რაიონებში *(გთხოვთ იმახოთ კვირაში ერთხელ. ბილეთები გაყიდვაში გამოდის ყოველ ორშაბათს. მათი მოთავსება „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში შეგიძლიათ იმავე კვირის კვირადღის 13 საათამდე).*

„მესამე ტაიმის“ ბილეთის შესაფასებად აუცილებელი არ გახლავთ, ფეხბურთში კარგად ერკვეოდეთ. თქვენს მიერ გაკეთებული, თუნდაც შემთხვევითი, მაგრამ ზუსტი პროგნოზი მოგებისათვის სრულიად საკმარისია.

თამაშის წესები ისილეთ ბილეთის უკანა მხარეს

№14 გათამაშდება. საპრიზო ფონდი 4.000-დან 11.937 ლარადეა

სპორტპროგნოზი №14 (25 ივლისის) 33 თოფრი

მესამე ტაიმი

გამოსარიცხია: № 14 — 000000 — ა

1	28.07.99	რაზ.	სპარტაკი	—	ზენიტი
2	28.07.99	რაზ.	როსტოვმაში	—	ალანია
3	28.07.99	რაზ.	სატურნი	—	ლოკომოტივი(მ)
4	28.07.99	რაზ.	ლოკომოტივი(ნ.ნ.)	—	დინამო(მ)
5	28.07.99	რაზ.	ტორპედო	—	ჟირუს სოვეტოვი
6	28.07.99	რაზ.	რიტორი	—	ურალანი
7	28.07.99	რაზ.	ჟემჩუჟინა	—	ჩერნომორეცი
8	31.07.99	ალმა.	მოწაო	—	სპნტ პეტერბი
9	31.07.99	ალმა.	ბორდო	—	ბასტია
10	31.07.99	ალმა.	ლილი	—	მონაველია
11	31.07.99	ალმა.	სტრასბურგი	—	ლანსი

გამოსარიცხი ბილეთები №14 (25 ივლისის) 33 საათიდან კვირადღის 13 საათამდე

გამოსარიცხი ბილეთების ნომრები

„კვირის პალიტრა“ გამოსარიცხი ბილეთების ნომრებს გამოაქვეყნებს 31 ივლისის ნომერში

ყურადღება!

ამ ნომრიდან ბილეთის „ბ“ ნაწილებზე ჩაბარება შეგიძლიათ აგრეთვე ბილეთში დასახელებული მატჩების (პირველი მატჩის) გამართვის დღეს, გაერთიანებული „ტორპედო ბაქოს“ დიდიუბის ფილიალში (მის ალმაშენებლის №154) 16 საათამდე

№12 გათამაშების შედეგები

გამოსარიცხია: № 12 — 000000 — ბ

1	4:1	1	14.07.99 რაზ.	ცსკა	1 ალანია
2	2:1	2	14.07.99 რაზ.	ზენიტი	1 ზენიტი
3	2:1	3	14.07.99 რაზ.	ლოკომოტივი(ნ.ნ.)	1 ჟემჩუჟინა
4	2:4	4	14.07.99 რაზ.	ტორპედო	2 ლოკომოტივი(მ)
5	1:3	5	14.07.99 რაზ.	როსტსელმაში	2 დინამო(მ)
6	2:1	6	14.07.99 რაზ.	რიტორი	1 ჟირუს სოვეტოვი
7	3:0	7	14.07.99 რაზ.	სატურნი	1 ჩერნომორეცი
8	3:0	8	14.07.99 რაზ.	სპარტაკი	1 ურალანი
9	?	9	18.07.99	შვედეთი	? საფრანგეთი
10	?	10	19.07.99	ესპანეთი	? ირლანდია
11	?	11	19.07.99	იტალია	? საქართველო

„მესამე ტაიმის“ №12 გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 11.082-მა ბილეთმა. შეგახსენებთ, რომ საპრიზო ფონდი შეადგენდა 7937,5 ლარს. გაზეთის ფურცლის დროს ცნობილი არ იყო სამი მატჩის შედეგი (შედეგი — საფრანგეთის შემთხვევაში კვირას ვეცნობ დასარულს, ხოლო ესპანეთი — ირლანდიისა და სანართველო — იტალიის მაგრამ 19 ივლისს გაიმართებოდა). დარჩენილი 8 ფეხბურთის ყველა შედეგი გამოცნობილია 97 ბილეთში, ხოლო 7 შედეგი კი — 1.393 ბილეთში. გამთამაშების საპრიზო შედეგებში ცნობილია ასევე ესპანეთის, საქართველოს შედეგი.

№12 გამთამაშების საპრიზო ფონდი ისილეთ ოთხშაბათის (21 ივლისი) გაზეთ „სიტყვა და საქმეში“

„მესამე ტაიმის“ №12 გათამაშების ბილეთში შეტანილი რუსეთის ჩემპიონატის რვა მატჩიდან ყველა მოსალოდნელი შედეგით დასრულდა. მეტ ნაკლებად ძნელად პროგნოზირებადი გახლდათ მოსკოვის დინამოელთა მოგება როსტოფში, ისევე როგორც „ლოკომოტივის“ მიერ „ტორპედოს“ დამარცხება და „ჩერნომორეცის“ მარცხი რამენაირად „სატურნთან“. დარჩენილ ხუთ მატჩს აშკარა ფავორიტები ჰყავდათ და ყველა მათგანმა მოიგო, რაშიც გამოწინაურა ის, რომ ბილეთების ასეთ დიდ რაოდენობაში არის გამოცნობილი როგორც 7, ასევე 8 შედეგი. საგარაუდოა, რომ №12 გათამაშებას გამარჯვებულთა სარეკორდო რაოდენობა ეყოლება.



„კვირის პალიტრა“ დაბეჭდილებები სპორტ პროგნოზის გამოცემებში

1.სპარტაკი — ზენიტი

მოსკოვის „სპარტაკი“ რუსეთის ჩემპიონატის ნებისმიერ მატჩში ფავორიტია, მით უმეტეს შინ და თანაც ახლა, როცა მოსკოვის ლოკომოტივს „სპარტაკზე“ ნაკლები ქულა აქვს. „სპარტელი“ და ჩემპიონობას ეცილება. რაც შეეხება „ზენიტს“, ცუდად აღებული სტარტის შემდეგ გუნდი ნელ-ნელა უახლოვდება ლიდერებს და ამჟამად მე-8 ადგილზეა 25 ქულით. „სპარტაკს“ 46 ქულა აქვს და 11 ქულით ანსრებს უახლოეს მდევარ „ლოკომოტივს“, თუმცა მასზე 4 მატჩით შეგი აქვს ჩაგარებული. „სპარტაკი“ ნყვილის აჭარა ფავორიტია.

60% — 25% — 15%

2.როსტსელმაში — ალანია

ეს გუნდები ამჟამად 6-7 ადგილებს ინანილებენ და ორივეს 25-25 ქულა აქვს. ამდენად მათ შორის მატჩს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელი ტურები „როსტსელმაშიც“ და „ალანიაც“ დამარცხდნენ, პირველი მათგანი შინ „დინამოსთან“, მეორე კი სტუმრად, ცსკა-სთან. „როსტსელმაში“ საკმაოდ კარგად და თანაბრად დაკომპლექტებული გუნდია და მოუხედავად იმისა, რომ ასე თუ ისე „ალანია“ უფრო ძლიერ კლუბად ითვლება, ოსური გუნდს ძლიერ გაუჭირდება როსტოფში მოგება.

40% — 25% — 35%

3.სატურნი — ლოკომოტივი(მ)

„სატურნი“ მე-11 ადგილზეა 16 ქულით, თუმცა ოთხად ოთხი ქულით ანსრებს ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „შინაკს“ და ვერ ვიდევ შეელი სათქმელია შეინარჩუნებს თუ არა ადგილს უმაღლეს ლიგაში. მოსკოვის „ლოკომოტივზე“ უკვე მოგახსენეთ, ფავორი ჩემპიონობისათვის იბრძვის და მისთვის ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. „ლოკომოტივი“ „სატურნზე“ ბევრად ძლიერი გუნდია და ნვსით უნდა მოიგოს კიდეც.

20% — 20% — 60%

4.ლოკომოტივი(ნ.ნ.) — დინამო

„ნიჟნი ნოვგოროდის“ „ლოკომოტივმა“ ბოლო ტურში გასაოცრად განნირულ „ეემჩუჟინას“ მოუგო, რომელსაც აღებით სასწაული თუ ეხსნის. ნოვგოროდელები ესეს საკმაოდ კარგად თამაშობენ და მე-9 ადგილზე იმყოფებიან 22 ქულით. მოსკოვის „დინამოს“ გუნდიდან გორაში იარყვეს ნასვლის შემდეგ იმედნად გააუქმებისა თამაში, რომ მე-5 ადგილზე აინაცვლა და ახლა 27 ქულა აქვს. მოსკოველებმა წინა ტურში სტუმრად ასლეს „როსტსელმაში“ და ნიჭნი ნოვგოროდის მატჩის ფავორიტად ითვლებიან.

20% — 40% — 40%

5.ტორპედო — კრილია სოვეტოვი

მოსკოვის „ტორპედო“ მეოთხე ადგილზეა 17 მატჩში 29 ქულით და სამეულში მოხვედრისათვის იბრძვის. მესამე ადგილზე მყოფ ცსკა-ს იგი ოთხი ქულით ჩამორჩება, რაც შეეხება სამარის „კრილია სოვეტოვს“, გუნდი კლებვაზე სახფათო ზონაში იმყოფება და 15 ქულით მე-12 ადგილზეა. „ტორპედო“ შინ ტრადიციულად კარგად თამაშობს, სამარელებს მნიშვნელური მანსი აქვთ მოსკოვში ნარმმატების მოსნევისა.

70% — 20% — 10%

6.რუბინი — ურალანი

ვოლგოგრადის „რუბინის“ 8 მატჩინი მოუგებელი სერიის შემდეგ, როგორც იქნა, წინა ტურში გაიმარჯვა, შინ სძლია სამარის „კრილია სოვეტოვს“. ელისტის „ურალანი“ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლო ტურში სტუმრად „სპარტაკთან“ დამარცხდა და 15 ქულით კლავე მე-13 ადგილზეა. „რუბინს“ მასზე სამი ქულით მეტი აქვს, ასე რომ, გამარჯვების შემთხვევაში ყალმუხეთის გუნდი ქულებით უთანასწორდება „რუბინს“, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნვილ „რუბინის“ სასარგებლო სუსტად თამაშობს, გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ „ურალანმა“ ამ მატჩში ნარმატების მიაღწიოს.

50% — 30% — 20%

7.ჟემჩუჟინა — ჩერნომორეცი

მოუხედავად იმისა, რომ როსუთში უკვე მეორე წრე დაინყო, „ეემჩუჟინას“ ჯერ ერთი მოგებაც კი არა აქვს. ვერც ნოვოროსისკის „ჩერნომორეცმა“ საქმეა კარგად. გუნდი მე-14 ადგილზეა ასე რომ ამ შეხვედრას უმნიელო კონკურენტთა მატჩი შეიძლება ვნოდოთ, „ეემჩუჟინას“ პირველი მოგებისათვის ასეთი კარგი შანსი შეიძლება საერთოდ აღარ მიეცეს. წინა ტურში სოჭელები ნოვგოროდში დამარცხებენ, „ჩერნომორეცი“ კი რაღ მენსკოელ „სატურნთან“.

35% — 35% — 30%

8.მოწაო — სპნტ პტერბი

„მონაკო“ წყვილის აშკარა ფავორიტია. გუნდი პირველი ტურის მატჩში მასპინძლობს საფრანგეთის პირველი დივიზიონის დებიუტანტს — ოდესელ ტატულოვან „სენტ-ეტიენს“. გასულ სეზონში „მონაკომ“ ვერც „ბორდოს“ გაუნია პრეტენზიები და ვერც „მარსელს“, წელს კი უეჭველად შეეცდება ამის გაკეთებას.

80% — 10% — 10%

9.ბორდო — ბასტია

სასტარტო მატჩები ყოველთვის ძნელად პროგნოზირებადია. მოუხედავად ამისა, საფრანგეთის ჩემპიონი „ბორდო“ მინც ფავორიტად ითვლება ვიდრე „ბასტიასთან“ სანინაო მატჩში.

80% — 10% — 10%

10.ლილი — მონპელიე

„ლილი“ „მონპელიეზე“ გაცილებით ძლიერი გუნდია და წესით შინ ამ მატჩის მოგება არ უნდა გაუჭირდეს.

70% — 15% — 15%

11.სტრასბურგი — ლანსი

„ლანსი“, რომელიც შარშან ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობდა, შარშან მე-7 ადგილზე გავიდა. ვერც „სტრასბურგმა“ იასპარეზა კარგად და გათამაშების ცხრილის შუა საფეხურზე დაასრულა ჩემპიონატი. ორივე ეს გუნდი დაახლოებით თანაბარი სძლიერისაა და მცირე უპირატესობა მასპინძელს უნდა მიეხაროს.

40% — 30% — 30%

შკოლნიკულა მსუბუქი ავტომანქანის სპორტპროგნოზის „მესამე ტაიმის“ სტატისტიკური მონაცემების №1-დან №11 გათამაშებების ჩათვლით

გათამაშების ნომერი	საპრიზო ფონდი	გათამაშებული ბილეთების რაოდენობა		მოგებულ ბილეთების რაოდენობა		მოგება	
		10 შედეგის	11 შედეგის	10 შედეგის	11 შედეგის	10 შედეგის ბილეთის მფლობელისათვის	11 შედეგის ბილეთის მფლობელისათვის
1	4.000ლ.	2.000ც.	2.000ც.	7	—	285ლ.	—
2	4.000ლ.	2.000ც.	2.000ც.	2	—	1.000ლ.	—
3	6.000ლ.	3.000ც.	3.000ც.	2	—	1.500ლ.	—
4	6.000ლ.	3.000ც.	3.000ც.	23	—	152ლ.	—
5	7.000ლ.	7.000ც.		152	6	21,74ლ.	605ლ.
6	7.500ლ.	3.750ლ.	3.750ლ.	7	—	537,5ლ.	—
7	4.000ლ.	—	4.000ლ.	—	—	—	—
8	7.750ლ.	3875ლ.	3.875ლ.	37	—	104,7ლ.	—
9	8.000ლ.	—	8.000ლ.	—	—	—	—
10	7.875ლ.	3.937,5ლ	3.937,5ლ.	12	—	328ლ	—
11	12.000ლ.	6.000ლ.	6.000ლ.	3	—	2.000ლ.	—

№28 (145) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგში 497 მკითხველი მონაწილეობდა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 171-მა ქალმა და 323-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვაზე: **„ყველაზე მეტად რა აფოთქავებთ ძარღვ ი პოლიტიკურ ლიდერებს?“**

როგორც შეხედვებმა გვიჩვენა, ქართველ პოლიტტკოსთან ძირითადი მამოძრავებელი ძალა „ძალაუფლების წყურვილი“ ყოფილა. მკითხველთა 47%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა, მინიმალური — 1%-მა. 7,06 საშუალო ქულით „ძალაუფლების წყურვილი“ პრეზენტ ადგილზეა. რესპონდენტთა 39%-ის აზრით, პოლიტიკურ ლიდერებს უპირველესად საკუთარი ჯიბის დარდი აქვთ და ამისათვის იბრძვიან თავდაუზოგავად. „საკუთარი ჯიბე“, 6,78 საშუალო ქულით, მეორე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2-მა მკითხველმა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. მკითხველთა 13% კი ფიქრობს, რომ პოლიტტკოსებს არსებული სისტემის დაკარგვის შიში არ ასვენებთ; ეს უკანასკნელი 5,92 საშუალო ქულით მეხუთე ადგილზეა. „ძალაუფლების წყურვილსა“ და „არსებული მდგომარეობის დაკარგვის შიშს“ ერთნაირი რაოდენობის მინიმალური ქულები დაიმსახურეს (1%).

ქართველის ბედი, სიმართლე და ხალხის კეთილდღეობა, ჩვენი მკითხველებისა აზრით, ნაკლებად აღელვებთ პოლიტტკურ ლიდერებს, მათ შორის ყველაზე უფრო ნაკლებ კი — ხალხის კეთილდღეობა. რესპონდენტთა 45%-მა შეიფასა ის მინიმალური — 1 ქულით, მაქსიმალური კი — მხოლოდ 3-მა მკითხველმა.



საპრიზოს ზუსტად დაემთხვა 17 ბარათი რეიტინგი. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 35 წლის **ოქროფილ ფოფხაძე**, 20 წლის **ზაზა დასთავი**, 31 წლის **არჩილ ჯღბარიანი**, 33 წლის **დავით გოგიაშვილი**, 53 წლის **ანა ონიანიშვილი**, 65 წლის **გუგული ფიცხელაური**, 60 წლის **თენგიზ შალაშვილი**, 66 წლის **ოთარ ფიქრაძე**, 12 წლის **ნინა ხიდაშელი**, 38 წლის **პაატა ბაქრაძე**, 45 წლის **რევაზ გუხარია**, 40 წლის **ქეთევან ჯილავა**, 46 წლის **ანი ალხაზი**, 16 წლის **ნათია ხალვაში**, 39 წლის **ვეფხია ასპანია**, 30 წლის **ლელა ძაბირია** (ქალაქი თბილისიდან) და 26 წლის ოზურგეთელი **ედუარდ ჯვარელაძე**.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 20 ივლისს, 17 საათზე.

№29 (146) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„ქვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის ამზადებს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ ხალხთა-ზოგადობის აზრი ამა თუ იმ მოკლენაზე. ფიქრზე და ა.შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზო ფონდით

100 ლარი

თქვენს მიერ შევსებული რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „ქვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში. გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად. პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შევსებული (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოუზიარილი) რეიტინგი დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თითოეული გრაფობაზე მკითხველთა მიერ დაწერილ ქულებში ჯამების და შემდეგ იფიქრებს რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვასწავლის ამ გრაფის საშუალო ქულას.

რესპონდენტ გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ეშლება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

• საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგებისა და დასაბეჭდად მომზადებული მიმდინარე ინფორმაცია „ქვირის პალიტრა“ №29 (146) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „ქვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩაგდეთ ამ შაბათის, 20 ივლისის 17 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 22 ივლისის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №29 (146)
მედეხანაობა

ბევრი ფული რომ გაგიჩნდეთ, რომელ სფეროს დაუთმობდით მედეხანობას საპარლამენტო არჩევნებზე (წამოველოლიანებულ) დაფიქრები მას ქულა, მოიფიქრეთ მ და ა.შ. 1-ში.

№29(146) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი		
№	სფერო	ქულა
1	თეატრი	
2	არავინ	
3	კინო	
4	სპორტი	
5	ახალგაზრდა თაობის განათლება	
6	მიუსაფარ ადამიანებზე ზრუნვა (სამრეკლის სახლი)	
7	მედიცინა	
8	მედიცინა	
9	ქუჩატარული ფსიქოლოგების გაწვრთნა	

დამთხვევითი კითხვა

გაამართლა თუ არა თქვენი ნდობა იმ პარტიამ ან პოლიტიკოსმა, რომელსაც მან მიეცით წინა არჩევნებზე?

დიახ	არა	მიჭირს პასუხის გაცემა

თქვენი სახელი, გვარი

ასაკი — ქალაქი (რაიონი)

ამ ნომრის ფასი 1 ლარი 20 თეთრი. ფასის ნახევარი ეკუთვნის საავტორო ანაზღაურების ფონდს. ამ ფონდის ანაზღაურების ფონდს. ამ ფონდის ანაზღაურების ფონდს.

დამთხვევითი კითხვის შედეგები

„დამატებით კითხვას“ — **„უნდა აიკრძალოს თუ არა იელვეელთა სიქსა საქართველოში?“** — 480-მა მკითხველმა უპასუხა. მათი უმრავლესობა, 79%, როგორც ჩანს, იელვეელთა დაუნინებელი მტერია და აცხადებს, რომ აუცილებელია მისი აკრძალვა. მკითხველთა 13%-ს უჭირს კითხვაზე გარკვეული პასუხის გაცემა, ხოლო რესპონდენტთა 8%-ის აზრით, საქართველოში იელვეელთა სიქსა არ უნდა აიკრძალოს. ერთ-ერთ მკითხველ, რომელიც ამ 8%-ის აზრს იზიარებს, აცხადებს, რომ აკრძალვა უარყოფითა ჩვენთვის. ცნობილი ფრაზა რაც მეტია დანოვლი, მით უფრო დიდია ნინაალმდეგობა — ალბათ, ყველა კარგად დამოხატვას ამ მკითხველის აზრს.



© ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „ქვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას ლაპარაკობენ?

ნანკა ხიდაშელი, ზუგდიდი

ანანო (რაიონი)

გ. ამბალაძის ფოტო (საქ. კორ.)

გოგი თოფურიძე და მიხეილ მაჭავარიანი

თ.ნ. — ავთო, შენ რა გენაღვლება, ხომ გადარჩი ცემა-ტყეპას?

ა.ა. — ლონდერ, მამუკ, აწყობოდა კარგა მაგრად უტყეპათ. თამაზ, შენა გეკითხებიან, ის ჯობდა ნათქვამი.

გიორგი ბეჟიტაშვილი, თბილისი

ა.ა. — თამაზ, იმ რვიდან, მგონი, ორი შენი შარშანდელი გალახული პოლიციელი იყო. ვერტმფრენში გეძებდნენ, აბაზარობ“ აღებაზე.

თ.ნ. — ნუ იტყვი, ბევრზე ვარ გადარჩენილი, ლონდერი რომ დათანხმდა ნასვლაზე.

ირაკლი მენაღარიშვილი, თბილისი

ცენტრალური, რეგიონის ცრუ, ნაღდი თუ ფაიზაღი, მთავარობები კი გვყავს მრავალდ,

მეშინია მათი კრახის, დაბეჭდვასაც ვერ აუფვალთ, იმდენია გასალახი.

რუსლან შარია, სოხუმი

თ.ნ. — ვფიცავ, გაგწმენდ კოდორის ხეობას სანამ „სეპარატისტებისგან“ და შენს ცემას არ შეეგარჩენ!

ა.ა. — ღმერთმა გისმინოს...

ჯანჯუღა

თამაზ ნადარეიშვილი და ავთანდილ ჯღრიბეიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრაზე“ 182 მკითხველი გამოეხმაურა. მალლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

თ.ნ. — ჩემი ოჯრო ჩემთან!

ა.ა. — ეს, შენი კი არა, ჩემია.

ნინო ნადირაძე, თბილისი

თ.ნ. — სანამ ეს ლაცვას დაამთავრებს, კი მოვისწრებ საათს.

P.S. ეს ბეჭედი გუშინ ნავაძრე.

ზოთა მესხალიშვილი, თელავი

თ.ნ. — გურამ შარაძეს მოუწევს კიდევ ერთი სასაპარო პრაქტიკა ბედისაგან სულის წინააღმდეგ (ის ა ჯა.)

ხვიჩა სოხუმელი

„ბატონო ავთო, ნამოდი, ხალხი მიცემეს სვანეთში, ისე დაეცეს სანყალნო, ვეღარ ვუყურებ თვალებში. ნამოდი, გადამირჩინე, „მაყუთს“ მოგართმევ ლარებში!

გოგა გორელი

— თამაზ, წადი აფხაზეთში!

— ფეხები სანრილად მტკივაო.

— თამაზ, მოდი ერთი ლეკური დაუყარეთო!

— აბა, ერთი კარგი ტაში დაუკარითო!

ქეთინო წ., თბილისი

თ.ნ. — ვიცი, ვიცი სქანი შენი, ავთოია! რავა გაალანინე ჩემი მინისტრები კოდორის ხეობაში. სადაა შენი იდეურ-პოლიტკური დონე?

ს. აბაშისპირელი, თბილისი

თ.ნ. — არძინება აქ მომიყვანეთ, მე თვითონ დავაპატიმრებ.

ა.ა. — „ქვირის პალიტრას“ კითხულობ? თბილისი ღვინოს უგზავნის... ფრთხილად იყავი, შენც არ ჩაგიყვანონ!

თამაზ მჭედლიშვილი, თბილისი

შერვაშიძეთა მოდგმის ხარ, შეეცადე კიდევ რაც გინდა, ნუთუ აქამდეც ფეხებქვეშ, ვერ ამოიდევ არძინბა.!!!

შ. მაისურაძე, თბილისი

შიმპანზის კულტურულმა დონემ აიწია

მაიმუნი ყოველთვის იწვევდა მეცნიერთა ინტერესს ქცევითა და ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური აგებულებით. თუმცა, მხედველობიდან გამორჩათ დაედგინათ ჩვენი ოთხფეხა „ძმების" კულტურული დონე — შიმპანზე ხომ გენეტიკურად კულტურული არსებაა: ერთნი — ჭამის შემდეგ პირს იწმენდენ, მეორენი არასოდეს სხდებიან შიშველ მიწაზე ისე, თუ რამე არ დაიფინეს, მესამენი — ჭამამდე ხელებს ისუფთავებენ...

თურმე მოცარტს არასოდეს დაუწერია მუსიკა

საავტორო უფლებათა ისტორიას არ ახსოვს ისეთი სკანდალი, როგორიც ამერიკელი ჯონ კრეინეტის განცხადებას მოჰყვა. იგი ამტკიცებს, რომ მოცარტს სინამდვილეში არასოდეს დაუწერია მუსიკა და ცნობილი კომპოზიტორის ყველა უკვდავი ქმნილება ეკუთვნის კრეინეტის პაპის პაპას — გეორგ კრეინეტს.

ერთგული შვილიშვილის მტკიცებით, ვოლფგანგ ამედეის ოდესღაც მისი წინაპრისთვის მოუპარავს ყველა პარტიტურა და თავისად გაუსაღებია.

კრეინეტს ჰქონია ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთები, მაგრამ პაპის ანდერძის თანახმად, მათ გამოაქვეყნებს მხოლოდ 2000 წლის 1 იანვარს.

***

დიდი ბრიტანეთის დედოფალს, ელისაბედ II-ს ყველაფერი რუსული უყვარს. მაგალითად, პრინც ედვარდის ქორწილში დედოფალმა რუსული კერძები შეუკვეთა. სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ სოკოიანი და ბრინჯიანი კულებიაკა.

ელისაბედს ხშირად ნახავთ „რუსი ბებიის" მსგავსად ჩაცმულს...

ფოტო განწყობისთვის

—გაიხადეთ, ჩამოხტით...



ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეც. ფაკულტეტი)

აცხადებს მიღებას 1999/2000 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა; 2) მთარგმნელობა: ა) ინგლისური ენა; ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა; 3. ჟურნალისტიკა; 4. ეკონომიკური: ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო საქმე; დ) საგადასახადო საქმე; 5. საგამომცემლო საქმე.

აბიტურიენტების ჩარიცხვა წარმოებს გასაუბრება-ტესტირების საფუძველზე. ვაჟი აბიტურიენტები ვალდებულნი არიან, წარმოადგინონ მიწერის მოწმობა.

სწავლა ფასიანია

საბუთების მიღება 10 ივლისიდან. 10-15 სთ-მდე (გარდა შაბათ-კვირისა). დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 36-69-19; 36-60-78

მის: ტექნიკური უნივერსიტეტის მე-8 კორპ, მე-2 სართ.

კვირის პალიტრის უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება ყოველ სამშაბათს 17 საათზე, ხუთშაბათსა და კვირას, 13 საათზე. მათი განთავსების ადგილებია — ***თბილისში:*** *მეტროების — „მარჯანიშვილი"; „ვაგზლის მოედანი"; „თავისუფლების მოედანი"; „რუსთაველი"; „ღრმაღელე"; „ნაძალადევი"; „ახმეტელი"; „ავლაბარი", „300 არაგველი", „ვარკეთილი"; „სამედიცინო ინსტიტუტი", „პოლიტექნიკური", „ისანი"; „სამგორი"; „გოცირიძე"; — მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; გამსახურდიას და ვაჟა-ფშაველას პროსპექტების გადაკვეთაზე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ქავთარაძის ქუჩაზე — იზოტოპების ინსტიტუტთან და ბოლო გაჩერებაზე, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიდუბის ავტოსადგურთან; დიღმის მასივში პოლიკლინიკის წინ, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში — მევობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში — კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში — გაჩერებასთან. წყნეთის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა.*

ქუთაისში: *1) თამარ მეფის ქ. უნივერსიტეტი; 2) კინო „საქართველო" წერეთლის ქ.; 3) ჯაჭვის ხიდის ავტოსადგური; 4) ბაზრის წინ; 5) კულტურის სახლის წინ; 6) ნინოშვილის ქ. ბაღში; 7) ნიკეას ქ. ბირჟა; 8) ავტოსადგური, კეჩის ბაზარი; 9) ავტოქარხანა; 10) ავტოქარხნის ბაზარი; 11) უნივერსამი; 12) რკინიგზის სადგური. (განცხადებები მიიღება ტელეფონითაც 4-34-36)*

რუსთავში: *1) ქაშაკაშვილის ქუჩა; 2) შარტავას გამზ. 14/2; 3) მე-16 მ/რ ე.წ. სტამბულის ბაზრის წინ.*

ქალაქებში: *რუსთავი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი (სტამბასთან), წნორი (ბაზრის შესასვლელთან) ლაგოდეხი (წიგნების მაღაზიასთან), ყვარელი, გურჯაანი (კინოთეატრთან), თელავი (სამხატვრო სკოლასთან) — არსებული „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთები იცლება სამშაბათობით, 17 საათიდან.*

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(29) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

____

____

____

____

____

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№29 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 22 ივლისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.

კროსვორდი



თარაზულად: 7. მაგარი, გლუვზედაპირიანი (ქვა); 8. ბოროტი, შურიანი; 9. წარმომადგენლობითი კრება ძველ რუსეთში; 10. დასახლებული პუნქტი ბელგიაში, სადაც 1815 წელს ნაპოლეონ I-ის არმიამ საბედისწერო მარცხი განიცადა ინგლისისა და პრუსიის ჯარებთან ბრძოლაში; 11. მონაწილე ფილმებისა „მაია წყნეთელი", „ჩვენი ეზო"; 13. კუნძულისა და სახელმწიფოს — შრი ლანკის სახელწოდება 1972 წლამდე; 15. მოთელილი მატყლი, ქსოვილისებურად დამზადებული; 17. რუსი პოეტი (XIX საუკ.); 19. შუააზიელი ფილოსოფოსისა და მეცნიერის აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელი; 21. ამა თუ იმ ადგილისათვის დამახასიათებელი მეტეოროლოგიური პირობების ერთობლიობა; 22. დანესებულების შიკრიკი; 24. „ასანთი"-ს სინონიმი ძველად; 27. სვლა (რბოლა, ფრენა) დიდი სისწრაფით; 28. ყველა სხვა კარტის შემცველი კარტი ბანქოს ზოგიერთ თამაშში; 30. ის, რაც ყოველთვის შიგნიდან ტყდება, როცა საქმეს შინაურთა ღალატი ჩაშლის (გამოთქმა); 33. მხარე საქართველოში; 34. რბილი ნართისაგან დამზადებული გრეხილი; 35. თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი; 38. ტექნოლოგიური პროცესის ნაწილი; 39. იაპონიის საკუთარი სახელწოდება; 40. ამხანაგი (ძველი სასაუბრო სიტყვა); 41. მატლობიდან სრულ სიმწიფეში გადასული მწერი; 42. მქუხარე, ხანგრძლივი ტაში; 45. სასროლი თოკი ცხოველის დასაჭერად; 47. ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე; 49. ქლიავის ჯიში; 50 სასწავლო წლის ნაწილი ინგლისსა და აშშ-ში.

შვეულად: 1. მოხელე რევოლუციამდელ რუსეთში; 2. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში; 3. ინდოელი კინოვარსკვლავი, რეჟისორი და პროდიუსერი; 4. საკრავი; 5. სიტყვის ნაწილი; 6. დაავადების გარეგნული ნიშანი; 12. საფლავიდან გვამის ამოღება გამოკვლევისათვის; 13. ძალიან მაღალი, მრავალსართულიანი შენობა; 14. პერსონაჟი ვაჟა-ფშაველას პოემისა „ბახტრიონი"; 16. წარმტაცად მოლაპარაკე; 18. ხელოვნურად გამოწვეული ძილი; 20. საპრივატიზაციო ჩეკი; 23. ასტროლოგიური ძველებური წიგნი; 25. გრამატიკის ნაწილი; 26. ძველი ბერძნული ხელოვნების წიგნი (ტაძარი) ათენში; 29. ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფე, რომელსაც ქართული დამწერლობის შემოღებას მიაწერენ; 31. ბიბლიური პერსონაჟი; 32. წვრილი ხმა სიმღერაში; 36. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები; 37. ქლიბი ხის სახეხად; 43. მგალობელი ფრინველი; 44. ცუღლუტი, ლაზღანდარა (ძველი, სალანძღავი სიტყვა); 46. უფასო, უსასყიდლო; 48. ქვენარმავლის შხამი.

წინა კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. ნაცარქექია; 9. მეტყველება; 10. ტამტამი; 11. ხემსი; 12. მორზე; 13. ჯართი; 14. შაშხი; 15. ბჰუტო; 16. ბიძგი; 18. ხნული; 20. ალიანსი; 21. „მარიანა"; 24. ფარაონი; 25. ფართალი; 27. „ბუმასი"; 28. სპარტა; 29. სინოდი; 30. პორტიე; 32. ტრაქტირი; 34. „ავედრებს"; 36. ბარელი; 37. ფრონტი; 38. ჩაფარი; 39. აჯუბეი.

შვეულად: 1. სექტორი; 2. „კატიუშა"; 3. თაჯ-მაჰალი; 4. კანისტრა; 5. პლომბირი; 6. აბორიგენი; 8. ამბიონი; 9. მარშალი; 17. უსტაბაში; 19. განთიადი; 22. ანტიდოტი; 23. მანსარდა; 24. ფიბრომა; 26. ისაკაძე; 29. სატელიტი; 31. ელდორადო; 33. „რვაფეხა" 35. ბუტბუტი.

გ. გასიტაშვილი

***

მიხო და შაქრო ორსართულიან ავტობუსში ავიდნენ. შაქრო იქვე დარჩა, მიხო ზევით ავიდა. ცოტა ხანში გაფითრებული ჩამოვიდა ქვევით.

— რა იყო, მიხაკ!

— ჯოო, ზემოთა მძღოლი არა ზის!..

***

კაცმა პირველად იმგზავრა თვითმფრინავით...

გალიმებული ჩამოდის ტრაპზე... ამ დროს შარვალი ჩაძვრა...

— ამათი დედა... ხან შეიკარით ქამრები, ხან გაიხსენითო... და...

***

თბილისის ქუჩებში „მერსედესი" მიჰქრის. ფანჯრები ბოლომდეა აწეული. შიგნით მიტო და მარო სხედან. ორივეს ოფლი სდის, იხრჩობიან...

— მიხო, ძვირფასო, მოდი ფანჯარა ჩამოვწიოთ, აღარ შემიძლია...

— არავითარ შემთხვევაში! დაე, ხალხმა იფიქროს, რომ კონდიციონერი გვაქვს მანქანაში...

***

პატრიოტმა ტურისტმა ავსტრალიაში კენგურუ დაინახა — „ფაქტს ველარ გაექცა".

— რაც მართალია, მართალია, ამათი კოლოები ჩვენსაზე გაცილებით დიდია.

არ გამოგრჩეთ!

ყოველ ოთხშაბათს ახალი გასართობი გაზეთი

KARUSELI

კარუსელი

კროსვორდებით,

კურიოზებით,

ტესტებით,

გამოცანებით,

რებუსებით,

და სხვა მრავალი გასართობით.

ყოველ ნომერში თამაშდება 200 ლარი

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

სარედაქციო კოლეგია

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

სარეგისტრაციო № 1518

„კვირის პალიტრა"

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".